ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი

მიხეილ კეკელია

# ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძველ ქართულ სამართალში

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

უაკ. (UDC) 343.6+(479.22)(093)
ქ-391

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ცნობილი ქართველი იურისტი მეცნიერის, სამართლის ისტორიკოსის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორ მიხეილ (მიხაკო) კეკელიას (1927-1993) გამოუქვეყნებელ ნაშრომს. წიგნში ორიგინალური თვალთახედვითაა განხილული ძველი ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან. ავტორი ამ ინსტიტუტებს ძველი იურიდიული, ისტორიული, საეკლესიო ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განიხილავს. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძველ ქართულ სამართალში დანაშაულის შესახებ მოძღვრების საკითხების და შესაბამისი ძველქართული იურიდიული ტერმინების შესწავლას. ნაშრომი საინტერესოა იმითაც, რომ ავტორი რეკომენდაციებს იძლევა თანამედროვე კანონმდებლობაში ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული და ქართული ხასიათის შესატყვისი ძველ ქართულ სამართალში დაუნჯებული სულისკვეთების გაზიარებისა. ნაშრომი სამწუხაროდ დაუსრულებელია და მცირე რედაქტირებას თუ არ ჩავთვლით, ძირითადად წარმოდგენილია ავტორისეული ხელნაწერის შესაბამისად.

განკუთვნილია ძველი ქართული სამართლით დაინტერესებულ მკითხველთათვის და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

სარედაქციო ჯგუფი: **გიორგი დავითაშვილი** (მთავარი რედაქტორი),
**დავით ბოსტოლანაშვილი,**
**სულხან ონიანი**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015
© მ. კეკელია

ISBN 978-9941-25-105-4

„ადამიანმა სამართალში უნდა
ჰპოვოს თავისი გონება.“
**ჰეგელი**

# შესავალი

ქართული სამართლის ისტორია რამდენადმე მაინც ქართული კულტურის ისტორიის თავანკარა შენაკადადაც გაიაზრება.

სამართლიანობისა და სამართლის გარეშე ძნელად თუ შევიქმნით წარმოდგენას იმ სულიერ ფასეულობაზე, რაც ამა თუ იმ ერს უკეთებია და თავმოსაწონად გადაუქაჩავს თანამედროვეობაში. აკი ქართველთა სჯულმდებელ მეფეს, ვახტანგ VI თავის კანონის პირველ მუხლში ჩაუწერია: „უსამართლობა ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოჰფხურის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოჯრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა – ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წასწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს.“[1] აი, როგორ მისიას ვაკუთვნებდით სამართლიანობას, როგორი ზნესრული მოთხოვნის დაცვა დაკისრებია ყველას, მათ შორის უპირველესად კი ხელისუფლებას.

სამართლიანობის მოთხოვნის ამგვარად დაცვით იყო განპირობებული ის, რომ საქართველოში „ამა ქვეყნის ძლიერნი“ თავიანთ ყმების წინააღმდეგ წარმოებულ სასამართლო დავებსაც კი აგებდნენ, მსგავსი რამ იშვიათად თუ მოიპოვება მსოფლიოს სასამართლო პრაქტიკაში. უზენაესობის აღიარებამ და კანონის

---

[1] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. I, თბ., 1963, 479.

**I შენიშვნა:** ვახტანგ VI სამართლის წიგნის და ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შემავალი უცხოური და ქართული სამართლის ძეგლებზე მითითებას ამ გამოცემის მიხედვით გავაკეთებთ.

**II შენიშვნა:** ბიბლიის ტექსტების ციტირებას შემდეგი გამოცემებიდან მოვახდენთ: **ა)** ახალ-ქართულ ენაზე – ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ. 1989; **ბ)** ძველ-ქართულზე – „მცხეთური ხელნაწერი,“ გამომცემლობა მეცნიერება, თბ. ტ.I, 1981; ტ.II, 1982; ტ.III, 1983; ტ.IV, 1985; ტ.V, 1986;

მოთხოვნათა განუხრელად შესრულების აუცილებლობამ დააწერინა თავის ანდერძში ცნობილ ქართველ მოსამართლეს: ყოველთვის როცა განაჩენის გამოსატანად ვჯდები ვშიშობ არ შევცდე და ლოცვით წარმოვთქვავ: „ცხოვლის-მყოფელო სულო, შენ გაანათლე ჩემი გონება და შენ ასწავლე ჩემს გულს სამართალი.“

ქართველი კანონმდებელი და ხალხური სამართალი ნიადაგ ქადაგებდა სამართლისადმი ღრმა პატივისცემას, სწორედ ამიტომაც წერდა თავის კანონპროექტში დავით ბატონიშვილი: „ყოველთა საზოგადოობათა ქართველთასა, ვითარცა შვილთა, ეგრეთვე უცხოთა... უბრძანებთ და განვაბრთხილებთ, რათა იყუნენ ერთგულ საზოგადოობისა და მორჩილ სჯულისა (სამართლის, კანონის – მ. კ.) ამის, და ეგრეთვე ოქმთა და განაჩენთა ანუ ნიშანთა რაჲმეთა მეფისა და მოხელეთათა. ხოლო ურჩნი და დამაკლებელნი საზოგადოობისა მებრ კანონისა ამის და შჯულისა განისჯებიან“ (144-ე მუხლი).[2]

საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება არცაა გასაოცარი ბიზანტიურ სამართლებრივ კულტურასთან წილნაყარ საქართველოსათვის, რომელმაც ისტორიული ავბედობის გამო გაერთიანების შემდგომ პერიოდში მთელი შესაძლებლობებით ვერ განავითარა კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ხოლო რაც წვალებით შექმნილია, მათგანაც მცირედმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე.[3]

წინამდებარე ნაშრომი პირველ ცდას წარმოადგენს ქართული სისხლის სამართლის აღდგენისას, რასაც მეცნიერულის გარდა სამომავლო პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

წარსული დროის სამართლის როლსა და მნიშვნელობაზე პოზიტიური სამართლისათვის აუარებელი ლიტერატურა დაგროვილა. ასეთი მისწრაფებით დაფუძნდა საქვეყნოდ მოხმარებული სამართლის ისტორიული სკოლა, რომლის უპირატეს მიზანს სამართლის სასიკეთო ფესვების ძებნაც წარმოადგენდა წარსულში.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ჰენრიხ დერნბურგი ეკითხე-

---

[2] სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 83.

[3] ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. I, თბ., 1970, 5-6.

ბა მოქმედი სამართლის მკვლევართ: „უკეთესი კანონმდებლობის შემუშავებისათვის იცით თუ არა რამ უნდა გაგვიკაფოს გზა ამ გადაწყვეტილებათა ქაოსში?“ და იქვე პასუხობს: „მის დაძლევას შესაძლებელს ქმნის ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთაც ჩვენ შევიგნებთ სამართლის ისტორიული განვითარების შესწავლით... ყოველ ნაბიჯზე ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულ ნიადაგზე ვდგევართ, რომ აქ საქმე მრავალი თაობის სულიერ ნაშრომს ეხება. ამ შეხედულებით გამსჭვალვა არის უდიდესი მიზანი, რომელიც დასახული უნდა ჰქონდეს სამართლის შესწავლას უნივერსიტეტში“ და იქვე აგრძელებს: „ისტორიული ჩარჩოებიდან ფართედ და კონკრეტად უნდა გამომდინარეობდეს პრაქტიკული სამართალი.“[4]

დიდი მეცნიერის ეს შეგონება გულს უნდა ჩაიმარხოს თანამედროვე ქართველმა კანონშემოქმედმაც, რომელშიც სამართლის უპირველეს წყაროს სწორედ რომ საუკუნეებიდან მომდინარე ქართველი კაცის ფსიქიკურ წყობას დაფუძნებული და მისი განმსაზღვრელი, დაწერილი თუ დაუწერელი სამართალი უნდა მიიჩნიოს.

განუზომელია ძველი ქართული სამართლის მნიშვნელობა მსოფლიოსათვის შედარებითი იურისპრუდენციის პოზიციებიდან სხვადასხვა სამართლის სისტემათა კვლევის საქმეში.

წინამდებარე ნაშრომი მითითებულ საჭიროებათა დაკმაყოფილების სურვილითაცაა დაწერილი. კერძოდ კი, სისხლის სამართლის ისტორიაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის შესწავლას სპეციალური გამოკვლევა არ მიძღვნია.

ხელთა გვაქვს მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორიის სისხლის სამართლის კარში მეოთხე თავად შეტანილი „დანაშაულებანი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ,“ სადაც რამდენიმე გვერდზე ადრეფეოდალური საქართველოს დროინდელი ვითარებაა გადმოცემული. საკითხი მეტად სქემატურადაა წარმოდგენილი და ძირითადად ტერმინოლოგიურ ძიებას ეძღვნება.[5]

---

[4] ჰენრიხ დერნბურგი, პანდექტები, თარგმანი გერმანულიდან ფ. გოკიელისა, ტფ. 1928, VIII; X.

[5] იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამარ-

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ სამართლებრივ პრობლემებს მეტნაკლებად ეხებიან ალ. ვაჩეიშვილი, ივ. სურგულაძე, ი. დოლიძე, გ. ნადარეიშვილი, დ. ფურცელაძე, ნ. სამადაშვილი-კორძაია.

ზოგიერთი საკითხი ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით შეისწავლეს ნ. ხიზანაშვილმა, ბ. ნიჟარაძემ, რ. ხარაძემ და სხვებმა.

ამჟამად ჩვენს მიზანს წარმოადგენს როგორც ქართული სამართლის საკანონმდებლო ბაზით, ისე ნორმატიული წყაროებით, სასამართლო პრაქტიკისა თუ ეთნოგრაფიულ მასალათა გამოყენებით შევისწავლოთ ის საკითხები, რომლებიც სისხლის სამართლის ზოგად საკითხებს და კერძო ნაწილიდან სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, მათ დასჯადობას და აღსრულებას ეხება.

ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, თუ რაოდენ ძვირფასი მასალები დაუცავს ქართულ ჩვეულებით სამართალს (ხალხურ სამართალს, ტრადიციულ სამართალს) შესასწავლ პრობლემასთან დაკავშირებით, მხოლოდ სვანურ ჩვეულებით სამართლის შესწავლით დავკმაყოფილდებით.

მონოგრაფიაში გამოკვლეულ საკითხთა ქრონოლოგიური ჩარჩო დასაბამიდან (საიდანაც წყაროები გაგვაჩნია) XIX საუკუნემდე პერიოდით შემოიფარგლება.

ნაშრომმა როგორც სპეციალისტებს, ისე საქართველოს სამართლებრივი წარსულით დაინტერესებულ პირთ წარმოდგენა უნდა შეუქმნას განხილულ დანაშაულთა ხასიათზე, მათი განვითარების კანონზომიერებაზე და იმაზე, თუ საკუთარი სახელმწიფოებრიობის იძულებითი მოსპობით, როგორ ვითარებაში შეწყვიტა არსებობა სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებრივ ქმედობათა დასჯადობამ ჩვენში.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთიც: მონოგრაფია ეძღვნება დანაშაულებრივ ქმედებებს ძველ საქართველოში. ამდენად, თანამედროვე მეცნიერებების მოთხოვნათა მიხედვით ვერ ხერხდება შესასწავლ საკითხთა დალაგება. ნაშრომისათვის ასეთი პრეტენზიის წამოყენება უმართებულო იქნებოდა.

---

თლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი მეორე, თბ., 1984, 221-227.

# თავი I. დანაშაულის შესახებ მოძღვრების საკითხები ძველ ქართულ სამართალში

## §1. ქართული სისხლის სამართლის წყაროები

ქართული სამართლის, კერძოდ კი სისხლის სამართლის და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის – ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის – წინააღმდეგ მებრძოლ კანონმდებლობის უპირველეს წყაროს ქართული ჩვეულებითი, ხალხური, ტრადიციული სამართალი, ქრისტიანული რელიგია, ეროვნული ტრადიციები და ეროვნული ზნეობა წარმოადგენს. ძნელია ამჟამად სათითაოდ და გამოწვილვით თითოეულ მათგანზე მსჯელობა, მაგრამ ზოგიერთი რამის აღუნიშვნელობაც არ ივარგებს.

ქართული სისხლის სამართლის უპირველეს წყაროს ხალხური, ჩვეულებითი (ტრადიციული) სამართალი წარმოადგენდა.

უპირველესად სწორედ რომ მისი მადლი სცხია ჩვენამდე მიღწეულ ყველა სამართლის წიგნს. ხალხური სამართალი ამდიდრებდა და ეროვნულ სულს დებდა ქართულ კანონმდებლობაში.

კანონმდებლობის შემდეგი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო ქართული ჩვეულებები და ტრადიციები, რომელთა ნორმები გასაქანს არ აძლევდა ყოველგვარ ანტიეროვნულსა და მიუღებელს. ტრადიციები დაფუძნებულნი იყვნენ რა ცხოვრების ყველა სფეროში (სამეურნეო ყოფა, ჭირი, ლხინი, ოჯახი და ა.შ) აქ შეღწევად ყველა სოციალურ ნორმას და მათ შორის სამართალს, მის ფილტრში უნდა გაევლო. ამდენად იქცნენ ისინი კანონმდებლებისათვისაც ანგარიშგასაწევად.

ეროვნული ტრადიციები არა მარტო ახალი ნორმების შექმნისას ხდებოდნენ ანგარიშგასაწევნი, არამედ პარალიზებას უკეთებდნენ მოქმედ ანტიეროვნულ სამართლის ნორმებსაც.

ქართული სისხლის სამართალი დიდადაა დავალებული ქრისტიანული (კანონიკური) სამართლისაგან. ერის მიერ ტრადიციულად შეთვისებული მისი ამოსავალი პრინციპები საფუძვლად ედებოდა და განაპირობებდა სისხლის სამართლის არა მარტო მართლიერებას, არამედ მის ჰუმანიზაციას. თუ რომელიმე საკანონმდებლო

ნორმა წინააღმდეგობაში მოვიდოდა საეკლესიო ცხოვრებასა და მის სამართალთან, იგი არსებობის უფლებას კარგავდა.

აქვე გასათვალისწინებელია ზოგიერთი თავისებურებანი, რაც საქართველოში მოქმედ ქრიტიანულ სამართალს ახასიათებდა. იგი ეროვნული სპეციფიკით გამოწვეული თავისებურება გახლდათ, რასაც ანგარიშს თვით ქრისიტიანული სამართალიც უწევდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში მოიპოვება წარმართული რელიგიის დანაშრევებიც, რასაც საკმაოდ ვპოულობთ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამართლებრივ ყოფაში (იხ. კრებული ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 4).

თუ არსებობს ეროვნული ხასიათი, არსებობს ეროვნული ზნეობაც. რომელიც არამარტო გავლენას ახდენს სამართლის ნორმის რეალიზაციაზე, არამედ ახალისებს კანონმდებელს ახალი სამართლებრივი ნორმის ჩამოძერწვისას.

სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს წინა პერიოდში შედგენილი საკანონმდებლო აქტებიც. პირველი ქართული კოდექსი „ბაგრატ კურაპალატის სამართალი," რომელიც ფრაგმენტის სახითაა ჩვენამდე მოღწეული და ჩვენი აზრით IX საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, საფუძვლად ედებოდა შემდგომი პერიოდის კანონებს. ისინი თავის მხრივ კიდევ უფრო ამდიდრებდნენ და ხვეწდნენ მომდევნო პერიოდის ნორმებს, რომლებიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლას და მათ დასჯადობას ისახავდნენ მიზნად.

სამართლის წყაროს მნიშვნელობა ჰქონდა ცალკეულ განჩინებებს ანუ ნორმებს, რომლებსაც პერიოდულად იღებდა ხელისუფლება კანონმდებლობში არსებული ხარვეზების ამოვსების მიზნით, ასევე კერძო ხასიათის სასისხლო სიგელებს, რომლებიც ცალკეულ პირთ ეძლეოდა მეფეთა მიერ.

როგორც ჩანს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სამართლებრივი ბაზა მეტად ვრცელი და რაც მთავარია ძველთაგან მომდინარეა. ვითარების კვალობაზე მათ გადამუშავებას საუკუნეების განმავლობაში აწარმოებდნენ მეცნიერ-იურისტები.

იმისათვისაც, რათა ლიტონ სიტყვად არ გამოგვივიდეს ნაშრომის შიგა და შიგ ქართული სამართლის მაღალ დონეზე ლაპარაკი, წინასწარვე უნდა მიეთითოს იმ გარემოებაზე, რომ საშინაო და საგარეო ფაქტორებთან ერთად კანონშემოქმედების აქტიურად გაშლისა და სამართლის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარების ძნელსა და საპატიო ჭაპანს, ეროვნულ სამართალს შესისხლხორცებული „მეცნიერი კაცნიც“ („რჯულის მეცნიერნი“) ეწეოდნენ. ისინი არა მარტო იცავდნენ საკანონმდებლო გზით დადგენილ და თაობებიდან თაობაზე ზეპირად გადმოცემულ პროგრესულ ხალხურ სამართლის ნორმებს, არამედ პრაქტიკულადაც ღებულობდნენ მონაწილეობას სადაო საქმეთა განხილვაში და რაც მთავარია ახალი კანონების შემმუშავებელი კომისიის წევრებადაც გვევლინებოდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მეცნიერი კაცები ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ წერილობით ძეგლებში ძირითადად „რჯულის მეცნიერებად“ იწოდებიან.

ტერმინ „რჯულის მეცნიერთა“ ფუნქციების განმსაზღვრელად ძირითადად საეკლესიო ცხოვრების, ქრისტიანული საღვთო რჯულისა (კანონიკური სამართლის) და რთული საეკლესიო ცხოვრების წესების ღრმა ცოდნა უნდა ვიგულისხმოთ.

კარგად ჩანს ისიც, რომ ტერმინი მეცნიერი ტერმინ რჯულზე ადრე უნდა იყოს გაჩენილი, რომლის შინაარსიც ისტორიის გრძელ გზაზე იცვლება და დღევანდელი გაგებით შედარებით ახალ პერიოდში მკვიდრდება.

ბიბლიისა და სახარების უძველეს თარგმანში იგი მცოდნე, სწავლული კაცის შინაარსითაა დამოწმებული. მიუთითებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე ბიბლიიდან: „ვინ არს ბრძენ და **მეცნიერ** თქუენ შორის?“ (იაკობი 3.13); „ღმერთი არს **მეცნიერებათა** უფალი“ (1 მეფეთა 2.3); ახალ აღთქმიდან: „დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი“ (ლუკა 11.52). „დიდი სჯულისკანონიდან“ – მეცნიერება სიკეთეა „მეცნიერებად მოსლვაჲ, ვითარმედ საღმრთოთა ნიჭთა ღირსქმნილ არიან.“[6]

---

[6] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 258. სულხან-საბას მიერაც „მეცნიერი“ განმარტებულია როგორც „მცნობელი.“

როგორც ჩანს მეცნიერ ადამიანში ყველა საკითხში ბრძენი, განსწავლული კაცი იგულისხმებოდა.[7] მათ შორის „შჯულის ანუ სამართლის მეცნიერიც.“

„რჯულის მეცნიერი“ უპირველესად ქრისტიანულ ცხოვრების წესებში, მის კანონიკაში (კანონში) გარკვეული კაცი ჩანს: სწორედ ამიტომაც „საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი, რამეთუ ქმართან მისმან მიჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერნი.“[8]

თარგმნილ თუ ორიგინალურ ლიტერატურაში „რჯულის მეცნიერნი“ შემდეგ კონტექსტში გვხვდება: „მეცნავთა სჯულისა ჩემისათა არა მიცნეს მე“ (იერემია 2.8); „და აჰა ესერა სჯულის მეცნიერი ვინმე ადგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა...“ (ლუკა 10.25) „სჯულის მეცნიერთა, ვაი არს...“ (ლუკა. 11.46) და სხვა.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის (XII ს.) მე-11 კანონი ადგენს: „კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ მღდელი ანუ დიაკონი.“[9]

თამარის ისტორიკოსი წერს: თამარმა შემოიკრიბა „კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღმრთოსანი.“[10]

წერილობით წყაროებში ძალიან ხშირად „შჯულის მეცნიერის“ შემცვლელად „შჯულის მოძღვარი“-ც მოიხსენიება.

„რჯულის მეცნიერები“ (ძეგლებში – შჯული, სჯული, რჩული) ის ხალხია რომლებიც კანონის, სამართლის ცოდნით გამოირჩევიან ვითარცა „ჭკუიან კაცნი“ და „სულის მოყვარეებს“ წარმოადგენენ.

„მეცნიერნი“ რომ მართლმსაჯულების განხორციელების საქმეს ემსახურებოდნენ მასზედ ოპიზის სიგელსაც დაუცავს ცნობა (XI ს.), რომელშიც ვკითხულობთ რომ სადაო საქმის გამრჩევთა შორის იყვნენ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი.“[11]

ყურადღებას იმსახურებს ასევე რჯულის მეცნიერთა შინაარ-

---

[7] ასეა ვეფხისტყაოსანშიც, იხ. სტრ – 815,2. 1913,3 და სხვა.

[8] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I. თბ., 1955, 142.

[9] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 552.

[10] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1959, 117.

[11] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს.,თბ., 1984, I, 33.

სით ქართულ სამართლის წიგნებში ტერმინ მეცნიერის მოხსენიება.

აღბუღას სამართლის წიგნის 25-ე მუხლში ლაპარაკია რა სასაფლაოსა და ეკლესიის მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობაზე ისინი უნდა დაისაჯონ ისე როგორც რჯულის მეცნიერები მიიჩნევენ („მეცნიერთა და ქრისტეს სისხლის პატივისა მცნებულთა ვითარ უყვარს, ეგეთი პატიჟი დაუურვებინონ“ (25-ე მუხლი).

84-ე მუხლით კი პატრონსა და ყმას შორის სადაო საქმეს „მოძღვარნი და მეცნიერნი კაცნი“ განიხილავენ. სიტყვა მეცნიერი აქ მცოდნის მნიშვნელობითაა ნახმრი, რაც უპირატესად სამართლის (შჯულის) ცოდნაში უნდა მდგომარეობდეს.[12]

სწორედ აღნიშნულმა ათქმევინა ნიკო ხიზანაშვილს „არის ისეთი საბჭო საქმე, რომელიც მეცნიერსაც უნდა ეკითხოს და სამართალი ისე დაედოს. მეცნიერი საქმის მცოდნეა, განსწავლული სპეციალისტია.“[13]

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 237-ე მუხლში, რომელიც სპეციალურად ეძღვნება ფიცსა და მოფიცრის საკითხს, კერძოდ, მის მესამე ნაწილში ვკითხულობთ თუ როგორ კაცი უნდა დასახელდეს მოფიცრად: „მოფიცარი დროული (ასაკში შესული – მ.კ.) ღვთის მცნობელი (მორწმუნე – მ. კ.), სჯულის მეცნიერი (სამართლის მცოდნე – მ. კ.) და ცოტა (რიცხვით მცირე – მ. კ.) უნდა იყოს.“

ჩამოთვლილი პირველი სამი თვისება ერთობლივ უნდა წარმოადგენდეს თითოეული მოფიცარის ღირსებას. სწორედ რომ ასეთი მოფიცარნი მიიჩნევიან სასურველად, რომელთა ფიცსაც შეიძლება დაემყაროს სასამართლოს განაჩენ-გადაწყვეტილებაც.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ლაპარაკია იმასთან დაკავშირებითაც, თუ ვისი, რა ხალხის თანადგომით და მონაწილეობით დაიწერა იგი – რომ იგი: „კითხვითა ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გავაჩინეთ და დავწერეთ“[14].

ჩვენი აზრით აქ მოხსენებული „ჭკუათა მყოფელთ“ და „მოხუცებულთა კაცნი“ რამდენადმე მაინც იდენტური უნდა იყოს,

---

[12] ხევსურეთში საერო ხასიათის საქმეებს დღესაც არჩევენ „რჯულში,“ „რჯულის კაცები.“

[13] ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ. 1982, 469.

[14] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 479.

ამავე სამართლის 237-ე მუხლში ჩაწერილი „დროული“ კაცებისა.

ეგზომ ვრცელი ექსკურსის გაკეთება „მეცნიერის,“ კერძოდ კი „რჯულის მეცნიერის“ და მსგავსთა ტერმინებზე, იმისათვის დაგვჭირდა, რათა ცხადგვეყო საუკუნეების განმავლობაში როგორ კაცებთან ურთიერთობით ხორციელდებოდა ჩვენში კანონშემოქმედება და სამართლის პრაქტიკულად რელიზაცია.

სწორედ რომ „რჯულის მეცნიერები“ ხვეწდნენ საუკუნეების განმავლობაში ქართულ იურიდიულ აზროვნებას. უპირატესად მათი გულის, გონების და ადამიანობის მადლი სცხია ქართველი კაცის სიცოცხლისა და ღირსების სისხლის სამართლებრივ მოთხოვნათა გათვალისწინებით შესწავლას, რომელსაც წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება.

## §2. ბრალთან/დანაშაულთან დაკავშირებული ტერმინები და მათი შინაარსი ძველ ქართულ სამართალში

ქართული სამართლის ისტორიაში პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებაში სრულყოფილად გარკვევას სხვა გარემოებებთან ერთად (წყაროთა სიმწირე, სასამართლო პრაქტიკის მასალათა დაუცველობა და სხვა) ისიც უშლის ხელს, რომ ბრალთან დაკავშირებული საკითხებიც არაა სათანადოდ დამუშავებული.

სამართლის ისტორიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ერის იურიდიული აზროვნების დონე იმისდამიხედვით განისაზღვრება, თუ როგორ მოუხერხებია მას ბრალის საკითხის დამუშავება.

ყურადღება მახვილდება იმაზე, ხალხის სამართლებრივ აზროვნებაში მიღწეულია თუ არა განზრახი დანაშაულებრივი ქმედების გამიჯვნა, განზრახვის გარეშე მოქმედებისაგან.

უფრო ზუსტად, თანამედროვე ტერმინლოგიით თუ ვიტყვით, რამდენად ხერხდება ბრალის ორი სახის – განზრახვის და გაუფრთხილებლობის დაშორიშორება.

ასე თანდათანობით ყალიბდება გაუფრთხილებელი მოქ-

მედებით ან უმოქმედობით გამოწვეული ბრალეულობის ცნება, რაც თავის მხრივ თვითნებობის ან დაუდევრობის სახით შეიძლება ვლინდებოდეს.

ბრალის ინსტიტუტი სისხლისა და სამოქალაქო სამართალში ერთი ზომით როდი ვითარდებოდა ცალკეულ ქვეყანაში. იგი დიდად იყო განპირობებული ამა თუ იმ ხალხის სოციალ-ეკონომიკური და რაც მთავარია გეოგრაფიული და კულტურული დონით. სწორედ ამდენად და ამისათვის, ბრალის დამუშავების ხარისხი ეროვნული კულტურის განუყოფელ ნაწილადაც ქცეულა.

ისე როგორც საერთოდ სამართლებრივ ინსტიტუტთა, ბრალის პრობლემის კვლევის ყველაზე სანდო გასაღებს ტერმინოლოგია იძლევა. თუ არსებობს ტერმინი, მოსაზრება და დასკვნაც ჭეშმარიტ ბალავარს ეფუძნება.

სწორედ რომ ბრალთან დაკავშირებული ჩვენი ძირძველი იურიდიული ტერმინები წარმოადგენენ სათავეს და მღაღადებელს ჩვენი სამართლებრივი კულტურის დონისას.

კლასიკური სამართლის ქვეყნების სამართლის ისტორიის კვლევისას ერთი რაიმეცაა თვალში საცემი: თავიდანვე აქ სამოქალაქო სამართალში უკეთ დამუშავებულა ბრალის საკითხები, ვიდრე სისხლის სამართალში. რამდენადმე მაინც სხვაგვარი ვითარებაა ქართულში. ჩვენში არა თუ სამოქალაქო სამართალში დამუშავდა იგი უკეთ, არამედ ბევრ თავისებურებას ამჟღავნებს ამ მხრივ სისხლის სამართალი.

სწორედ ეს თავისებურებანი ქმნიან ისეთ სიძნელეებს, რაც ხელს უშლის საყოველთაოდ დადგენილი გზით და შესაძლებლობით ქართულ სპეციფიკაში გარკვევას.

ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ ფეოდალიზმის იურიდიულმა აზროვნებამ სასურველი სიღრმით ვერ დაამუშავა ბრალის საკითხები. ასე მოხდა ჩვენშიც.

ამდენად ქართული ვითარების გათვალისწინებით ბრალის საკითხების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მასშტაბით გამოსაყენებელ შედარებითი იურისპრუდენციისათვისაც.

თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ბრალთან დაკაშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ შექმნილიყო მნიშ-

ვნელოვანი შრომები. ამ მხრივ მეტად დასაფასებელია ივ. ჯავახიშვილის, ივ. სურგულაძის, ალ. ვაჩეიშვილს, დ. ფურცელაძის, გ. ნადარეიშვილის და ნ. სამადაშვილ-კორძაიას ღვაწლი, რომლებიც გზამკვლევს წარმოადგენენ ბრალის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ერთხმოვანებასთან ერთად მათი მოსაზრებანი ურთიერთსაწინააღმდეგოც არიან, რაც სტიმულს იძლევა საკითხთა კრიტიკული მიდგომისათვის. დიდ ხარვეზად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ბრალის პრობლემის მონოგრაფიულად დამუშავება, რაც ჩვენი აზრით განპირობებულია იმითაც, რომ დღემდე არ ვიცით თუ რა ხასიათის მასალაა ამ მხრივ დაუნჯებული ჩვენს ხალხში, რომელთა მოპოვებაც ხალხურ სამართალში მომუშავე ჩვენს სპეციალისტებს დაუსახავთ მიზნად.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მრავალსაუკუნოვან ქართულ დამწერლობასა და ზეპირსიტყვიერებაში საკმაო სიუხვეა ბრალთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაზე. ეს კი უტყუარ მინიშნებას წარმოადგენს იმაზე, რომ ქართველი კაცის სამართლებრივი აზროვნება ხანგრძლივი დროის მანძილზე ცდილობდა დაედგინა, განესხვავებინა და ერთმანეთისაგან გაემიჯნა ბრალის ფორმები თუ მათი ცალკეული ნიუანსები. სწორედ რომ ასეთ მასალაზე დაყრდნობოთ გვსურს განვიხილოთ ბრალის ორი ფორმის განზრახვით და განზრახვის გარეშე (გაუფრთხილებობით) ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებანი ჩვენში.

უძველესი ქართული წერილობითი წყაროები ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს სისხლისა და სამოქალაქო ხასიათის არამართლზომიერ მოქმედების ჩამდენ პირთ.

ორივე შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, **გარდამავლობით მოქმედებას, დანაშაულს, ბოროტმოქმედებას უწოდებენ.**[15] ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი: **მავნებელი** („საჯენ, უფალო მავნებელნი ჩემნი").[16]

ასეთ მოქმედებათა ჩამდენი პირნი გარდამავლობის მოქმე-

---

[15] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი მეორე, თბ., 1984, 192.

[16] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, 379.

დად, დამნაშავედ ბოროტის-მოქმედად, ან მავნებლად იწოდებოდა.

მოტანილი მცირედი ზოგადი მსჯელობის შემდეგ ისტორიულ-ეტიმოლოგიური თვალთახედვით მიმოვიხილოთ ბრალთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი.

**1. განზრახვა:** კატეგორიულად არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართულ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის (ბრალის) გამომხატველ ტერმინს განზრახვა წარმოადგენდეს. უფრო მეტიც, მხოლოდ განზრახი მოქმედება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის საფუძველს.

ჩვენამდე მოღწეული პირველივე წერილობით წყაროებში, ტერმინი განზრახვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების საწყის ტერმინად ჩანს.

ტერმინ განზრახვის ფუძეს ზრახვა წარმოადგენს. ზრახვა თავდაპირველად ქმედობას კი არა თქმას ნიშნავდა. ამ მნიშვნელობით (ბჭობის, თქმის) გვხვდება ეს ტერმინი პირველსავე წერილობით თხზულებაში შუშანიკის წამებაში: „და ჩვენ ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაი ერთი;" „ზრახვა ყო, რაითა ეუწყოს;" „ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა"[17]

სახარებაში კი ვკითხულობთ „ზრახვა-ყვეს" (მათე 27.1) ე.ი. ბჭობა გამართეს. ხოლო „ზრახვიდეს გულთა შინა მათთა" (მარკოზი 2.6) ახსნილია როგორც „გულში მსჯელობა (ფიქრი)."

სწორედ ამდენად ანტონ კათალიკოსი იზიარებს რა წინამორბედთა მოსაზრებას წერს: „მრავალთა თქვეს, ვითარმედ ზრახვაჲ არსო ნაწილ რაჲმე სიტყვიერებისა."[18]

აკ. შანიძის ძველი ქართული ენის გრამატიკით: „ზრახვაჲ – ფიქრი, მეცადინეობა; ზრახავთ – ფიქრობთ; იზრახა – იფიქრა, გადაწყვიტა."[19]

ასე თანდათანობით ტერმინი განზრახვა (ზრახვა) თქმის, თუ

---

[17] იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1938, 24, 5, 12.

[18] ანტონ I, სპეკალი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა, 1991, 317.

[19] შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, 171.

ნაფიქრის შინაარსიდან მოქმედებისაკენ მიიკვლევს გზას.

ირკვევა ისიც, რომ ზრახვა (განზრახვა) მსჯელობის (განსჯის) სფეროდან ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ყოფილა გამოსული და დღევანდელი შინაარსით დამკვიდრებულა სამართალში.

V-IX საუკუნეებში თარგმნილ უძველესი იადგრით იესო ქრისტე „ჯუარს-ეცუა განზრახვით და მკუდრეთით ადგა.“[20]

არაბულად ქართულ ენაზე თარგმნილ (X ს.) „სიბრძნე ბალაჰვარში“ მეფე იოდასაფმა „იზრახა ფარულად განტევებაჲ,“[21] ე.ი. როგორც ჩანს, აქ იზრახაში მოქმედება, ფარულად წასვლა იგულისხმება.

სიტყვა „ზრახვის“ თქმის მნიშვნელობით ხმარებაზე კარგი მასალა დაუცავს ბიბლიას, რომლის განსხვავებულ ვარიანტებში ეს ტერმინი ერთმანეთის შენაცვლებით არის წარმოდგენილი. ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ „უკუეთუ შენ ხარ კაცი, მზრახვალი დედაკაცისა მომართ,“ ხოლო მეორეში: „უკუეთუ შენ ხარ-ა კაცი იგი, რომელი ეტყოდე ცოლსა ჩემსა.“[22]

ჟამთააღმწერელთან (XIVს.) ვკითხულობთ: გვანცა დედოფალი ხუაშანგის „განზრახვითა მოიკლაო.“[23] ცხადია აქ გამორიცხული არააა ხუაშანგის როგორც სიტყვიერი ზრახვა, ისე ფიზიკური ანგარიშსწორებაც.

ვიდრე „ფიქრის“ და „ლაპარაკის“ შინაარსიდან მოქმედების გამომხატველადაც გადაიქცეოდა ტერმინი ზრახვა, მანამდე მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობით ფიქრს კი არ ნიშნავდა, არამედ „ბოროტი ფიქრის“ დასჯადადაც იყო წარმოდგენილი.

აღნიშნულზე კონკრეტული მასალაც მოგვეპოვება.

უფროს ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ტერმინი განზრახვა (თავდაპირველად ზრახვა) დიდხანს დარჩა სიტყვით და საქმით კეთების გამომხატველად.

---

[20] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ალ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, 411.

[21] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, 303.

[22] წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 3, ისო ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ციალა ქურციკიძემ და უჩა ცინდელიანმა, 1991, 167.

[23] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1959, 251.



F 110,304

ვახტანგ VI სამართლის წიგნს თანამედროვე გაგებით ესმის ტერმინი განზრახვა: თუ ვინმეს „მკუდრის პატრონი შესწამებს, განზრახვით მოკლაო“ მან ფიცით უნდა იმართლოს თავი, ან სისხლის ფასი გადაიხადოს (42-ე მუხლი).

განზრახ კაცისკვლის იურიდიული შინაარსით გაგებაში ქართველთა დაწინაურება, უპირველესად მათ ქრისტიანობაში უნდა ვეძებოთ, თანაც მწიგნობარ ქრისტიანებში, რომლებიც ქრისტიანულ სამყაროს ნააზრევებს არა მარტო უმალ თარგმნიდნენ ქართულ ენაზე, არამედ თავადაც ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას მათ შემუშავებაში.

ქართველებისათვის XII საუკუნეში მაინც სახელმძღვანელოს წარმოადგენდა დიდი სჯულის კანონის მოთხოვნა, რომელიც ნიადაგ მოძღვრავდა მრევლს: დაივიწყონ გულისწყრომა და „კაცისკვლისა და მოსისხლეობის ვნება დააცხრეს განკანონებით. ეს ბოროტება განიყოფა განზრახ და უნებლიე მკვლელობად. ამათ შორის განზრახ მკვლელობა არის თავიდან, წინასწარ მომზადების შემდეგ გაბედვა და შესრულება განზრახვისა, ე.ი. როდესაც ამ საქმისათვის წინასწარ მოემზადება ვინმე და წინასწარ მოიფიქრებს, როგორ შეასრულოს ბოროტება. ამას გარდა, განზრახ მკვლელობად ითვლება ისიც, როცა დავის ან ჩხუბისა და ცემის დროს მიაყენებს ვინმე ჭრილობას მოწინააღმდეგეს ხელის სახიფათო ადგილას დარტყმით. ვინც ერთხელ მისცემს თავის გულისწყრომითა და მრისხანებით აღძვრის ნებას, მას არ შეუძლია გონებაში ისეთი რამ დაიტოვოს, რაც ამ ბოროტებისგან შეაკავებს, ამიტომ სადაო საქმისა და შფოთის შედეგად ჩადენილი მკვლელობა ნებით არჩეულ საქმედ ითვლება და არა უნებლიე შემთხვევად.“[24]

ძველ ქართულში განზრახვის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი **განგებ**-იც. ამ ტერმინმა ასეთი შინაარი დღემდე შეინარჩუნა („განგებ გააკეთა ასეო“). დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტის ერთი მუხლიც აცხადებს: „განგებ შურითა და მტერობითა“ ან პირი „მსაჯულთა წინაშე აღმოჩნდეს განგებ მკულელად“ (189-ე მუხლი).

**2. ბრალი.** ძველ ქართულში ბრალეულია ისეთი ქმედება, რომ-

[24] საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, 438.

ლითაც კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ნება ვლინდება. ბრალეული ქცევა სახელმწიფოს, საზოგადოების ან ცალკეულ პირთა მიმართ ჩადენილ დასაგმობ მოქმედებას წარმოადგენს. მნიშვნელობა არა აქვს როგორი ხასიათის იქნება იგი: სამართლებრივი, ზნეობრივი, თუ რელიგიური.

ასევე ითქმის ცოდვასთან დაკავშირებითაც. ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ტერმინი ცოდვა ნელ-ნელა დასცილდა ძირძველ ბრალის შინაარს და თანდათანობით რელიგიურ და ზნეობრივ სფეროში დამკვიდრდა დანაშაულებრივი გადაცდომის მნიშვნელობით. ვითარებაში სანდოდ გარკვევა ექსკურსს მოითხოვს ამ ტერმინთა სათანადო კონტექსტში განხილვით.

ჭეშმარიტების დამთრგუნველი მარქისისტული მეთოდოლოგიით, დამნაშავეებად მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმის დამრღვევნი მიიჩნევიან. საკითხისადმი ასეთი მიდგომით იმთავითვე დამახინჯდა ამ ტერმინის – დანაშაულის – შინაარსი. თუ მაინც და მაინც „საჭირო იყო“ ასეთი ტერმინოლოგიური „მსხვერპლი“, სასურველი იყო ტერმინი „დანაშაული“ ისტორიული შინაარსით დაგვეტოვებინა და ხელოვნურად შექმნილიყო ისეთი (ან მსგავსი) ტერმინი, როგორიცაა „კანონის დამრღვევი.“ მართალია ისიც ვერ გამოხატავდა სათქმელის ზუსტ შინაარსს, მაგრამ რამდენადმე მაინც მიუახლოვდებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი საკანონმდებლო ნორმის მართებულ ახსნას.

მსგავსად სხვა ბევრი იურირდიული ტერმინისა, ტერმინი „ბრალიც“ პირველსავე წერილობით ძეგლში გვხვდება. ვარსქენი ემუქრება პატიმარქმნილ შუშანიკის მცველებს: თუ ისინი შუშანიკთან დაუშვებენ ვისმეს, მისი მრისხანება დაატყდებათ თავს. ამდენად „უბრალომცა ვარ რაჲ გიყო თქუენ.“ შუშანიკის აღსარების მსმენელნი კი ღაღადებენ „მოგჯტევენ ბრალნი ჩუენნი.“[25]

როგორც მოტანილ ადგილებიდან ჩანს, პირველ შემთხვევაში ბრალი დანაშაულებრივი მოქმედების შინაარსით უფროა ნახმარი, მეორეში კი შეცოდების.

დანაშაულის შინაარსით ბრალი სახარებაშიც მრვალგზის გვხ-

[25] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, თბ., 1946, 39, 42.

ვდება: „და დასდვეს თავსა მისსა ზედა ბრალი მისი დაწერილი“ (მათე 27.37). ლაპარაკია იმაზე, რომ ჯვარცმულ იესო ქრისტეს თავს ზემოთ გაუკრეს წარწერა, რომელიც მის დანაშაულზე იუწყებოდა.

იუდეველებმა პილატეს წარუდგინეს რა იესო ქრისტე დასასჯელად იგი ასე ეკითხება მათ: „რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოე ამის თანა“ (ლუკა 23.22). თანამედროვე ქართულზე ასე იქნება: „რა ბოროტება ჩაიდინა მან? მე ვერაფერი სასიკვდილო დანაშაული ვერ ვპოვე მასში“ (ლუკა 23.22).

ამავე შინაარსით ბრალი ნახმარია იოანეს სახარების სხვა ხელნაწერშიც (იოანე 18.38) და ბიბლიაში: „წმიდაჲ წმიდათაჲ არს, ვითარცა ცოდვისაჲ იგი და ვითარცა ბრალისაჲ იგი“ (ლევიტელთა 6.17).

ბრალი როგორც ჩადენილი მოქმედებისადმი სუბიექტის დანაშაულებრივი დამოკიდებულება, გარდა დამოწმებულისა სხვა ხასიათის მასალიდანაც სჩანს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც მიუთითებს: „ესრეთ ფრიად მაბრალობელნი თავისანი მიიქცეს სირცხვლეულნი, არღარა ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესცა. ხოლო არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი... (რომლებიც მეფის შესახებ – მ.კ.) ყოვლად უმიზეზოსა იტყჳან.“[26]

სარგისი ეუბნება ყაენს „ყაენო, მეფე უბრალო არს.“[27] ე.ი. მეფეს დანაშაული არ ჩაუდენიაო.

როსტომ მეფეს ნადირობის დროს მოუკლეს შვილი „ჰყო გამოძიება მკულელთა ძისა თჳსისათა, გარნა (მაგრამ – მ. კ.) ვერ უძლო პოვნად და ბრალი დაჰსდუეს ორსა კაცსა.“ ეჭვმიტანილებს ეუბნებიან „ანუ თქუენ უწყით მკულელი მისიო და ანუ თჳთ თქუენ მოჰკალითო.“[28]

ყველა დამოწმებული მასალიდან კარგად ჩანს, რომ ბრალი დანაშაული, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა.

ბრალის გამომრიცხველი ტერმინად კი უბრალო ჩანს

[26] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, ტ. I, 357

[27] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, ტ. II, 248

[28] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, ტ. IV, თბ., 1973, 444.

„უბრალომცა ვარ," ვკითხულობთ შუშანიკის წამებაში.

სახარებაში ტერმინი უბრალოც იმთავითვეა ჩაწერილი: „შაბათთა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო იყვნიან" (მათე 12.5) თანამედროვე ქართულით თუ ვიტყვით „შაბათობით ტაძარში მღვდლები არღვევენ შაბათს მაგრამ უდანაშაულონი არიან." ან „არამცა დასაჯენით უბრალონი" (მათე 12.7) (თანამედროვე ქართულით: „აღარ დაადებდით მსჯავრს უდანაშაულოებს). პილატემ ხელი დაიბანა და თქვა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისასა" (მათე 27.24).

ბიბლია იმოძღვრება „უბრალოჲ და მართალი არა მოაკუდინო და ულმრთოჲ არა განამართლო ქრთამისათჳს" (გამოსვლათა 23.7).

საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილი, როცა როსტევან მეფე უთვლის ტარიელს „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?"[29]

X საუკუნის ძეგლში „მარტვილობა გობრონისი"-ში ვკითხულობთ: „...სისხლი იგი უბრალოჲ, ვითარცა მსხუერპლი." [30] ასევე „ბალავარიანში": „უბრალო მყავ და ვაცნობო მამასა შენსა."[31]

ჩვენის აზრით უბრალო მოქმედების ნიმუშს წარმოადგენს ვახტანგის სამართლის 182-ე მუხლის დანაწესი, რომელიც აცხადებს „იქნების, ნადირობაში შეძგერება და სიკუდილი მოჰვდეს, მისი სისხლი არ არის." როგორც ჩანს დამზარალებელ მონადირეს არანაირი ბრალი არ მიუძღვის სასიკვდილო შედეგის დადგომაში, ამდენად ყოველგვარი სასჯელიდანაც თავისუფალია. მონადირის სიკვდილიც კაზუსად განიხილება.

ტერმინი ბრალი როგორც დანაშაული, ძველ ქართულში მრავალი ვარიანტით და რაც მთავარია მეტად განსხვავებული შინაარსის გამომხატველად გვხვდება:

**ბრალი** –„ცოდვა," „შეცოდება," „დანაშაული," „ბრალდება"

[29] რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, გამომცემლობა განათლება, თბ., 1986, 181.

[30] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, 81.

[31] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, 289.

**ბრალება, ბრალობა** – „ცდომა," შეცოდება," „დადანაშაულება", „ბრალდება"

**ბრალეული** –„გარდამავალი," დამნაშავე, დამზარალებელი, ბრალდებული.

**ბრალეულობა** –„ცოდვა," „დანაშაულის ჩადენა."

**ბრალეულ-ყოფა** –„დამნაშავედ მიჩნევა", „დასჯა."

**ბრალის-ბმა** – „დანაშაულის ქონება," „შეცოდება"

**ბრალის დადება** – „ბრალდება"

**ბრალის ქმნა** – „ცოდვა", დანაშაულის ჩადენა

ცალკეულ შემთხვევაზე სათანადო მასალაა დამოწმებული.[32]

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომაც მოვიტანე, რათა თანამედროვე კანონშემოქმედს მიეცეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში სასურველი ტერმინის შერჩევისათვის.

**3. ცოდვა.** რამდენადაც ეტიმოლოგიურად სხვადასხვა ფუძეთაგან მომდინარეობის გამო ერთმანეთთან დაცილებული არიან ტერმინები დანაშაული, ცოდვა და ბრალი, იმდენად არნახულ სიახლოვეს ავლენენ ერთმანეთთან შინაარსობრივად.

ძველ ქართულში სათანადო მასალაზე დაყრდნობით ტერმინი ცოდვა ახსნილია როგორც „ბრალეულობა, ბრალის ქმნა, ბრალი, დანაშაული" (ი. აბულაძე).

როგორც სჩანს ტერმინი ცოდვა სინონიმია როგორც დანაშაულის, ისე ბრალის.

ჩვენი აზრით, არა ყოველ ეპოქაში ისმოდა მითითებული ტერმინები ერთნაირი შინაარსით. ისტორიულად ცოდვა უფრო ადრეულ ხანაში უნდა იყოს წარმოშობილი. კერძოდ იმ დროს, როცა სამართლის ადგილს რელიგია იჭერდა, ე.ი. სიტყვა ცოდვა უადრესად და უმეტესად რელიგიური შინაარსის გადაცდომას გამოხატავდა.

შემდგომ პერიოდში კი, როცა სამართალი და რელიგია გაემიჯნა ერთმანეთს, ტერმინი ცოდვა კვლავ რელიგიური ხასიათის გადაცდომის (დანაშაულის, ბრალის) გამომხატველ ტერმინად დარჩა.

აღნიშნულის თქმის უფლებას ისიც გვაძლევს, რომ უფრო გვიან პერიოდში და ამჟერადაც, როგორც სასულიერო დამწერლობაში, ისე სალაპარაკო ენაში სხვა ტერმინებთან (ბრალი, დანა-

[32] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, 34.

შაული, ბოროტება) შედარებით ტერმინ ცოდვას (შეცოდებას) ენიჭება უპირატესობა.

გარდა ბრალთან დაკავშირებით მოტანილი მასალისა, თქმულის დასტურად, თუ სად რელიგიური და სად საერო ხასიათის გადაცდომის შინაარსით არის დამოწმებული ტერმინი ცოდვა, მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე მივუთითებთ.

**რელიგიური მნიშვნელობით:** უზნეო, მრუში დედაკაცი მიდის იესოსთან, ის „ცოდვილია" აფრთხილებენ უფალს. დედაკაცი ცრემლებით ასველებს და ნელსაცხებელს სცხებს იესოს ფეხებს, ის მიუგებს: „მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი" (ლუკა, 7, 48).

მამის დაუჯერებელი შვილი ინანიებს თავის ურჩობას და განიზრახავს „აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა" (ლუკა, 15.18). როგორც ჩანს, ურჩი შვილი მამისათვის დაუჯერებლობას მიიჩნევს ცოდვად, რაც მას ჩაუდენია როგორც საკუთარი მამის, ისე ღვთის წინაშე.

იმის აღუნიშნაობაც არ ივარგებს, რომ, როცა ერთად გვხვდება სიტყვები „ცოდვა და ბრალი" მრავალმნიშვნელოვან (პოლისემია) სიტყვებად უნდა მივიჩნიოთ ისინი, ისე როგორც ისტორიულ თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისაში" „წესი და კანონი" უნდა გვესმოდეს.[33]

ცოდვისა და ბრალის როგორც ღვთისაგან მოსაკითხის ანუ შეცოდების ახსნა კარგად ჩანს ბაგრატ მეფის მიერ მღვიმის ლავრისადმი მიცემული სიგელიდან (1075-1078) – „ცოდვათამცა და ბრალთა."[34] თამარ მეფის გელათისადმი მიცემულ სიგელშიც (1187 წ.) იდენტური შინაარსითაა შეტანილი: „ჩემთა ცოდვათა და ბრალთა."[35]

იქნებ არც ისაა გამორიცხული რომ ამ ტერმინთა ასე დაწყვილებით ტერმინ ბრალში ზოგჯერ მაინც საამქვეყნო (საერო) დანაშაული იგულისხმებოდეს, ცოდვაში კი საიმქვეყნო (საიქიო). დავით ნარინის მეუღლე თამარი გელათისადმი შეწირულო-

---

[33] იხ. ცხოვრება მეფეთ-მეფის დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მ. შანიძემ, თბ., 1992, 97.

[34] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XII სს., თბ., 1984, I, 37.

[35] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XII სს., თბ., 1984, I,, 80

ბის წიგნში წერს (1260-1293წწ.): „და ყოველთამცა ბრალთა და ცოდვათა ჩემთათჳს იგი მისცემს სიტყუასა ღმერთსა დღესა მას განკითხვისასა.“[36] ან იქნებ ორივეს, როგორც სააქიოს ისე საიქიოს ცოდვა ბრალს ღმერთი მოიკითხავს, მაგრამ ამქვეყნიური დანაშაული ბრალში იგულისხმებოდეს, ხოლო საიქიო (იმქვეყნიური) შეცოდებაში. აკი გრიგოლ დადიანი სოლომონ II-სადმი ქურდების დასჯის შესახებ წიგნში (1792 წ.) წერს: „უსამართლობის ბრალი ყოველივე ღმრთისაგან მე მომეკითხოს.“[37] ასევე, შეწირულების წიგნში იოსებ ნინოწმინდელისა ერთ-ერთი მონასტრისადმი (1709 წ). ვკითხულობთ: მონასტერს შევწირეთ „ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად და ბრალთა ჩვენთა აღსაჴოცელად.“[38]

უმეტესად მაინც ცოდვა ხორციელი და სულიერი დანაშაულია, თანაც სულიერი გადაცდომისათვის. ეს კარგად ჩანს ძველი აღთქმის ერთი უძველესი ხელნაწერიდანაც: „რომელი ცოდავნ, მან სულსა თჳსსა ავნოს“ („სიბრძნე ისუ ზირაქისი“).[39]

უფრო მეტიც, ცოდვილი „ცოდავს თავისა თჳსისათჳს“ („იგავნი სოლომონისნი“).[40] მსგავს სხვა მაგალითზედაც შეგვეძლო მიგვეთითებინა.

ცოდვა რომ საიქიოს მოსაკითხი დანაშაულია კარგად ჩანს ვეფხვისტყაოსნის დასაწყისშივე: ღმერთო, „შენ დამიფარე, ძლევა მეც (მომეც ძლევა – მ.კ)... ცოდვათა შესუბუქება, მუნ (საიქიოს – მ.კ) თანა წასატანისა.“[41]

**საერო მნიშვნელობით** ცოდვად ითვლება მკვლელობა, დაჭრა, ქურდობა და რაგინდა რა დანაშაული. აქ იმდენად მრავალფეროვნებაა, რომ მითითებაც არ მიგვაჩნია საჭიროდ.

ძველ ქართულ დამწერლობაში ტერმინ ცოდვის გამოყენების შემთხვევები იმის თქმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ მას

---

[36] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 75-76.

[37] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 528.

[38] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 661.

[39] ციტატა მოყვანილია წიგნიდან – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, 518.

[40] იქვე.

[41] რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, გამომც. განათლება, თბ., 1986, 9.

უმეტესად კანონიკურ სამართალში იყენებენ. იყენებენ საეკლესიო პირნი როგორც სულიერი (არა მატერიალური), ისე სხვადასხვა ხასიათის დანაშაულებრივ ქმედებებსა და მათ ჩამდენ პირებზე საუბრისას. თქმული სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საეკლესიო ცხოვრებაში ტერმინ ბრალის, ხოლო საეროში ტერმინ ცოდვის ხმარება ამოკვეთილი იყო. რომ ასე არც შეიძლება ყოფილიყო, აღნიშნულზე ხაზგასმას უპირველესად ის წარმოადგენს, რომ მკვლელობა და სხვა ზოგიერთი დანაშაული ერთნაირად ითვლებოდა, როგორც საეკლესიო, ისე საერო ხასითის გადაცდომად. ყველა ისინი დასჯადად იყვნენ გამოცხადებულნი როგორც საეკლესიო ისე საერო ხელისუფლების მიერ.

ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როცა ცოდვის შინაარსით მხოლოდ ბრალი იხსენება. მაგალითად, მეფე ბაგრატ IV-ის სიგელში ოპიზარ და მიჯნაძორელ მამებისადმი (1027-1072 წწ), ტერმინი ბრალი („ბრალად შევინახეთ," „ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ") ცოდვის მნიშვნელობითაა ნახმარი.[42]

რომ ასე იყო ეს, უკეთესად ჩანს დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვისადმი (1123 წ.) „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმის და ცთომილებისანი." [43] იმავე მნიშვნელობით ვხვდებით ბრალს გიორგი მეფის სიგელში (1170 წ.): „ბრალთა ჩემთათთუის შემწე მეყოს."[44]

ბრალი ცოდვის მნიშვნელობითაა დამოწმებული პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში (1084 წ.): „აღუვარებდნენ ძმანი წინამძღუარსა გულის-სიტყვათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა."[45] კახა თორელის დაწერილში რკონის მონასტრისადმი (1259 წ.) ვკითხულობთ: „მათ ჰკითხნეს ღმერთან ჩემნი ბრალნი აქ და მას საუკუნესა."[46]

რომ ცოდვით და შეცოდებით ეკლესიის საეკლესიო ხასიათის გარეშე ჩადენილ დანაშაულსაც მოიხსენებდნენ, ეს კარგად ჩანს

[42] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 8, 9

[43] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 15.

[44] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 23.

[45] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 39.

[46] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 61.

დავით ბატონიშვილის მიერ ერთი მომჩივანის არზაზე გაკეთებული XVIII საუკუნის ოქმიდან (თანამედროვე გაგებით რეზოლუციიდან); „გიბრძანებ ვინცავინ ჩვენის მორჩილნი ხართ... ნურავინ რას შესცოდებთ, თორემ ჩვენად შეცოდებათ მოგკითხავთ.“[47]

განსხვავებით საერო სამართლისა, ტერმინ ცოდვას მეტად განსხვავებული შინაარსი აქვს საეკლესიო სამართალში. აქ იგი მოიცავს და ვლინდება ყოველგვარ დანაშაულებრივ ქმედობაში, ასევე ზნეობრივად დასაგმობსაც წარმოდგენს (შური, სიძულვილი, მტრობა, ავსიტყვობა და ა.შ). გამოდის ისე, რომ ბოლოსდაბოლოს „ყველა ადამიანი ცოდვილია.“

როგორც ჩანს, ტერმინების ბრალის და ცოდვის თანამედროვე გაგებისათვის საჭიროა გავერკვეთ როგორ კონტექსტშია იგი ნახმარი. უმეტესად ისინი (უპირატესად ბრალი) დღევანდელი შინაარსით იხმარებოდნენ ძველ საქართველოში.

**4. დანაშაული, დამნაშავე.** როგორც სჩანს სიტყვა დანაშაული გარკვეული ისტორიული გზის გავლის შემდეგ იქცა ბოროტმოქმედების გამომხატველ ტერმინად. მანამდე სულ სხვაგვარი შინაარსით იყო იგი დატვირთული. ტერმინი დანაშაული შავი ფერიდან არის წარმოშობილი. ახალ აღქმაში ვკითხულობთ: „ვერ შემძლებელ ხარ ერთი თმისა განთეთრებად ანუ დაშავებად“ (მათე 5.36). იქვე მეორე ვარიანტში: „ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად“[48] ან „დაშავებაჲ პირისა მათისაჲ კუამლისაგან სახლისა“ (ებისტოლე 20).[49]

ასევე X საუკუნეში თარგმნილი ძველი აღთქმის აპოკრიფული ძეგლით: „სად არის ნათელი იგი მზისაჲ... ანუ რადმე დაშავებულ არს ეგრე.“[50]

---

[47] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 181.

[48] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945, 14.

[49] ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერების მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წიგნი I, თბ., 1970, 311.

[50] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I., შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, 12.

ერთი ფოლკლორული ლექსი ერეკლე II გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიგვანიშნებს სიტყვა ბრალის შავი ფერის გამომხატველობაზე: „ღმერთს შესტირიან თავადნი, რად შეგვიკერე ბრალია“ ე.ი რად შეგვიკერე შავიო.[51]

დანაშაულებრივ მოქმედების შედეგსაც რომ დაშავება ერქვა, ამაზედაც მოგვეპოვება მასალები: „ჴელი **დაშავებული** არ გამოუდგა... თუ მკლავი სწორეთ **დაშავებული** გამოუდგა“ – აცხადებს სასამართლო.[52]

ასე იქცა თანდათანობით ფერ შავიდან წარმოშობილი დანაშავები (დანაშაული) სამართლის სფეროდან ყველაზე მძიმე სისხლის სამართლის ტერმინად.

ვახტანგ VI სამართლის წიგნი ტერმინ დანაშაულს ზუსტად დღევანდელი გაგებით ხმარობს: „რომ დამნაშავე თვითან იყოს და იმის დანაშაულზე მდურობდენ“ (76-ე მუხლები); „თუ დანაშაულზედ უქნია“ (95-ე მუხლი); ასევე, თუ სახელმწიფოსათვის ღალატის შესახებ შეიტყობს ვინმე „ისიც დამნაშავესთან ჩაიგდების“ (236-ე მუხლი).

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ შეიძლებოდა დაშავებულიყო ყველაფერი, როგორც სულიერი არსებანი, ისე საგნებიც: „თუ წისქვილნი დაშავდნენ, ვითა გუიბრძანებია, თქუენითავე სახლით შეიკამოდენ (ე.ი. გარემონტდნენ – მ.კ.)“ ვკითხულობთ XIII საუკუნის ერთ დოკუმენტში.[53] როგორც ჩანს, ტერმინ დანაშაულს, ვიდრე იგი საბოლოოდ დამკვიდრდებოდა ბრალისა თუ შეცოდების შედეგად და გამომხატველად, მეტად გრძელი გზა გაუვლია. იგი ქართველთა მეხსიერებაში შორეულ წარსულში ცნობიერდება. ეს ის დროა, როცა სინათლე და სიბნელე, მზე და ღამე (ან დღე და ღამე) დაპირისპირებია ერთმანეთს. სწორედ ამ დროს ჩვენს წინაპრებს ტერმინი შავი – ბოროტების, სპეტაკთან (თეთრთან) დაპირისპირებულ – ავის კეთების სიმბოლოდ – გაშავებულად (დანაშაულად) უქცევია.

---

[51] უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. კეკელია მ., ფოლკლორი როგორც წყარო ქართული სამართლის ისტორიისათვის, „მაცნე,“ ენისა და ლიტერატურის სერია № 1, 1981, 81-82.

[52] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 138

[53] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 45.

**5. ბოროტი, ბოროტმოქმედება.** დღეს საყოველთაო ცნობილ ტერმინებთან ბოროტთან და ბროტმოქმედთან დაკავშირებით მცირედი ისტორიული ექსკურსი ასეთი იქნება:

ტერმინი ბოროტი უძველესი წარმოშობისაა, რომელიც ძველ საერო და საეკლესიო ქართულ ლიტერატურაში ავის მოქმედის, ვნების მომცემის, უკეთურის, საძრახის, საძაგლის და მსგავსთა მნიშვნელობით იხმარებოდა. შუშანიკის წამებით ვარსქენი „ბოროტობდა და იტყოდა."

„ბოროტი" დადასტურებულია სახარებაში: „საქმენი მისნი ბოროტ არიან" (იოანე 7.7); „რაჲსა თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ" (მათე 9.4); „თუალ-ბოროტებანი... (მარკ. 7.22) და ა.შ. იცნობს ბიბლიაც: „რაჲსათჳს მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ" (დაბადება 44.4); „და ესმა ერსა მას სიტყუაჲ ესე ბოროტი" (გამოსვლათა 33.4) და სხვა.

X საუკუნიდან კი უკვე დღევანდელი მნიშვნელობით მკვიდრდება ბოროტმოქმედი. ოშკის ბიბლიის ხელნაწერში (928 წ.) ჩაწერილია: „რამეთუ ბოროტისა მოქმედსა". იქვე, სხვა ვარიანტში „ბოროტისა მოქმედი" თარგმნილია როგორც „ბოროტ-ჴელოვანსა."[54]

ძველი ქართული ორიგინალური საკანონმდებლო ძეგლები არ იცნობენ ტერმინებს ბოროტსა და ბოროტმოქმედს, რაც იმას როდი ნიშნავს რომ თითქოს ისინი განდევნილი იყო იურიდიულ აზროვნებიდან. კათალიკოს ანტონ II მიერ გარჩეულ დავით ბატონიშვილის და მისი მეუღლის ელენეს გაყრის საქმეში (1805 წ.) ელენე აჩვენებს „თუ მე ბოროტის მოქმედი ვიყავ, არც ხომ შესარცხვენელად დამზოგევდა" ქმარიო. იქვე მეორეჯერ იმეორებს იგი სიტყვებს: „ჩემი ბოროტის მოქმედება."[55]

ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილ სათხოვარში (1804 წ.) სოლომონ II წერს: „ნებადართულ მექმნას გავაგრძო დასჯა მებრ უწინაერსისა, რათა აღვირ-სხმულ იქმნან ბოროტმოქმედებანი."[56]

---

[54] ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს), ხელნაწერების მიხედვით ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წიგნი I, თბ., 1970, 184.

[55] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 336, 339.

[56] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 562.

ტერმინ „ბოროტმოქმედებას“ იცნობს დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტიც (ხელნაწერი C, მე-15 მუხლი).

როგორც ჩანს, ტერმინი ბოროტება რამდენადმე გამოკვეთილად დანაშაულის გამომხატველი შინაარსით, შედარებით გვიან პერიოდში მკვიდრდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს აშკარად უსაფუძვლოდ თითქმის განდევნილია იგი თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან.

ბოროტი და დამნაშავე ძველ ქართულ ლიტერატურაში ადამიანობის უარყოფით დამახასიათებელ თვისებად ჩანს, რომლებიც კეთილს და სპეტაკს უპირისპირდებიან. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტერმინები ბოროტი და დამნაშავე სამართლებრივთან ერთად ზნეობრივი შინაარსითაც იყო დატვირთული.

**6. ანაზდად. განგება.** ბრალთან (დანაშაულთან) დაკავშირებით ზემოთ განხილულ ტერმინთა შინაარსში, რამდენადმე გარკვევის შემდგომ, გაკვრით მაინც უნდა შევეხოთ ბრალის სავსებით გამომრიცხველ ისეთ გარემოებას, რომელიც სისხლის სამართალში კაზუსის (casus) სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ტერმინი თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში რუსულის გავლენით „შემთხვევის“ სახელწოდებით დამკვიდრდა.

ჩვენი აზრით შემთხვევა არ უნდა იყოს casus-ის შინაარსის ტევადი. კაზუსის შესატყვისი შინაარსი ქართულ სისხლის სამართლის ტერმინოლოგიაში და ამავე შინაარსის მატარებელ ტერმინებში – ანაზდადში, უცაბედში, მეყსეულში ან კიდევ განგებაში – უნდა ვეძებოთ.

სულხან საბას მიერ, ტერმინ ანაზდი-ს მრავალი შესატყვისი აქვს მოძებნილი, მაგალითად: მყისი, მალ, მსწრაფლ და რამდენადმე მაინც სიტყვა ანაზდის და მყის-ის შინაარსის მატარებელი სხვა ტერმინები.[57]

ე.ი. ანაზდი მოქმედება – მყის, მსწრაფლ, მალ მოქმედებაში გამოიხატება, სწორედ ამდენად გვესახება იგი სისხლის სამართალში დღესდღეობით გაბატონებული შემთხვევის (კაზუსის) შემცვლელად.

[57] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, 54.

იოანე პეტრიწის მიერ XII საუკუნის ბოლოს თარგმნილ – „სათნოებათა კიბეში“ სიტყვა „ანაზდაითი“ – უცაბედის, მოულოდნელობის მნიშვნელობითაა ნახმარი.[58]

„დიდი სჯულის კანონში“ (ქართულად ითარგმნა XII ს.) შეტანილი „კანონი წმინდათა მოციქულთანი“-ს 32-ე მუხლში „ანაზდაჲთ სიკუდილი“ მოულოდნელის, უეცარის მნიშვნელობითაა ნახმარი.[59]

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონითაც ანაზდად – მეყსეულად, უეცრად, მოულოდნელად, შემთხვევითი მნიშვნელობით არის ახსნილი. პირველ ორ ტერმინზე მითითება სავსებით მისაღებად გვეჩვენება. რაც შეეხება ანაზდათ-ში „შემთხვევის“ შინაარსის დანახვას, ის როგორც დღეს გვესმის იურისპრუდენციაში, როგორც ითქვა მიუღებელია. ეტყობა აღნიშნულს მკვლევარმაც გაუწია ანგარიში, როცა სხვა ადგილას ანაზდაჲთ-ის განმარტებას „შემთხვევა“ არ მიუწერია.[60]

ტერმინი ანაზდად გვხვდება ქართლის ცხოვრებში (ჟამთააღმწერელი XIII-XVI სს.): ქართველებისაგან დამარცხებული მტერი „ანაზდად გარე-უკუნიქცეს,“[61] ხოლო სასწაულმოქმედმა ღვთისმშობლის ხატმა მოარჩინა მეფის მომაკვდავი ძე, რის გამოც „განკჳრდეს ანაზდათსა ამას საკვირველებასა ზედა.“[62] მესტუმრე ჯიქური კი დილით მტკვარში დამხვრჩალი უპოვიათ, რის გამოც „განკჳრდეს ყოველნი მხილველნი ანასდათისა სიკუდილისათჳს.“[63] ორივე შემთხვევაში ანაზდად მოულოდნელის, სწრაფის შინაარსითაა გაგებული.

ანაზდად გამორიცხავს არა მარტო განზრახვას, არამედ მასში წუთიერი, ფეთქებადი მოქმედების ნიშნები უნდა დავინახოთ. ეს „მცირე სჯულისკანონიდანაც“ ჩანს: „და კუალად რომელმან ნეფ-

---

[58] იოანე პეტრინი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა 1968, 204.

[59] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 219, 560.

[60] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, 6.

[61] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1959, 241.

[62] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1959, 256.

[63] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1959, 238.

სით და განზრახვით და წურთით (იგულისხმება მოწაფის წვრთნა – მ. კ.) ცოდოს და რომელსა ანაზდაჲთ აღტაცებით შეემთხჳოს."[64] სწორედ ეს „აღტაცებით შეემთხჳოს" უნდა მოიცავდეს, ჩვენი აზრით, კაზუსის შინაარს.

ანაზდის შინაარსის გაგებასთან დაკავშირებით სწავლული იურისტის ფატი გოკიელის მოგონების ერთი ადგილიც იქცევს ყურადღებას.

მას ბავშვობის დროიდან მეხსიერებაში ჩარჩენია კაპუცინ-მისიონერების ლოცვის ერთი ადგილი: „ანაზდეული სიკვდილისაგან მიხსენ მე უფალო" და იქვე წერს: „ანაზდეული აქ ნიშნავს მოულოდნელს, უცაბედს."[65]

ტერმინი ანაზდათ-ი უეცარის, უცაბედის მნიშვნელობით მრავალგზისაა ნახმარი, „ვეფხვისტყაოსანშიც."

ყურადღებას იმსახურებს „სამართალი ბატონიშვილის დავითისა," რომელიც იცნობს „უცაბედ მკვლელობას" (73-ე და 77-ე მუხლები). ჩვენის აზრით, ორივე შემთხვევაში სიტყვა „უცაბედში" მოულოდნელობა უნდა იგულისხმებოდეს. ამას ისიც მიგვანიშნებს, რომ სამართლის წიგნი უცაბედად კაცის კვლას განასხვავებს ფათერაკით მკვლელობისგან (189-ე მუხლი). მათი ასეთი გამიჯვნა არ დასჭირდებოდა კანონმდებელს, რომ „უცაბედს" და ფათერაკს ერთნაირად გაუფრთხილებლობად მიიჩნევდეს. [66]

ცოტა რამ უცაბედ-თან დაკავშირებით. ანაზდადის შინაარსის მატარებელი ტერმინი უცაბედი ორ დამოუკიდებელ სიტყვათა გაერთიანებას უნდა წარმოადგენდეს: უცებ-ის და ბედის სახით. უცები ძველ ქართულში უცოდინარს ნიშნავდა. ბედი კი იმას როგორც დღეს გვესმის იგი. ე.ი. უცაბედი წინასწარ გაუთვალისწინებელი („უცოდინარი") ბედით განპირობებული მოქმედებაა თუ მისი შედეგია.

ჩვენი აზრით კაზუსს უნდა უკავშირდებოდეს ძველი ქართუ-

---

[64] მცირე სჯულისკანონი, 103.

[65] ფატმან გოკიელის მოგონება თავაზიანად მომანოდა მისმა ვაჟიშვილმა პროფ. კოტე ანთაძემ

[66] სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 47; 49; 105..

ლიდან მომდინარე ტერმინი განგებაც. განგება დღეს ესმით როგორც „ცრუმორწმუნოებრივი წარმოდგენით, უზენაესი არსების მოქმედება ქვეყნად, უზენაესი ძალა, ნება- სურვილი; ბედისწერა."[67]

მართალია განგება სხვა მრავალი მნიშვნელობითაც იხმარება (მაგ.: დადგენა, დაწესება, წესი – „განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ,"[68] „საეკლესიოჲთა განგებითა"[69]), მაგრამ მრავალ წერილობით წყაროში პიროვნების ნებაზე დამოუკიდებელი მოქმედება და მისი შედეგიცაა, ბედისწერაა რომელიც ადამიანის ნებიდან არ გამოდის და არც ემორჩილება მას. ასე ესმის იგი ბაგრატის სამართლის ფრაგმენტსაც, რომლის ერთ ძველ ხელნაწერში ვკითხულობთ: „განგებითა ღვთისითა ვინც საბჭოდ დაჯდებოდესო".[70] გამოდის, რომ მოსამართლის საქმის გასარჩევად დაჯდომა არა ადამიანთა, არამედ ღვთის ნება ყოფილა.

ი. აბულაძის ერთი განმარტებით – განგება ადამიანის ბედის წარმართველის ძალის მნიშვნელობითაც გვხვდება.[71]

განგება „ვეფხისტყაოსანში" ნიშნავს ღვთის ნებას, მოვლენათა წინასწარ განზრახულებას, ღვთის წინასწარ გადაწყვეტილებას ადამიანის ბედის შესახებ. ლექსიკოლოგები ასე განმარტავენ მას და ეს სადაოდ ჯერ არავის გაუხდია. **„განგება გარდუვალი და ადამიანის მიერ შეუცვლელია"** (ხაზგასმა ჩვენია – მ. კ.).[72]

საერთო ბედი გააჩნიათ სულ სხვადასხვა შინაარსის ტერმინებს **განგებას** და **განგებს**. ეს უკანასკნელი განზრახვის მნიშვნელობით იხმარება: „სიავე განგებით უქნია," აცხადებს ბექა-აღბუღას სამართალი. განგება კი ისე, როგორც ზემოთ მიუთითეთ.

ბოლოს უნდა მიუთითოთ ერთზედაც. ბრალის და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას ყოვლად შეუძლებელია ჩვენი ცოდნა-წარმოდგენები სრულყოფილად ჩაითვალოს, ვიდრე სათა-

---

[67] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1951, 975.

[68] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 135.

[69] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 36.

[70] აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H – 1070, გვ. 171.

[71] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, 52.

[72] ცოტნე კიკვიძე, „ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა....", გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" 15./VI. 1988.

ნადო წერილობითი წყაროების მონაცემებს არ გადავამოწმებთ თუ გავამაგრებთ ქართული ჩვეულებითი სამართლის იმ ძვირფასი მონაცემებით, რომლებიც ჯერ კიდევ ხალხშია დაუნჯებული და მხოლოდ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის გზით შეიძლება იქნას მოპოვებული.

## §3. ფათერაკი

ქართული სამართლის ისტორიაში ბრალის საკითხთან სათანადო დამუშავებას შედეგად მოჰყვა ერთის მხრივ წარმოდგენის ჩამოყალიბება განზრახვის შინაარსის ფართო და ვიწრო გაგებაზე, ასევე განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე.

დადგინდა ბრალის განუყოფელი ნაწილების განზრახვის, გაუფრთხილებლობის და casus-ის მკვეთრი გამიჯნულობა. თითოეულ მათგანში გარკვეული ზომით ერთმანეთის ნიშნების თუ ელემენტების არსებობა აბუნდოვნებს და ართულებს ბრალის საკითხების კვლევას ქართული სამართლის ისტორიაში.

თავისთავად ასეთ სირთულეთა ჯერ ამოცნობა, ხოლო შემდგომ ურთიერთთაგან გათიშვა რეალურ პირობას ქმნის პრობლემის ამომწურავად შეცნობისათვის.

ასეთი ბარიერი დაძლეული უნდა იქნეს წერილობითი მასალის, ფოლკლორის და საველე გზით შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის ურთიერთ შეჯერება-შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს შედარებითი იურისპრუდენციის მეთოდის გაბედული გამოყენებით. ნიადაგ უნდა გვახსოვდეს: ბრალის პრობლემის დამუშავების ხარისხი და დონე ერის საერთო კულტურის შედეგი და საზომია. მას საუკუნეების განმავლობაში ხვეწავდნენ და აყალიბებდნენ ცივილიზაციისაკენ ტაატით მიმავალი ხალხები და ქვეყნები, რომელთა სრულყოფილება XVIII საუკუნიდან იწყება.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ამ პერიოდში შეწყვიტა დამოუკიდებლობა ქართულმა სახელმწიფოებრიობამ, ამდენად ჩვენი კვლევის პერიოდის ქართული სინამდვილეც ერთ ქვაბში ხარშავდა განზრახ და განზრახვის გარეშე, ნებითა და უნებლიე, ბრალისა და უბრალოს, განგებ და განგებითის გარეშე,

უცაბედად, ანაზდად და ჯერ კიდევ სავსებით დუღილდაუმთავრებელ სამართლებრივ საწყისებს, ასევე ასეთი მოქმედებებისადმი სამართალდარმღვევ სუბიექტთა ფსიქიკურ დამოკიდებულებას.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ეს ის დროა როცა დღეს ცივილიზებულად მიჩნეულ ბევრი ერის სამართლებრივი აზროვნება არამცთუ ხარშავდა, არამედ ელემენტების სახითაც ვერ მოიპოვებდა ეგზომ სანუკვარ საზრდოს სულისას.

ბრალის საკითხთან დაკავშირებულ ქართულ იურიდიულ აზროვნებაში ასეთ რთულ და ძნელად გასახსნელი პრობლემის ნაწილს ფათერაკის საკითხიც წარმოადგენს.

ფათერაკმა იმთავითვე მიიქცია ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა (ნიკო ხიზანაშვილი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, ნანული სამადაშვილი-კორძაია და დავით ფურცელაძე) ყურადღება.[73]

თითოეული მათგანი ავსებს და წინ სწევს ჩვენს წარმოდგენას ფათერაკის რაობაზე, რომელთა მოსაზრებანი ასე შეიძლება გადმოიცეს:

ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი): გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით ეხება რა ფათერაკის საკითხს წერს: „ძეგლისდება ფათერაკით მოკვლასაც იხსენიებს... საზოგადოდ ცნობილია, რომ ყველა ძველი სისხლის სამართალი, მხოლოდ ბოროტმოქმედების გარეგან მხარეს აძლევს მნიშვნელობას და შინაგანს კი – განზრახვას, აზრს უყურადღებოდ ტოვებს. საჭიროა მხოლოდ, რომ ესა და ეს მოკლეს, მაგრამ განზრახ თუ არა – ამის განხილვა საჭირო არ არისო; ამიტომ ძველი სჯული და ადათი თითქმის ერთნაირად სჯის „ფათერაკითა“ და განზრახ მოკვლას. ძეგლიც სწორედ ამ საყოველთაო აზრს მისდევს.“[74] როგორც ჩანს ნ. ხიზანაშვილს ფათერაკი განზრახვის გარეშე მოქმედებად მიაჩნია. ესაა და ეს, გაუფრთხილებლობას წარმოადგენს იგი თუ კაზუსს, ამაზედაც არას ამბობს.

ალექსანდრე ვაჩეიშვილის დაკვირვებით „ვახტანგის სამართ-

---

[73] საკითხით დაინტერესებას იჩენენ უცხო მკვლევარებიც (მით უფრო ი. კარსტი), რომელთა შეხედულებანი გამოყოფით განხილვის საგნად არ მიგვაჩნია.

[74] ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, 323.

ლის წიგნი „ფათერაკის“ ცნებით სარგებლობს ზოგჯერ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. მას იგი ესმის როგორც წმინდა სახის შემთხვევა (l'accident, le hasard – კარსტის გამოთქმით), მაგრამ ზოგჯერ კანონმდებელი ამ სიტყვას მიაწერს ფართო მნიშვნელობას, უპირისპირებს მას განზრახვას და, ცხადია, რომ ამ ფართო აზრით, იგი მოიცავს როგორც შემთხთვევას, ისე გაუფრთხილებლობასაც და უდრის იმას, რასაც წყაროები „უნებლიეთ,“ „უნებურად“, „უნდომლათ“ ჩადენილ მოქმედებას უწოდებენ.“[75]

მნიშვნელოვან მოსაზრებას გვთავაზობს ავტორი ფათერაკისა და casus-ის („შემთხვევის“) ურთიერთდამოკიდებულებაზე. მისი აზრით, „განხილულ ძეგლში (ვახტანგ VI-სამართალში – მ. კ.) არაერთგზის ვხვდებით აგრეთვე „შემთხვევის“ ცნებას, რომელსაც იგი ფათერაკს უწოდებს; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ცნების შინაარსი ყოველთვის ზუსტად განსაზღვრული არაა; მისი მოცულობა იცვლება: იგი ხან ვიწროა ე. ი. უდრის იმას, რასაც ტექნიკურ-იურიდიულ ენაზე casus ეწოდება, ხან კი ღებულობს ფართო შინაარს და მოიცავს როგორც casus-ს, ისე culpa-ს (გაუფრთხილებლობას – მ. კ.). ისტორიულად, რა თქმა უნდა, „ფათერაკის“ ცნება უფრო ადრე იქნებოდა შემოღებული, ვიდრე გაუფრთხილებლობისა; იგი ბუნებრივად უფრო ძველია და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მისი ფარგლები მკვეთრად მოხაზული არაა, რომ იგი გაგებულია სხვადასხვა მოცულობით, მხოლოდ გვიან „ფათერაკის“ ფართო ცნება გაიყო მის ორ შემადგენელ ელემენტად. ამისათვის კი საჭირო იყო ხანგრძლივი განვითარება და მომწიფება იურიდიული აზროვნებისა, რომელიც ამ ზოგად საკითხებზე მუშაობდა.“[76]

მიზნად არ ვისახავთ ავტორებთან კამათის გამართვას, მაგრამ იმის შეუნიშნაობაც არ ივარგებს, რომ თითქოს ვახტანგის სამართალში: „არაერთგზის ვხვდებით აგრეთვე „შემთხვევის“ ცნებას, რასაც იგი ფათერაკს უწოდებს,“ – ასეთი რამ არ შეეფერება სინამდვილეს. მართალია სიტყვა „შემთხვევა“ გვხვდება ვახტანგის სამართლის ორ მუხლში: „თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს“ (67-ე

[75] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, 1946, 183

[76] ალ. ვაჩეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, 192-193

მუხლი) და „თუ კაცმან კაცის ცოლთან ბოზობა შეიმთხვიოს“ (86-ე მუხლი), მაგრამ ისინი არანაირად არ უკავშირდებიან კაზუსს, რომლის შინაარსის გამოსახატავადაც არც თუ მართებულად, ტერმინი „შემთხვევა“ დამკვიდრდა ჩვენში.

ივანე სურგულაძე: მკვლევარი ფათერაკს განიხილავს ვახტანგ VI სამართლისა და დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან უკანასკნელი უფრო მაღალი დონის დანაწესად მიაჩნია. მისი მოსაზრებით, ვახტანგ VI სამართლის წიგნის 192-ე მუხლით „ფათერაკი და უნებური არ შეიძლება აქ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული იყოს... ამიტომ კანონმდებელი „უნებურის“ დამატებით მხოლოდ ხაზს უსვამს იმას, რომ მომქმედის ნება არ მონაწილეობს ჩადენილ ქმედობაში.“[77]

ავტორი ამავე სამართლის წიგნის 192-ე, 193-ე და 194-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე წერს: „საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ ყველა ამ მუხლში შესაძლებელია საქმე გვქონდეს როგორც შემთხვევასთან, ისე გაუფრთხილებლობასთან.“[78]

მიმოიხილავს რა დავით ბატონიშვილის ცნობებს ფათერაკთან დაკავშირებით, აღნიშნავს: „ფათერაკი დავითის განმარტებით ფართოა და ის, თავის მხრივ, სახეებად იყოფა. ფათერაკის ძირითადი და პირველი დაყოფა დავითის აზრით შემდგომში მდგომარეობს: არის მოქმედებანი, რომელთაც „მსგავსება“ აქვს ნებსით მოქმედებასთან, მაგრამ ნებსითი არ არიან; ხოლო სხვა მოქმედებანი არ მიემსგავსებიან ნებსითს, არამედ არიან უნებლიეთი. სინამდვილეში, დავითის აზრით, როგორც პირველი ჯგუფის, ისე მეორე ჯგუფის მოქმედებებს ახასიათებს უნებლიებითობა. მაშასადამე, ფათერაკის საერთო ნიშანი უნებლიებითობაა, ე. ი. არანებსითობა. ამ შემთხვევაში დავითი სულხან-საბა ორბელიანის კლასიფიკაციას მისდევს.“[79]

ნ. კორძაია-სამადაშვილის აზრით, ვახტანგ VI-ის სამართლის

---

[77] სურგულაძე ივ., სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1959, 225.

[78] სურგულაძე ივ., სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1959, 226.

[79] სურგულაძე ივ., სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1959, 232.

წიგნის 92-ე მუხლში ფათერაკი მხოლოდ casus-ისა და მსუბუქი გაუფრთხილებლობის ცნებებს აერთიანებს და უხეშ გაუფრთხილებლობას („ყაბახში მსროლელს... ისარზე პირი არ უნდა ესხას“) უპირისპირდება. ფათერაკი მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას იწვევს, უხეში გაუფრთხილებლობა – სისხლის გადახდას.“[80] რასთან დაკავშირებითაც დ. ფურცელაძე შენიშნავს: „ჩვენი დაკვირვებით „საფათერაკო“ უფრო ერთობ ყოველგვარი ქონებრივი შედეგია, რომელსაც დანაშაულისა თუ სამოქალაქო უმართლობის ჩამდენი უნდა გასძღოლოდა, თუ იგი უგანზვრახვოდ მოქმედებდა.“[81]

შემდგომ მკვლევარი უფრო აზუსტებს რა ამ საკითხს წერს: **в эпоху Вахтанга VI патерак служит уже термином охватывающим казус, а также случай неосторожности, во всяком случае легкой, противопоставляемой умыслу; в этом значении он, видимо приходит на смену старому ишобрив** (იშობრივი – მ. კ.).[82]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ძირითად მოსაზრებათა გაცნობის შემდგომ გადავიდეთ ფათერაკთან დაკავშირებულ სამართლის წიგნთა, სასამართლო პრაქტიკის და სხვა წერილობითი წყაროების შინაარსის განხილვა-შეჯერებაზე.

პირველ სამართლის წიგნს, რომელშიც ტერმინ ფათერაკს ვხვდებით გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ წარმოადგენს. აქ ორ მუხლშია მასზედ მსჯელობა. ორივეში მკვლელობასთან დაკავშირებით.

მესამე მუხლით „თუ ერთს კაცს ეფათერაკოს განმგებელი კაცი გაიპატიჟოს და მამულისაგან გაიძოს,“ ე.ი. თუ ერისკაცმა ფათერაკით მოკლას ცენტრალურ ხელისუფლების მოხელე განმგებელი, დამნაშავე მამულის ჩამორთმევით და სამშობლოდან გაძევებით დაისჯება. მე-12 მუხლი კი ეხება რიგითი მეთემის თუ სოფლის თავკაცის ჰეროვნის მიერ ფათერაკით ჰეროვანის მოკვლას. აქაც მკვლელს (ვისაც „ეფათერაკა“), იმ წესით დასჯიან როგორც მე-3

[80] ციტატა მოტანილია ნაშრომიდან: სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 0192.

[81] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 0193.

[82] Законы Вахтанга VI, перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д.А. Пурцеладзе, ТБ., 1980, 290.

მუხლშია აღნიშნული.

როგორც ჩანს არცერთი მუხლი არ პასუხობს, როგორი მკვლელობა ითვლება ფათერაკით ჩადენილ მკვლელობად, თუ სასჯელის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი მეტად მკაცრია, რაც მამულის ჩამორთმევასა და გარკვეული დროით სამშობლოდან გაძევებაში მდგომარეობს.

ფათერაკის რაობაში გარკვევისათვის სწორუპოვარ ცნობებს შეიცავს ვახტანგ VI სამართლის წიგნის 92-ე მუხლი. საჭიროება მოითხოვს სრულად მოვიტანოთ მისი შინაარსი: „თუ ფათერაკად კაცს კაცი შემოაკუდეს ან შემოეჭრას, ან დაშავდეს, რისაც ფათერაკით, რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ იარაღით, ასე რომ ან ცხენმა თავი წაართვას და შეეძგეროს, ან გავარდნაში შეიძგერნენ, ან ნადირს თუ თოფი ან ისარი შესტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან თამაშობაში აწყინოს რამე, ბევრი ფათერაკი სხვა არის, ამისი ასრე არის.

ცხენისაგან მოჴდების სიკუდილი თუ იარაღისაგან, ის ცხენი, ის მკულელი იარაღი მიეცემის და იქნების, მკუდარს სამარხი და დაჭრილს სააქიმო გაუჩნდეს.

თუ ნადირს შესტყორცოს და კაცს მოხუდეს ან ფრინველს შესტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან ყაბახს ესროლოს და ისარი კაცს დაეცეს, ამგვარს ყველას ფათერაკი ქვიან.

ყაბახის მსროლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი ამიტომ მიეცემის.

ამაებს მთლად არა, საფათერაკო სისხლი უნდა მისცეს.“

კანონის მიერ ფათერაკის ამგვარი განმარტებიდან ჩანს, რომ იგი მოიცავს როგორც casus-ს, ისე გაუფრთხილებლობას. კაზუსში ისეთი შემთხვევა იგულისხმება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგალითად, როცა ვინმე მოკვდება იმის გამო, რომ მხედარს „ცხენმა თავი წაართვას და შეეძგეროს ან გავარდნაში შეიძგერნენ.“ მოტანილ მაგალითებში არცერთ შემთხვევაში არ შეეძლო პირს შედეგის თავიდან აცილება.

რა თქმა უნდა, ამ დროს კონკრეტული ვითარება მიიღება მხედველობაში, რადგანაც ცხენთა შეძგერებით განზრახი მკვლელობაც ხდებოდა. აღნიშნულზე ისტორიულ წყაროებსაც დაუცავთ

ცნობები. ბერი ეგნატაშვილი წერს, რომ ლუარსაბ მეფემ „შეუტია ცხენითა და შეაძგერა ცხენი მაჰმედ სულთანის ცხენს და ქუე დაახეთქნა ცხენ-კაცითურთ,“[83] მისივე ცნობით, „ნადირობაში ჯაიანმან ცხენი შეაძგერა და მოაკუდინა დადიანი.“[84]

ამ მუხლით გათვალისწინებული ფათერაკის როგორც გაუფრთხილებელი მოქმედების შინაარსიდან ისიც ირკვევა, რომ XVIII საუკუნის დამლევისათვის ფათერაკის ცნება მკრთალი ჩანასახის სახით მაინც მოიცავს გაუფრთხილებლობის ე. წ. ორ სახეს: დაუდევრობას და თვითიმედოვნებას.

კანონის მოთხოვნა „ყაბახზე მსროლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას სისხლი იმიტომ მიეცემისო“ თვითიმედოვნებაზე მიუთითებს. იცის რომ ყაბახზე (სანახაობითი თამაში) საბრძოლო იარაღით (რკინის პირიანი ისრით) სროლა არ შეიძლება, მაგრამ იმედოვნებს და უშვებს რომ მის ამგვარ გაუფრთხილებლობას არ მოჰყვება მძიმე შედეგი.

რაც შეეხება გაუფრთხილებლობით განპირობებულ დაუდევრობას, იგი სიფრთხილის, მორიდების დაკარგვაში მდგომარეობს, „ნადირს შესტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან ყაბახს ესროლოს ისარი და კაცს დაეცეს.“ მოტანილი მაგალითების მიხედვით, რეალური პირობა იყო იმის გასათვალისწინებლად რომ ნადირზე, ფრინველზე თუ ყაბახზე ნასროლი ადამიანს მოხვედროდა.

ქართული სინამდვილით დაუდევრობა (ისე როგორც თვითიმედოვნება), სხვაგვარ მოქმედებაშიც შეიძლება გამოიხატოს. ერთი განაჩენით „ყაბახზე სეირად“ მყოფი დაზარალებული „ბანბის ძვლით“ (ბამბის თესლით – მ.კ.) გატენილი თოფით დაუჭრია დამნაშავეს. სასამართლომ ფათერაკად მიიჩნია დამნაშავის მოქმედება და სათანადოდ დასაჯა იგი. დოკუმენტში ჩვენს ყურადღებას იქცევს ისიც, რომ დამნაშავე ტყვიით დატენილი თოფით კი არ ისვრის (ისე, როგორც ყაბახზე სროლისას ისარზე რკინის პირი არ უნდა ესხას), არამედ „ბანბის ძვლით“ დატენილით და რაც მთავარია, ამ წესის დაცვამაც ვერ ააცილა იგი უბედურ შემთხვევას და

[83] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, ტ. II, თბ., 1959, 366.

[84] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, ტ. II, თბ., 1959, 361.

პასუხისმგებლობას.[85]

ფათერაკით ჩადენილის საზღაურად საფათერაკო სისხლია გაჩენილი, რაც გულისხმობს მკვლელობის დროს „სამარხის," ხოლო დაჭრა-დაშავებისას მკურნალობის (სააქიმო) ხარჯების გადახდას. ვახტანგის სამართლის 187-ე მუხლი იუწყება: ათ წლამდე ასაკის ყმაწვილის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის, მისი მშობლები მატერიალურად აგებენ პასუხს, რადგან „ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია საფათერაკოსავით არის... მკუდარს სამარხი მისცეს და დაჭრილსა და დასნეულებულს სააქიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა." მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ბავშვის მიერ განზრახ ჩადენილი დანაშაული არაფრით განსხვავდება ზრდადამთავრებულის მიერ ჩადენილ დანაშაულისაგან, მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტი ბავშვია საზღაურიც „საფათერაკოსავით არის."

როგორც ჩანს, საფათერაკო შეიძლება გადახდეს არა მარტო ფათერაკით ჩამდენს. ეს რომ ასეა, გარდა მოტანილი სამართლის წიგნის მუხლისა, აღნიშნულზე სასამართლოს განაჩენებიც გვაუწყებენ: ჩხუბში კაცის მკვლელი აცხადებს „ღვინით, უნდობლად, ეშმაკის საბრჯით ფათერაკსავით მომიჭდაო."[86]

გარდა ზემოთ თქმულისა, სხვა განაჩენით განსხვავებულ მოქმედებებად ჩანან „ფათერაკი" და „უბრალო." ასევე ფათერაკი რომ მეტად რთული შემადგენლობის მოქმედებაა, აღნიშნულზე ვახტანგ VI-სამართლის წიგნის ის მუხლიც მიგვანიშნებს, რომელიც ბატონის მიერ ყმის მოკვლას ეხება „და თუ უბრალოდ მოკლა, გინა ფათერეკად მოსვლოდეს, საფათერაკო უნდა მისცეს და წყალობა რამე უყოს" (95-ე მუხლი).

როგორც ჩანს, სხეულებრივი დაზიანების (და მკვლელობის) დროს, ძალიან ხშირად ცდილობდნენ აშკარა განზრახვა ფათერაკით მომხდარად გაესაღებინათ. ცხადია, ასეთი მისწრაფება მცირე საზღაურის გადახდით იყო განპირობებული, რომლის თავიდან აც-

---

[85] დანვრილებით ამ განაჩენთან დაკავშირებით იხ. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. I, თბ., 1970, 54.

[86] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 272.

ილების აუცილებლობა არც კანონმდებელს დარჩენია აღუნიშნავი (იხ. 182-ე მუხლი – მესახუნდრის მკვლელობაზე და 193-ე მუხლი – სახლის დაწვაზე).

ვახტანგის სამართლის წიგნში არის ორი ნორმა, რომლიდანაც პირველი მიუხედავად პატრონის მრავალგზის გაფრთხილებისა, რომ მისი მარქენალი პირუტყვი საშიშია ადამიანისათვის, არ უზრუნველყოფს სხვათა უსაფრთხოებას: „არ დაიჯერა და ან მოკლა რამე, ან დააშავა რამე, მრჩოლელის (პირუტყვის – მ. კ.) პატრონმა კაცმა პასუხი უნდა გასცეს," პირუტყვი კი დაზარალებულს მიეცემა (196-ე მუხლი).[87]

მეორე მუხლი კი ეხება თავღიად დატოვებულ ორმოში ჩავარდნილ პირუტყვის ან ადამიანის დაზიანებას (256-ე მუხლი).[88] არცერთ შემთხვევას ფათერაკს არ უწოდებს კანონი. ეს მაშინ, როცა ორივე შემთხვევაში, პირუტყვის და ორმოს პატრონის გაუფრთხილებელ თვითიმედოვნებასთან გვაქვს საქმე, პირველის დროს მარქენალ პირუტყვს არ არიდებს ადამიანებს, მეორეში ორმოს ტოვებს თავღიად. როგორც სჩანს, არც ისე გამოდის, რომ ფათერაკში ნაგულისხმები გაუფრთხილებლობა, საერთოდ მოიცავდეს ყველა ხასიათის გაუფრთხილებლობას.

ფათერაკის არსი კარგადაა გადმოცემული XVIII საუკუნის მიწურულში შედგენილ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტში (189-ე მუხლი). კანონის განმარტებით: „ფათერაკისა სახენი განიყოფიან ორად: პირველი, რომელსაცა აქუნდეს მსგავსება ნეფსითისა, გარნა არა იყოს, ხოლო მეორე – უნებილეთ. გარნა ორისავე ამის სახე არს უნებლიეთობა." კარგად ჩანს, რომ ბატონიშვილს ქართულ ფათერაკში „მსგავსება ნეფსითისა" (ნებითი მოქმედება) ეგულვის. სწორედ ეს „მსგავსება" უნდა მიგვანიშნებდეს განზრახვაზე, რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

---

[87] ამ მუხლის წყარო ბიბლიაცაა, აი რას ვკითხულობთ მსგავს შემთხვევასთან დაკავშირებით: „თუ ხარი გუშინ და გუშინწინაც მორქენალი იყო და პატრონიც გაფრთხილებული ჰყავდათ, მაგრამ არ დააბა და ხარმა მოკლა კაცი ან ქალი, უნდა ჩაიქოლოს და მისი პატრონიც უნდა მოკვდეს (გამოსვლათა 21.29).

[88] ამ მუხლსაც აკავშირებს სიახლოვე ბიბლიასთან: „თუ კაცი ვინმე თავს ახდის ორმოს ან თუ ამოიღებს ორმოს და არ გადახურავს და შიგ ხარი ან ვირი ჩავარდება..." (გამოსვლათა 21.33).

მეტად ფასეულია დავით ბატონიშვილის ცნობა ფათერაკის ორად: „უსუბუქესად“ და „უმძიმესნად“ დაყოფაზე. „უსუბუქეს“ მიეკუთვნება: „ოდესცა კაცი სჭრიდეს ხესა და მის მიერ შემოხუდეს ვნებაჲ, ანუ ხილსა ჯოხსა ესროდეს, ანუ ხუმრობით წინ დაუხვდეს, ანუ ხუმრობისა შინა შემოხდეს ვნებაჲ რაიმე, რომელნიცა ესეგუარნი უმსუბუქეს არიან.“

რაც შეეხება მძიმე ხასიათის გაუფრთხილებლობას, მასთან დაკავშირებით კანონპროექტი აცხადებს: „ხოლო ოსტატისა მიერ ნაკრავი, ანუ ჯოხით ნაცემი, ანუ ბატონისაგან და ჴელის უფროსისაგან (თანამდებობით უფროსისაგან – მ.კ.) ნაგვემობით ანუ ტყორცებითა რაჲთამე, ანუ უფრთხილოდ ცხენისა რბევითა, რომელნიცა ესე გუარნი და ესევითარი არიან უმძიმესნი.“

თავისთავად პირობით, მაგრამ მაინც ფათერაკის ორ ნაწილად გაყოფა – მსუბუქად და მძიმედ, არღვევს მის მონოლითურად, დაუნაწევრებლად წარმოდგენის შესაძლებლობას და პირობას ქმნის მრავალგვარი შინაარსით წარმოვიდგინოთ იგი.

კანონპროექტით ფათერაკით ჩადენილ მკვლელობა-დაჭრაზე „მიეცემისთ მსაჯულთაგან სამართლად სისხლისა მესამედი, მეოთხედი, მეხუთედი, მეექუსედი ანუ საქიმო და სამარხი“ (189-ე მუხლი). თუ რამდენად სრულდებოდა ცხოვრებაში აღნიშნული ოდენობით სისხლის რაოდენობის გადახდა, ამაზეც შემოუნახავს ცნობები სასამართლო პრაქტიკას.

ისე როგორც ვახტანგის სამართლის წიგნს (183-ე. 193-ე მუხლები), პროექტს მხედველობიდან არ გამოპარვია მითითების საჭიროება იმაზედაც, რომ მკვლელთ ზოგჯერ ფათერაკად სურთ გაასაღონ თავიანთი განზრახი მოქმედების შედეგი მაშინ, როცა შეიძლება „აღმოჩნდეს განგებ მკულელად“ (189-ე მუხლი).

ბატონიშვილის სამართალი იმეორებს ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის 187 მუხლის მოთხოვნასაც, რომ თუ „ყრმათა მიერ უასაკოთა შემოხდეს კლვაჲ“, მაშინ მათი მშობლები სამარხს და დაჭრისათვის („წყლულებისათვის“) სააქიმოს გადაიხდიან (189-ე მუხლი).

პროექტში ლაპარაკია ფათერაკით ფეხმძიმე ქალის მუცლის გაცუდებაზე: „უკეთუ ფათერაკად შეემთხუას წამლისა მიმცემსა“

(131-ე მუხლი).

ფათერაკით ჩადენილი მოქმედების იურიდიული შინაარსის ასახსნელად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთში გადასახლებული დავით ბატონიშვილის მიერ, რუსი მოხელეების ყურადსაღებად შედგენილი „Обозрение Грузий по части прав и закановедения~ („საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“).

ჩვენ შორსა ვართ იმ მოსაზრებიდან, რომ „მიმოხილვის“ ათასზე მეტ მუხლში მთელი სიზუსტით აისახა „ქართლ-კახეთში“ მოქმედი კანონმდებლობა, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი რომ სინამდვილეს ასახავს, ეს უდაოა. მით უფრო ასე ითქმის ძირითად ინსტიტუტებზე. მაგალითად, მართებულია საუბარი „კაცის კვლის“ ორგვარ ვითარებაში – განზრახ და განზრახვის გარეშე (На умышленное и неумышленное) ჩადენაზე (499-ე მუხლი); ასევე იმაზეც, რომ ავტორს ფათერაკი მაშინდელი გაგებით განზრახვის გარეშე, უბედური შემთხვევით ჩადენილ მოქმედებად მიაჩნია. იგი ამ ნაშრომში სპეციალურ ქვეთავს მიუძღვნის ფათერაკს, რომელსაც ასე ასათაურებს: „Нещастные случаи - фатеракиса“, სადაც გვთავაზობს „უბედური შემთხვევის“ მაგალითებს.[89] აქ იგი ფათერაკის შინაარს ასე განმარტავს: „Нещастные случай называются те, когда дейстие произойдет совершенно нечаянно.“ (878-ე მუხლი).

მთავარი ისიცაა, რომ „მიმოხილვა“ ვერ მიუთითებს გაუფრთხილებლობასა და კაზუსს შორის გამმიჯვნელ ზღვარზე და თუ ასეთი არსებობდა აღნიშნულში უპირატესად იმდროინდელმა კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ უნდა გაგვარკვიოს.

ფათერაკი ხშირადაა დამოწმებული ვეფხისტყაოსანში. აქ „ფათერაკი ისეთი ხიფათი ან შემთხვევითი უბედურებაა, **რომელიც შეიძლება თავიდან აიცილოს კაცმა** (ხაზგასმა ჩემია – მ.კ.).“[90] ერთ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანზე“ დართულ ლექსიკონში ფათერაკი ასეა განმარტებული: **„ფათერაკი** – მოულოდნელი უბედურება-

[89] დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციით და გამოკვლევით, 1959, 368-369, მუხლები 878-883.

[90] ცოტნე კიკნაძე, „ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა... “, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 15/VI, 1988.

განსაცდელი.“[91]

თქმულის შემდეგ მოვუხმოთ სასამართლო პრაქტიკას. ჩხუბის დროს ერთ მოჩხუბარს სხეულის მძიმე დაზიანება მიუყენებია მეორისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით დამნაშავის მამას სასამართლოში ასეთი ჩვენება მიუცია: მოვიდა ჩემი შვილი და მითხრა: „ეს ფათერაკი შემოგვეთხივაო.“[92]

მოგვეპოვება მასალა იმასთან დაკავშირებით, რომ საერთოდაც ყოველგვარი მოულოდნელი უსიამოვნებაც ფათერაკად იწოდება. 1847 წელს დავით დადიანი ქურდების მდევრებისათვის აწესებს რა გარკვეულ გასამარჯჯელოს, აღნიშნულის აუცილებლობას იმით ხსნის, რომ „ყოველივე მდევარი დიდად თუ მცირედ ფათერაკშიც არის.“[93]

რამდენადმე თქმულის დასტურს შეიცავს ტერმინ ფათერაკის შემცველი პირველი წერილობითი ძეგლი, რომელშიც ამ ტერმინს მივაკვლიეთ. იგი გვაუწყებს: „მისსა სიცოცხლესა შიგან სამი ფათერაკი შეემთხუოს: პირველი წყლისაგან, მეორე დაკოდილობისაგან, მესამე სნეულებისაგან.“[94] იქვე: მისსა სიცოცხლესა შიგან ოთხი ფათერაკი შეემთხუოს: პირველი ჰავისა კაცისაგან სავნებელი მიხუდეს, მეორე, მკბენარმან რამამე უკბინოს; მესამე წყლისაგან, მეოთხე თავქედისაგან.“[95] ასევე: „სნებისა და ცეცხლისაგან ფათერაკი რამე შემთხუოს.“[96] კიდევ: „მრავალსა ფათერაქსა შევარდეს“[97]

ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე იმის თქმაც შეიძლება, რომ ფათერაკი ისეთ ზოგად ტერმინს წარმოადგენს, რო-

---

[91] ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა იზოლდა წაქვაძემ, 1976, 67.

[92] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 600.

[93] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 774.

[94] ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, თბ., 1975. 17.

[95] ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, თბ., 1975. 21.

[96] ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, თბ., 1975. 22.

[97] ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, თბ., 1975. 28.

მელიც მოიცავს განზრახვით თუ განზრახვის გარეშე (ნებით თუ უნებლიე) ყველა მოქმედებას, რაც ცივი გონებით არაა ნაკარნახევი. თუ სულ ასე არა, რაღაც კავშირი მაინც რომ არსებობს თქმულთან. აღნიშნულს სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს. 1717 წლის სასამართლო განაჩენის მიხედვით, ჩხუბში კაცის მკვლელი აცხადებს: „ღვინით, უნდომლად, ეშმაკის საბრჯით ფათერაკსავით მომივდაო, საშიშრად მოულერეო, ღვინით ველარ შევიმაგრეო, ცოდვა მეკითხა, შემომაკვდაო.“[98]

ვიმეორებთ: ფათერაკში ჩადებული განზრახვა შორსაა დღევანდელი გაგებისაგან. აქ განზრახვა მოქმედების დროსაა წარმოშობილი. მაგალითად, ჩხუბის დროს მკვლელობა – ჯერ ჩხუბი თუ მოუხდებდა, ამას ვერ გაითვალისწინებდა პირი და მერე ამ ჩხუბში თუ კაცს მოკლავდა. სწორედ რომ მოქმედებასთან ასეთი წუთიერი თანმთხვევი შედეგი არ განიხილებოდა განზრახვად, და ამდენად ფათერაკად (განზრახვის გარეშე) იწოდება იგი.

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული სამართლით განზრახვა გარკვეული დროით (წლობით, დღეებით, საათობით, იქნებ წუთობითაც) უნდა უსწრებდეს წინ მოქმედებას. დროის ფაქტორი მოქმედებასა და შედეგს შორის, გარკვეულ ზღვარს დებს ნებით და უნებლიე მოქმედებათა შორის.

ბევრი მასალა მიუთითებს აღნიშნულზე, რომლებზედაც სხვადასხვა ადგილას მივუთითებთ ბრალის საკითხებზე მსჯელობისას.

## §4. ზოგიერთი რამ ბრალის საკითხთან დაკავშირებით ქართულ საეკლესიო სამართალში

ახლა რამდენიმე სიტყვით თუ როგორ ხსნის განზრახვასა და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულს ქართული მართმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის უპირველესი სამართლის წყარო „მცირე სჯულისიკანონი,“ X საუკუნეში თარგმნილი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ.

[98] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 272.

ვიდრე კონკრეტული საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა მიეთითოს იმაზე, რომ „მცირე სჯულისკანონიდან“ დამოწმებულ ადგილებში მსჯელობაა სხვადასხვა სახის შეცოდებაზე (ძირითადად სქესობრივ სფეროში) და მათ შორის მკვლელობაზე. ასევე ხაზია გასმული იმაზე, თუ როგორ მკვლელობას როგორი ხასიათის შეცოდებად მიიჩნევს ეკლესია და აღნიშნულის კვალობაზე როგორი საეკლესიო ხასიათის სასჯელი უნდა შეეფარდოს ცოდვილს.

ასეთ ვითარებაში ზოგიერთი რამ აუხსნელი რჩება საერო კანონმდებლობის პოზიციიდან. საქმე იმაშია, რომ საერო კანონმდებლობა მკვლელობას განსხვავებული თავლთახედვით განიხილავს. ამდენად მის მიერ განსაზღვრული სასჯელიც შურისძიებით ან მატერიალური ანაზღაურებით შემოიფარგლება.

ყოველივე ის, რაც საეკლესიო სამართლის მოთხოვნით სამწყსოს ზნეობრივ გაჯანსაღება-ამაღლებას ემსახურება, საერო სამართლით სამაგიეროს მიზღვევის შიშველ ქვენაგრძნობამდე დაიყვანება.

თქმულიდან გამომდინარე განზრახ თუ განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაული ეკლესიისათვის თუ მეტად მნიშვნელოვანია, საეროსათვის არცთუ გადამწყვეტი ჩანს.

აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა იქნას გააზრებული „მცირე სჯულიკანონის“ პოზიციაც. ეს ძეგლი ერთმანეთისაგან განასხვავებს **„ნებსითა და უნებლიეთა კაცის კვლათაჲს.“**

თავის მხრივ უნებლიე მკვლელობაც დიფერენცირებულია:

ა) „სრულიად უნებელი და გარეშე გონებისა და განზრახვისა მოქმედისა“, რა დროსაც მითითებულია ასეთ მაგალითზე: როცა ვინმემ ქვა ან შეშა ესროლა ძაღლს ან ტყორცნა ნაყოფის ჩამოსაგდებად ხილს, მაგრამ კაცს მოხვდა და მოკლა. ასეთი მოქმედება „უნებელ განსაცდელად“ მიიჩნევა. ასევე თუ აღსაზრდელად და ჭკუის სასწავლოდ ვინმე ზომიერად სცემს თავის მონას ან მოწაფეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მოკვდება, ესე უნებელია.[99]

ბ) ისეთი შემთხვევა, რომელიც უნებლიედ მკვლელობას

[99] მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გუნაშვილმა, თბ., 1972, 78-79.

მიაგავს – „მახლობელ არს ნეფსითსა კაცის კლვასა“. მაგალითად, როდესაც ჩხუბის დროს არგნის ან მჯიღის შემორტყმით კვდება ადამიანი. ამ დროს მკვლელი ტკენას ან დაჭრას ისახავდა მიზნად და არა ფიზიკურად მოსპობას (მოკვლას), თუმცა რისხვით და გულისწყრომით მოქმედებდა. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე როცა მართალია არა მოსაკლავად ტყორცნა ქვა ან შეშა, მაგრამ ასეთმა მოქმედებამ სიკვდილი გამოიწვია.[100]

როგორც ჩანს „უნებელი“ მკვლელობა განიყოფება “ჭეშმარიტად უნებლად“ და ისეთად, რომელიც „მახლობელ არს ნებსითსა კაცის კლვასა.“

უნებლიე მკვლელობის ასეთი დაყოფა საყოველთაოდ ცნობილი გაუფრთხილებელი მკვლელობის ორ სახეობაში: დანაშაულებრივ თვითნებობასა და დანაშაულებრივ დაუდევრობაში ვერ თავსდება, ის რაღაც სხვაცაა, რომელიც კაზუსისაკენ მიიკვლევს გზას.[101]

„მცირე სჯულის კანონი“ ნებით (განზრახ) მკვლელობასაც ორ სახედ ყოფს: ა) როცა მახვილოსნები ხელდახელ შეიბმებიან, ან ერთმანეთს სტყორცნიან ხელცულს, მაზრაკს ან ისარს, რა დროსაც სიკვდილი სავარაუდო და რეალურია;[102] ბ) „სრულიად ნეფსითი კაცის კლვანი“, როცა მკვლელობა იმთავითვეა დაგეგმილ-გათვალისწინებული. ასეთებად ჩაითვლებიან ავაზაკნი და მოსაკლავად მიმხდომნი. ასეთ პირთ მოწინააღმდეგის არც შეშინება სურთ და არც ჭკუის სწავლება („არცა წურთისათჳს“). ასეთ მკვლელობას „ნეფისთნი და განზრახვითნი“-ს უწოდებს კანონი.[103]

**ნეფსით** მკვლელობადაა განხილული ვინმეს მოწამვლით მოკვლა, ან ქალის მიერ მამაკაცისათვის არა მოსაკლავად, არამედ მასში ქალის მიმართ სასიყვარულო ტრფიალის აღსაღძრელად, ასევე საერთოდ, „უწესოჲსა“ ქვენაგრძნობით წამლის (მათ შორის

[100] იქვე, 79.

[101] ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმანები „მცირე სჯულის კანონი“ სხვა მეტი არაა თუ არა „დიდი სჯულის კანონის“ შემოკლებული ვარიანტი, რომელშიც იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით კარგადაა დამუშავებული განზრახი და უნებლიე მოქმედებანი.

[102] მცირე სჯულიკანონი, 78

[103] იქვე, 79.

„სიყვარულის წამლის") მიცემა, რამაც სიკვდილი გამოიწვია. მათთანვეა გათანაბრებული დედის მუცელში ნაყოფის მოსპობა, რა დროსაც „კაცისმკლველნი არიან მიმცემელნი იგი წამლისანი და მიმღებელნი მისნი." მუცლის გაცუდებას თუ ქალის სიკვდილი მოყვა, იგი „მკლველ თავთა თვჳსთა" შეირაცხება და მის მიმართ გატარდება ისეთი ღონისძიება, რაც თვითმკვლელობას მოსდევს შედეგად.

როგორც ჩანს, კანონი ნეფსით ე.ი. განზრახ კაცის კვლად აცხადებს განზრახვის გარეშე დამდგარ ისეთ სიკვდილს, რაც შედეგად მოყვა, როგორც შესაყვარებლად, ისე სხვა რამ „უწესოჲსა" მიზნით, წამლის მიცემას. ეს კი რამდენადმე მაინც ასუსტებს **ნეფსით**-ის ბრალეული განზრახვის შინაარსით გაგებას.

სინამდვილეში კი საქმე იმაშია, რომ მსგავს დასაგმობ მოქმედებათა თავიდან აცილების მიზნით კანონმდებელი განზრახვის შინაარსს განავრცობს განზრახვის გარეშე მოქმედებაზედაც ან არადა იმთავითვე დევს ნეფსითში გაუფრთხილებლობის გარკვეული ელემენტები.

მცირე სჯულიკანონი განზრახვის გარეშე მკვლელობის გამოსახატავად იცნობს ტერმინ – **იშობრივს.**[104]

ყურადსაღებია ისიც, რომ ჩვენს მიერ საველე გზით მოპოვებული მასალებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იშობრივი ტერმინ **უშობრად** მოიხსენიება, ხოლო მისი საწინააღმდეგო მოქმედება განზრახვა – **გიზმობით.**

იშობრივი რამდენადმე განსხვავებული ტერმინით **იშჯთ-აც** იწოდება ძველ ქართულში. **იშჯი** – იგივე იშობრივია, რაც უნებლიეს (განზრახვის გარეშე) შინაარსით იხმარებოდა. რომ ეს ასე იყო, კარგად ჩანს სხვადასხვა დროს თარგმნილ ორი ბიბლიის („მეორე რჯულისა", თავი XIX, მუხლი 4) ტექსტებიდან. პირველში წერია: „რომელმან მოკლას მოყუასი იშჯთ, არა ნებსით" მეორეში კი „უკუეთუ სცეს მოყუასსა უნებლიეთ."[105]

ახალი ქართულით თარგმნილ ბიბლიაში მითითებული ტერ-

---

[104] მცირე სჯულიკანონი, 78, 103.

[105] წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკეთი 2, ლევიტელთაჲ, როცხვთაჲ, მეორისა სჯულისაჲ, 1990,. 445..

მინი (იშჳთ) უნებლიეთაა თარგმნილი.[106]

როგორც ჩანს იშობრივი, როგორც უნებლიე, განზრახვის გარეშე მოქმედება, გაუფრთხილებელ მოქმედებად განიხილება, რომელიც შორს დგას კაზუსისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში „მცირე სჯულის კანონის" მიხედვით მსჯელობისას, ანგარიში ეწევა ამ ძეგლის ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელის ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობით თავისებურებას, რაც ეფრემ მცირეს თქმით იმაში მდგომარეობდა, რომ „ეფთჳმეს მადლითა სულისა წმიდაისაჲთა ჴელეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაიცა."

ზემოთ აღნიშნული წესით თარგმნის პრინციპი მექანიკურად იქნა გავრცელებული „მცირე სჯულისკანონში," პირველ ნაწილად შეტანილ იმ კანონზედაც (კანონი პზ), რომელიც ბრალის საკითხს ეძღვნება.

„მცირე სჯულისკანონის" პირველ ნაწილში შეტანილი ტრულის 692 წლის კრების კანონის (კანონი 87-ე – პზ) და არსენ იყალთოელის მიერ „დიდი სჯულის კანონში" შეტანილ ბასილი დიდის ნააზრევს შორის ბრალის საკითხზე მიძღვნილი კანონის (კანონი 8, ჱ, დიდი სჯულისკანინი, გვ. 477-478) შინაარსთა შედარებით დადგინდა შემდეგი:

ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანში, შედარებით „დიდი სჯულისკანონთან" მართლაც ვხვდებით დაკლებისა თუ განვრცობის შემთხვევებს, მაგრამ იგი აზრობრივად არცთუ ისე არსებითია და აღნიშნულის ფონზე სხვაობანი თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ქართული ვითარებიდან გამომდინარე ორიგინალური შეხედულებით მდიდრდებოდეს.

„მცირე სჯულის კანონის" 87-ე კანონის ტექსტში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ მხოლოდ შემდეგი ადგილებია ჩამატებული: დასაწყისშივე: **„ხოლო განყოფილებაჲ მრავალი არს ნებსითთა და უნებლიეთთა კაცის კლვათაჲ. და ჯერ-არს ამისთჳსცა უწყებაჲ ვითარცა ნეტარი ბასილი განაწესებს."**[107]

---

[106] ბიბლია, 1989, 180. მითითებულია ახალ ქართულზე თარგმნილი საქართველოს საპატრიარქოს მიერ 1989 წელს გამოცემულ ძველსა და ახალ აღთქმაზე.

[107] მცირე სჯულისკანონი, 78.

როცა მოაქვს მაგალითი ძაღლსა და ნაყოფიერ ხეზე ქვის ან ჯოხის ტყორცნით შემთხვევით ვისმეს მოკვლაზე, უმატებს: **„მიმთხჳა იშობრივ კაცსა მას და მოაკუდინა და არს ჭეშმარიტად უნებელი.“**[108]

„დიდი სჯულიკანონში“ მითითებული არ არის უნებლიე მკვლელობის ისეთ ფაქტზე, როგორიცაა **„უკუეთუ ვინ წუართოს მონაჲ თჳსი ანუ მოწაფე შოლტითა.“**[109]

მთავარი მაინც ის ადგილია, რომელიც ჩხუბის დროს შესაშინებლად ან ტკივილის მისაყენებელ მოქმედებას შეეხება, რა დროს გარტყმამაც შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს: „გულისწყრომით ურიდად სცა, ემხილების მას, ვითარმედ ფრიად ძლეულ იყო გულისწყრომისაგან“[110] და როცა სხვა ვითარებაში მკვლელობაზეა ლაპარაკი, იქვე ორიგინალიდან დაცილებით აგრძელებს: **„ეგრეთვე მსგავსად არს რომელმან გასტყორცოს ქვაჲ, ანუ შეშაჲ მიმთხუევად მეორისა და არა არნ გონებაჲ მისი, რაჲთამცა მოკლა, არამედ რაჲთა ავნოს ოდენ, ხოლო შეემთხჳა, ანუ ფიცხლად ტყორცებითა, ანუ სიმძიმითა ქვისა მის განა შეშისაჲთა, ანუ საკრძალავსა ადგილსა მიმთხუევითა.“**[111]

ჩამატებულია ასევე: **„დაღაცათუ არა გულისსიტყჳთა მოკლვისაჲთა შეასუას ვინ ნამალი, არამედ სხჳსა რაჲსმე პირისათჳს უწესოჲსა და შეემხჳოს სიკვდილი, ნეფსითთა კაცის კლვათა თანა შეგჳრაცხიეს იგი.“**[112]

და სულ ბოლოს უმატებს: **„და სხუანი მრავალნი სახენი არიან ნეფსითთა და უნებლიეთთა კაცის კლვათანი, რომელნი იგი განაწესენ გულისჴმის-მყოფელთა მოძღუართა და შემსგავსებული კანონი მისცენ, გინათუ ნეფსით იყოს, გინათუ უნებლიეთი.“**[113]

ესაა და ეს, რომლებიც ბრალის რაობის ახსნასთან დაკავშირებით არცთუ ისე მნიშვნელოვან სხვაობას იძლევიან და მათი

---

[108] იქვე.

[109] იქვე, 79.

[110] იქვე, 79.

[111] იქვე.

[112] იქვე, 80.

[113] იქვე.

შინაარსი მეტ-ნაკლებად მომდინარეობს ორიგინალის ტექსტიდან.

რა თქმა უნდა ჩვენს მიერ შედარებული ადგილები არ ხსნიან „მცირე სჯულისკანონის“ მთელი ტექსტის შედარების აუცილებლობას ორიგინალთან, მით უფრო, ქართული სამართლის ისტორიის უპირველესი მკვლევარს ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ამ ხასიათის ძეგლებში რიგ ქვეყნებს ადგილობრივი საერო კანონმდებლობის და ადათების თვალსაზრისიც შეჰქონდათ.[114]

როგორც ცნობილია სჯულის კანონით სულ 8 ცოდვა არსებობს, ესენია: 1. ხელით დაცემა, 2. პირუტყვთან დაცემა, 3. სიძვა, 4. მრუშობა, 5. მამათმავლობა, 6. უასაკოს (მცირეწლოვანის) განხრწნა, 7. სისხლით ნათესავთან აღრევა, 8. კაცის-კვლა (ნებითი და უნებური). ერთობლივ ყველა მათგანს ყოფენ ორ ნაწილად: ბუნებითი და არაბუნებითი ცოდვანი („ცოდვათაჲ ბუნებითთაჲ და გარეშეთა ბუნებისათა“).[115] ბუნებითში იგულისხმება ისეთი, როცა სქესობრივი კავშირი, მიღებული გზით ხორციელდება, არაბუნებითში კი გაუკუღმართებული და მიუღებელი გზით.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ქრისტიანული ეკლესიის მიერ დადგენილ 8 ცოდვიდან 7 სქესობრივ სფეროს განეკუთვნება.

საერო ხასიათის ცოდვათაგან მხოლოდ კაცის კვლა იმსახურებს რა ამჟამად ჩვენს ყურადღებას, დამატებით იმაზე რაც ზემოთ ითქვა, მასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

კაცის განზრახ მკვლელი 20 წლით უზიარებლობას იმსახურებს. ეს დრო სინანულის (მონანიების) დროით ითვლება, რომელიც თავის მხრივ ასეთ საფეხურებს მოიცავს: ა) 4 წელი შეტირება, ბ) 5 წელი მსმენელებთან დგომა, გ) 7 წელი ქვედავრდომა, დ) ბოლო 4 წელი კი მორწმუნეებთან დგომა.[116]

განზრახვის გარეშე (უნებლიე) კაცის კვლისათვის კი 10 წლით უზიარებლობაა დადგენილი მონანიების სათანადო საფეხურების

---

[114] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1982, 51.

[115] მცირე სჯულისკანონი, 92-93.

[116] იქვე, 78.

გავლით.[117]

მცირე სჯულის კანონი კაცის-კვლას უთანაბრებს გრძნეულობას და მწამვლელობას.[118]

## §5. მიზეზობრივი კავშირი

თანამედროვე გაგებით თუ ვიტყვით, სისხლის სამართალში დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ატრიბუტს მიზეზობრივი კავშირის დადგენა წარმოადგენს ბრალეულ მოქმედებასა (თუ უმოქმედობასა) და შედეგს შორის.

ძველ ქართულ სამართალში მიზეზობრივი კავშირი ფართო გაგებით ორი მიმართებით წარმოჩნდება: ა) მიზეზობირივი კავშირი სუბიექტის ბრალეულ მოქმედებასა და შედეგს შორის და ბ) მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ ვნებასა (დაზიანება) და შედეგს შორის. პირველი ბრალთანაა დაკავშირებული, მეორე კი დაზიანების ხარისხთან. ზოგჯერ მეტად ძნელი გასათიშველი ხდებიან ისინი ერთმანეთისაგან.

საკითხის განხილვა იმით გვსურს დავიწყოთ, რომ მიზეზობრივ კავშირზე ბრალეულ მოქმედებასა და შედეგს შორის პირველივე სამართლის წიგნს დაუცავს ცნობა, ეს კი შესაძლებლობას იძლევა ვარაუდისა, რომ იგი საკმაოდ ძველი წარმონაქმნია.

ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის (IX. ს) ორი მუხლი გვაწვდის მასზედ ცნობას. პირველი წარმოადგენს განაცხადს იმასთან დაკავშირებით, რომ „რაჲცა მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა“ უნდა გარკვევა (103-ე მუხლი), მეორე მუხლით, სპეციალურ საზღაურს საპიროს იხდის ის „ვისათაცა მიზეზითა“ მომხდარიყოს დარბევა (112-ე მუხლი).

აღნიშნულის შემდგომაც ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის ძებნა არცერთ ეპოქაში არ დავიწყნია ქართველ კანონმდებელს. ასე მაგალითად, კათალიკოსთა სამართლით, თუ ეპისკოპოსმა საყდარი დატოვოს

[117] იქვე.

[118] იქვე, 81.

„პატრონისა მიზეზისა და საქმისათჳს“ სწორედ აღნიშნულს ენიჭება დიდი მნიშვნელობა (მე-7 მუხლი), „ძეგლის დადებაში“ კი დაწერილია: თუ ვინმე სასამართლოში გამოუცხადებლობას „საქმესა დარბაზისასა იმიზეზებდეს“ (29-ე მუხლი); ბექას სამართლით: ცოლქმარს შორის ეჭვიანობის ნიადაგზე უსიამოვნების ჩამოვარდნა თუ „ყბედისა (ენატანიას – მ.კ.) მიზეზი“ იყოს (50-ე მუხლი); ვახტანგ VI სამართლით კი „ვინც უწინ ჩხუბს აშლის და მიზეზი შეიქნების“, იგი უფრო მძიმედ დაისჯება (81-ე მუხლი), ან „კაცის შუღლი და სიკუდილი თუ რასაც ფერის მიზეზი ბევრი არის“ (95[1] მუხლი); თუ კრედიტორი მიიღებს კუთვნილ თანხას, მაგრამ დებიტორს „რასმე მიზეზით კიდევ წამოედაოს“ საკითხი ესე და ესე გადაწყდესო (143-ე მუხლი). ასევე მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობაზე მითითებას წარმოადგენს ამავე სამართლის წიგნის 65-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასამართლომ დაადგინოს „რისთვის მოუკლავს“ ცოლს ქმარიო.

მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა მიზეზი უცხოურიდან ქართულად თარგმნილ ყველა სამართლის წიგნში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას თათრული წარმოშობის სიტყვა მიზეზის შინაარსის მატარებლად ქართული წარმომავლობის სიტყვა საბაბი მიაჩნია.

ქართლური დიალექტიკური ლექსიკონით სიტყვა **საბაბიანი** მიზეზიანის შინაარსითაა ახსნილი და ასეთი მასალაცაა დამოწმებული „ქალები საბაბიანები არიანო.“[119]

ვახტანგის საკანონმდებლო კომისია უცხო ენებიდან თარგმნილ საკანონმდებლო კანონებში **მიზეზსა და საბაბს** ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობს. ქართულ კანონმდებლობაში კი **საბაბი** არსად გვხვდება.

მიზეზის ნაცვლად სისხლის სამართალში სიტყვა საბაბის უპირატესობის მინიჭების სურვილი გვაიძულებს მოვიტანოთ ზოგიერთი მაგალითი სიტყვა საბაბის გამოყენებაზე: სირიული სამართლიდან ქალმა თუ ქმართან „საბაბით რითაც გაყრა მოინდომონ“ (84-ე მუხლი); მხითარ გოშის სამართლით „საბაბია მტრობისა“ (307-ე

[119] ქართლული დიალექტიკური ლექსიკონი, თბ., 1981, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე., თბ., 1981, 360.

მუხლი); „დანაშაულს შეიტყობდენ და მის გასულის საბაბს“ (347-ე მუხლი) და სხვა.

იმის აღუნიშნაობაც არ ივარგებს, რომ ტერმინი მიზეზი უძველესი წარმოშობისაა, რომელიც ძველ და ახალ აღთქმებიდან მოედინება უწყვეტლივ, თანც ხშირად სიტყვა მიზეზი სიტყვა ბრალის ადგილს იჭერს.

ახლა ვნახოთ რამდენად აისახა სასამართლო პრაქტიკაში მიზეზობრივი კავშირის ფაქტები. XVII საუკუნით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში მომჩივანი წერს: „ლეკს ჩვენი ძმის ეზიასათვის ჯოხი გარდეკრა. იმ საბაბით ეზია ერთ თვეს უკან მოკუდა.“[120] იქნებ ეს მაგალითი ვერ წარმოაჩენდეს თანამედროვე გაგებით სრულყოფილი მიზეზობრივი კავშირის მაგალითს, მაგრამ კარგადაა თქმული რომ ჯოხის დამრტყმელს კაცის მოკვლა არ ჰქონდა განზრახული. არსებობს განჩინებაც (1356), რომელშიც ვკითხულობთ: „უბრალოს ჩხუბის გამორევაში ხელდახელ გარჯით და ცოდვილობით გაესარჯა და სიკვდილი იმის მიზეზით მომხდომიყო... უნებურათ მოსვლოდა ამგვარი საქმე,“ რისთვისაც სასამართლომ შეუმსუბუქა სასჯელი.[121]

ხელთა გვაქვს რიგი განჩინებები, რომლებშიც დამნაშავე თავს იმართლებს: სიკვდილი არ მინდოდა, ვცემე, არ მეგონა თუ ნაცემობით მოკვდებაო.

მიზეზობრივი კავშირის ზოგიერთი დეტალის პოვნა ადვილდება ისეთი ხასიათის სასამართლო დოკუმენტებში, როცა სპეციალისტები მსჯელობენ იმაზე, მიღებული სხეულებრივი დაზიანება ან სიკვდილი რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მიყენებული დაზიანების შედეგად.

[120] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 139

[121] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 457

## §6. ზოგიერთი რამ მცდელობაზე

ქართულ კანონმდებელს ჯერ კიდევ IX საუკუნეში ქონია წარმოდგენა მკვლელობის მცდელობაზე.

დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე, ქართული სამართლის წიგნებიდან ყველაზე უადრესს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტს დაუცავს ცნობა „თუ კაცი კაცსა ზედა საღალატოდ (იგულისხმება მოსაკლავად – მ. კ.) წავიდეს, თუ მანვე დაშალოს ანუ სხუათა დააშლევინონ არა ზედ-აც.“ ე.ი. პასუხს არ აგებსო (133-ე მუხლი) და იქვე აგრძელებს: „მაგრამ თუ გამართოს (იარაღი – მ. კ.) და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი თეთრი დაუურვოს სიკუდილისა ცდისათჳს, სამი ათასი შეეყრების ცოდვისათჳს“ (134-ე მუხლი).

აღნიშნული ნორმის გამოყენების კვალს ცხოვრებაში ვხვდებით ერთ განაჩენში (1795 წ.), რომელშიც სასამართლოს ჩაუწერია: „გლახა რომ ჩივის, დამბაჩა არ გამოუვარდა, თორემ ჩემზე დააცემინაო, თუ ამის მოწმეებს გლახა სამართალში მოიყვანს და საბუთს უზამს, მაშინ რაც სამართალში გვიწერია დამბაჩის დაცემისა, იმის სამართალს მივცემთ.“[122]

ამ შემთხვევაში ცხადია ლაპარაკია ბექა-აღბუღას სამართალზე დართულ ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტზე.

მკვლელობის მცდელობა რომ რეალურ საფრთხეს უნდა წარმოადგენდეს პირისათვის სწორედ ამას ამტკიცებს თავდადებით ერთი მომჩივანი: „თოფი მომიღე (მომიღერე – მ. კ.), სასიკუდილოდ გამიმეტე, ღმერთმან დამიფარა და არ გამოგივარდაო.“ მოპასუხე ასე იცავს თავს: „არც თოფი შენთვის მომიღია სასიკუდილოდ და არც შენს მიღებაზე საპირისწამლე ამიწვიაო.“ სწორედ მოპასუხის მიერ ჩამოყალიბებულ სიტყვებში უნდა ვეძებოთ თოფით მკვლელობისათვის საჭირო მოქმედებანი. ამიტომაც, სასამართლო ავალებს მოპასუხეს და მის თანამოფიცრებს შემდეგი სიტყვებით დაიფიცონ: „მე შენის შვილისათვის არც თოფი გამიმართავს სასროლად და არც იმის სასროლად გამართებაში საპირისწამლე ამწოდეს.“[123]

---

[122] ქარული სამართლის ძეგლები, ტ. V, 653.

[123] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 400-401.

ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა რომ სახეზე იყოს საჭიროა „საპირისწამლეს“ აწვა, რაც ჩვენის აზრით გასროლის წინ საპირისწამლის ცეცხლის ანთებას უნდა ნიშნავდეს

კარგად ჩანს, რომ ჯერ კიდევ IX საუკუნეში დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის არცერთ შემთხვევაში არ ისჯებოდა პირი თუ რეალურად არ დაადგებოდა განზრახვის განხორციელების გზას. მაგრამ თუ ეცდებოდა განზრახვის სისრულეში მოყვანას, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ მოიყვანდა მას სისრულეში, მაშინ დგებოდა მისი დასჯადობის საკითხი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით. ნ. ხიზანაშვილი ასეთ კომენტარს გვთავაზობს: „საღალატოდ წასვლა ის სიკვდილის ცდა არაა (покущение на убиистео), რომელსაც სამართალი დანაშაულად თვლიდა. ცდა სიკვდილისა ბოროტის წადილის განხორციელებაა, ხოლო წასვლა ცალიერ განძრახვას ნიშნავს. უწინდელი სამართალიც განძრახვას დაუსჯელად ტოვებს და ვერც ძალუძს იდუმალის სულის თქმას ხელი შეახოს.“[124] ცხადია, ავტორი „ცალიერ განზრახვაში“ განზრახვაზე ფიქრს გულისხმობს.

სასამართლო პრაქტიკის მადლიან კალთას აქაც შემოუნახავს სათანადო მასალა: „იესე მსაჯულის შვილები ზაზა სოლაღაშვილს თავზე თოფის გამომართვას რომ უჩივიან, ამისი მოწმეებმა ზოგთ თოფის გამომართვა თქვეს, და ზოგთ თოფის ჴელთ აღება და გამოუმართაობა თქვეს. მაგრამ თოფი მაშინ აუღია, რომ სისხლით შესვრილი ყოფილა, არც ჩახმახი დაუცემინებია, არც ჩახმახისათვის ჴელი მოუკიდნია,“ ამიტომ გამწარებული კაცის მიერ „თოფის ჴელში აღებისათვის და ამის თქმისათვის: „ამით მკლევდაო, სამართალი ამზედ არას გაუჩენს.“[125]

მოიპოვება ორი დოკუმენტიც, რომლებიც ცხადია კერძო შემთხვევებზე ვრცელდება, მაგრამ მათში მთელი სიზუსტით ასახულია, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მოთხოვნანი.

პირველ დოკუმენტს წარმოადგენს შალვა ქვენიფნეველ ერისთავის შეწირულების წიგნი ლარგვისის მონასტრისადმი (1470

[124] ნ. ხიზანიშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, 479.

[125] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 39.

წ), რომელშიც ვკითხულობთ: თუ მონასტერში ვინმემ ეცადოს ღალატით მკვლელობა „საკლავად გამოჩმატოს და ვეღარ მოკლას, სისხლის ნახევრი გაუცუდდეს“ (ე.ი. ნახევარი სისხლის ფასი გადახდესო).[126]

მეორე დოკუმენტს სიმონ I-ის სასისხლო სიგელი წარმოადგენს მაღალაძეებისადმი (1592 წ.), რომელშიც ჩაწერილია: „თუ ვინმე საღალატოდ წავიდეს და თავადვე დაშალოს ან სხვათა დააშლევინონ, არა ზედა-აც. თუ გაჰმართოს და სიკუდილსა ეცადოს და ესევითარი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, მისგან მკუდარი იქნების და ნახევარი სისხლი დაეურვოს სიკუდილისა ცდისათუის.“[127]

მკვლელობის მცდელობის საკითხი საინტერესოდ გადაწყვიტა ვახტანგ VI სამართალმა. ღალატით მკვლელობის მცდელი უსაფრდება სამსხვერპლოს, მაგრამ „იმხანად იმ კაცს აღარ გამოევლოს,“ რის გამო განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში. მიუხედავად ამისა იგი ვითარცა მკვლელი (მთელი სისხლის გადახდით), ისე უნდა დაისაჯოს ჩასაფრებული. საქმე იმაშია, რომ „თავის გუნებით სიკუდილი სდომებია, მაგრამე ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომ გზაზედ აღარ გამოუვლია“ (59-ე მუხლი).

უფრო ადრეული დოკუმენტით (1470 წ.) თუ პირმა „საკლავად გამოჩმატოს და ვეღარ მოკლას, სისხლის ნახევრი გაუცუდდეს“[128]

როგორც ჩანს, ერთმანეთთან საუკუნეებით დაცილებული ზემოთ მოტანილი დოკუმენტები ზუსტად იმეორებენ 5-6 საუკუნის წინათ დაწერილ ბაგრატის სამართლის წიგნის მითითებულ მუხლებს.

აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს შემდეგი ხასიათის დასკვნები: მოტანილი დოკუმენტების საკანონმდებლო წყაროს ბაგრატის სამართალი წარმოდგენს, ან თავად ბაგრატის სამართლის წყაროა ქართული ჩვეულებითი სამართალი.

მთავრი კი მაინც ისაა, რომ დანაშაულებრივი მცდელობა არავითარ პასუხისმგებლობას არ იწვევს თუ პირი ნებაყოფლობით იღებს ხელს განზრახვის შესრულებაზე, ხოლო თუ ბოლომდე მი-

[126] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 142

[127] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206

[128] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 142

იყვანს განზრახვას, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ დადგება შედეგი, ამ შემთხვევაში მისი ქმედება ბრალეულ მცდელობად განიხილება და განახევრებულ სასჯელს იმსახურებს.

ღალატით მკვლელობის მცდელობა მკვლელობის ტოლი ჩანს. აღნიშნულს ქართლის მეფის როსტომის მიერ გამოტანილი ერთი განჩინება (1640 წ) გვაუწყებს: პურის საჭმელად შინ დაპატიჟებულთა ამოწყვეტა განუზრახავთ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, რასაც დამხდურთა დახოცვა გამოუწვევია. სასამართლომ ერთმანეთში გააბრა რა ღალატით მკვლელობის მცდელობა და მკვლელობა, ამიტომაც განჩინებაში ჩაწერა: „ბაადურის ღალატი და ქაიხოსროს სიკუდილი ერთმანერთს შეუფარდეთო“.[129]

მასალების მიხედვით მკვლელობის მცდელობა შემდეგში გამოხატებოდა: **ა) მკვლელი იარაღის მომარჯვებით (ესვრის თოფს) ცდილობს მიზნის განხორციელებას, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შედეგი არ დგება.** ერთ სასისხლო სიგელში აღნიშნულთან დაკავშირებით ასეა ნათქვამი „თუ გაჰმართოს (ცეცხლმსროლელი იარაღი – მ. კ.) და სიკუდილსა ეცადოს და ესევითარი კაცი (მოსაკლავი კაცი – მ. კ.) ღმერთმან მოარჩინოს (გადაარჩინოს – მ. კ.), მისგან მკუდარი იქნების და ნახევარი სისხლი დაეურვოს სიკუდილისა ცდისათუის.“[130]

1795 წელს გამოტანილი განჩინებით დაზარალებული აცხადებს: „დამბაჩა არ გამოუვარდა, თორემ ჩემზე დააცემინაო.“ ვითარების კონკრეტულად გარკვევას სასამართლო სამომავლოდ დებს.[131]

მკვლელობის მცდელობა ყველაზე უფრო რეალური მაინც მაშინაა როცა ჩახმახს დაუშვებს. ეს კარგად ჩანს მოპასუხის ჩვენებიდან: „მართალია, თოფი კი შეუმიზნე და დაცემინებით კი არ დამიცემინებიაო.“ მაგრამ სასამართლოს არ მიუჩნევია რა სარწმუნოდ მისი ჩვენება, წერს: „თოფის დაცდენისათვის ვახტანგ მეფის სამართალი ნახევარს სისხლს აჩენს, რასაც გვარისა იქნება.“[132]

1788 წელს გამოტანილი განაჩენით „გაბრიელ რომ ეწამება

---

[129] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 82

[130] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206

[131] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 653

[132] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 43

თოფი მომიღე, სასიკუდილოდ გამომიმეტე, ღმერთთან დამიფარა და არ გამოგიყარდაო.“[133] როგორც ჩანს, მკვლელობის მცდელობა მკვლელობისათვის განკუთვნილი მთელი სისხლის ნახევარია.

**ბ) მკვლელობის მცდელობად მიიჩნეოდა ცეცხლმსროლელი იარაღის მიღერება („მიშვერა“), მაგრამ არა ყოველთვის და ყველას მიმართ ერთნაირად.** თუ ასეთი მოქმედება ყმამ ჩაიდინა ბატონის მიმართ იგი უნდა დაისაჯოს, ტოლმა-ტოლის წინაშე კი შეიძლება არ აგოს პასუხი. 1793 წელს მდივანბეგები არჩევენ რა ყმის მიერ ბატონზე თოფით წევის („შეცეცხული თოფი გულზე მამიღო“) საქმეს ადგენენ: ყმამ „იმ კადნიერის ქცევისათვის და იარაღის ისე ხმარებისათვის თავისი ხელის სისხლი (ხელის ფასი – მ. კ.) მისცეს, რომ იქნება თავისი ხელის სისხლი ჭ (რვა) თუმანი.“[134]

სხვა განაჩენით, როცა მოდავე მხარეები სოციალურად ტოლნი არიან – „გაბრიელ რომ ეწამება თოფი მომიღე, სასიკუდილოდ გამომიმეტე, ღმერთთან დამიფარა და არ გამოგიყარადაო,“[135] სასამართლომ ფიცზე მიაგდო საკითხის გადაწყვეტა.

1795 წლის განაჩენით მომჩივანი აცხადებს „დამბაჩა არ გამოუვარდა, თორემ ჩემზე დააცემინაო.“[136]

ხანჯლითა თუ თოფით განხორციელებული რეალური მუქარა რომ მცდელობისამებრ განიხილებოდა ამაზე განაჩენში ფიქსირებული მომჩივნისადმი მოპასუხის ასეთი პასუხი გვარწმუნებს: „თუ შენ გალახვის სისხლს ითხოვ, მე ჩემის სახლში მოხდომისას, ხანჯლით წევისას, თოფის მოშვერისას და დაჭერისას სამართალს ვითხოვო.“[137]

მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ იარაღის დაღირებისათვის კონკრეტულ ვითარების კვალობაზე (სად მოხდა, როგორ გარემოში, ვინ ჩაიდინა, ვის მიმართ და სხვა) აგებდნენ პასუხს.

---

[133] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 400

[134] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 616

[135] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 400.

[136] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V. 653.

[137] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 600.

## §7. თანამონაწილეობა

ქართული სამართლის ისტორიაში დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხი ყველაზე სრულყოფილად ივ. ჯავახიშვილს აქვს შესწავლილი.[138]

სხვებთან ერთობლივი მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულს „ერთობით განზრახვად" იხსენიებს წყარო („ერთობით განზრახვითა ურთიერთას ყოველთავე დაუტევეს ქუეყანა იგი"[139]). ასევე ძველთაგან მომდინარე ზოგად ტერმინად ჩანს თანამონაწილის მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინი „თანამზრახველნი" („და დაუმტკიცეს განზრახვა მისი თანამზრახველთა მათ"[140] ან „მოუწოდა თანამზრახველთა თჳსთა და ეზრახა"[141]). .

სამართლის წიგნები დანაშაულში თანამონაწილეს ძირითადად არაბულიდან შემოსული ტერმინის ასაბიის სახელწოდებით იცნობს და ამ მხრივ გამონაკლისს რამდენიმე სხვა ხასიათის წერილობითი წყარო წარმოადგენს.

კახა თორელის დაწერილში რკონის ღვთისმშობლისადმი (1260) სამ ადგილას გვხვდება ტერმინი ასაბია, ამათგან არცერთში დანაშაულში თანამონაწილის მნიშვნელობით: „თუ აბხაზთა მეფეთა წინაშე მოიღონ ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მიასაბიონ, მათ ჰკითხნეს ღმერთმან ჩემნი ბრალნი აქა და მას საუკუნესა და თუ ვეზირთა და დარბაზის კარსა მოურავთა ჰნახონ და მათ არ მიასაბიონ, მათ ჰკითხოს ღმერთმა და თუ ვინ ჩემის გუარისაი სხუაი იყოს, თუ მან არ მიასაბიოს, მასცა უგმია ღმერთი."[142] ხოლო ვაჰანის მონასტრის განგებაში ასაბია (1204-1234 წწ.) ორგანაა მოხსენებული სამონასტრო წესის დამრღვევის თანამონაწილედ: „ნუ ვინ გამოჩნდების მეშფოთისა და მომთვრალისა ასაბიად... ჴელყოს ვინ ასაბიობა."[143]

---

[138] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, 206-210.

[139] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რეადქცია, თბ. 1955, ტ. I, 82.

[140] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რეადქცია, თბ. 1955, ტ. I, 109.

[141] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რეადქცია, თბ. 1955, ტ. I, 184.

[142] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 61

[143] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 142.

სამართლის წიგნებში ტერმინ ასაბიას მნიშვნელობა პროფ. ალ. ვაჩეიშვილს ათქმევინებს, რომ „დასახელებული მუხლები თავისი შინაარსით მეტად რთული ხასიათისაა და სპეციალურად გამოკვლევასა და შესწავლას საჭირეობენ."[144]

„ძეგლის დების" 41-მუხლი, საერთოდ კონკრეტულ დანაშაულის დასახელების გარეშე აცხადებს, რომ თუ ძირითადი დამნაშავის მხლები ასაბია „მოკუდეს ანუ დაიკიდოს, მის მომკვლელის კაცისაგან არც სისხლი დაეურვოს და არც გერში მიეცეს". ამ მუხლით ასაბიას სისხლის საზღაურის გადახდა იმას ადევს ვისაც ასაბია ახლდა. ამ შემთხვევაში მთავრი ისაა, რომ ასაბიას მოკვლისა ან დაჭრისათვის მკვლელი ან დამჭრელი არ აგებს პასუხს და რაც მთავარია ეს ეხება ყველა შემთხვევაში ასაბიას დაჭრას ან მოკვლას.

ამავე სამართლის 45-ე მუხლით ასაბია ყოველთვის თავდამსხმელის მშველელი და თანამდგომი როდია, არამედ დამხდურის კაციცაა. სწორედ ამ მუხლის მიხედვით, როცა ხელისუფლების მიერ რამოდენიმეჯერ გაფრთხილების შემდეგ ქურდი (მეკობრე) მაინც არ აბრუნებს ნაპარავს, ეს აიძულებს მოპარულის პატრონს თავს დაესხას მას, რა დროსაც მეკობრესთან ერთად შეიძლება მოკლული იქნას მისი ასაბიაც. მკვლელი ამ შემთხვევაშიც არ იხდის მის სისხლს.

ასაბიასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო დაკონკრეტდა ბექა მანდატურთუხუცესის სამართალში და ახლებურად განისაზღვრა პასუხისმგებლობა „რომლისა ასაბია იყოს" იმ კაცის პასუხისმგებლობა ასაბიას სიკვდილისათვის. მე-15 მუხლი ასე აყალიბებს ამ მოთხოვნას: „ასაბია თუ მოკუდეს, ასრე იქნას: რომლისაცა ასაბია იყოს, მან უზღოს სისხლი და გერშიცა". ზღვევის საკითხი კი გადაწყდება იმის მიხედვით – რა ურთიერთობაში იყო „წამყვანელი კაცი" მის მიერ წაყვანილ ასაბიასთან – ეს უკანასკნელი ან მისიანები მოითხოვენ თუ არა სისხლის ანაზღაურებას.

რამდენად სრულდება ცხოვრებაში ასაბიას მოკვლისა თუ დაჭ-

[144] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, 1946, 214

რისათვის მხოლოდ მისი „წამყვანი კაცის“ პასუხისმგებლობა, ამას ქვემოთ დავინახავთ, სასამართლო პრაქტიკის შესწავლით.

მეტად მნიშვნელოვან დანაწესს წარმოადგენს სისხლის ზღვევასთან დაკავშირებით ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის მე-17 მუხლი. ამ მეტად რთული შინაარსის მუხლის ჩვენებური პერეფრაზირება ასეთია: გარდა ღალატის დროს ასაბიობისა, თუ სისხლი და გერში არ ემართოს მისი და ისე დასხმოდეს თავს ვინმეს, ასაბიას „წამყვანი კაცის“ და მისი ასაბიას მოქმედება განიხილება როგორც მიხდომით თავდასხმა. ამავე სამართლის მე-12 მუხლის მიხედვით კი, თუ ასეთ დროს ზედ დამსხმელი და მისი ასაბია მოკვდეს ან დაიჭრას, მათი სისხლი არ ნაზღაურდება, ხოლო თუ თავდასხმული მოკვდეს, ან დაიჭრას, ორმაგად უნდა ზღოს თავდამსხმელმა.

როგორც ჩანს ასაბიობა იმ დროს როცა რამდენადმე მაინც საპატიო მიზეზი არსებობს თავდასხმისათვის (თავდასხმულის მხრივ სისხლის და გერშის მართება თავდამსხმელზე) შემამსუბუქებლად ითვლება.

ვახტანგ VI სამართლის წიგნმა 50, 51, 52 მუხლებში, კიდევ უფრო მრავალმხრივ გაიაზრა ასაბიას როლი და პასუხისმგებლობის საკითხები. სასაფლაოზე, სასახლესა და ცოლშვილში, ასევე ბატონის სახლის ახლოს მდებარე გლეხის ოჯახზე მიხდომის დროს თუ „მიმხდომი კაცის“ თანმხლები ასაბია იქნება მოკლული, ან დაჭრილი, მის მკვლელს და დამჭრელს რაიმე პასუხისმგებლობა არ აწევს. 51-ე მუხლით კი ასაბიას მოკვლის ან დაჭრის შემთხვევაში „ასაბიასი მან იცის, ვისაც მოჰყოლია.“ ე. ი. პასუხისმგებლობა ასაბიას წამყვანს აწევსო.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 53-ე და 54-ე მუხლებით ისეთ შემთხვევაშია გათვალისწინებული ასაბიას მოკვლისათვის პასუხისმგებლობა, როცა: ა) თუ უსახლო და უცოლშვილო მამულში მოხდა მიხდომა, სადაც მიმხდომი და მისი ასაბია იქნა მოკლული, რისთვისაც სისხლის ნახევარს იხდის მკვლელი (დამხდური), ბ) მეორე შემთხვევაში (54-ე მუხლი) კი პატრონის იქ არ ყოფნის დროს მისი სახლის დარბევისას ასაბიას მოკვლა, მსგავსად 53-ე მუხლისა – ნახევარი სისხლით ნაზღაურდება.

ორივე შემთხვევაში არა ასაბიას „წამყვანი კაცი“ იხდის საზღაურს, არამედ მიმხდომელი. ე. ი. როგორც ჩანს არც ისე ყოფილა საქმე როგორც ამას სამეცნიერო ლიტერატურაში ირწმუნებიან, რომ ასაბიას მოკვლასთან და დაჭრასთან დაკავშირებით ყოველთვის ასაბიას „წამყვანი კაცი“ აგებს პასუხს, და „ასაბიას სისხლის საზღაურის გადახდა, როგორც წესი, წამყვანელ კაცს ეკისრებოდა.“ [145]

მეტად საინტერესო ვითარებაა გადმოცემული 75-ე მუხლით, რომელიც უფროსი კაცის (გვარიშვილობით) მოკვლას ეხება უმცროსის მიერ. ამ დროს თუ მკვლელი და მისი სახლისკაცები წინასწარ არ იყვნენ მოლაპარაკებულნი („ერთი რჩევა და ერთი საქმე არა ქონია“) და არც სურვებიათ ასეთი შედეგი დამდგარიყო, მაშინ ისინი მკვლელის გარდა თავისუფალნი არიან პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ თუ „რეულან და ერთად უქნიათ“, მათაც უნდა აგონ პასუხი მკვლელთან ერთად.

ეს მუხლი ხაზგასმაა იმაზე, რომ ქართველი კანონმდებელი დანაშაულში თანამონაწილეს – ასაბიას წინასწარი განზრახვით შედეგის დადგომის სურვილისათვის („ერთი რჩევა და ერთი საქმე“) სჯის. იგი ერთობლივ მოქმედებაში („რეულან და ერთად უქნიათ“) უნდა გამოიხატებოდეს.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ „ასაბიას“ ინსტიტუტი შუა საუკუნეების სვანეთშიცაა დადასტურებული, აქაც იგივე შინაარსის მატარებელია იგი, როგორისაც საქართველოს სხვა კუთხეებში.[146]

ახლა ვნახოთ თანამონაწილეთა შინაარსით როგორი ტერმინები გვხვდება ძველ ქართულ დამწერლობაში. თავდაპირველად იმით გვსურს დავიწყოთ, რომ დღეს დანაშაულში თანამონაწილეობის მნიშვნელობით საყოველთაოდ დამკიდრებული ტერმინი **თანამონაწილე** X საუკუნემდელ მასალებში ვერ მოვიპოვეთ. გრიგოლ ხანძთელი ეუბნება თავის ერთგულთ: **„მე თანამონაწილე მყავთ“** თქვენს მიერ გადაწყვეტილი კარგი მიზნისაო.

[145] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975, 620.

[146] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. კეკელია მ., ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით, თსუ შრომები, B1(138), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 1971, 185.

ძველ ქართულ ლიტერატურაში თანამონაწილის შინაარსით ყველაზე გავრცელებული ჩანს შემდეგი ტერმინები (მიუთითებთ მხოლოდ თითო ოროლა წყაროზე):

**თანამზრახველი:** „გყო შენ **თანამზრახუელად** ჩემდა“ (IX საუკუნე, მარტვილობა კონსტ. კახაისი).[147]

**ერთზრახი:** „ერთ-ზრახვად შეკრებულნი“ (X საუკუნე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). [148]

**თანამოქმედი:** „თანაცა სათნო-ეყოფვიან მოქმედთა მათ“ (რომაელთა 1.32); „მეოხებით და თანამოქმედებითა“ შიოსითა (XII საუკუნე, დაწერილი ჭიაბრისა მღვიმისადმი). [149]

**თანაშემწე:** „ყოვლითა ძალთა **თანაშემწე** თქუენდა ვარ მე“ (VII საუკუნე, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა). [150]

**ერთჴმაქმნილი:** თანამზრახველთა შეთანხმების მნიშვნელობით წერს თამარ მეფის ისტორიკოსი რომ თამარს „ყოველთა **ერთჴმაქმნილთა**“ შეაბეს სამეფო ხმალი.[151]

**ზიარი:** კალმასობაში ბერი უამბობს დიმიტრი ბაგრატიონს, რომ პაატა ბატონიშვილი სიკვდილით დაისაჯა, „რადგან მეფისა და მამულისა მუხანათად აღმოჩნდა და მისნი **ზიარნიც** დაისაჯნენ.“[152]

ასევე თანამონაწილეობის შინაარსით გვხდება ტერმინები: **თანაბრალი** (ბიბლია), **თანა მოდგამი, თანადგომი, თანამოდასე, თანაზიარი, ერთხმაქმნილი, შეზრახულნი, თანაშემწე, მუშა, ამხანაგი.**

როგორც ჩანს, კიდევ უფრო ზუსტდება ივ. ჯავახიშვილის მიერ დაძებნილი თანამონაწილეობის გამომხატველ ტერმინთა რა-

---

[147] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, თბ., 1946, ტ. I, 77.

[148] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, თბ., 1946, ტ. I, 102.

[149] ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, 28.

[150] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, თბ., 1946, ტ. I, 91.

[151] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, ტ. II, თბ., 1959, 116.

[152] ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, კ. კეკელიძის და ალ ბარამიძის რედაქციით, თბ. 1948, ტ. II, 258.

ოდენობა.[153]

თანამონაწილეობის დამახასიათებელ ნიშნად იყო მიჩნეული – ერთზრახობა, ერთსულოვნება და ერთნებობა. ასე რომ ჩვენ წინაპართა წარმოდგენით თანამონაწილეები ერთი ფიქრით, ერთი საქმით და ერთიანი ნებით მიილტვიან მიზნად დასახული მოქმედებისაკენ. ეს რომ ასეა მიუთითოთ სათანადო წყაროებზე:

გრიგოლ ხანძთელი (X ს.) მოგვითხრობს, რომ აშოტის შვილები (ძმები) **„ერთზრახვა, ერთსულ** და **ერთნება** იყვნეს."[154]

ამ სამი კომპონენტიდან მთავარი მაინც **ერთნებობა** იყო. ვიყოთ „ერთნებადო" – მიმართავს ჭეშმარიტად თანადგომის მოსურნე თავის პარტნიორს.[155] (XII ს. დიდი სჯულისკანონი).

თანამონაწილეობის საქმით და აზრით ერთიანობაზეა მითითებული „მცირე სჯულისკანონში" (XI ს.): „რომელნი წარიტაცებენ დედათა და ესრეთ ტაცებით და მძლავრებით იქორწინებენ და რომელნი ტაცებასა მას **თანა-შემწე** და **თანა-მზრახველ** და ძალმცემელ იყვნენ,"[156] უკლებლივ უნდა დაისაჯონ.

თანამონაწილეობასაც რომ წინასწარ ყოველმხრივ შეთანხმება-მომზადება უნდოდა, აღნიშნულზედაც გვიქმნის წარმოდგენას სათანადო წერილობითი წყაროები. „დიდი სჯულისკანონით" განზრახ მკვლელობის ჩადენას წინ უსწრებს „წინაგანმზადებულებითი" მოქმედება („წინასწარ იწურთდეს"). სწორედ ასეთ მომზადება-წვრთნაში ებმებიან თანამონაწილენი. იგი გამოიხატებოდა თანამონაწილეთა ორგანიზაციულ საქმიანობაში, სხვადასხვა საშუალებათა გამონახვაში, წაქეზებაში, ასრულებაში და ა. შ.

დანაშაულის ჩადენაში მხილებული თანამონაწილენი ერთობლივ აგებენ პასუხს, ხოლო თუ რომელიმე მათგანი ვერ იქნება მიკვლეული, ან მიიმალება, მისი წილი პასუხისმგებლობა (საზ-

[153] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნეკვეთი მეორე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 207-210.

[154] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, თბ., 1946, ტ. I., 118.

[155] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 452.

[156] მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა, თბ., 1972, 71.

ღაური) ერთობლივ სხვებს დაეკისრებოდა. აღნიშნულზე ცნობა შემოგვინახა ერეკლე II მიერ გამოტანილმა ორმა განაჩენმა (1781 წ.).

პირველით თანამონაწილე მკვლელთა შორის „ერთმანეთის თანხმობით" რამდენიმე კაცის მკვლელობაზე განაჩენი აცხადებს: რადგან მკვლელებს „ერთმანეთის თანხმობით მოეხდინათ შფოთი, ან მკვლელნი რომელნიც არიან, ისინი უნდა სამართალს მოსცენ და ან თითონ ერთობით უნდა სისხლი დაუურვონ" (ე. ი. სისხლი ფასი გადაიხადონ – მ. კ.).[157]

მეორე განაჩენში ვკითხულობთ: „ამ პაპუას მოხდომაში სამოცდათექვსმეტი კაცი რომ ყოფილა, ამ სამოცდათექვსმეტის კაციდამ, რომელსაც ხელში ჩაიგდებს (დაზარალებული – მ. კ), იმას უნდა გარდახდეს. ამის თქმა არ იქნება: მე **მუშა** ვიყაო, მე საქმე არ მაქვსო. რომელიც თავის თავს **მუშას** ეძახის იმას უფრო დიდი დანაშაული აქვს."[158]

მუშა (მუშანი) რომ თანამონაწილე, დამხმარეა ეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლითაც დასტურდება.

თანამონაწილეთა კოლექტიურ პასუხისმგებლობას ეხება ერეკლე II-ის მიერ გამოცემული კანონი, რომლის შინაარსი ასეა ჩაწერილი ერთ განაჩენში: „თუმცა მისი უმაღლესობის მეფის ბრძანება ასე არის, რომ რომელმაც ოსმა ქურდობა ჰქმნასო, საქონლის მოპარვა, კაცის კვლა, თუ ტყვის გასყიდვაო, ოცნი ამხანაგნი რომ იყვნენ და იმ ოციდამ ერთი ჩავიგდოთ ხელშიაო, სულ იმან უნდა ზღოსო."[159]

სასამართლო პრაქტიკას ცნობა დაუცავს იმაზედაც, რომ დანაშაულში თანამონაწილეთ იმის მიხედვით მოეთხოვებათ პასუხი, თუ ვინ რა მოქმედება ჩაიდინა. სასიკვდილოდ თოფის სროლასთან დაკავშირებით გამოტანილ განაჩენში ვკითხულობთ: „ორმოცდარვა თუმანი სისხლი თოფის მსროლელმა მეღორემ და ხუთმა იმისმა

[157] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 648.

[158] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 530.

[159] უფრო დაწვრილებით იხ. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. I, თბ., 1970, 67.

ამხანაგმა ლუარსამს უნდა მოსცენ. მაგრამ თოფის მსროლელმა სხვის თავის ამხანაგებზე მეტობით უნდა გაიღოს“ და იქვე ისევ იმეორებს: „თოფის მსროლელმა მეტობით უნდა გაიღოს სხვას თავის ამხანაგებზე.“[160]

ფრიად საინტერესო ცნობა დაუცავს თანამონაწილეობის შინაარსთან დაკავშირებით ერეკლე II თავმჯდომარეობით გარჩეულ ერთ საქმეს (1788): ზალდასტანიშვილის ყმებს განუზრახავთ გაძარცვის მიზნით ბატონის მოკვლა, რომელსაც თავის სახლში თავის ცოლთან მძინარეს დაესხნენ. თავდამსხმელნი დაკავებულნი იქნენ. სასამართლოში ორი პირზე ადგება ერთ-ერთს: „შენ აგვიყოლიეო,“ ჩვენ რომ ოთახში შევედით მოსაკლავად, შენ კარებში დადექი თოფით და გვითხარი: „თქვენ შინ შედითო, მოკალითო და მე აქ კარზე თოფით დავდგებიო და თუ მეშველი მოვა ვინმე მე თოფსა ვკრაო და **ჩვენი პირობა სულ ერთი იყოო**“. აღნიშნულიც ადასტურებს: **„მართალია პირობაც ერთი გვაქონდაო“**. არ ცხრება ორი დანარჩენი: **„შემგულიანებელიც** შენ იყაო და **მრჩეველიცაო.“**[161] როგორც ჩანს სახეზეა თანამონაწილეთა „ერთნებობა ერთზრახვის“ ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ორგანიზატორობა, შეგულიანება და მრჩევლობა, რასაც ერთი პირობა და ერთი მიზანი კრავს.

თანამონაწილეობის საკითხს ეხება საქართველოში ფართედ გამოყენებული „მცირე სჯულისკანონი“, რომელშიც სათანადო ადგილი ბერძნულიდან ასეა გადმოღებული: „რომელნი წარიტაცებენ დედათა და ესრეთ ტაცებით და მძლავრობით იქორწინებენ და რომელნი ტაცებასა მას თანა-შემწე და თანა-მზრახვალ და ძალმცემელ იყვნენ, ესევითარითა მათთჳს ბრძანებს წმიდაჲ ეს კრებაჲ: უკუეთუ მოწესენი იყვნენ, აღიჴოცნენ პატივისა მისგან, უკუეთუ ერისკაცნი იყვნენ, განიდევნენ ეკლესიისაგან.“[162] (მუხ. ო – 178).

ეს ადგილი ექვთიმეს მიერ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებიდანაა თარგმნილი. იგი არსენ იყალთოელის თარგმანში ასე იკითხება: „რომელნი აღიტაცებდნენ (მოიტაცებდნენ –

[160] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 43, 44.

[161] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 440.

[162] მცირე სჯულისკანონი, 71.

მ. კ.) დედათა სახელითა თანამცხორებლობისაჲთა (ცოლად შესართველად – მ. კ.) და რომელნი თანამოქმედ და თანაჯერმჩინებულ (ხელის შემწყობი – მ. კ.) აღტაცებისა მის იქმნებიან, განასაზღვრა მათთჳს წმიდამან კრებამან, რაჲთა უკუეთუ სამღდელონი იყვნენ, უცხო იყვნენ თჳსისა პატივისაგან (აეყაროთ სამღვდელო ღირსება – მ. კ.), ხოლო უკუეთუ ერისკაცნი – შეიჩუენნენ."[163]

როგორც ჩანს, ექვთიმე მთაწმინდელი უფრო განვრცობით თარგმნის მითითებულ ადგილს, რომელშიც ის შესწორება შეაქვს, რომ პასუხისმგებლობას აკისრებს თანამონაწილეთა ფართო წრეს (თანა-შემწე, თანამზრახველ და ძალ-მიმცემ), თან არ განასხვავებს ერთმანეთისაგან საერო და სასულიერო პირთ.

## §8. გამზავებელის ანუ შუად-მისულისათვის

მკვლელობა-დაჭრაზე და სხვა დანაშაულზე საკანონმდებლო მრავალმხრივ მიდგომას არ შეიძლებოდა ყურადღების გარეშე დარჩენოდა ამ მძიმე დანაშაულის თავიდან აცილების რაც შეიძლება ეფექტური მექანიზმის შექმნა. ასეთ ვითარებაში თავისებურად ჩანს, საზოგადოებრივი უშიშროების და მყუდროების შენარჩუნების საქმეში საზოგადოების მონაწილეობა.

ასეთი პირნი ქართულ სამართლის წიგნებში რამდენადმე განსხვავებული სამი სახელწოდებით იხსენიებიან. გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დებაში **შუად** (26-ე მუხლი), აღბუღას სამართლის წიგნში **შუა-მდგომად** (მე-16 მუხლად), ხოლო ვახტანგ VI სამართალში **შუა-მისრულად** (58-ე მუხლი).

სხვა ხასიათის მასალებში კი გვხვდება **მაზავებელი** და **მაშვალიც**.

ქართულ კანონმდებლობაში, სასამართლო ხასიათის მასალებში და მდიდარ სასულიერო თუ საერო ლიტერატურაში, გვხდება მეტნაკლებად გამზავებლისა და გამშველებლის შინაარსის მატარებელი სხვა სიტყვებიც. ასე მაგალითად: მეოხი, შუამავალი,

[163] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 401-402.

შუაშესვლა, შუაკაცი, შუადამხდური, მაგრამ ყველა მათგანი შემწეს, დამხმარის მნიშვნელობით უფროა და არ ესადაგება მაზავებლის (გამშველებლის) ფუნქციას.

გამშველებელი კაცი არც ერთი მოჩხუბარ თუ მოდავე კაცის მხარეზე არ უნდა იყოს, იგი მხოლოდ მხარეთა შეთანხმების და ურთიერთმშვიდობიანად დაცილებისათვის იღწვის. თუკი ასეთ თვისებებს არ ავლენს ამ გაშველების დროს, აშკარად მიემხრობა რომელიმე მხარეს, იგი უკვე გამზავებელი არაა და რომელიმე მოჩხუბრისა თუ მოდავის მხარის დამჭერად იქცევა.

გავიცნოთ თითოეული დოკუმენტის შინაარსი, იმაზე ხაზგასასმელად თუ როგორ ესმოდათ ჩვენს წინაპრებს მაზავებლის მნიშვნელობა.

გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების 26-ე მხულის ერთი ნაწილი გვაუწყებს: „შუად (მაზავებლად – მ. კ.) მონაზონი ანუ მწირველი ხუცესი, ანუ დიაცი მივიდეს, ესრეთ რომე აბჯარი არა ჰქონდეს და ასეთი მოკლან, ვინც მოკლას ორკეცი სისხლი დაიურვოს მისსა გუარსა ზედა.“

ყველაფერი გასაგებადაა თქმული – გინდ ერთი გამზავებელი მოკლას და გინდ ორი კაცი სხვა დროს, სასჯელი ერთნაირია.

თქმულს ისიც უნდა დაემატოს თუ როგორ იცავს ქართული სამართალი საერთოდ ქალის ღირსებას. მით უფრო რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხური ტრადიცია ქალს – მოსისხლეთა შებმის დროსაც კი, როცა მისი მანდილის ძალას ვერავინ წაუვიდოდა, შერკინება უნდა შეჩერებულიყო.

გიორგი ბრწყინვალის კანონის მოთხოვნა თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ბექა-აღბუღას სამართალმაც: „მონაზონისა და დიაცისა, ხუცისა, თუ შუად მოსრული იყოს და ესეთი რომელი მოკვდეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს, რისაც გვარისა იყოს. გერშიცა – ამავე წესითა.“ (მე-16 მუხლი).

როგორც ჩანს აქ მხოლოდ იმით წინაურდება კანონმდებელი რომ გარდა მკვლელობისა მათი დაჭრისთვისაც (გერში) გააჩინა ორმაგი სისხლი.

დაბოლოს ვახტანგ VI სამართლის წიგნიც ვერ აცდა, ალბათ ჩვეულებითი სამართლიდან პირველივე კანონში გადასულ გამზა-

ვებელთა დაცვის ტრადიციულ გზას და აცხადებს: „თუ **შუამავალი** მოკუდეს, ბერი თუ მონოზანი, ქალი თუ კაცი, მოკითხული უნდა იქნას. თუ მართლის გამოჩენით ჩნდეს, რომე შუამავალი ყოფილიყოს და არცერთის მომწმარო არ ყოფილიყოს, სიკუდულისა და ჭრილობისაც ორკეცი სისხლი უნდა მისცეს“ და იქვე აგრძელებს, მაგრამ „თუ მომწმარო ყოფილაო (ე. ი. ეხმარებოდა რომელიმეს – მ. კ.) რომლისამე, ვისაც მოწმარებოდეს მას ელაპარაკოს (მისგან მოითხოვოს საზღაური – მ. კ.)“ (58-ე მუხლი). როგორც ჩანს, კიდევ გადაიდგა ერთი ნაბიჯი იმით, რომ ახლა გამზავებელი ადამიანის, ქალისა თუ კაცის სიცოცხლის უსაფრთხოებას იცავს კანონმდებელი.

კიდევ უფრო თავისებურად დგება საკითხი გამზავებელზე ხელყოფის შესახებ ერეკლე II მიერ დადგენილ ქიზიყის მოურავის სარგოში. აქ გამზავებლის სახელწოდებით მეშველი ჩნდება – „ჩხუბში რომ მეშველმა თავი გაუტეხოს, გასამტეხლო არ გამოერთმევა.....“[164] როგორც ჩანს, პირველად ამ დოკუმენტით მაშველს აქტიური მოქმედების უფლება ენიჭება. მას შეუძლია დააზიანოს კიდევაც ურთიერთ სამკვდრო-სასიცოცხლედ შებმულნი. ხელთ გვაქვს მეფე თეიმურაზ II-ის და სხვა კვალიფიციურ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განჩინებაც, რომელშიც **მეშველთა** აქტიურ მოქმედებაზეა ლაპარაკი: „მეშველი მისულიყვნენ და გაეშველებინათ.“[165]

ასევე მოგვეპოვება 1800 წელს დათარიღებული ეპისკოპოსთა და დარბაისელთა განაჩენი, რომელშიც ვკითხულობთ: „სოფრომ იჩივლა: შიოშ და ბეჟან წაიკიდა. ამაში ჩემი შვილი დაიჭრა. გავსინჯეთ, **სამართლის წიგნს ვკითხეთ, მარა არაფერი გამოვიდა, მაზაობლობაში დაჭრილა და** არაფერი გაჩნდა“.[166] როგორც ჩანს სოფრომის შვილი არ უცვნიათ გამზავებლად. იგი ან არ დაჭრილა გაშველების დროს, ან რომელიმე მხარეს ეხმარებოდა.

როგორც ჩანს, ქართული სამართლის თითქმის ყველა წიგნი იცნობს მაზავებლის ინსტიტუტს. ეს არცაა უცხო, ზნესრულ

[164] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 411.

[165] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 355.

[166] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 244-245.

საზოგადოებაში ადამიანური ვალი და ვაჟკაცობაა საქმითა თუ სიტყვით ჩაერთო მოდავეთა დამშვიდება-დაშოშმინებაში და აღნიშნულით უბედურება ააცილო საზოგადოებას.

ჩვენი ხალხი მუდამ მტკივნეულად მიიჩნევდა სხვათა გასაჭირს, სწორედ ამდენად კანონმდებლობა გარკვეულ გარანტს უქმნიდა გამშველებლის ხელშეუხებლობას.

მაზავებლობა რამდენადმე დამოკიდებულია იარაღის ტარების და გამოყენების შესაძლებლობაზე. სწორედ ესეც უზრუნველყოფდა ჩვენში მაზავებლის ხელშეუხებლობას.[167]

დასანანია, რომ დღევანდელმა სისხლის სამართალმა სულ დაივიწყა გამზავებლის მკვლელობის ან დაჭრის მიჩნევა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად, რითაც დიდ სამსახურს გაუწევდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განმტკიცების საქმეს.

## §9. შურისძიება

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაუკუღმართებულადაა საკითხი შესწავლილი, სამართლის წარმოშობის, მისი არსის, განვითარების კანონზომიერების და სამომავლო ბედთან დაკავშირებით. განმარტებულია, რომ სამართალი ისტორიული კატეგორიაა. ისე როგორც სახელმწიფოს, მისი წარმოშობის უპირველესი მიზეზი საკუთრების გაჩენაა, რაც ძირითადად ეკონომიკითაა განპირობებული. ბოლოს და ბოლოს კი ყველაფერი დაყვანილია კლასთა ბრძოლის შედეგებამდე.

შურისძიება სისხლის სამართლის ყველაზე უფრო ძირძველი ინსტიტუტია. უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ შურისძიება ქვეყნად სამართლის გაჩენასაც კი უსწრებდა წინ.

შურისძიების რაობაზე დაკვირვებაც, მისი განსხვავებული ხასიათები და გავრცელების სფეროები იმის თქმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ შურისძიება ისეთ ფსიქიკურ და ფიზი-

[167] რაოდენ კურიოზად არ უნდა მოგვეჩვენოს საბჭოთა სისხლის სამართალი არ იცნობს მაზავებლის (გამშველებლის) ინსტიტუტს, რომლის ფუნქცია ათასნაირი რაზმელის დონდემდე იყო დაყვანილი. თანამედროვეობის ვალია აღადგინოს ქართული მაზავებლობის ინსტიტუტი.

კურ დამოკიდებულებად მივიჩნიოთ შურისძიების ობიექტისადმი, რომელიც სცილდება სისხლის სამართლებრივს და ზნეობრივ-რელიგიურ, თუ საერთოდ სამოქალაქო ხასიათის სფეროში იჭრება. თქმულს კარგად ადასტურებს ამ ტერმინის ფუძე – **შური.**

ქართული წერილობითი მასალების საფუძველზე შურისძიება ყოველთვის სამაგიეროს და რაც მთავარია ყოველთვის მიყენებული წყენისთვის ტოლი სამაგიეროს მიზღვევას როდი წარმოადგენდა. იგი დაუოკებელი სურვილია მეტი წყენა და ზიანი მიაყენონ არმოსაწონი მოქმედებისა თუ ყოველგვარი წყენისათვის.

შურისძიება თავისი ხასიათით უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე მესისხლეობა. მესისხლეობა ხომ შურისძიებას სისხლის სამართლის ატრიბუტად აქცევს.

შურისძიების ხასიათი კარგადაა გახსნილი ჩვეულებითი სამართლის ცნობილი მცოდნის, ნ. ხიზანაშვილის მიერ, რომელიც საათაბაგოს სამართლის მოთხოვნათა გათვალისწინებით წერს: „მოკვლისათვისაც მარტო სამამულო შურისძიება შეიძლებოდა და არა სასისხლო“ (მე-2 მუხლი).[168]

ნ. ხიზანაშვილის მიერ ასე ძუნწად მოწოდებული ცნობის გაღრმავების და განვრცობის შესაძლებლობას იძლევა ქართული კანონმდებლობა და ხალხური სამართალი. მათი მონაცემებით შურისძიება ორი სახისაა – ქონებრივი და პირადი შურისძიება. შურისძიების ამდაგვარი დაყოფა თითქმის დამკვიდრდა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. დამკვიდრდა უმეტესად უცხოურის გავლენით. ასეთი დაყოფის დროს სავსებით არა აქვს ანგარიში გაწეული ნ. ხიზანაშვილისეულ დაყოფას, რომელიც ზემოთ აღნიშნულთან შედარებით არამარტო ზუსტია, არამედ ბევრად მეტყველი და ეროვნული.

მაინც რაში მდგომარეობს აღნიშნული? ქონებრივ შურისძიებას რომ სამამულე შურისძიება სჯობს, იქედან ჩანს, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენში ცნობილია შურისძიებით დარბევა-აოხრება, რაც მუდამ მამულთან (მიწასა და კარ-მიდამოსთან) იყო დაკავშირებული. სწორედ რომ კარმიდამოს სიწმინდე და შეუვალობა იყო დაცული ქართული ტრადიციით და მისი იავარყოფა

[168] ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, 447.

(აოხრება, დარბევა, გადაწვა) მიიჩნეოდა უძმიმეს მატერიალურ და ზნეობრივ ბოროტებად. ტერმინ **ქონებრივი** შურისძიების დროს კი ყოველთვის როდი გაიაზრება მამულის, მასზე არსებული სიკეთის იავარყოფა.

რაც შეეხება შურისძიების მეორე სახეს, რომელსაც დღეს პირად შურისძიებას ვეძახით, აქ სიტყვა პირადში ყოველთვის და თავისათავად როდი იგულისხმება ის, რომ საკითხი მკვლელობას ეხება ძირითადად. ამდენად, **სასისხლო შურისძიება** არა მარტო შურისძიებით ჩადენილი მოქმედების სიმძიმის აღქმას აადვილებს, არამედ მის შინაარსში უკეთ გარკვევის შესაძლებლობასაც იძლევა.

შურისძიება მთელი კაცობრიობის სატკივარი იყო ოდითგანვე. თუ აქაც ნ. ხიზანაშვილს დავესესხებით: „ვერცერთმა ხალხმა ვერ შეძლო, სმენა და ყური აერიდა ამ ღაღადებისათვის.“[169] აღნიშნულს რომ თავის მიზეზები გააჩნდა ისიც კარგად აქვს შეგნებული განსწავლულ იურისტს, როცა წერს: „თუ პირვანდელ დროს შურისძიება დაუცხრომლად მძვინვარებს, ამის მიზეზი სხვათაშორის, ისაა, რომ სარწმუნოება შურისძიებას წმინდა მოვალეობად ჰხდის.“[170] დიახ, სწორედ ასე იყო, ამიტომაც ხდებოდა რომ შურისძიებას ამართლებდა და ეყრდნობოდა ყველა სარწმუნოება, რომლის დამადასტურებელი მასალა ამ წიგნშიც მრავლად მაქვს დამოწმებული.

შურისძიების დაკანონება ბიბლიური (ძველი აღთქმის) წარმომავლობისაა. ღმერთი ასე მოძღვრავდა ისრაელ ხალხს:

„თუ უბედურება მოხდა სიცოცხლე სიცოცხლის წილ უნდა ზღონ. თვალი თვალისწილ, კბილი კბილის წილ, ფეხი ფეხის წილ. დამწვრობა დამწვრობის წილ, ჭრილობა ჭრილობის წილ, ნატკენი ნატკენის წილ“ (გამოსვლა, 21.23-25).

ბიბლიით შურისძიების ამოსავალი პრინციპები (ტალიონის პრინციპი) შეურყეველია, მაგრამ ყველას მიმართ ერთნაირად როდი მოქმედებს იგი. გააჩნია მოდავეთა სოციალურ მდგომარეობას. თუ ისინი ტოლი არიან მაშინ მოქმედებს ტალიონის პრინციპი, ხოლო თუ დამზარალებელი შედარებით მაღალ სოციალურ კიბურაზე დგას, მაშინ ხდება მიყენებული ბოროტების კომპენსირება. „თუ

[169] ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982,, 446.

[170] ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982,, 448.

კაცი თავის ყმას ან მხევალს თვალში ჩაარტყამს და გაუფუჭებს, თვალის წილ (თვალის გაფუჭების სამაგიეროდ – მ. კ.) უნდა გაათავისულოს. თუ ყმას ან მხევალს კბილს ჩაუმტვრევს კბილის წილ უნდა გაათავისუფლოს“ (გამოსვლა, 21.26-27).

კარგად ჩანს ისიც, რომ „სიცოცხლე სიცოცხლის წილ“-ს სოციალურით გამოწვეული უპირატესობანი არ შეხებია. ყოველ შემთხვევაში ბიბლიის შედგენის დროს პრივილეგირებული საზოგადოება არ სარგებლობს შურისძიების შეუვალობით.

ბიბლიის სხვა ადგილას უფალი ასე ელაპარაკება მოსეს:

„ადამიანის მკვლელი უნდა მოკვდეს... ვინც რამე ზიანს მიაყენებს თავის თვისტომს, მასაც ისევე უნდა მოექცნენ, როგორც თავად მოიქცა. მოტეხილობა მოტეხილობის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, რა ზიანიც მიაყენა ადამიანს იგივე ზიანი უნდა მიაყენონ“ (ლევიანნი, თ. 24.17; 24.19-20).

ისევ და ისევ იმოძღვრება ბიბლია: „სიცოცხლე სიცოცხლის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ხელი ხელის წილ, ფეხი ფეხის წილ“ (მეორე რჯული, 19.21).

საუკუნეებით სავალი გზაა გადაჭიმული ძველი აღთქმიდან (ბიბლიიდან) ახალ აღთქმამდე (სახარებამდე). როგორც გზის ამ მონაკვეთზე ჩანს, შურისძიება თანადათანობით თმობს პოზიციებს და ახლა მხოლოდ ძველზე (ბიბლიაზე) მითითებით შეაგონებს საზოგადოებას: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ, და კბილი კბილისა წილ“ (მათე, 5.27).[171]

უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის მიერ შურისძიებაზე უარის თქმა, კანონმდებლის ერთი რომელიმე დანაწესით არსად არ მომხდარა. იგი უპირველესად ხალხის სულსა და გულში იხარშება და წვეთ-წვეთად იგმობა ხალხისავე (ჩვეულებითი) სამართლის მიხედვით.

არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ ქართულ საისტორიო წყაროებსა თუ ლიტერატურულ ძეგლებიდან კარგად ჩანს, რომ ჩვენამდე მოღწეული დამწერლობით პერიოდიდან, ქართული სინამდვილე გამოსული იყო შურისძიების სფეროდან.

---

[171] ახალ ქართულზე მითითებულია: ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ. 1989.

ჩვენში ბიბლიისა და სახარებით თარგმნის პერიოდიდან (V საუკუნე) მკვლელობა როგორც უმძიმესი დანაშაული – სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესის სფეროშია მოქცეული. სათანადო წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ამ დროის ქართველებს უკვე წარმოდგენა აქვთ **ბრალზე** და ერთმანეთისაგან განასხვავებენ განზრახ და განზრახვის გარეშე მკვლელობას.

გაერთიანების პერიოდში (X-XIII სს.) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ სამართლებრივი კულტურის მაღალი დონეც განაპირობა, რაც სასჯელთა ჰუმანიზაციაში გამოვლინდა უპირატესად.

მონღოლთა ბატონობამ ავბედითი გავლენა სამართალზედაც მოახდინა. ქვეყნის დაჩიხულობამ ბიძგი მისცა სასამართლო პროცესის დაკნინებას, მტკიცებულებად ღვთის მსჯავრის გაჩენას (თუ გამოცოცხლებას, ეს საკვლევია) და რაც მთავარია შურისძიების უფლების აღორძინებას. ამ დროიდან სახეზეა სამამულო შურისძიებაც.[172]

ასე გაგრძელდა XVIII საუკუნემდე. ამდენად, როცა მსჯელობას გავშლით ამა თუ იმ სამართლის წიგნის ნორმის მიხედვით, იგი შეიძლება გაერთიანების მთელ შემდგომ პერიოდზე გავავრცელოთ და რაიმე დიდი განსხვავების ძებნა ამა თუ იმ პერიოდთა შორის არ ხერხდება.

შურისძიების რამდენადმე მაინც დასაშვებულობაზე მიგვანიშნებს „ძეგლის დადების“ 30-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ცოლწაგვრილი ქმარი ან უბრალოდ (უმიზეზოდ) მოკლულის მხარის კაცი, რომ დაესხას ცოლწაგვრილ მამაკაცს, ან მკვლელს, ასეთ პირთ თავდამსხმელი არ ქვიათ და არც ითვალისწინებს კანონი მათთვის ისეთ პასუხისმგებლობას, რაც საერთოდ არის თავდამსხმელისათვის გათვალისწინებული. მხედველობაში გვაქვს მიხდომის დროს როგორც მკვლელობის, ისე დაჭრის შემთხვევები, რომლებიც სხვა დროს დამამძიმებლად მიიჩნევა თავდამსხმელის მიმართ, ხოლო შემამსუბუქებლად შურისმაძიებელ თავდამსხმელთათვის.

[172] ქონებრივ შურისძიებას ბიბლიაც უჭერს მხარს. ეფრემელები ედავებიან იფთახს: „რატომ ნახვედი ყამონიანებთან საომრად და ჩვენ არ დაგვიძახე. სახლკარიანად გადაგბუგავთ.“ (მსაჯულნი 12.1). ძველი ქართულით: „ან სახლი შენი დაგანუათ ცეცხლითა შენ ზედა“ (მსაჯულნი 12.1).

ცოლწაგვრილის შეუზღუდველ შურისძიების უფლებაზე მეტყველებს „ძეგლის დადების“ 26ე მუხლიც, რომლის მიხედვითაც შურისმაძიებელი ცოლწაგვრილი თუ დაესხმის ცოლის წამგვრელს „დამსხმელი არ იქნების“.

მესისხლეობის ნიაგადზე ჩადენილ მკვლელობას ანუ სასისხლო შურისძიებას ქართველი კანონმდებელი არასოდეს მიიჩნევდა დამამძიმებელ მკვლელობად. აღნიშნულზე ვახტანგ VI სამართლის წიგნიც მიუთითებს, რომლის მიხედვითაც, თუ „გამოჩენილი სისხლი მართებია და მისთვის მოუკლავს“ გაბარით წინათ და ახლა ჩადენილი მკვლელობები ერთმანეთში „რაც ნამართებმან სისხლმან შეიფარდოს, ჩაარონინეთ, და რაც მეტი დარჩეს, მიაცემინეთ.“ (36-ე მუხლი). კანონს სისხლის აღების მიზნით ჩადენილი მკვლელობა რამდენამდე მაინც გამართლებულად მიაჩნია, რაც იქედან ჩანს, რომ იმავე მუხლით, ზემოთ თქმულის გარეშე ჩადენილი მკვლელობა – „თუ სულ სიტყვა არა აქუს რა და ისრე მოუკლავს“ – ისჯება მოკლულის წოდების შესაბამისად განსაზღვრული სისხლის ფასის მიხედვით.

შურისძიების ინსტიტუტთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუქცევთ სამართლებრივი ხასიათის გარდა სხვა წყაროთა მონაცემებსაც.

სასისხლო შურისძიება – „სისხლის ძებნით“ აღიქმებოდა ძველ ქართულში. აღწერს რა V საუკუნის ვითარებას ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ თარგამოსელებმა მოკლეს რა ნებროთი, „შიში აქუნდათ ნებროთიანთა და ჰგონებდეს იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთისსა“.[173]

იგივე ისტორიკოსი ცნობას გვაწვდის იმასთან დაკავშირებით, რომ სპარსელი სარდალი მოკლული წინაპრის სისხლის ასაღებად მიილტვის: „ძებნად სისხლსა მამის მამისა მისისასა.“[174]

„სისხლის ძებნა,“ „ძიება“ ამავე შინაარსითაა ნახმარი იმავე ისტორიკოსის მიერ სხვა შემთხვევებშიც: „ძიებად სისხლისა

[173] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1955, ტ. I, 10.

[174] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1955, ტ. I, 16.

ფარნავაზომისა,"[175] „იწყეს ოვსთა ძებნა სისხლისა მათისა,"[176] „ძიება სისხლისა და ზღვარისა,"[177] „ოვსთა ჰნებვიდა მოკლვა მის ზარენისი სისხლისათჳს მეფეთა მათთასა,"[178] „ქასრემ იწყო ძიებად სისხლთა სიმამრისა"[179] სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა „მესისხლეობად" იწოდებოდა.[180]

მესისხლეობის დროს მკვლელობაც **შურად** იხსენიებოდა. ბიბლიაში ვკითხულობთ: „ყოველმან მომკლველმან კაინისმან შჳდნი **შურის** ძიებანი დაჴსნნეს" (დაბადება 4.15). შური იმავე შინაარსით გვხდება სხვა წყაროშიც: „რომელმან შოვრითა მოკლა იგი,"[181] მან „შოვრი იძია."[182] უძველეს იადგარში (თარგმნილი V–IX სს) ვკითხულობთ, რომ „შური ძლიერი აიღო."[183]

შურისძიების შინაარსის გამოსახატავად იხმარებოდა მეორე ტერმინი **შურის გებაც,** რაც არც მეტი, არც ნაკლები სამაგიეროს მიზღვევას ნიშნავს. ბიბლიაში ვკითხულობთ: „შური იძიონ შურისგებითა" (ესაია 59.18). მხარგრძელები ეუბნებიან თამარს: მტერს „შურ-ვაგოთ, ნაცვლის ქმნად განვემზადნეთ"[184] ლაშა-გიორგი ამბობს: „შური ვიგო განძასა ზედა."[185] ხონთქრის სპა „მოვიდა გურიას ზედა, რათა შურ-აგონ ბაგრატ მეფესა."[186] სხვაგან ვკითხულობთ:

---

[175] ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1955, ტ. I, 30.

[176] ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1955, ტ. I, 47.

[177] ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1955, ტ. I, 48.

[178] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1955, ტ. I, 49.

[179] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1973, ტ. IV, 121.

[180] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილი მიერ, თბ., ტ. I, 1946, 37.

[181] პ. ინგოროყვა, ქართული სასულიერო პოეზია, ტექსტები, VIII-X ს., ტფ., 1913, 107.

[182] პ. ინგოროყვა, ქართული სასულიერო პოეზია, ტექსტები, VIII-X ს., ტფ., 1913, 17.

[183] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, 159.

[184] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 101.

[185] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 152.

[186] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1973, ტ. IV, 813.

„მერმე შურ აგო ამილახორსა.“[187] შაჰ-აბაზს „შურ აქუნდა და ვერ ჰპოვა ჟამი შურ-გებისა.“[188]

შურისგება რომ საღვთო საქმედაც მიიჩნეოდა ზოგჯერ ეს ბიბლიიდანაც ჩანს: „საჯა უფალმან **შურის-გებით** სასჯელი მტერთა შენთა“ (II მეფეთა 18.31).

როგორც ჩანს „შური ვიგო (აგოს)“ კონკრეტულად მხოლოდ სიცოცხლის მოსპობის მინიშნების კი არა, ზოგადად სამაგიეროს (არა მხოლოდ მკვლელობის დროს) მიზღვევის მნიშვნელობით იხმარებოდა.

როცა მკვლელის მოკვლას ეხებოდა საკითხი, ამ დროს შურისძიება უფრო ზოგადი შინაარსის გამომხატველი სიტყვაა, მესისხლეობა კი აკონკრეტებს შურისძიების ხასიათს და იგი მკვლელობისას სამაგიეროს მოკვლაში ცხადდება („მესისხლეობითა მოიკლა კურიკე“).

„სისხლი“ რომ სამაგიერო მკვლელობის შინაარსით იხსენიებოდა ეს კარგად ჩანს ქართლის ცხოვრებაში: „წარემართა ვაშლოვანს ძებნად სისხლთა სპათა მისთასა... მოვაოჴრებ და აღვიზღავ სისხლსა ჩემსა.“[189]

წყაროებიდან ჩანს ისიც, რომ მოკლულის ან დაზარალებულ მხარეს „მოსისხარი“ ერქვა. ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი წერს: „ვითარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მოკლულს ხელში მისცემენ მოსისხარსა“.[190]

აქაც უნდა გაკეთდეს მცირედი შენიშვნა: ცხადია, „სისხლი“ ყოველთვის სამართლებრივ ტერმინად როდი წარმოგვიდგება, იგი როგორც ადრე, ისე დღესაც სალაპარაკო ენაში სყოველთაოდ დამკვიდრებული შინაარსით, ფიზიოლოგიური გაგებით (სისხლი) იხმარებოდა. ასევე ითქმის სისხლისგან წარმოებულ **მესისხლეზე**. აკი წერს ისტორიკოსი: „ისმაილ მირზა იყო კაცი **მესისხლე** და მრავალნი კაცნი და ჴოცნა.“[191] როგორც ჩანს, მირზა საერთოდ ყოფილა

[187] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1973, ტ. IV, 578.

[188] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1973, ტ. IV, 585.

[189] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 313.

[190] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 439.

[191] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 371.

სისხლის დაღვრის მოყვარული.

სისხლი უხმობს მოკლულ მხარეს შურისძიებისაკენ. სწორედ ამიტომაც ბიბლია აცხადებს აბელის უმიზეზოდ დაღვრილ სისხლზე: „ჴმაჲ სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს“ (დაბადება 4.10).

შურისძიება (შურისგება) ზოგადად მესისხლეობადაც იწოდებოდა, თუმცა დაცულია ცნობები, როცა ეს ტერმინი სისხლის მოყვარული პირის ეპითეტადაც იხმარებოდა. ასე მაგალითად: „კაცი მოსისხლე და მზაკუარი სძაგს უფალსა.“ (ფსალმუნნი 5.7), „სძულდა მირდატ მესისხლეობისა და მედგრობისა მისისათჳს.“[192]

სულ სხვა შინაარს იძენს სიტყვა „სისხლი“ ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობაში, რომელ ჟანრსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. აქ სისხლი არა დანაშაულის საპასუხო მოქმედებაა, არამედ ცოდვის (დასაგმობი მოქმედების) გამოსყიდვის ყველაზე უფრო გამართლებული და მოსაწონი სიცოცხლის გაღებით გამოხატული მოქმედებაა.

ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვის მიზნით დაინთხა ქრისტეს სისხლი. სწორედ ამიტომაც ნიადაგ ვლოცულობთ: „სისხლითა შენითა, ქრისტე, მშჯდობაჲ შენი მომეც ჩუენ და დაიცევ მარადის სამწყსოჲ შენი“[193] ან „გალობით ჴმითა სიჴარულისაჲთა გაქებდა ეკლესიაჲ შენი, ქრისტე, განწმიდნა რაჲ იგი სისხლითა მაგით, რომელიცა გარდამოჴდა გჳერდსა საღმრთოსა ნმიდასა.“[194]

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე დაწერილ ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ძეგლში კი ვკითხულობთ: „დედაო ცათა მეუფისაო.... რამეთუ გამოჴსნილნი ვართ სისხლითა ძისა შენისაჲთა.“[195]

იქნებ საფუძველი გააჩნდეს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლი თავდაპირველად ცოდვის გამოსყიდვის ყველაზე

---

[192] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1955, ტ. I, 51.

[193] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ, 1971, 114.

[194] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ, 1971, 209.

[195] ნევმირებული ძლისპირნი, გამოსცა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო გ. კიკნაძემ, თბ, 1982, 819.

უფრო გულწრფელი და ამაღლებული გზა იყო, მით უფრო, თუ სხვისი ცოდვების გამოსყიდვისათვის ხდებოდა. უფრო გვიან პერიოდში კი იქცა იგი მკვლელობის, შურისძიების გამომახატველ ტერმინად.

თქმულის შემდეგ იბადება კითხვა: შურისძიების „უფლებას“ უპირისპირდებოდა თუ არა სახელმწიფო, ცდილობდა თუ არა მის შეზღუდვას?

ცხადია, ადგილი ჰქონდა ასეთის ცდას, რომლის პრაქტიკულად განხორციელება ორ რაიმეზე იყო დამოკიდებული: რამდენად ძლიერი იყო სახელმწიფო ხელისუფლება და რომელ რეგიონში, ქვეყნის რომელ მხარეში ხდებოდა შურისძიება.

მეორე ნიშნის თვალთახედვით აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სწორედ იქ მძვინვარებდა შურისძიების ინსტიტუტი, რომლის ნარჩენებმა ჩვენს დრომდეც კი შემოაღწიეს.

ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართულ მთიანეთში (და საერთოდ მთაში) მესისხლეობის განვრცობის და შემონახულობის მიზეზი ბართან შედარებით ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია.

ცხადია არც უმისობა იქნებოდა, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკურიდან ხაზგასმით უნდა გამოიყოს მთის ცხოვრების წესი, რაც განსაკუთრებულ ფასს ადებს მეურნეს, ადამიანს. პიროვნების ბოროტი ხელყოფისაგან დაცვისათვის, სხვა უფრო ეფექტური საშუალება ვერ მოიძებნა ისტორიულად, ვიდრე მკვლელის მოკვლა. სწორედ რომ მოსალოდნელი საპასუხო მკვლელობა ამუხრუჭებდა სხვის სიცოცხლეზე ხელყოფას. მთიელი სიცოცხლის შენარჩუნებისა და საარსებო საშუალების მოსაპოვებლად ებრძვის ბუნებას და იმარჯვებს კიდეც, გაბოროტებული ადამის ძისგან კი სხვა მხრივ თავს ვერ იცავდა. არას ვამბობ იმ რელიგიურ წარმოდგენაზე, რომლის მიხედვითაც მოკლული ადამიანის სული სამაგიეროს მოკვლას მოითხოვს.

ვითარების ასე წარმოდგენისას დგება საკითხი: განა სტიქიურობის აბობოქრებულ გარემოსთან შედარებით მესისხლეობისაგან თავის დაცვა ნაკლებ საზრუნავს უჩენს მთიელს?

საკითხისადმი ასე მიდგომა ადამიანური კომუნიკაციების გაფართოების შემდეგ დგება: კარჩაკეტილ ადამიანს ნაკლებ აშინებს მკვლელის ან მისიანთან შეხვედრა.

ახლა მივუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორ ღონისძიებას ატარებდა ქართული სახელმწიფო შურისძიებათა აღკვეთის მიზნით.

ამ მიმართებით კარგ მასალას გვაწვდის „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა," რომელიც ასე აფრთხილებს საზოგადოებას: „ღმერთმან ნუ ქნას, თუ ვისმე კაცი შემოაკვდეს, იმ მკვდრის პატრონი თავისთავად ლაშქარს ნუ შეიყრის და **მკვლელს ნუ დალაშქრავს და ნურც თვითან ეცდება იმისს სიკვდილსა,** ჩვენს სამართალში მოვიდეს და სამართალი მიეცემა" (1-ლი მუხლი).

იგივე კანონი ზემოთ აღნიშნულს და სხვა მრავალთა არ შემსრულებელთ მკაცრად დასჯით ემუქრება, რომლებსაც დასჯის ასე: „როგორც კაცის მკულელს სიკვდილით, მამულიდამ და თავის ადგილიდამ აყრით, აკლებით და დაკარგვით გარდავაჴდევინებთ", ვინც ამ კანონს არ შეასრულებსო.[196]

ერთი ისტორიული წყაროდან კარგად ჩანს, რომ მკვლელობაზე თვითგასწორების უფლებას, ე. ი. მკვლელის გადაცემას მოკლული მხარისათვის არ აკანონდებდა ქართული სინამდვილე. სწორედ ამიტომაც წერს ისტორიკოსი: „ვითარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მოკლულს ხელში მისცემენ მოსისხარსა."[197] ცხადია, ასეთი ჩვეულება ჩვენშიც რომ ყოფილიყო, ავტორი არ გააკეთებდა ხაზგასმას „თათართა ჩვეულებაზე".

როგორც დამოწმებული მასალებიდან ჩანს შურისძიება (როგორც სამამულო, ისე სასისხლო) ერთბაშად როდი აღკვეთილა ხელისუფლების მიერ, არამედ ჯერ იზღუდებოდა იგი. შურისძიება დასაშვები იყო მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში (იხ. „ძეგლის დადება" – 22-ე მუხლი), რომლის შემდგომაც დამნაშავის ხელისუფლების იურისდიქციაში მოქცევის გამო შურისგება თვითნებობად მიიჩნეოდა.

შურისძიებიდან, ე. ი. მკვლელის ან მისიანების სამაგიერო მოკვლიდან მკვლელობის გამოსყიდვის (ფულით თუ სხვა რამ მატერიალური სიკეთით) გზა და მიზანშეწონილება კარგად ყოფილა ცნობილი ჩვენს წინაპართათვის. სწორედ ამიტომაც ამ საკითხზე ასე წერს იოანე ბაგრატიონი: „სისხლი იყო მათ შორის, ვინ ვის მოჰ-

[196] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 450, 454.

[197] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 439

კლავდის ჩხუბით ან ისე საქონლისათვის, მასცა მოაკვდინებდნენ... ხოლო შემდგომად გაჩნდა სისხლი თეთრად მისაცემი, ანუ ნივთი, ანუ მამული, ვითა შეიჯერებდა მოსისხლესა თვისსა."[198]

ზემოთ მითითებული ისტორიული ექსკურსის შემდეგ რამდენიმე სიტყვით მაინც უნდა ითქვას იმის შესახებაც, სხვებისგან განსხვავებით ვართ თუ არა ქართველები შურისმაძიებელნი ან თუ გაგვაჩნია ასეთი გრძნობა, შეასრულა თუ არა ამან რაიმე დადებითი ჩვენს ცხოვრებაში. რაღამც ასე წავიდა ჩვენი საქმე უადგილო არ იქნება იმის გახსენებაც, რომ ანტიკურმა მწერლობამ უბრწყინვალესი ლიტერატურული ძეგლი (არგონავტები) მიუძღვნა ჩვენს შურისმაძიებლობას – ქმარზე გაბოროტებულ ქართველ ქალს, მედეას – საკუთარი შვილები დაახოცვინა შურისძიებით.

შურისძიების გამართლებისაგან ღმერთმა დამიცვას, მაგრამ ვიდრე უფრო ეფექტური საშუალება არ იქნება პოვნილი, სასისხლო შურისძიება რამდენადმე მაინც შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთების მხრიდან ყოველგვარი ბოროტებისაგან თავის შეკავებისათვის საჭიროდ. განა ხელისუფლების მიერ მძიმე დანაშაულისათვის დახვრეტის მისჯა – სახელმწიფოს რანგში აყვანილ შურისძიებას არ წარმოადგენს?

მით უფრო ეს ითქმის ისეთ ხალხზე, რომელსაც ზემოთ აღნიშნულ სოციალურ ნორმათა შენარჩუნებისათვის, ავბედითი ისტორიისა და თავს დამტყდარ უბედურებათა გამო, სხვა გზაც არ ჰქონია. ასეთ ვითარებაში სასისხლო შურისძიება რამდენადმე მაინც ბოროტების აღკვეთის თუ არა შესუსტების ქმედით საშუალებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

თანამედროვე პერიოდში, დღევანდელ საქართველოში როგორც სამამულე, ისე სასისხლო შურისძიების შემონახულობა უფლებას არ გვაძლევს კიდევ უფრო ჩაღრმავებით არ დავუკვირდეთ შურისძიების შენარჩუნების მიზეზებსა და მათი დაძლევის შესაძლებლობას.[199]

---

[198] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძის და ალ ბარამიძის რედაქციით, 1946, 230.

[199] დამატებით ამ საკითხზე იხ. კეკელია მ., ზოგიერთი რამ სისხლ-მესისხლეობის შემონახულობასთან დაკავშირებით, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," №2, 1990.

# თავი II. მკვლელობა როგორც დანაშაული ძველ ქართულ სამართალში

## §1. მკვლელობა როგორც საჯარო ხასიათის დანაშაული

როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ ვახტანგ VI სამართლის წიგნამდე ქართველი კანონმდებელი ცდილობს შურისძიების აღკვეთას და მკვლელობის საჯარო ხასიათის დანაშაულად ცნობას.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის (1295-1304) პირველსავე მუხლში ლაპარაკია იმასთან დაკავშირებით, რომ მკვლელობის დროს მოკლულ მხარეს შურისძიების უფლება აქვს მანამდე, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენლები („ჯაყელისა და მაწყუერლისა კაცნი“) გაიგებდნენ ამ ფაქტის შესახებ და გამოცხადდებოდნენ შემთხვევის ადგილზე. სწორედ ამ დრომედე შეუძლიათ განახორციელონ შურისძიება როგორც ადამიანთა, ისე ქონების მიმართ – „დაწვას თუ რასაც ემტეროს, იგი სისხლსა შიგან არ მიეფასოს“ – აცხადებს კანონი.

პირველ მუხლში მინიშნებაა იმაზედაც, რომ არსებულა სპეციალური სამსახური, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა რაც შეიძლებოდა სწრაფად გამოცხადებულიყვნენ მკვლელობის ადგილზე და აღეკვეთათ სამაგიეროს მოკვლა და რბევა-აოხრება.

ხელისუფლების წარმომადგენელთა მისვლის შემდეგ თუ ექნებოდა ადგილი შურისძიებას, დამნაშავენი, როგორც საჯარო ხელისუფლების ნების დამრღვევნი, მკაცრად ისჯებოდნენ და რაც მთავარია, გათვალისწინებული ჯარიმის და საზღაურის გადახდის უნარს მოკლებულნი, გაძევებულებიც კი იქნებოდნენ მამულიდან.

ამავე მუხლშივე მითითებულია, რომ ასეთი მოქმედება განიხილება როგორც საერო (ჯაყელის), ისე სასულიერო (მაწყვერელის) ხელისუფლების მიმართ ჩადენილ დანაშაულად და ამდენად ჯარიმაც აღნიშნულ ხელისუფალთათვისაა განკუთვნილი. მოკლულის მხარესთან ერთად მათვე რჩებათ გაძევებული პირის მამული.

როგორც ჩანს, აღნიშნული სანქციით საზღაურის და ჯარიმის გადახდით იბრება ჩადენილი მკვლელობა და ამ გზით ისპობა შურისძიების საფუძველი.

შურისძიების აკრძალვის ტენდენცია დასრულებულად ჩანს

XVIII საუკუნის ისეთ საკანონმდებლო ძეგლში როგორიცაა „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“. კანონი პირველ მუხლშივე აცხადებს: „თუ ვისმე კაცი შემოაკვდეს, იმ მკვდრის პატრონი თავისთავად ლაშქარს ნუ შეიყრის და მკვლელს ნუ დალაშქრავს და ნურც თვითან ეცდება იმისს სიკვდილსა, ჩვენს სამართალში მოვიდეს და სამართალი მიეცემა“[200] კანონმდებელი შურისმაძიებელს აფრთხილებს, რომ ასეთი თვითნებობისათვის ვერც მოკლულის სისხლის ფასს მიიღებთ და თავდასხმაში თქვენს დამხმარესაც დავსჯითო. მეტიც, საქმის გამრჩევ მოსამართლეებსაც ემუქრება: „უჩვენოდ იმასთან საქმის გასარიგებლად ბჭეებიც ნუ დაუსხდებიან, თორემ ბჭეებსაც დიდად ავად მოვეპყრობით.“[201]

ბჭეთა გასაგონად თქმული მხოლოდ იმის შეზღუდვას როდი ეხება, რომ შურისძიების მიზნით საპასუხო მკვლელობა-მიხდომის საქმე არ გაარჩიონ, არამედ გაფრთხილებაა იმაზედაც, თავი აარიდონ ყოველგვარი მკვლელობის საქმის გარჩევას. როგორც ჩანს, მთაშიც კი მკვლელობის საქმე ამოღებული იყო ჩვეულებითი სამართლით გამრჩევ ბჭეთა კომპეტენციიდან და ხელისუფლებას ექვემდებარებოდა.

მოტანილი ნორმა მთას ეხება, სადაც ბართან შედარებით ისევ მძვინვარებს შურისძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლელობის საქმის განხილვა უფრო დიდი ხნით ადრე იქნებოდა ამოღებული, არათუ ჩვეულებითი სამართლით საქმის განმხილველ ბჭეთა, არამედ ცალკეულ ფეოდალთა და ხელისუფლების დანარჩენ მოხელეთა იურისდიქციის სფეროდანაც კი. ვინ იცის მერამდენე გაფრთხილებად ისმის მეფის მიერ გაცემული მდივანბეგის სარგოდან: „კაცის სიკვდილი .... ჩვენს კარზე უნდა მოვიდეს, მდივანბეგმან გაარიგოს“[202]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (მუხლი 258) მკვლელი ყმის მიმართ ბატონსაც კი უკრძალავს შურისძიებას. ბატონის მხრივ მოსალოდნელი შურისძიების თავიდან აცილების მიზნით კანონი ავა-

---

[200] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 450.

[201] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 450.

[202] ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები (ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, თბ., 1970, 35.

ლებს ხელმწიფეს და მოსამართლეს „ბატონსაც წიგნი დაადებინოს, რომე უწელმწოფოდ ვერც მოკლას და ვერც გაახეიბროს“, მაგრამ თუ მაინც ჩაიდინოს ასეთი „ყმა არ დაინდოს, ან მოკლას ან გაახეიბროს, მოსამართლემ მისი სახლი გაათავისუფლოს.“

უფრო შორს მიდის ვახტანგ VI სამართლის წიგნი, როცა კრძალავს არა მარტო ბატონის მომკვლელი ყმის, არამედ საერთოდაც ბატონის მიერ ყმის გახეიბრებას და მოკვლას (მუხლი 95).

შურისძიების უფლების შეზღუდვისა თუ მოსპობის საკითხს, რამდენამდე უკავშირდება ვახტანგ VI სამართლის წიგნის 75-ე მუხლის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ აზნაური ან გლეხი ჩაიდენს წოდებით უფროსის მკვლელობას, როგორც სურს ისე მოექცევა მათ დაზარალებლი მხარე. ცხადია, ამ დროს სოციალურად ტოლებზე როდია ლაპარაკი. სახეზეა ბატონის და ყმის ურთიერთობა, რა დროსაც ერთი ბატონიდან მეორე ბატონს გადაეცემა მკვლელი ყმა თავისი ცოლშვილით და ავლადიდებით. ცხადია, ასეთი „გადაცემა“ გამორიცხავს მკვლელის მოკვლის ან გახეიბრების შესაძლებლობას.

საქართველოში ისტორიულ თუ სხვა ხასიათის წერილობით წყაროებს მრავლად დაუცავთ ცნობები იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ებრძვის სახელმწიფო კაცის კვლას, როგორც უმძიმეს დანაშაულს, რასაც სამეფო ხელისუფლების სიძლიერის კვალობაზე რამდენადმე ახერხებს კიდეც. თქმულის დასტურად ვახტანგ ბატონიშვილის თზხულება გამოდგება, რომელშიც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის დამსახურებსთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „აღკვეთა კნინღა ორნი დიდნი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ესე იგი კაცის კვლა და მპარაობა, გინა მესამე იგი ტყვის სყიდვა დროსა თვისსა სრულიად უჩინო ჰყო.“[203]

ახლა მცირედი ექსკურსი ტერმინ „კაცის კვლასთან“ („კაცის მკვლელობასთან“) დაკავშირებით.

ქართულ სამართლის ისტორიაში სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესწავლისას, ყუ-

[203] ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შინა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ, გამოსცა ს. კაკაბაძემ, ტფ., 1914, 384.

რადღებას იპყრობს თუ როგორი ტერმინებით მოიხსენიებოდა ამ სფეროში (მკვლელობისას, დაჭრისას თუ სხვა ხასიათის დაზიანებისას და ა. შ.) ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებანი.

ძველი და რამდენადმე საშუალო პერიოდის ქართულშიც ადამიანის სიცოცხლის მოსპობას **„კვლა“** (**„კლვა“**) („ნაშობნი ხართ მკლველთა“ (მათე 23.31); და სხვა), უფრო ხშირად კი **„კაცის კლაჲ“** „კაცის კლვანი“ (მათე 15.19); „კაცის მკლველთა“ (ესაია 1.21), „ნუ კაც-ჰკლავ“ (ლუკა 18.20); „კაცის კლვისათჳს შეგდებულ იყო საპყობილესა (ლუკა 23.19) და მსგ. ეწოდებოდა.

ტერმინ „კაცის კვლის“ როგორც ყველაზე მართებული ფორმის ამოსავალად და ფუძედ ათი მცნებიდან მეექვსე მცნების „არა კაც კლა“ ხალხის მიერ სისხლხორცეულად განთვისება გვეჩვენება.

ზოგჯერ წერილობით წყაროში ერთმანეთის შემცვლელადაც ვხვდებით „კაცის კვლას“ და „კვლას“ (მაგალითად: „კაცის კლვისათჳს“ (ლუკა 23.19), „ნაშობნი ხართ მკლველთა“ (მათე 23.31).

ქართულ სამართლის ძეგლებში მკვლელობა ძირითადად „კაცის კვლად“ იწოდება. ამ მხრივ ვახტანგ VI სამართლის წიგნია პირველი (XVIII საუკუნის დასაწყისი), რომელშიც „კაცის“ გარეშე გვხვდება სიტყვა „მკვლელი“ (მუხლი 37).

დროთა ვითარებაში მოხდა ისედაც, რომ სასაუბრი ენაში ძველებურად ისმის, მაგალითად, „შენ კაცის მკვლელო“, „არ დაინდოთ კაცის მკვლელი“ და მსგავსნი. თანამედროვე კანონმდებლობამ საბოლოოდ ჩამოიცილა სიტყვა „კაცი“ და საყოველთაო ტერმინად **„მკვლელი“** დაამკვიდრა.

რატომ უნდა ვამბობდეთ და ვწერდეთ: „მოკლეს ჩიტი“, „მოკლეს გველი“, ასევე შეგვქონდეს კანონში, ხოლო ადამიანის სიცოცხლის მომსპობი კი ვინ მოკლეს იმის აღნიშვნის გარეშე სხვათაებრ **მკვლელად** იწოდებოდეს. ჩვენი აზრით, ასეთ შეუსაბამობას რუსულმა გავლენამაც შეუწყო ხელი, რომელთაც ათი მცნებიდან მეექვსე მცნება ჩვენებრ „არა კაც კლად“ კი არ თარგმნეს, არამედ **„Не убивай“** და ასევე დაინერგა ძველთაგანვე.

ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს დავით ბაგრატიონის მიერ სპეციალურად რუსებისათვის დაწერილი ქართული სამართლის „მიმოხილვის“ 497-ე მუხლი, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული:

„Смертоубийство – кацис квлиса".

ვფიქრობთ, რომ ადამიანის სიცოცხლის მოსპობის სიმძიმე და მის დასაგმობად ემოციური დატვირთვის გამძაფრება, დღის წესრიგში აყენებს საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა კანონმდებელმა რამენაირად აღადგინოს და მოუძებნოს ადგილი ტერმინ „კაცის კვლას" (ადამიანის კვლას), ხოლო სიტყვა „მკვლელი" ზოგადი შინაარსით რაგინდარის მკვლელობად დარჩეს.

აქვე განმარტება უნდა მიეცეს ერთ რაიმესაც: ძველ ქართულში სიტყვა „კაცი" როგორც მამრის, ისე მდედრის ზოგად სახელად ჩანს, ისე როგორც დღეს „ადამიანი". სიტყვა კაცთან ერთად იხმარება სიტყვა „დედაკაციც", ხოლო სიტყვა „მამაკაცი" ძველ დამწერლობაში არ ჩანს.

რაც შეეხება სიტყვა „ადამიანს", ისიც უცნობია ძველი ქართული დამწერლობისთვის, მსგავსად „მამაკაცისა" მასზედ ვერ ვპოულობთ რაიმე ცნობას ძველ და ახალ აღთქმებში, „ვეფხისტყაოსანში" კი მხოლოდ ერთხელ გვხდება – გამოქვაბულში შეხვედრისას ავთანდილი ეუბნება ასმათს: ნუ შიშობ „კაცი ვარ ადამიანი."[204]

ლექსიკოლოგთა განმარტებით სიტყვა ადამიანის წარმომავლობა ქართულში ასეა ახსნილი – იოანე ბაგრატიონი: **„ადამიანი** – ადამის გამო, ესე ზოგადად ნიშნავს კაცსა და დედაკაცსა". ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით კი **„ადამიანი** – ადამის ტომი, ე. ი. კაცი".

როგორც ჩანს ქართული სიტყვა „ადამიანი" ბიბლიური გადმოცემით, პირველი მამაკაცის სახელის – **ადამის** სახელიდანაა წარმოებული. საკვლევია რამდენად მოეძებნება მას ანალოგი სხვა ხალხთა ცხოვრებაში.

სიტყვა „ადამიანი", მისი (ადამიანის) ინტერესების სამართლებრივ ხელყოფასთან დაკავშირებით, მოყოლებული IX საუკუნიდან ქართული სამართლის წიგნებში არ ფიგურირებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღბუღას სამართლის წიგნის (XIV ს.) 84-ე მუხლს, სადაც მოდავე მხარეთა ზედსახელად ჩანს იგი.

---

[204] რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1986, 77.

## §2. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა

ქართული სამართლის წიგნებით კარგადაა გამიჯნული უბრალო მკვლელობა კვალიფიციური მკვლელობისაგან. კვალიფიციური მკვლელობის დროს ყურადღება ექცევა იმას თუ ვინაა მოკლული, სადა მკვლელობა ჩადენილი ან ვის მიერ.

ვიდრე ცალკეული ხასიათის დამამძიმებელ ვითარებაში ჩადენილი მკვლელობის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ კატეგორიის საქმეები ორ რიგად შეიძლება დაიყოს – მკვლელობა ჩადენილი საერო და მკვლელობა ჩადენილი სასულიერო პირთა მიმართ.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით მეორედ ჩადენილი ყოველგვარი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა: „მეორე გზისი დანაშაულობა (გულისხმობს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო ხასიათის გადაცდომას – მ. კ.) მძიმე დანაშაულობად იმიტომ ყოფილა მოჩნეული, რომ ეს გარემოება მათი ბოროტი მიდრეკილებისა და გაუსწორებლობის გამომჟღავნებად ითვლებოდა ..... ეს პირები „ჰავჩვეულნი“ იყვნენ“.

დანაშაულს ამძიმებდა ასევე მოსაკრძალ ადგილებში („საშინელნი ადგილნი“, „საპატიჟო ადგილი“) მათი ჩადენა.

დანაშაულის მეორედ ჩამდენთ „განუკურნებელიც“ ეწოდებოდა. ამავე შინაარსით იყო ცნობილი ტერმინები: „წარმდებობა“, „ცოდვისმოყუარე ნება“, „უკრძალველობა“, „განკრძალველობა“.[205]

განვიხილოთ დამამძიმებელ გარემოებში ჩადენილი მკვლელობის ცალკეული სახეები:

**1. სასულიერო პირთა მკვლელობა.** ქართული სამართლით სასულიერო პირთა მკვლელობა დამამძიმებლად იყო მიჩნეული, რაც ერთდროულად ითვალისწინებდა როგორც საერო, ისე საეკლესიო ხასიათის სასჯელს.

კანონიკური სამართლის ფრაგმენტი (შედგენილი თამარ მეფის წინარე პერიოდში), რომელიც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს დაუცავს, გვაუწყებს: ხუცესის, მონაზონის ან დიაკონის „მალვით,

[205] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ნაკვეთი II, 273-278.

ღალატით“ მოკვლისათვის ორკეცი სასისხლოა გაჩენილი, ამავე დროს მკვლელი „კრულ და წყეულ და შეჩუენებულ [იყავნ] სული და ჴორცი მისი“ (მუხლი 166).

თუ მკვლელობა მალვით და ღალატით არ იყო ჩადენილი, ცხადია, ამ დროს რა „სისხლი სდის“ მოკლულს, იმის მიხედვით განისაზღვრებოდა საზღაური.

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებით“ მონაზონის, მწირველი ხუცესის და დედაკაცის მოკვლა ორმაგი სისხლის გადახდით ნაზღაურდება (მუხლი 26). იგივე პირთა „უბრალოდ“ მოკვლა არ ითვლება კვალიფიციურად და ჩვეულებრივ „გუარის წესით დაიურვის“. აქ ყველაფერი არაა ნათელი. პირველ შემთხვევაში ბუნდოვანია რა აქცევს მოქმედებას „ბრალად“? ასევე თითქოს ამ მუხლის ბოლო სამი ნაწილი არ ებმის ზემო ნაწილს, რის გამოც საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ამავე მუხლით დამამძიმებლად ითვლება გამზავებელი უაბჯრო მონაზონის, მწირველი ხუცესის და დიაცის მოკვლა, რისთვისაც დამნაშავეს უნდა „ორკეცი სისხლი დაეურვოს“. საქმე იმაშია, რომ ისინი არ მოელიან რა სიცოცხლეზე ხელყოფას ვითარცა „ღვთის მსახურნი“ არც იმყოფებიან საბრძოლო მდგომარეობაში („აბჯარი არ ჰქონდეს“), ამდენად მოკლებულნიც არიან თავდაცვის რეალურ საშუალებას.

აბჯარში ყოფნა რომ საომრად მოწყობას ნიშნავს და ასეთ შემთხვევაში მისი მოკვლა რომ „მტრის“ მოკვლად ითვლება, ეს კარგად ჩანს დამოწმებული მუხლის მეორე ნაწილიდან: თუ დიაციც მონაწილეობდეს მიხდომაში და აბჯარში იყოს, თუ გინდა მოკლან იგი, პასუხისმგებლობა არ არის.

იქნებ არსებობდეს რაღაც საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, რომ „ძეგლის დადების“ 26-ე მუხლის V, VI, VII ნაწილებში არა საერთოდ ყველა ქალის (დიაცის) მკვლელობაზე იყოს ლაპარაკი, არამედ მოწესის, მონაზონის ან იმჟამად მაინც მლოცველის. აღნიშნულზე უნდა მიგვანიშნებდეს მუხლის V ნაწილი, სადაც სიტყვები: „თუ არ მწირველია“ იქნებ ზოგადადაა თქმული და ერთნაირად ეხებოდეს მონაზონთა, ხუცესთა და დიაცთ.

მოგვეპოვება მასალები, რომელთა თანახმადაც, არა მარტო

სასულიერო პირთა მკვლელობა ითვალსიწინებდა მომეტებულ სასჯელს, არამედ ეკლესია-მონასტრების და ცალკეული სასულიერო პირის ყმის მოკვლაც.

XVI საუკუნეში შედგენილი ბიჭვინთის კერძო ხასიათის საკანონმდებლო აქტი, იადგარი აცხადებს: „თუ ვინმე ძმათაგანი ანუ საყდრის-შვილი მოკლას, ოცი გლეხი საყდარსა დაეურვოს და ორი სისხლი იმას დაეურვოს.“[206] როგორც ჩანს – სისხლის ფასად განკუთვნილ საურავს (კომპოზიცია) უხდიან როგორც საყდარს, ისე მოკლულის მხარეს (ოჯახს).

აქვეა ლაპარაკი კათალიკოსის მსახურის მკვლელობაზე (მე-16 მუხლი), რომლის საზღაურადაც საყდარი იღებს ექვსასი ათას თეთრს და რომლის გარდა სამასი ათასი სისხლად და 15 ათასი სანახშიროდ ეძლევა დაზარალებულს. მე-19 მუხლით კი იგივე სახდელია დაწესებული მონასტრის გლეხთა, მსახურთა და მოინალთა კაცთა მკვლელობისათვის.[207]

მოტანილი დოკუმენტით უპირატესად ეკლესია-მონასტრების ყმებზე ხელყოფაა დაცული, სწორედ ამოტომაც საურავის ერთი ნაწილი მონასტერს ეძლევა, ნაწილს კი კერძო საზღაურის სახით დაზარალებული იღებს. მსგავსი ხასიათის მასალები სხვებიც გვხდება.

**2. მკვლელობა მიჩნეული შერეულ – სასულიერო და საერო ხასიათის – დანაშაულად.** როგორც ცნობილია თავდაპირველად სამართალი გამიჯნული არ იყო რელიგიისაგან, ამდენად, ცხადია, ყოველგვარი დანაშაული რამდენადმე მაინც რელიგიური ხასიათის გადაცდომად ითვლებოდა. აღნიშნულის დამადასტურებელი არაპირდაპირი ცნობები ქართულმა სინამდვილემაც შემოგვინახა. მით უფრო ესე ითქმის საოჯახო ურთიერთობის სფეროში მომხდარ დანაშაულთა განსჯადობაზე.

ცხადია, ამ სფეროში მოქმედი ეროვნული ხასიათის ყველა ნორმა ჩვენამდე არ არის მოღწეული, მაგრამ რაც გაგვაჩნია აღნიშნულით ვიქმნით წარმოდგენას.

---

[206] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 180.

[207] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 181.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 22-ე მუხლით ძმის მკვლელს ორკეცი სისხლი უნდა გადახდეს, რომელთაგან ერთი სისხლი „საღმრთოდ ბრალია და საკანონო არის". მკვლელი ძმა გაძევებასაც იმსახურებს, სასჯელთა აღსრულებაში კი ეპისკოპოსიც ერევა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მკვლელობას ორ შემთხვევაში მიიჩნევს საეკლესიო სუვერენის – კათალიკოსის განსჯადად: თუ იგი მოწამვლითაა დამდგარი, როცა დამნაშავეს საერო ხასიათის სასჯელად მოკლულის სისხლი გადახდება და აღნიშნულის გარდა „საკანონო კათალიკოზმა იცის" (მუხლი 61). ცხადია, ამ შემთხვევაში საკანონო მატერიალური ხასიათის არაა და იგი წყევლა-კრულვაში გამოიხატება.[208] იქვე სატანჯველით მოკვდინებისათვის „საღმრთოცა და საეროცა" ხასიათის სასჯელია დადგენილი. მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „სატანჯულის სიკუდილში და რჯულის გარდამავალს საქმეში კათალიკოზს ჴელი აქუს" (61[1] მუხლი).

ცოლის მკვლელი საერო სასჯელის (სისხლის ფასის) გადახდის გარდა კათალიკოსის მიერ გადაწყვეტილ საკანონოს იხდის (მუხლი 62). მსგავსივე ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ცოლის მიერ მოწამვლით, ან სხვა გზით ქმრის მკვლელობასთან დაკავშირებით (მუხლი 65). ამას ის გვაფიქრებინებს, რომ მკვლელობისას კი არა ცოლის მიერ ქმრის ცემის დროსაც კი კათალიკოსი ერევა საქმეში (65[1] მუხლი).

ცხადია, არსებობდა სხვა ხასიათის მკვლელობებიც, რომლებიც ორმაგ – საერო და „საღმთო" დანაშაულად ითვლებოდა და აღნიშნულის კვალობაზე ორივე ხასიათის სასჯელსაც იმსახურებდა დამნაშავე, მაგრამ მათ დასჯადობაზე კანონის სახით ჩამოყალიბებულ ნორმას ჩვენამდე არ მიუღწევია. ამ მიმართებით ქართული საეკლესიო სამართლის გამოწვილვითი შესწავლა გამოავლენს დამატებით ცნობებს.

არა მარტო მკვლელობის დროს, არამედ საეკლესიო პირზე ძალადობისა და ეკლესიური ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული

---

[208] მოწამვლით მკვლელობაში ღალატით მკვლელობისათვის დამახასიათებელი ნიშნებია საძებნი.

დანაშაულის ჩამდენს სასამართლო უფარდებს რა საერო ხასიათის სასჯელს, წერს: „საჴორციელო სამართალი ჩვენ ამის მეტი ვერ შევიძელით და სასულიეროთ თვით განაწესონ“[209]

რა თქმა უნდა იყო ისეთი მკვლელობის შემთხვევებიც, რომლებიც უპირატესად სასულიერო ხელისუფლებას ეკითხებოდა, მაგალითად, სასულიერო პირთა მკვლელობა, რაზედაც საუბარი გვქონდა „ძეგლის დადების“ 26-ე მუხლისა და კანონიკური სამართლის 166-ე მუხლის განხილვისას.

**3. ღალატით მკვლელობა.** ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგადად მოღალატის შინაარსის შემდეგი ტერმინები იხმარებოდა: **შინა გამცემი – „შინაგამცემელ ეყოს ერსა ამას“** (II მეფეთა 29.4); **მუხანათი** – „მუხანათობით სიკუდილს ისევ ვამჯობინოთო, რომ ძალმიცემით ომში ამათევე შევაკუდეთო“[210] **მუხთალი** – „მოკლნა ორნივ მუხთლად-ღალატად;“[211] **მზირი** – „ნახევართა მზირი ეყო“ [212]

ზოგჯერ ღალატის შინაარსით გვხდება სიტყვა **„ზაკვაც“**, რომელიც დამოწმებულია როგორც ახალ, ისე ძველ აღთქმებში. ზაკვა ვერაგული, მუხანათური მოქმედებაა. ზაკვით მკვლელობაც დამამძიმებელია, რომელზედაც ლაპარაკია მოსეს სამართლის მე-12 მუხლში.

დიდი სჯულის კანონში ჩაუწერიათ: „დაღათუ თჳნიერ ზაკუვისა“ მიეცეს საწამლავი მომაკვდინებელიო.[213] ზაკვით მკვლელობაზეა ლაპარაკი სტეფანე ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთაში“ (XVIII ს.)[214]

როგორც ქართული ჩვეულებითი სამართალს, ისე კანონმდებლობას უმძიმეს დანაშაულთა შორის დამამძიმებლად ღალატით

[209] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 669.

[210] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, ტ. II, თბ., 1959, 511.

[211] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, ტ. IV., თბ., 1973, 890.

[212] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, ტ. II, თბ., 1959, 164.

[213] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 207.

[214] სტეფანე ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“ ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 1978, 85.

ჩადენილი დანაშაული მიაჩნია. ღალატი შეიძლება ჩადენილი იქნას სამშობლოს, ხალხის თუ საზოგადოების გარკვეული წრის მიმართ. ღალატი ვლინდება გარკვეულ პირთა შორის, რომლებიც ერთგულებით იყვნენ მინდობილნი ერთმანეთთან.

როგორც ჩანს, ღალატი გამოიხატებოდა სხვადასხვაგვარი დანაშაულებრივი ხასიათის მოქმედებებში, რომელთაგან უმძიმესად მაინც ღალატით მკვლელობა ითვლებოდა.

პირველ საკანონმდებლო ნორმას, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ღალატით მკვლელობასთან დაკავშირებით, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 117-ე მუხლი წარმოადგენს. იგი გვაუწყებს: „თუ კაცი კაცმან ღალატით მოკლას, თორმეტი ათასი სისხლსა ემატოს“[215] ე. ი. მკვლელი გადაიხდის არა მარტო მოკლულის სისხლის სრულ საფასურს, არამედ, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში (ღალატით) ჩადენილი მკვლელობისათვის, დამატებით 12 ათას თეთრსაც.

დამატებითი საზღაური ძალას ინარჩუნებს შემდგომ საუკუნეებშიც (XVI ს.), რასაც სასისხლო სიგელში ჩაწერილი სიტყვები: „თუ ღალატითა მოკლას, სამოციათასი სისხლსა უმატოს“,[216] ადასტურებს.

ბაგრატის სამართლის წიგნის შედგენის შემდეგ, თამარის მეფობის წინარე პერიოდში კიდევ უფრო გამკაცრებულა ღალატით მკვლელობის დასჯადობა, რაც იმაში გამოიხაატა, რომ ახლა უკვე ორმაგი სისხლია საზღაურად დაწესებული (იხ. კანონიკური სამართალი, მუხლი 161).[217] იქვეა მითითებული: ვინც მფარველობას გაუწევს ასეთ დამნაშავეს „კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყვნენ“.

სხვა ადგილას კანონიკური სამართალი სპეციალურად ჩერდება ხუცესის, მონაზონის და დიაკონის მალვით-ღალატით მკვლელობაზე, რისთვისაც სისხლის ორმაგ საზღაურს და წყევლა-კრულვას აწესებს (166-ე მუხლი). ასეთ განაცხადში ყურადსაღები ისიცაა, რომ ამ ხასიათის სასჯელია გათვალისწინებული ყველას მიმართ ვინც არ უნდა („ვინც გინდა გვარმან კაცმან“) ჩაიდინოს იგი. ასეთი

[215] მუხლების ნუმერაცია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვითაა.

[216] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206.

[217] აქაც მუხლების ნუმერაცია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვითაა.

რამ კი ფეოდალური სამართლისათვის უიშვიათეს გამონაკლისად ჩანს. გამონაკლისია სამართლისათვის, რომელიც სოციალურ უპირატესობათა აღიარებაზეა დაფუძნებული.

გიორგი ბრწყინვალე თავისი სამართლის წიგნის შესავალში ყურადღებას ამახვილებს რა ღალატის განვრცობაზე („ერთმანეთზე ღალატით დასხმა") საჭიროდ მიიჩნევს მათ აღსაკვეთად მკაცრი სასჯელების დაწესებას.

ასევე იქცევა ბექა მანდატურთუხუცესი, რომელიც მოღალატეთა მკაცრად დასჯის საჭიროებაზე მიუთითებს. ღალატიანი მოქმედებანი „ჟამთა სიავითა" გამო განვრცობილად მიაჩნია მას.

ახალ ეტაპზე ავიდა ღალატით ჩადენილი მკვლელობის დასჯადობის საკითხი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით. აქ გამოიკვეთა მისი იურიდიული ბუნება და რაც მთავარია ამოსავლადაა მიჩნეული სუბიექტის განზრახვა, მიუხედავად იმისა რამდენად შესძლო მან ასეთი განზრახვის შესრულება.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 59-ე მუხლი ღალატით მკვლელობას ორმაგად სჯის: „ერთი ღალატად დგომისა და ერთი სიკუდილისა"-თვის, ხოლო თუ მოხდება ისე, რომ „ამ უბრალომ კაცმან ის მოღალატე მოკლას მისი სისხლი არ არის". ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ მოღალატე „უბრალოდ" კლავს. ცხადია, სხვანაირად ღალატიც არ იქნებოდა.

ყურადღებაა გამახვილებული იმაზედაც, როცა ღალატით მკვლელობის მცდელმა ვერ განახორციელა თავისი განზრახვა და თვითონ იქნა მოკლული. ამ დროს მკვლელის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას. საინტერესოდაა საკითხი გადაჭრილი ღალატით მკვლელობის ფუჭ მცდელობაზე.[218]

ამავე სამართლის წიგნის მე-60 მუხლი ღალატით ისეთი პირის მოკვლას ითვალისწინებს, რომელსაც გარკვეული ბოროტება მიუძღვის მკვლელისადმი. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი კანონი „მუხანათად სიკვდილისათვის" დამატებით მეხუთედი სისხლის გადახდას აკისრებს მკვლელს. თუ მოხდეს ისე, რომ დაასწრო და ღალატით (მუხანათად) ჩასაფრებული პირი მოკლას თავად სასიკვდილოდ განწირულმა, მას ნახევარი სისხლის მეტი (იმის გარ-

[218] ღალატით მცდელობაზე იხ. აქვე, პარაგრაფი „დანაშაულის მცდელობა".

და, რაც გათვალისწინებულია იმ ბოროტებისათვის, რაც მას ადრე ჩაუდენია მოკლულის მიმართ) არ გადახდება. სისხლის მეორე ნახევარი კი ჩაივლის „ღალატით დგომისათვის“.

ღალატით მკვლელობაზე ლაპარაკია თითქმის ყველა კერძო ხასიათის ისეთ საკანონმდებლო აქტებში, როგორიცაა სასისხლო სიგელები, რომლებითაც გარკვეული დამსახურებისათვის მეფეები ფეოდალებს აძლევენ (ან უახლებენ) სიგელებს თუ მისი ოჯახის მიმართ ჩადენილი როგორი დანაშაული რა საზღაურს ითვალისწინებს.

სასისხლო სიგელები ეძლეოდათ როგორც კერძო პირთ, ისე ეკლესია-მონასტრებს.

სასისხლო სიგელთა ნატყუარობამ ეჭვქვეშ დააყენა სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შემოტანის სარგებლიანობა. პირადად ჩვენ იმ მოსაზრებისა გახლავართ, რომ ნატყუარია თუ არა ეს სიგელები, მათი მონაცემების კრიტიკულად განხილვის შემდგომ სწორუპოვარ სამსახურს უწევენ ისინი სამართლის ისტორიის საკითხების მკვლევართ. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ის როდი გვაინტერესებს დიდად თუ ვინაა კონკრეტული საბუთის მიმღები ან გამცემი (ან გაცემის ზუსტი დრო), არამედ ის თუ რამდენად ზუსტად აისახა მასში დანაშაულთა, სასჯელთა, სასამართლო ორგანიზაციის თუ სასამართლო პროცესის საკითხები. უფლება არა გვაქვს მათი მონაცემები რადიკალურად განსხვავებულად წარმოვადგინოთ იმდროინდელ სინამდვილესთან შედარებით. თუ მათი მონაცემები (მაგალითად, სასჯელთა სახეები, საზღაურები და სხვა) არ შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას, მაშინ ასეთი დოკუმენტის გამოყენების შესაძლებლობაც მოისპობოდა.

სწორედ აღნიშნულს უნდა გაეწიოს ანგარიში. ვიმეორებთ, ყალბის მქნელ სასისხლო სიგელის შემდგენელს არ შეიძლებოდა მასში იმ ხასიათის დანაშაულის ან სასჯელის შეტანა, რასაც ცხოვრება არ იცნობდა, ე. ი. არ იცნობდა ჩვეულებითი სამართალი თუ დაწერილი კანონები. უფრო მეტიც, სასისხლო სიგელი სასჯელის განსაზღვრისას არ შეიძლებოდა დიდად დასცილებოდა იმ მონაცემებს (საზღაურებს), რაც საერთოდ იყო განსაზღვრული ყველასათვის სავალდებულო სამართლით.

თქმულიდან გამომდინარე, როგორც ღალატით მკვლელობის, ისე სხვა საკითხების კვლევის დროს, შეძლებისდაგვარად ვიყენებთ კერძო ხასიათის საკანონმდებლო აქტთა – სასისხლო სიგელთა მონაცემებს.

1251 წლით დათარიღებული[219] სასისხლო სიგელით, „ვინცა ღალატითა მოკლას (ლაპარაკია სიგელის მიმღებ მხარეზე – მ. კ.) მისსა სისხლს თორმეტი ათასი სხუა ემატოს.“[220]

ასეთ დანაწესში ყურადსაღები ისიცაა, რომ ღალატისათვის სისხლის საზღაურად დამატებით 12 ათასი თეთრის გადახდა ჯერ კიდევ IX საუკუნეში დაუდგენია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 117-ე მუხლს. რამდენად მართებული და მიზანშეწონილი ყოფილა კერძო ხასიათის საკანონმდებლო ნორმაში ქვეყანაში საყოველთაოდ მოქმედი ნორმის განმეორება, ეს მრავალმხრივაა საინტერესო. ამ შემთხვევაში კი ის უნდა ითქვას, რომ სამხრეთ საქართველოში მიღებული ბაგრატ კურაპალატის სამართლის მოთხოვნა მთელ საქართველოში მოქმედებს.

მეფე სიმონ I მაღალაძეებს ჩაუწერს სასისხლო სიგელში (1592): თუ ვინმემ მისიანი „ღალატით მოკლას, სამოცი ათასი სისხლსა უმატოს“. აქვე აღნიშნულია რომ მოღალატის მიერ ხელის აღება განზრახვაზე პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს მას: „თუ ვინმე საღალატოდ წავიდეს და თავადვე დაიშალოს, ან სხვათა დააშლევინონ, არა ზედა-აც.“[221]

ღალატით მკვლელობის შინაარსის გასახსნელად კარგ მაგალითს იძლევა ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძეს შორის შექმნილი ვითარება: გიორგი სააკაძე უთვლის მეფეს: „რატომ სიკვდილსა და ღალატს მიპირებო... დანაშაული რა მაქუსო.“ საპასუხოდ მეფე იფიცებს: „არა მწადს სიკუდილი შენიო.“[222] ქართლის ცხოვრებისავე ცნობით, ზურაბ ერისთავმა ქართლის მეფე სვიმონი „მძინარე სა-

[219] რა თქმა უნდა სასისხლო სიგელთა თარიღები თითქმის ყველგან პირობითია, ამდენად, აღნიშნულზე ანგარიშგაუწევლობამ შეიძლება ბევრი უხერხულობა შეუქმნას მკვლევარს.

[220] საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1924, 4.

[221] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206..

[222] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 385.

რეცელსა ზედა ღალატად მოკლა".[223]

მაინც როგორი მკვლელობა ჩაითვლება ღალატით მკვლელობად? ყოველგვარი, რასაც მინდობილი კაცი არ მოელის არსად და არცერთ ვითარებაში.

ჩვეულებითი სამართლის ჩინებულ მცოდნეს, ნ. ხიზანაშვილს, არ მიაჩნია მართებულად „ს.ს. ორბელიანის განმარტება ვითომ ღალატი მარტო მუხთლად მოკვლას ნიშნავდა. არა, ღალატი, მოკვლის გარდა, სხვა დანაშაულშიაც მოიპოვება და ღალატით სხვადასხვა ბოროტების ქმნა შესაძლოა."[224] ნ. ხიზანაშვილი დადებითად მიიჩნევს რა ქართველ კანონმდებელთა მიერ მოღალატეთა მკაცრად დასჯას, წერს: „იგი იურიდიულადაც შეეფერებოდა ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორიც ღალატია."[225]

უფრო მეტიც, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებიც გვარწმუნებს იმაში, რომ მოღალატისადმი ასე მკაცრი დამოკიდებულება ქართული ხასიათით იყო განპირობებული. ამოსავალია – ძნელად შეგუება ღალატით გამოწვეული შედეგისადმი. სწორედ ამიტომაც წერდა სჯულმდებელი ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში: „ქართველთა წესი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქუეყანისა რიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი."[226]

ქართული ისტორიული სინამდვილე მომავალშიც უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა კანონშემოქმედმა და ყოველგვარი ღალატი კვლავაც გამოაცხადოს მკაცრად დასჯადად.

**4. ხელისუფლების წარმომადგენელთა მკვლელობა.** როგორც ითქვა, დამამძიმებლად ითვლებოდა რაიმე სახელოს მატარებელი პირის მოკვლა.

კონკრეტული საკანონმდებლო ნორმები, რომლებითაც გათვალისწინებული იქნებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მკვ-

---

223 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 414,

224 ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, 479.

225 ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, 477.

226 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 532.

ლელის დასჯადობა არ შემონახულა და ამ მიმართებით მხოლოდ „ძეგლის დადების“ ზოგიერთი მუხლი წარმოადგენს გამონაკლისს. პირველი მუხლით ერისთავის (ცენტრალური ხელისუფლების მოხელის) მოკვლა, ქვეყნის უმაღლესი ორგანოს – დარბაზის მსჯელობის საგანი ხდება. მკვლელს სისხლის გადახდასთან ერთად გარდახვეწაც აწევს. თუ რა დრომდე უნდა გაგრძელდეს გარდახვეწა კანონი არ პასუხობს. ალბათ კონკრეტული ვითარების კვალობაზე განისაზღვრებოდა იგი.

მეორე და მეოთხე მუხლები განმგებლის მკვლელობისადმია მიძღვნილი. განმგებელი ერისთავის შემდეგ, ცენტრალური ხელისუფლების მეორე მოხელედ ითვლება ადგილზედ. მეორე მუხლში გათვალისწინებულია განმგებლის სიკვდილი, თუ იგი ქვეყნის (თემის, ხევის) „მსახურია“. ამ შემთხვევაში მკვლელს 6 ათასი თეთრის გადახდის პასუხისმგებლობა აწევს. ასეთი მოქმედებისათვის დამატებით სასჯელად სოფლის თავკაცთა გაპარსვაცაა დაწესებული. ეს მუხლი მეტადაა დამძიმებული გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღონისძიებებით. მხოლოდ ის რად ღირს, რომ მთელი სოფლის პასუხისმგებლობიდან გამომდინარე სოფლის თავკაცთ ადებენ სასჯელს.

მეოთხე მუხლი აზნაური (და არა მსახური) განმგებლის მოკვლის შემთხვევას ითვალისწინებს,[227] რა დროსაც მკვლელთ მოკლულის გვარის კვალობაზე გარდახდებათ სისხლის ფასი. როგორც ჩანს, განმგებლის მოკვლისათვის მისი მოხელეობით განპირობებული სისხლის ფასი არაა გათვალისწინებული. იქნებ იმიტომ, რომ ისედაც დიდი იქნებოდა მისი საზღაური?

სავარაუდებელია ისიც, რომ აქაც „აზნაური განმგებლის“ მკვლელად მთელი „ქუეყანა“ თუ „სოფელი“ იგულისხმება. მსგავსივე ვითარებაში, მსგავსივე სასჯელი ედება ხევისბერის მკვლელს (მე-8 მუხლი).

თუ ასეა, გასარკვევია, თუ როგორც დაისჯებოდა განმგებლის და ხევისბერის ერთპიროვნული მკვლელი? უკეთუ „ქუეყნის“, ან „სოფლის“ ბრალი გამორიცხულია“?

---

[227] აქედან კარგად ჩანს, რომ სოციალური დიფერენციაცია სამოხელეო სისტემაშიც პოვებს გამოხატულებას.

ამავე კანონის მეხუთე მუხლში ლაპარაკია იმაზე რომ „თუ ხევისბერმან მოკლას განმგებელი“, ხევისბერის მერ სისხლის საზღაურის გადახდის გარდა დროებით გაძევებაცაა დადგენილი. ასევე მისი გაძევებიდან დაბრუნების შემდგომ მოწყობასა თუ ახალი ხევისბერის დანიშვნის წესიცაა განსაზღვრული.

დამამძიმებლად მიიჩნევა ხევისბერის მიერ ხევისბერის მკვლელობაც (მე-6 მუხლი).

მთაში მეტად მნიშვნელოვანია ხევისბერის ფიგურა, რომელიც თეოკრატიულ საწყისებზე განმგებლობს, ამდენად იქცევს თავის სამსახურში ცენტრალური ხელისუფლება და იცავს მის სიცოცხლეს. კანონი ამავე პოზიციებიდან იღწვის ხევისბერის გაუყოფ სახლისკაცთა სიცოცხლის დასაცავადაც (მათ შორისაა მისი გვარისკაცი, რომელიც მის მოახლედ ითვლება), რომელთა სისხლის ფასი 6 ათასი თეთრითაა განსაზღვრული. ასეთი საზღაური ალბათ დიდად აღემატებოდა თანასოფლელ „უბრალო კაცის“ სისხლის ფასს (მე-7 მუხლი).

ქართულ სინამდვილეში მხოლოდ „ძეგლის დადების“ მე-6 და მე-7 მუხლებშია ლაპარაკი მკვლელთა თავადი (მთავარი – მ. კ.) სახლის დაწინდვაზე“. თუ როგორ იურიდიულ რეჟიმშია ეს „დაწინდული“ სახლი საკვლევია. საკვლევია სხვა ხასიათის წყაროებში დამოწმებული „წინდის“, როგორც გარანტიის რეჟიმიც.

მეცხრე მუხლი ხევსბერის განყოფი კაცის მოკვლას ეხება, თუ გინდ მოახლეც იყოს იგი. კანონი ასეთი კაცის სისხლს სამი ათას თერთად აფასებს. ასევე ორი წლით გაძევებას იმსახურებს მკვლელი. თეთრის საზღაურის საკითხზე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით (სადაც 6 ათასი თეთრი იყო გაჩენილი), ამ შემთხვევაში სამი ათასის გაჩენა მიახლოებით მაინც გვაძლევს იმის განსაზღვრის შესაძლებლობას თუ რა ეღირებოდა ყველზე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლის მოკვლისათვის გათვალისწინებული სისხლის ფასი.

მამულიდან გაძევებას და სისხლის ფასის გადახდას ითვალისწინებს კანონი (მე-13 მუხლი) ხევისბერის ან სხვათა მიერ ციხისთავის მოკვლასთან დაკავშირებით.

ციხისთავთან შედარებით ჰეროვანის დაბალ ღირსებაზე მე-

ტყველებს ის, რომ მისი სისხლი ათას ორასი თეთრია (მე-11 მუხლი), ციხისთავის კი სამი ათას ხუთასი. თანაც ხევისბერი ციხისთავის მოკვლისათვის სამი წლით გაიძევება მამულიდან, ხოლო ჰეროვანის მოკვლისათვის ერთი წლით.

თუ არა „საზოგადოებრივი დატვირთვისა“, ჰეროვანი რომ რაიმე სახელოს მფლობელი ყოფილიყო, სათანადო კონტექსტში განსხვავებულად იქნებოდა მოხსენიებული. უფრო კი საფიქრებელია მისი გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობა, ვითარცა შედარებით გვიან სისხლის საზღაურის გაჩენით მაინც პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენებული პირის. დაახლოებით ისეთის, როგორიც იყო ხევისბერი, ოღონდ უფრო მცირე, მიკრო რაიონში.

**5. მშობლების მკვლელობა.** ქართული სამართლის წიგნები ერთხმად აღიარებენ შვილების მიერ დედ-მამის მკვლელობის სიმძიმეს. ასეთ შემთხვევაში საკითხი არ დგება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩაიდინა შვილმა ასეთი მიუტევებელი დანაშაული.

„ძეგლის დადებით“ „დედ-მამათა სიკუდილი შვილისაგან უწესო არის და ღმერთმან ნუ იყოფინოს ამის კადრება. და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და დაემართოს, რაც უარესია“ – იმის ღირსია ასეთი შვილი. სისხლზე იმიტომ არას ვწერთ, აცხადებს, კანონი, რომ „უსახო და უმსგავსოა“ და სხვებისათვის მისაბაძი გახდებაო (მე-15 მუხლი).

ქართულ კანონმდებლობაში ასე ჩამოყალიბებული ნორმა განმარტოებით არ დგას. ასეთ დროს სანქციისაგან იმის რიდით იკავებს თავს კანონმდებელი, რომ ვინმემ არ იფიქროს ამ ხასიათის სასჯელით შეიძლებოდეს ამ სახის დანაშაულის გამოსყიდვა. არც ის სურს კანონმდებელს ამ სახის დანაშაულის გამოსყიდვის შესაძლებლობას შეეჩვიოს ადამიანის გონება და ყური. სწორედ აქედან ამოდის კანონმდებელი მაშინაც როცა წერს – თითქოს შვილების მიერ მშობლების მოკვლა: „.....ჩვენთა ჟამთა შიგან არა ქნილა და ღმერთმან ნუცა იყოფინოს!“ (მე-15 მუხლი). განა მართლა შეიძლება ვირწმუნოთ, რომ შვილის მიერ მშობლის განზრახ თუ უნებლიე მკვლელობა არ მოხდებოდა მთელ სამეფოში. ასეთი

შინაარსის განცხადება სხვა დროსაც გაუკეთებია ქართველ კანონმდებელს. მაგალითად, 1767 წლით დათარიღებულ საკანონმდებლო ნორმაში, რომელიც საწამლავის, სიყვარულის თუ სიძულვილის წამლის მიცემას, მკითხაობა-ჯადოსნობასა და მამათმავლობას შეეხება, ვკითხულობთ: „გულდაჯერებული ვართ, რომ ჩვენს ქუეყანაში **არც ყოფილა და არც არის** ამისათნა ავი და ღვთის განმარისხებელი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაფრთხილებთ."[228] ამ დრომდე განა მართლა არ ექნებოდა ადგილი ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებს ქართ-კახეთის მთელ სამეფოში? რა თქმა ექნებოდა, მაგრამ კანონმდებელს არ სურს მის არსებობას შეაჩვიოს ქვეშევრდომნი. ასეთი დანაშაული რომ საყოველთაოა, ამაზე ის მიუთითებს, რომ არცერთ სამართლის წიგნს ხელი არ აუღია მათ დასჯადობაზე.

„კათალიკოსთა სამართალში" მხოლოდ მამის მოკვლაზეა ლაპარაკი. მკვლელი ხელის მოკვეთას და გაძევებას იმსახურებს (მე-4 მუხლი).

ვახტანგ VI სამართლით მამის მიერ შვილის ან პირიქით, შვილის მიერ მამის მოკვლისას „სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და რჯულის კანონით უნდა გარიგდეს", ე. ი. საეკლესიო სამართლით დაისაჯოსო (78-ე მუხლი).

კონკრეტულ ვითარებათა ზედმიწევნით გამოწვილვით გარკვევის გარეშე მართლაც ძნელია ამ შემთხვევაში კონკრეტულ სასჯელზე მსჯელობა.

**6. ძმის მკვლელობა.** „ძეგლის დადებით" ძმის მოკვლაც მძიმედ განისჯებოდა: „ვისაც ღმერთი შერისხდეს და ძმამ ძმა მოკლას" მკვლელი 10 წლით მამულიდან იქნება გაძევებული, ხოლო მისი „მამული" სასეფოდ დაიდება. გაძევების დროის გასვლის შემდეგ შეიძლება დადგეს საკითხი მის „შემოშვებაზე" (მე-17 მუხლი),[229] რა დროსაც მოხდება „რასაცა გუარისა იყოს იმ წესით" სისხლის დაუ-

---

[228] კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. I, თბ., 1970, 69.

[229] როგორც აქ, ისე სხვაგანაც, საგანგებოდ არ ვჩერდებით გაძევებიდან დაბრუნების პროცედურაზე, ასევე სხვა ხასიათის სასჯელთა განხილვაზე.

რვება და მამულის დაბრუნება. როგორც ჩანს, ძმა უხდის ძმას სისხლს. ცხადია, ამ შემთხვევაში ძმები გაყოფილები არიან და დამოუკიდებელ ოჯახებს წარმოადგენენ, მათ განკერძოებულად გააჩნიათ მამულებიც. მკვლელ ძმას ორნაირი სასჯელი ეფარდება: კერძო – სისხლის საზღაურის სახით და საჯარო – დროებით მამულის ჩამორთმევა და სახელმწიფოზე მისი სასეფოდ გადაცემის სახით.

ცხადია, გაუყრელი ძმების ურთიერთშორის მკვლელობის შესახებ კანონში არაფერია თქმული. საქმე იმაშია, რომ საერთო-საოჯახო მეურნეობა შეუძლებელს ხდის სისხლის ფასის გადახდას.

ზემოთთქმულის სისწორეს ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 22-ე მუხლი ადასტურებს. აქ პირდაპირაა მითითებული: „თუ ძმამან ძმა მოკლას, ერთსახლი და გაუყოფელი იყოს, და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი, ორი კეცი სისხლი დაუურვოს, რაც გვარისა იყოს, ამად რომე საღმთოდ ბრალია და საკანონო არის ასკეცი“. როგორც მოტანილ, ისე „ძეგლის დადების“ მე-17 მუხლში გამორიცხული არაა სიტყვა ძმებში საძმოც: კეძოდ, ხევსურული – შინშები, ან სვანური – სამხუბი იგულისხმებოდეს.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლით აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ძმის მოკვლა იმსახურებს, როგორც საერო სასჯელს (სისხლი), ისე საეკლესიოსაც (საკანონო). ამავე ნორმამ, როგორც საჯარო ხასიათის სასჯელი, კვლავინდებურად დატოვა გაძევება, თუმცა მამულთან დაკავშირებით არაფერი თქვა. უფრო მკაცრი გამოდგა ძმათა მკვლელის მიმართ გვიანი პერიოდის კანონმდებლობა და ისიც საეკლესიო. კათალიკოსთა სამართლის მე-4 მუხლით „ქ. ვინცა ძმა მოკლას ანუ მამა, ჴელი მოეკუეთოს და მამულისაგან განვარდეს“. ძნელი დასაჯერებელია, რომ XVI საუკუნეში სისრულეში მოეყვანათ ამ ხასიათის სასჯელი. იგი სიმბოლურ ხასიათს ატარებს და „ხელის მოკვეთას“ ხელის სისხლის ფასის გადახდა ცვლის.

**7. ცოლის მიერ ქმრის ან ქმრის მიერ ცოლის მოკვლისათვის.** ცოლის მიერ ქმრის მოკვლასთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა დუმს. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ვახტანგ VI სამართალი წარმოადგენს. იგი შეგვახენებს: „თუ ცოლმან ქმარი

მოკლას ანუ წამლით ანუ, სხვა რითიმე, გასინჯეთ, რისთვის მოუკლავს. თუ ასეთი რამ ექნას, რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით; და თუ უბრალო მოკლა, ეგეც თქვენ იცით. ღ' თნ ნუ ქნას, და თუ ჩვენს ჟამში მოჴდა, ჩვენ ვიცით." (მუხ. 65). გამოდის, რომ კანონმდებელს, ყოველთვის დასჯადად არ მიაჩნია ცოლის მიერ ქმრის მოკვლა, შეიძლება „ემართლებოდეს", ე. ი. შეიძლება მართებული იყოს ასეთი მოქმედება.

ამავე სამართლის 62-ე მუხლით „თუ კაცმან ცოლი მოკლას უბრალო" სისხლსაც გადაუხდის ქალის ოჯახს და საკანონოც მოეკითხება კათალიკოსის მიერ. გამორიცხული არაა საეჭვო იყოს ქმრის მიერ ცოლის მოკვლა, მაშინ ქმარმა ორდალით („ფიცით, მდუღარით, ან შანთით") უნდა იმართლოს თავი. როგორც 65-ე მუხლში, აქაც უშვებს კანონმდებელი, რომ ცოლი იმსახურებდეს მოკვლას („მოკლას უბრალო").

ყურადღებას იმსახურებს იოანე ბაგრატიონის ცნობა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: „ცოლისა გაწბილებაზედ უკეთუ მიესწრის ქმარი, თუ მოჰკლავდის, სისხლს არ მისცემდის; და უკეთუ დედაკაცს შეამცნევდენ ბოზობას, ჩააქვავებდნენ სახალხოთ."[230]

საინტერესოა როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქმრის მიერ ცოლის მოკვლისადმი XVIII საუკუნის მიწურულს შედგენილი დავით ბატონიშვილის კანონპროექტი: „ვინცა ცოლსა ზედა მოკლას კაცი და ანუ თვით ცოლი, მოეკვეთოს მარჯუჱნე და ანუ ჟამ რაოდენმე სამეფოსა სამუშავოსა წარიგზავნოს პყრობილად, მით რომე განუნახველობითა და სჯულისა გარდამავლობითა იქმნა იგი კაცის-მკულელ, რამეთუ არა მოუთმინა მან სამართალსა და თვით ქმნა მან განსჯა, რომელიცა არა ჯერ-იყო მისდა" (თვითნებურად იმოქმედა და არ მიმართა სასამართლოს – მ.კ.). [231]

**8. დიაცის მკვლელობისათვის.** ქართული კანონმდებლობით, ქალის პატივის, ღირსების და სიცოცხლის დაცვა ყოველთვის იმ-

[230] იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედქციით, 1948, 230.

[231] სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 48.

სახურებდა მომეტებულ პასუხისმგებლობას. დედის მკვლელობაზე მხოლოდ „ძეგლის დადების“ მე-15 მუხლშია ლაპარაკი. უნდა ვიგულვოთ, რომ ეროვნული ტრადიციებით განპირობებულობის გამო – დედის მკვლელობა მართლაც უიშვიათესი შემთხვევა იქნებოდა.

„ძეგლის დადების“ 26-ე მუხლში კი სამჯერაა ლაპარაკი ზოგადად ქალის (დიაცის) მკვლელობასთან დაკავშირებით.

პირველი შემთხვევა: თუ დიაცი იბრძვის აბჯარასხმული, რაც არ იძლევა შესაძლებლობას, რომ გამოცნობილი იქნას იგი ქალად და ასეთ დროს იქნება მოკლული, მკვლელო პასუხს არ აგებს. როგორც ჩანს, ქალის მოკვლა მაშინაც არ შეიძლება, როცა იარაღით იბრძვის და შეიცნობა, რომ იგი ქალია. ალბათ ამ დროსაც გაჩნდებოდა გარკვეული სისხლი მისი მოკვლისათვის. ხოლო უკეთუ ბრძოლის დროს „უბრალოდ მოკლან“ დიაცი, ორმაგ მკვლელობად ჩაითვლებოდა იგი და მკვლელმა ორმაგივე სისხლი უნდა ზღოს. სხვა შემთხვევაში, მსგავსად მონაზვნისა და მწირველი ხუცესისა, ორკეცი სისხლია გაჩენილი დედაკაცის მკვლელობისათვის.

კანონი ასევე იცავს „შუად“ (გასაშველებლად) მოსულ ქალის სიცოცხლეს, უკეთუ ამ დროს მოკლავენ მას. აქაც ორკეცი სისხლი უნდა ზღოს მისმა მკვლელმა (26-მუხლი).

ურიგო არ იქნება მიუთითოთ იმაზედაც, რომ ქართული კანონმდებლობა მომეტებულად იცავდა ქალის არა მარტო სიცოცხლეს, არამედ ყოველგვარ ხელყოფას და ლეჩაქის სიწმინდესაც. ამ მიმართებით საინტერესო ცნობა დაუცავს 1433 წლით დათარიღებულ ერთ სასისხლო სიგელს: „ვინცა ცოლი მოგითრიოს და მანდილნი მოგიჴადონ, ეს ნახევარი სისხლისა დაგიურვოს.“[232]

**9. განმეორებით ჩადენილი მკვლელობა.** შურისძიებით მკვლელობას შესაძლებელია მოყვეს მრავალგზის მკვლელობები, მაგრამ ასეთი მოქმედებანი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, არ ითვლება განმეორებით ჩადენილ მკვლელობად.

ქართული სამართლის ძეგლებში და სასამართლო პრაქტიკაშიც არ გვხდება გამოკვეთილი ცნობები განმეორებით ჩადენილ მკვლელობაზე. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს XVIII საუკუ-

[232] საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909, 373.

ნის მიწურულს იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილი „სჯულდების“ 85-ე მუხლი, რომლის მიხედვით: „უკეთუ კაცის მკვლელმან კიდე მოკლას კაცი, მაშინ მეორე ხელიცა მოეჭრას (პირველი მკვლელობისათვის ერთი ხელის მოჭრაა გაჩენილი – მ. კ.) და მთელი სისხლი წაერთოს და შვიდ წელიწადს იყოს მონასტერსა შინა და უკეთუ მესამედცა მოკლას კაცმან მანვე, მაშინ მოკვდეს იგიცა“ (85-ე მუხლი).[233]

თქმული იმას არ ნიშნავს, რომ ქართული იურიდიული აზროვნებისათვის უცნობი და გაუცნობიერებული იყო საერთოდ განმეორებით ჩადენილი დანაშაული და მათ შორის სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულიც, რომელთან დაკავშირებითაც საუბარი გვაქვს დამამძიმებელ გარემოებებისადმი მიძღვნილ სპეციალურ პარაგრაფში.

**10. მიხდომის დროს მკვლელობისათვის.** ქართულმა სამართალმა რიგი „საბატიო“ ადგილები დააწესა სადაც ყველას ეკრძალებოდა დანაშაულებრივ ქმედობათა ჩადენა. მათ შორის ისეთებიცაა, სადაც მკვლელობაც არ შეიძლება იქნეს ჩადენილი. ასეთ ადგილებში ჩადენილი მკვლელობა დამამძიმებლად ითვლება მიმხდომისათვის, ხოლო შემამსუბუქებლად დამხდომისათვის. ასეთი წესით საკითხის გადაწყვეტა ამ ხასიათის (მიხდომის) დანაშაულის დაკვეთისათვის საჭირო პროფილაქტიკურ ღონისძიებადაც უნდა ჩაითვალოს.

მიხდომა-აოხრება ცენტრალური ხელისუფლებისათვის დაუმორჩილებლობისა და „თვითგასამართლების“ დასაშვებულობას წარმოადგენს. სწორედ ეს აფიქრებდა და აღაშფოთებდა დავით ბატონიშვილს, როცა თავის სამართლის პროექტში წერდა: „ნურვინ იკადრებს მაღალთა, გინადა მდაბალთაგანი მიხდომად და ურთიერთისა რბევად, რომელიცა სახე ესე არს ურჩებისა და მეამბოხეობისა, რომელიცა ხშირად ქმნისათვის მსგავსად მეამბოხეთა დაისჯებიან“ (95-ე მუხლი).

აღნიშნული თვალთახედვით მკვლელობა-დაჭრის მრავალი

---

[233] ბაგრატიონი იოანე, სჯულდება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957, 38.

შემთხვევა გაუხდია მსჯელობის საგნად ვახტანგ VI სამართლის წიგნს. საერთოდ კი ამ ხასიათის მოქმედებათა დასჯადად გამოცხადება მნიშვნელოვან დანაწესს წარმოადგენს მოსახლეობის მშვიდი ცხოვრებისა და უსაფრთხოების დაცვისათვის.

კანონი განასხვავებს მიხდომებს: სასაფლაოზე, სასახლეში, ცოლშვილში და ყმაზე, რომელიც თავისი ოჯახით პატრონის სასახლესთან ახლოს ცხოვრობს. ასევე დასჯადად ცხადდება მიხდომა ჭირისა და ლხინის დროს ისეთ მამულშიც კი, სადაც ცოლშვილი (და სასახლე) არ იმყოფება და ა. შ.

მიხდომის დასაგმობობა რელიგიურ რანგშია აყვანილი. როგორც ევროპის ქვეყნებში ეკლესიის სიწმინდეს იცავდა სათანადო კანონმდებლობა, ასევე ქართულმა სახალხო სამართალმა და საერო კანონმდებლობამ საგანგებო დაცვის ობიექტად გამოაცხადა ოჯახის (სახლ-კარის), სასაფლაოს, ჭირისა და ლხინის ადგილის, ცოლშვილის თუ სხვა სამყოფის სიმყუდროვე და უშფოთველობა.

ამ ხასიათის საკანონმდებლო ნორმების გაჩენა ადრიდანვე მოქმედმა ამ ხასიათის ჩვეულებითი სამართლის ნორმათა არსებობამ განაპირობა ჩვენში.

საკანონმდებლო გზით მიხდომა-აწიოკების წინააღმდეგ სახელმწიფოს ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს IX საუკუნეში შედგენილი ბაგრატის სამართლის წიგნის მოთხოვნა: „მეკობრისა და ზედადამსხმელისა სისხლი არ არის“ (138-ე მუხლი), რაც საფუძვლად დაედო საუკუნეების შემდგომ შედგენილ ბექას სამართლის მე-12 მუხლს: „ზედა დამსხმელისა სისხლი და გერში (საზღაური ჭრილობისათვის – მ. კ.) არ არის“ და პირიქით, თუ ზედდამსხმელი მოკლავს ან დაჭრის დამდხურს „ორკეცი სისხლი დაუურვოს და გერშიცა იმავე წესით იყოს.“

მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მიხდომის თითოეულ სახეზე.

**10.1. ოჯახში (ცოლშვილში) მიხდომა-მკვლელობისათვის.** ფრიად საინტერესო ვითარებასთან გვაქვს საქმე ვახტანგ VI სამართლის წიგნის 51-ე მუხლით, საიდანაც მხოლოდ მკვლელობასთან დაკავშირებული ადგილების აღწერით დავკმაყოფილდებით: „თუ სასახლესა და ცოლ-შვილში კაცი მიუჴდეს კაცსა და დაესხას, რაც

მოკლას და ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაც გვარისა იყოს და წანაღებიცა..... და თუ მიმჭდომი და ან ასაბია მოკუდეს ან დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.“ როგორც ჩანს, კანონი დამამძიმებლად მიიჩნევს – ოჯახში, ცოლშვილში მიხდომის დროს მკვლელობას, რისთვისაც ორმაგ სისხლს აჩენს, ცხადია, ერთს მკვლელობისას, ხოლო მეორეს მიხდომისათვის. როგორც წინაც ითქვა, ამ დროს მკვლელობა რომც არ იქნეს ჩადენილი მიმხდომი მიხდომისათვის მაინც იხდის ერთ სისხლს. ამავე მუხლით თუ მიხდომისას მოკლული იქნება მიმხდომი ან მისი თანმხლები (ასაბია) „მისი სისხლი არ არის“ (61-ე მუხლი).

სასამართლო პრაქტიკასაც აღუნუსხავს რაოდენ მძიმედ ისჯებოდა ოჯახში (სასახლეში) მიხდომა, რაც ცოლშვილის აფორიაქებისათის კიდევ უფრო მძიმდებოდა (მით უფრო თუ სიკვდილი მოჰყვებოდა მას). დოკუმენტებში ჩაწერილია: „დედაწულთ აფუშვისათვის და შერცხვენისათვის“ დაისაჯოსო.[234]

ერეკლე II-ის მიერ 1791 წელს გამოტანილ განაჩენში, რომელიც ოსების მიერ პაპუა კორნითელის სახლკარზე მიხდომასა და აწიოკებას ეხება, ვკითხულობთ: კორნითელს „ცოლშვილში რომ მოხდომიან და ბანიდამ ცეცხლი ჩაუყრიათ და სროლა დაუწყიათ, ამისათვის ერთი მთელი სისხლი უნდა მოსცენ ოსებმა.“[235]

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 53-ე მუხლით, განსხვავებული მიდგომა მჟღავნდება როცა მიხდომა ხდება სასახლისა და ცოლშვილის გარეთ: „უსასახლოდ და უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში იყოს და ისრე მიუჭდეს და დამჭდომი მოკუდეს, სისხლი და სისხლის მესამედი მოსცეს.“

ამ ნორმას იმარჯვებს ერეკლე მეორე, რომელიც ერთ თავის განაჩენში (1788) წერს: „სანატრელი მეფე ვახტანგ ორმოცდაცამეტს რიცხვში ასე ბრძანებს: თუ უსახლოდ და უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში იყოს და ისე მიუხდეს და დამხდომი მოკუდეს სისხლი და სისხლის მესამედი მისცესო.“[236]

როგორც ჩანს, ოჯახში (სასახლეში, სადაც ცოლშვილია) მიხ-

[234] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 356.

[235] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 529.

[236] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 400.

დომისგან განსხვავებით ნაკლები სასჯელია სასახლისა და ცოლ-შვილის გარე მდებარე მიხდომა-მკვლელობისათვის.

სწორედ ამიტომაც წერს თავის საჩივარში გაცეცხლებული დაზარალებული: პასუხი მიგოს დამნაშავემ „ჩემს სახლსა და ცოლს შვილს ახლოს მოხდომისათვისო.“[237]

ქართული კანონმდებლობით („ძეგლის დადების“ 29-ე მუხლი) მიხდომის დროს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში იხსნის პასუხისმგებლობას მიმხდომი, ეს მაშინ, როცა მიუხედავად ხელისუფლების ორგანოების გაფრთხილებისა (ორჯერ-სამჯერ მაინც) დამხდური თავს არიდებს საქმის გამრჩევ სასამართლოში გამოცხადებას, რამაც განაპირობა მომჩივანის მიერ მოპასუხეზე მიხდომა (მნიშნელობა არა აქვს იმას, რაზეა დავა) და აქედან გამომდინარე დამხდურის სიკვდილი. ასეთ ვითარებაში მიხდომა კანონზომიერ მოქმედებადაა მიჩნეული და მხოლოდ მკვლელობისათვის გათვალისწინებული სისხლი გარდახდება მკვლელს. რაც შეეხება მიხდომისათვის გათვალისწინებულ სისხლს, მისგან თავისუფალია.

**10.2. სასაფლაოზე მიხდომა.** ვახტანგ VI სამართლის წიგნის 50-ე მუხლით დასჯადადაა გამოცხადებული სასაფლაოზე თავდასხმა. ასეთი მოქმედება შეიძლება გამოიხატოს საყდრის კარის შელეწვაში, კედლის გამონგრევაში ან წმინდა ნივთის წაღებაში. ყველა აღნიშნულთან დაკავშირებით „ადრიდანვე არსებული“ სამართლით უნდა გადაწყდეს საკითხი. ძნელია თქმა ეს „ადრე არსებული“ სამართალი საკანონმდებლო ხასიათის იქნებოდა თუ ჩვეულებითი. მაგრამ თუ სასაფლაოზე მიხდომას შედეგად მოყვებოდა მკვლელობა ან დაჭრა სამმაგი სისხლი უნდა მიცემოდა მოკლულის მხარეს: ერთი საფლავისათვის, ერთი მკვლელობისათვის და ერთიც მიხდომისათვის, ასევე რაც მიმხდომს გაეტანა უკანვე უნდა დაებრუნებინა. უკეთუ მიმხდომმა არ ჩაიდინა არავითარი სიავე, იგი მხოლოდ მიხდომისათვის ისჯება.

აქვეა მითითებული იმაზედაც, რომ თუ მიხდომის დროს მიმხდომი ან მისი ასაბია მოკლან, ან დაჭრან, დამხდური პასუხს არ აგებს.

ამ ნორმიდან კარგად ჩანს ის რომ, როცა მრავალჯერადი სისხლი ჩნდება მკვლელობისათვის გარდა ერთი სისხლისა, დან-

[237] ქართული სამართლი ძეგლები, ტ. VI, 34.

არჩენი „სისხლი“ დამამძიმებელ ვითარებებს უკავშირდება: ამ შემთხვევაში დამამძიმებელია სასაფლაოზე მიხდომა, ამდენად, ერთი სისხლის გადახდა საფლავის პატივის დაუცველობას მიყვება, მეორე კი ზოგადად მიხდომისათვის არის გათვალისწინებული.

საერთოდ კი უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ერთმაგზე მეტი ოდენობით სისხლის საზღაურის გადახდაზეა ლაპარაკი, აუცილებლად უნდა დავუწყოთ ძებნა, სახელდობრ რისთვის, რომელი სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის არის გაჩენილი თითოეული მათგანი.

მიხდომის საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს ამავე მუხლის IV ნაწილი, რომელშიც ვკითხულობთ: მიუხედავად იმისა, რომ მიმხდომმა „არა მოკლას რა და არცა რა საფლავს კადროს, და არცა რა დაჭრას, ერთი მთელი სისხლი მაინც მისცეს დედა-წულთ არევისათვის.“. აქ ხაზგასმულია, რომ მიხდომას მკვლელობა კი არა სხვა რაიმე სიავეეც რომ არ მოყვეს საფლავზე მყოფ ჭირისუფლებისათვის, მკველელობისათვის გათვალისწინებული სისხლი მაინც გარდახდება (ერთი სისხლი) მიმხდომს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ ვახტანგის სამართლის წიგნამდე, ალბათ ხალხური სამართლით ისჯებოდა „სასაფლაოზე მიხდომა,“ რაზედაც ძუნწ ცნობას 1620 წლით დათარიღებული დიდ მოურავსა და ქაიხოსრო ჯავახიშვილს შორის არსებული დავა გვაწვიდის („სასაფლაოზედ მამიჴდესო“).[238] „სასაფლაოსა ზედა დასხმაზე“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნ. ურბნელი, რომელიც ამჯერად ჩვენთვის საინტერესო საკითხს (მკვლელობა-დაჭრას) არ ეხება.[239]

**10.3. ბატონის სასახლესთან ახლოს მცხოვრები გლეხის (ყმის) მიხდომით მკვლელობისათვის.** ვახტანგ VI სამართალი დამამძიმებლად განიხილავს ისეთ გლეხზე თავდასხმას, რომელიც „ახლოს იყოს მის ბატონის სასახლეზე“ (52-ე მუხლი). ასეთი მიხდომის დროს თუ მკვლელობა მოხდება მიმხდომმა მოკლულის სისხლის ნახევარი ბატონს უნდა მისცეს, ხოლო ორი სისხლი გლეხის ოჯახს, რაც წაულია ისიც უკან უნდა დააბრუნოს.

---

[238] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 58.

[239] ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, 495.

თუ ამ თავდასხმის დროს თავდამსხმელზე დადევნებული გლეხის პატრონი მოკვდეს, მიმხდომმა მთელი სისხლი უნდა დაუურვოს („აგრეთვე ჭრილობისა“). აქ მიმხდომის მდგომარეობას ამსუბუქებს (რომ იგი ცალკე არ იხდის მიხდომისათვის), ის, რომ იგი უკვე გასცილებია მიხდომის ობიექტს და მას გზაში ეწევა მიხდომილი ყმის პატრონი. ამავე მუხლით, თუ მოკლული იქნება მიმხდომი და მისი ასაბია, მათი სისხლი არ ნაზღაურდება.

ჩვენამდე მოაღწია ერთმა ვრცელმა და საინტერესო განაჩენმა (1797), რომელშიც მომჩივნის მოთხოვნა ასეა ჩაწერილი: „ჩემს სახლსა და ცოლს შვილს ახლოს მოხდომისათვის“ სამართალს ვითხოვო.[240] სასამართლოს წინაშე დამდგარა საკითხი, როგორ დააკვალიფიციროს მიხდომა – ბატონის „სასახლესა და ცოლშვილში“ მიხდომად (51-ე მუხლი), თუ ისეთ გლეხზე თავდასხმად „რომელიც ახლოს იყოს ბატონის სასახლეზე“ (52-ე მუხლი). ვითარების გასარკვევად ერთი მოსამართლე იგზავნება შემთხვევის ადგილზე, „ჩხუბი რას ალაგს მოსვლიათ და სადაც ჩხუბი მოსვლიათ, იქიდამ ზაზა სოლოლაშვილის (მომჩივანი ბატონის – მ. კ.) სასახლეს რა სიშორე აქვს.“ [241] გამოკვლევის შედეგი ასეთია: მიხდომის დროს ზაზა თავის ყმის სახლის ბანზე მდგარა. „იმ ბანიდან მისი სასახლე, საცა ცოლშვილით დგას, ჩვენგან გაგზავნილთ კაცთ გეუზომათ, ოცდათორმეტი ადლი გამოსულიყო.“[242] მთავარი კი მაინც ისაა, რომ „ცოლშვილი თვალით უყურებდნენ ავად მოპყრობას და სისხლში შესვრას.“[243] სასამართლო ადგენს: „სანატრელის მეფის ვახტანგის სამართლის წიგნი ორმოცდათორმეტს რიცხვში, – თავის სასახლის ახლო მდგომს გლეხის კაცს რომ მიუხდეს, იმ სახლის პატრონი რისაც გვარისა არის, – მთელის სისხლის ნახევარს უჩენს.“ [244]

52-ე მუხლით თავდასხმის ობიექტს ისეთი გლეხის ოჯახი წარ-

---

[240] ქართული სამართლი ძეგლები, ტ. VI, 34.

[241] ქართული სამართლი ძეგლები, ტ. VI, 35.

[242] შემთხვევის ადგილსა და საცხოვრებელ სახლს შორის მანძილის გაზომვის ფაქტი დასტურდება სხვა განაჩენებითაც: „გავზომეთ, 70 ადლი გამოვიდა“ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 351).

[243] ქართული სამართლი ძეგლები, ტ. VI, 37.

[244] ქართული სამართლი ძეგლები, ტ. VI, 37.

მოადგენს „რომელიც ახლოს იყოს მის ბატონის სასახლეზე“. მოტანილ კონკრეტულ შემთხვევაში კი გლეხის სახლის ბანზე მდგომ ბატონს დაესხნენ. ამდენად, შეიცვალა ვითარება და გლეხის კი არა ბატონის სისხლის ნახევარის ზღვევა დაეკისრა თავდამსხმელს. აქ ნორმის შემოქმედებითად გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

განაჩენი აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი ძვირფას კომენტარს წარმოადგენს 52-ე მუხლის რამდენადმე მაინც საჭოჭმანო იმ ადგილისას, თუ ვისი სისხლი უნდა იგულისხმებოდეს ბატონზე მისაცემ სისხლში („მის ბატონს ნახევარი სისხლი“) ბატონის თუ გლეხის? განაჩენი პირადპირ აცხადებს: 52-ე მუხლით „იმ სახლის პატრონი (ე. ი. გლეხი – მ. კ.) რისაც გვარისა არის – მთელის სისხლის ნახევარს უჩენს.“[245]

**10.4. სასახლის და ცოლშვილის გარეშე მიხდომა-მკვლელობისათვის.** კანონი მიხდომის დროს ისეთ მკვლელობაზედაც ამახვილებს ყურადღებას, როცა იგი ჩადენილია ისეთი პირის (ბატონის) მიმართ, რომელიც მისი ოჯახის გარეთ მდებარე მამულშია. აქ მიმხდომის დანაშაულის სიმძიმეს ის ამსუბუქებს, რომ მიხდომის შედეგად ოჯახის წევრები არ ხდებიან აფორიაქებულ-ტრავმირებული. ასეთ ვითარებაში თუ მოკლული იქნება დამხდური ერთი სისხლი მკვლელობისათვის უნდა უზღოს მიმხდომმა, ხოლო სისხლის მესამედი მიხდომისათვის, ხოლო თუ დამხდომი კლავს მიმხდომს, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან და ნახევარი სისხლი მაინც უნდა ზღოს (53-ე მუხლი).

სანქციის მიხედვით ჩანს, რომ მიხდომათა სახეობებს შორის აღნიშნული მიხდომა შემამსუბუქებელ გარემოებაშია (ოჯახის გარეთ) ჩადენილი. სწორედ ამიტომ უმსუბუქდება მდგომარეობა მიმხდომს, რაც ერთის მხრივ იმაში გამოიხატება, რომ მიხდომისათვის მხოლოდ მესამედ სისხლს იხდის და მეორეც – თვითონ თუ იქნა მოკლული არც დამხდურია პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი.

ხელთ გვაქვს 1788 წელს სასისხლო საქმეზე გამოტანილი განაჩენი, რომელშიც იმ ხასიათის მიხდომას შეეხება, რომელზედაც „სანატრელი მეფე ვახტანგ ორმოცდაცამეტს რიცხვში ასე ბრძანებს: თუ უსახლოდ და უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში

[245] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 32-41.

იყოს და ისე მიუხდეს და დამხდომი მოკუდეს, სისხლი და სისხლის მესამედი მისცესო.“[246] გაირჩა რა საქმე დადასტურდა რომ მიხდომას სხვა რამ შედეგი (მკვლელობა ან დაჭრა) არ მოყოლია. ამისათვის სასამართლომ მხოლოდ მიხდომისათვის დასაჯა დამნაშავე – „მეფის ვახტანგის სამართლისაებრ სისხლის მესამედი მისცეს შალვამ ბეჟანს.“[247]

**10.5. მიხდომის ადგილიდან წასულ მიმხდომზე დადევნებისა და მოკვლისათვის.** ვახტანგ VI სამართლის წიგნის 54-ე მუხლი ისეთ შემთხვევას ითვალისიწინებს, როცა ბატონის (პატრონის) იქ არ ყოფნის დროს დაარბევენ სოფელს, დარბევის ფაქტის გამგები ბატონი დაედევნება მიმხდომს და მოკლავს მას. ასეთი მკვლელობისათვის დადევნებულმა გაქცეული მარბიელის მხარეს უნდა მისცეს „სისხლის ორი წილი და მესამედის ნახევარი“. თუ ამ დადევნების დროს მდევარი (ბატონი) იქნება მოკლული, მიმხდომმა მთელი სისხლი და სისხლის მესამედის ნახევარი უნდა ზღოს.

ამავე მუხლის III ნაწილი ასაბიას კონკრეტულ პასუხისმგებლობაზე არას ამბობს და აცხადებს: „ასაბიასი და წანაღებისა ზემორებრ იქნას“. ვახტანგ VI სამართლის წიგნის ბოლო გამომცემელ ი. დოლიძეს თავის ორივე გამოცემაში იქვე ფრჩხილებში მიწერილი აქვს – „იხ. მუხლი 51, 52“[248] – ე. ი. ისე უნდა გადაწყდეს ასაბიას მოკვლის ან დაჭრის საკითხი, როგორც 51 და 52 მუხლებშია ლაპარაკიო, ეს მაშინ, როცა მითითებული მუხლებით ასაბიას მკვლელობა პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს.

ჩვენი აზრით, სამართლის წიგნის გამომცემელი ცდება და სიტყვებში „ზემორებრ იქნას“ ასაბიას მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა გადაწყვეტილიო გულისხმობს არა „სისხლი არ გაუჩნდების“, ე. ი. პასუხს არ აგებს მკვლელიო, არამედ ამ სიტყვებში („ზემორებრ იქნას“) იგულისხმება იქვე ზემოთ მოტანილი 53-ე მუხლის სათანადო ადგილი, როცა ასაბიას მოკვლისათვის ნახევარი სისხლია გაჩენილი. თუ არა ასე, ყოვლად შეუძლებელია მიმხდომის სისხლი ერთნახევარჯერ აანაზღაუროს კანონმა, ხოლო

[246] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 400.

[247] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 400.

[248] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, 496.

მისი თანმხლების სისხლმა ისე ჩაიაროს. 51-52-ე მუხლებში თავად მიმხდომის მოკვლა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, ამდენად მისი ასაბიას სისხლიც ჩაივლის. აუცილებრად მითითებისამებრ უნდა გაუკეთდეს კომენტირება 54-ე მუხლის III ნაწილს.

**10.6. ჭირის ან ლხინის დროს მიხდომა-მკვლელობისათვის.** კიდევ უფრო შორს მიდის ვახტანგ VI სამართლის წიგნი და საგანგებო განხილვის საგნად იხდის მიხდომას ჭირსა თუ ლხინის დროს. ნორმის მნიშვნელობა გვკარნახობს მთლიანად ამოვწეროთ კანონის შინაარსი: „თუ კაცი ასეთს დროს მამულის მოსარბევლად და სააოდ მიუჴდეს, რომე ან ქორწილი, ან ნათლობა და სიხარული ქონდეს, ან ჭირის დღე და მწუხარება დამართებოდეს, და ამ დამართებულმან კაცმან უწყინოს, მივიდეს და მამულში მიმჴდომი მოკლას, სისხლის მეექვსედი დააკლონ. და თუ მამულის პატრონი მოკუდეს, მთელი სისხლი და მთელი სისხლის მესამედი მიჴდომისათვის მისცეს“ (55-ე მუხლი). როგორც ჩანს, აქ როცა მიხდომილის (მამულის პატრონის) მოკვლაზეა ლაპარაკი, მაშინ მიხდომის სისხლი მთელი სისხლის მესამედით განისაზღვრება, ხოლო როცა მიხდომილი კლავს მიმხდომს, მაშინ მოკლული მიმხდომის სისხლი მხოლოდ სისხლის მეექვსედის დაკლებით ნაზღაურდება. ეს მეექვსედი კი – მიხდომის სისხლია.

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მიხდომის სისხლი ყოველთვის მთელი ოდენობით როდი გარდახდება დამნაშავეს. ასე ითქმის სხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებული სისხლის ოდენობის განსაზღვრაზედაც. ასევე მიხდომის სისხლი სხვადასხვა ზომით იანგარიშება დაზარალებულის და დამნაშავისათვის.

ქართული კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას იზიარებს XVIII საუკუნის მიწურულის დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტიც, რომელშიც გამოკვეთით ჩანს, რომ მიმხდომის, როგორც „ავაზაკის“ სისხლი ჩაივლის, მაგრამ მოკლული იქნა რა ადამიანი, მკვლელი აუცილებლად „ეკკლესიურითა კანონითა განიკანონოს.“ (95-ე მუხლი).

**11. ტანჯვით მკვლელობა.** კვალიფიციურად ითვლებოდა ტანჯვით მკვლელობა, რაზედაც ვახტანგის სამართლის 61[1] მუხლშია

ლაპარაკი. კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ტანჯვით მოკვლა მასალები არ გაგვაჩნია. მუხლი გვაუწყებს: „სატანჯულის სიკუდილში და რჯულის გარდამავალს საქმეში კათალიკოზს ჴელი აქუს.“ ესაა და ეს, მეტი ცნობა ტანჯვით სიკვდილთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია, არც სასამართლო პრაქტიკას დაუცავს რაიმე ცნობები.

**12. მოწამვლით მკვლელობისათვის.** მოწამვლით მკვლელობას განსაკუთრებით საეკლესიო სამართალი სჯიდა. ქართული სამართლის წიგნები გარდა ვახტანგ VI სამართლის წიგნისა, არ იცნობენ ასეთ ნორმებს. ვახტანგ VI სამართალში ნათქვამია: თუ ვინმე მოწამვლით ჩაიდინოს მკვლელობა, ერთნახევარი სისხლი უნდა დაუურვოს მოკლულის მხარეს და გარდა ამისა „საკანონო კათალიკოსმან იცის“ (61-ე მუხლი). 65-ე მუხლში კი ლაპარაკია ცოლის მიერ ქმრის მოწამვლით მოკვლაზე.

252-ე მუხლი ზოგადად განმარტავს მოწამვლით მკვლელობის მძიმე ხასიათს, რომლისთვისაც ორმაგი სისხლი უნდა გარდახდეს დამნაშავეს. იქვე აგრძელებს: „ქრისტოანობის სამართლით, ჴელში ის მომწამლავი მიეცემის მოსისხარსა.“ (252-ე მუხლი). როგორც ჩანს, მოწამვლით კაცის მკვლელი გადაეცემა რა დაზარალებულ მხარეს, ისინი გაუსწორებენ მათ ანგარიშს როგორც სურთ. პრაქტიკულად რამდენად ხორციელდება კანონის ეს მოთხოვნა, ცნობები ვერ მოგვიპოვებია.

პასუხისმგებლობა მოწამვლით მკვლელობისათვის კიდევ უფრო გამკაცრდა ერეკლე II და კათალიკოს ანტონ I-ის ერთობლივი განჩინებით (1767 წ.). კანონით სხვა მძიმე დანაშაულებრივ ქმედობასთან ერთად, მოწამვლით კაცის მკვლელნი უნდა „საანდაზოს ჯაჯაებით (წამებით – მ. კ.) დაიხოცონ და ეს განჩინება ყველა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდარში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ.“[249]

ერეკლე II შვილებისადმი მიცემულ განწესებაში (1791 წ.) „მოწამლით“ მკვლელობას უმძიმეს დანაშაულად იხსენიებს. ჩვენამ-

[249] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. I, თბ., 1970, 68-72.

დეა მოღწეული დოკუმენტი, რომლითაც შერმაზან აფხაზის მკვლელები თავს იმით იმართლებდნენ რომ, თითქოს, მათ ამით იძიეს შური ბატონიშვილის მოწამვლით მკვლელობისათვის.[250]

მოწამვლით მკვლელობის მკაცრად დასჯადობას კარნახობდა ქართველთ როგორც დიდი, ისე მცირე სჯულის კანონი.[251] ამდენად, მოწამვლით მკვლელობის და სხვა ვნების მიყენების საკითხებს მცირე სჯულისკანონზე მსჯელობისას განვიხილავთ.

**13. სიმთვრალეში ჩადენილი მკვლელობისათვის.** სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული ფეოდალურ სამყაროში ყველგან (სადაც აღნიშნულზე იყო საუბარი) შემამსუბუქებელ გარემოებად იყო მიჩნეული. ქართული სამართლის წიგნები დუმან აღნიშნულთან დაკავშირებით. გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ ვახტანგ VI სამართლის წიგნი წარმოადგენს, როელიც საქვეყნოდ აცხადებდა: „ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემინების, ამისთვის რომ ის, რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევინებს?“ (93-ე მუხლი).

არ ხერხდება ამ მუხლის არსის გადმოცემა უკეთესად, ვიდრე მისივე შინაარსში დევს. კანონი არავითარ შეღავათს არ აძლევს სიმთვრალით ჩადენილ დანაშაულს, პირიქით უძმიმებს კიდევაც. ვაზისა და ღვინის ქვეყანაში სხვანაირად არ შეიძლებოდა. ამ მუხლში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე მხოლოდ საუკუნეების გასვლის შემდეგ დაამყარა თავისი კანონმდებლობანი ცივილიზებულმა ერებმა. ასეთი ნორმა ვაზის კულტის ქვეყანაში შექმნილი, სამართლებრივი კულტურის მატარებელი ერის მაღალი იურიდიული აზროვნების ნაყოფია.[252]

კანონის ასეთი დანაწესი ჭირისა თუ ლხინის სუფრის მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საქმეს ემსახურებოდა, რომელიც ურთ-

[250] უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე კეკელია მ., მსაჯულთ შეკრებულების განაჩენი 1782 წლისა, საისტორიო მოამბე, №15/16, 1963, 276.

[251] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 477; მცირე სჯულისკანონი, 80.

[252] უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. მ. კეკელია, ეროვნული ჩვეულებების და ტრადიციების ბუნებისათვის, თბ., 1980.

იერთპატივისცემისა და თავაზიანობის ჩარჩოებში უნდა წარმართულიყო. საკითხი რომ სუფრის ეტიკეტის დაცვას შეეხებოდა, ეს ჩანს სიტყვებიდანაც: „ღვინოში რომ.....“

სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით აღსანიშნავია 1717 წლით დათარიღებული ერთი განაჩენი, რომელშიც სასჯელის შემსუბუქების მიზნით მკვლელის ჩვენება ასეა ჩაწერილი: „ღვინით, უნდომლად (სურვილის გარეშე – მ. კ.) ეშმაკის საბრჯით (მახით – მ. კ.) ფათერაკსავით მომიწდაო..... ღვინით ველარ შევიმაგრეო,“ სასამართლომაც ფათერაკად ჩაუთვალა.[253]

განაჩენის გამოტანის თარიღი ათიოდე წლითაა დაცილებული ვახტანგ VI სამართლის წიგნის შედგენის დროსთან, ამდენად გამორიცხული არაა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ ბატონობდა ჩვეულებითი სამართლით გაბატონებული წესი სიმთვრალის დროს ჩადენილი დანაშაულის შემამსუბუქებლად მიჩნევაზე. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ისიც იძლევა, რომ უფრო გვიანდელი განაჩენით (1783 წ.) მკვლელი „ღვინო ნასომი ყოფილიყო,“ რომელსაც ხანჯლით მოუკლავს უდანაშაულო კაცი. სასამართლო ადგენს: „ამგვარმან კაცმან რომ ამგვარი კაცი მოკლას, ბრძანებული არის მათის უმაღლესობისაგან, რომ ერთიორად სისხლი უნდა დაუურვოს“.[254]

**14. ყმის მიერ ბატონის მკვლელობისათვის.** ქართული ბატონყმური ურთიერთობა რამდენამდე განსხვავებული იყო ევროპისა და მეზობელი ქვეყნების ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. ჩვენში გვიან ფეოდალურ პერიოდში მაინც იგი „ბატონყმური რიგით“ წესრიგდებოდა. ეს წესი იგივე ჩვეულებითი სამართალია, რომლის ნორმათა დაცვა როგორც ბატონის, ისე ყმისათვის (კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე) ერთნაირად ითვლებოდა სავალდებულოდ.

ბატონი რომ შეზღუდული იყო ყმის სიცოცხლის ხელყოფაში, ეს კარგად ჩანს ვახტნგ VI სამართლის წიგნის იმ მუხლიდანაც კი, რომელიც ყმის მიერ ბატონის მოკვლას ეხება. 258-ე მუხლით

[253] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 272.

[254] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 230.

თუ ყმამ ბატონი მოკლას სისხლი ვერ გაჩნდება იმიტომ, რომ ყმას რაც აბადია ისედაც ბატონისაა, ამდენად, გვმოძღვრავს კანონი – უმჯობესია მოსამართლემ ნასყიდობაზე უფრო მტკიცე წიგნით დააკანონოს ბატონის უფლება ყმაზე. ამავ დროს ხელმწიფემ და მოსამართლემ ბატონსაც (მოკლულის მხარეს) უნდა ჩამოართვას წიგნი, რომ ხელმწიფის გარეშე ვერც მოკლავს და ვერც გაახეიბრებს ყმას. თუ ყმა სისხლის გადახდის უნარიანია, მის გადასახდელს სისხლის ფასი მაინც არ შეიძლება ეწოდოს და ისე წაერთვას რაც ებადოს. მუხლი ასე მთავრდება: უკეთუ „ბატონმა ყმა არ დაინდოს, ან მოკლას, ან გაახეიბროს, მოსამართლემ მისი (ყმის – მ. კ.) სახლი (ოჯახი – მ. კ.) გაათავისუფლოს“ ყმობიდან.

**15. უფროსი კაცის მოკვლისათვის.** ფეოდალური სამართალი ძირითადად მაინც ფეოდალთა ინტერესების სადარაჯოზე დგას. ეს კარგად ვლინდება ვახტანგ VI სამართლის წიგნის 75-ე მუხლის შინაარსიდანაც. ამ მუხლის პირველი ნაწილით (დანარჩენებზე ნაშრომის სხვა ადგილებში გვაქვს მსჯელობა), „თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს.“ ჩვენი აზრით, აქ ფეოდალთა შორის, მათ შორის უფროს-უმცროსობას და მათ მიერ ჩადენილ მკვლელობას უნდა ეხებოდეს საკითხი, სხვანაირად შეუძლებელია ყმა გლეხს ეკისრა დიდებულის სისხლის ერთნახევრის ოდენობით გადახდა.

რამდენადმე ასე ითქმის ძველი ქართული სამართლის წიგნთა ნორმების ბევრ ნაწილზე, რომელთა სუბიექტები და ობიექტებიც შეიძლება მხოლოდ ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები იქნენ მიჩნეულნი. სახელდობრ რომელ ნორმებზე ითქმის ასე, იგი სპეციალურად შესწავლას მოითხოვს.

**16. უბრ (უზრახ) კაცის მოკვლისათვის.** ყველა ხასიათის განაწყენება-წაჩხუბება როდი იძლევა საბაბს შურისძიებით აღივსოს ადამიანი. მხედველობაში გვაქვს წალაპარაკების შემდეგ ჩადენილი მკვლელობა. სწორედ ასეთ ვითარებაზე მიუთითებს ვახტანგ VI სამართლის 76-ე მუხლი: წაჩხუბებული და ერთმანეთთან უბრად მყოფი („უზრახი“) პირნი, როცა ერთმანეთს შეხვდებიან, რა დრო-

საც ერთერთი მათგანი გაეცლება („გზას დაუგდებს"), მეორე კი დაედევნება და მოკლავს, მკვლელი ორმაგი სისხლის გადახდით დაისჯება.

გზის დაგდების (გაცვლის, პირისპირ შეხვედრაზე თავის არიდების) მოვალეობა უფრო დამნაშავეს და შედარებით ახალგაზრდას აწევს. სწორედ აღნიშნულით ხელმძღვანელობს კანონი როცა წერს: პირველ რიგში „გზა უნდა დაუგდოს" (გაეცალოს – მ. კ.), „რომელიც დღით უმცროსი იყოს". ასევე გზიდან გაცლის მოვალეობა აწევს იმასაც, რომელიც „დამნაშავე თვითან იყოს და იმის დანაშაულზე მდურობდნენ".

როგორც ჩანს კანონი ასაკით უფროსობას ანიჭებს უპირატესობას. უმცროსს ევალება მეტი პატივისცემა გამოამჟღავნოს ასაკით უფროსისადმი. მსგავს მუხლს ქართული კანონმდებლობა არ იცნობს. უფროსისადმი პატივისცემა ქართული ჩვეულების მნიშვნელოვანი განაცხადია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ არსებობდა ჩვეულებითი სამართლის სათანადო ნორმაც. აღნიშნულის სინამდვილეს ამჟამადაც მოქმედი ხევსურეთის ჩვეულებითი სამართალიც ადასტურებს. აქ სისხლ-მესისხლეობის დროს „თავის გათავების" შემდეგაც ერიდება მკვლელი მოკლულის მხარეს და გზადაც თუ შეეყრება – უმალ აუქცევს გვერდს, ან უკან გაბრუნდება. მით უფრო ასე ითქმის ასაკით უმცროს-უფროსთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

**17. მამულზე შეცილებისას მკვლელობისათვის.** მამულზე ცოლობა ძველ საქართველოში ყველაზე მეტი ოდენობით წარმოშობდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო ხასიათის დავებს. ქართველი კაცის მიწისადმი უსაზღვრო სიყვარული სიხარულთან ერთად ზღვა ცრემლისღვრის მიზეზიც გამხდარა.

მიწის ესოდენ დიდმა მნიშვნელობამ და სიყვარულმა ბიძგი მისცა მასთან დაკავშირებულ სამართლებრივი რეჟიმის გაჩენა-დახვეწას. შემუშავდა საადგილმამულო ჩვეულებითი სამართლის ნორმები და დეტალურად განისაზღვრა როგორც მიწის მესაკუთრის, ისე მფლობელის უფლება-მოვალეობა. ასე ჩაეყარა საფუძველი მიწაზე „ბატონყმობის რიგის" ჩამოყალიბებას.

ბატონყმობის რიგი იგივე ჩვეულებითი სამართალი იყო, რომელმაც საკმაო ხანია მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. ამ ხასიათის რამდენიმე ნორმის მოპოვება ჩვენც შევძელით.[255] სამწუხაროდ, საკითხი მთელი სისრულით დღემდე არაა შესწავლილი, ეს მაშინ, როდესაც სხვა ხალხებში, მათ შორის რუსეთშიც, სადაც მიწასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის მწირი და პრიმიტიულია, მაინც მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება.[256]

ჩვენ აქ მხოლოდ იმ საკანონმდებლო ნორმას განვიხილავთ, რაც მიწასთან დაკავშირებით დავებს მოჰყოლია ჩვეულების სახით. კულმინაციას ამ მხრივ ვახტანგ VI სამართლის წიგნის 88-ე მუხლი აღწევს. იგი ხუთი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ თუ მამულის პატრონს „ტყუილად შესცილებია“ ვინმე და კიდეც მოუკლავს, მკვლელმა ერთნახევარი სისხლი უნდა ზღოს. აქ ერთი სისხლი მკვლელობისთვისაა გათვალისწინებული, ხოლო ნახევარი უსაფუძვლოდ შეცილებისათვის.

მეორე ნაწილი – თავისი შინაარსით უპრეცედენტოა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ მოკლული იქნება მამულზე უკანონოდ შემცილებელი, მიუხედავად ესოდენ მძიმედ დაზარალებისა, მამულის პატრონს მისიანები ორწილ სისხლსაც უხდიან. თუ რატომაა ასე, აღნიშნულზე თვით კანონი პასუხობს: „იმიტომ, რომ სხვის მამულისათვის რატომ შეაკვდაო.“ აქ საკითხის სიღრმეში ჩაუხედავს დაებადება კითხვა. საქმე იმაშია, რომ საკითხი „წმინდათა წმინდათ“ და ხელშეუხელბლად გამოცხადებულ საკუთრებას (ასევე მფლობელობას), მიწას ეხება. ეხება კულტად ქცეულ ღირებულებას.

ჰუმანური პრინციპების ჩართვით ქართველი კაცის წარმოდგენაში მიწისადმი ასე მიდგომა მომავალშიც უნდა იქნას განმტკიცებული.

---

[255] კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. I, თბ., 1970, 22-23.

[256] В. А. Александров, Обычное право крепостной деревни России, (XVIII-начало XIX века), 1984.

მესამე ნაწილი: თუ სამართლიანად შეცილებია კაცი მიწის მფლობელს, მაგრამ დავის დროს მოუკლავთ, მთელი სისხლი უნდა აუნაზღაურდეს მისიანებს და მამულიც მიეცეს.

მეოთხე ნაწილი: ეს ნორმა არა მარტო მიწის, არამედ სხვა ხასიათის დავასთან დაკავშირებულ მკვლელობაზედაც უნდა გავრცელდეს.

კანონი გაფრთხილებას იძლევა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მუხლი არ უნდა გავრცელდეს თუ „ცოტას საქონელზე და მამულზე" მოხდეს მკვლელობა. ამ დროს საქმის გამრჩევმა სასამართლომ არავითარი შეღავათი არ უნდა გაუვრცელოს მკვლელს.

ამ მუხლს, განსაკუთრებით კი მის მეორე ნაწილს, დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობაც ჰქონდა სხვის საკუთრებაზე ხელმყოფთა დასჯის თვალსაზრისით.

**18. ნადავლის საშოვრად ჩასაფრებული ავაზაკის, მძარცველის მიერ მოკვლისათვის.** ძარცვა მძიმე დანაშაულად ითვლება. მძარცველებს, ანუ შარაგზის მეკობრეებს ოდითგანვე მკაცრი სასჯელით დევნიდა ქართველი კანონმდებელი. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 89-ე მუხლიც სწორედ ამ საკითხს ეძღვნება. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ მუხლის შინაარსი შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვაგვარად იქნას იგი გაგებული, იძულებული ვართ მთლიანად მოვიტანოთ იგი: „თუ ყაზახმან კაცი მოკლას მზირობით და გამოჩნდეს, თუ მეფემ არა უკითხა რა, სამ წილად სისხლი მისცეს და თუ მზირი მოკლან, მისი სისხლი არ არის." დ. ბაქრაძისეულ რუსულ თარგმანში ეს მუხლი ასეა წარმოდგენილი: „Разбойник за смертоубиство" (შენიშვნაში: Если казак в засаде убьет человека и обнаружится).დავით ფურცელაძის თარგმანში კი: „Если казах убьет человека из засады и оно откроется...." როგორც ვხედავთ პირველ თარგმანში არ ჩანს თუ როგორ, რა ხერხის გამოყენებით მოკლა ყაზახმა პირი. მეორეში კი მართალია აღნიშნულია „ჩასაფრებით" მოკვლისათვის აგებს პასუხსო, მაგრამ ისე გამოდის, რომ თითქოს ჩასაფრების მიზანი მხოლოდ სიცოცხლის წართმევაა.

ჩვენი აზრით, კანონის მოთხოვნის ასე გაგება არაა მართებული. კანონი ჩასაფრებით მკვლელობას კი არ სჯის, არამედ ისეთი

მკვლელობა აქვს მხედველობაში, რაც ჩასაფრებით დაცემასა და ქონების დაუფლებასთანაა დაკავშირებული.

თავდაპირველად იმით გვინდა დავიწყოთ, რომ, როგორც ამ შემთხვევაში, ისე ყველგან, როგორც ვახტანგ VI სამართლის წიგნში, ისე მთელ კოდიკოშიც ყაზახი ზოგადი სახელწოდებაა – ავაზაკის, მძარცველის, რომელიც უმეტესად თავდასხმით ახორციელებს თავის ზრახვებს, თავდასხმით და ამდენად, ცხადია, უპირატესად ჩასაფრებითაც.

არც 89-ე მუხლში და არც სხვაგან, ვახტანგ VI სამართლის წიგნში ყაზახი – უსახლკაროდ, ბოგანოდ არაა წარმოდგენილი. ასე რომ იყოს, იგი არც სისხლის გადახდისუნარიანი იქნებოდა, მით უფრო სამმაგის.

თუ არა ქონების დაუფლების მიზნით, საყოველთაოდ ჩასაფრებით (из засады) მკვლელობას 59-ე მუხლი ითვალისწინებს. ამ დროს მკვლელობისთვის სისხლის ორმაგი საზღაურია დაწესებული.

გამოდის რომ „უზრახის“ მიერ ჩასაფრებით (მზირობით) განხორციელებული მკვლელობა უფრო მძიმეა, ვიდრე ამავე ხერხით სხვა პირის მიერ ღალატით ჩადენილი მკვლელობა? – ცხადია არა. აქ საქმე იმაშია, რომ ყაზახი (89-ე მუხლით) ტყუილად, უბრალოდ კი არ კლავს, არამედ ქონების დაუფლების მიზნით, თუ არა ასე უმიზნოდ იქცეოდა მკვლელობა. 59-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი კი „არას ემართლება“, ისე კლავს ღალატით. ამდენადაა ყაზახის მიერ ჩასაფრებით მკვლელობისათვის სამმაგი სისხლი გაჩენილი, ხოლო სხვა ვისმეს მიერ ჩასაფრებით მკვლელობისათვის – ორმაგი სისხლი. ამოსავალი ამ შემთხვევაში სიტყვა **მზირობის** შინაარსში დევს.

ტერმინი „მზირი“ ბიბლიიდან მომდინარეობს („დაჯდეს იგი მზირად მდიდართა თანა“ (ფსალმუნი დავითი, თ. 10, 8); „დაიცვან იგინი მზირთაგან“ (წიგნი სიბრძნისა თ.10) და სხვა.

ქართულ მწერლობაში მზირი მხოლოდ ჩასაფრებულს როდი გულისხმობს („შემოქცეულთა ყმათა უმზირა“[257]), არამედ ახსნილია თუ რისთვისაა ჩასაფრება მოწყობილი. მზირობა შეიძლებოდა მომხ-

[257] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს. თბ., 1984, 1, 188.

დარიყო როგორც ქონების წართმევის, ისე მოკვლის თუ ბრძოლის უკეთ წარმართვის მიზნით. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ჩასაფრება სისხლების მიზნით გამორიცხულია, რადგანაც ავაზაკის (ყაზახის) საქმიანობისაგან იგი შორს დგას. ამდენად რჩება მხოლოდ სხვისი ქონების (ნადავლის) დაუფლება. სწორედ ასეთი ჩასაფრების დროს ჩადენილი მკვლელობისათვის ისჯება 89-ე მუხლით ჩასაფრებული ყაზახი.[258] კარგად აქვს ნათქვამი დავით გურამიშვილს: „ავაზაკობა, ქურდობა, გზაზე დასხდომა მზირისა".[259] ყველა მნიშვნელობით განმარტებულად არ ჩანს სულხან-საბას ახსნა: „უმზირდა – მოკვლად ეძებდა, მოკვლა უნდოდა".[260] მზირობა რომ სისხლის აღებასთან არის დაკავშირებული, ეს სარწმუნოდ აქვს დადასტურებული რუსუდან ხარაძეს.[261] საამისო მასალები ჩვენც მრავლად მოვიპოვეთ ხევსურეთში.

მზირის შინაარსის გასახსნელად საინტერესოა დავით ბატონიშვილის სამართლის 196-ე მუხლი, რომლის სათაურია „ღალატად მზირისათვის". მასში ვკითხულობთ: „უკეთუ კაცი კაცსა უწინარეს სამართლისა (საქმის სასამართლოს მიერ გარჩევამდე – მ. კ.) გზასა ზედა დაუდგეს და მით რაჲმე ვნება სცეს, ორზომად მოიხადოს პატიჟი იგი უსამართლოებისათვის (რა უსამართლობაც ჩაიდინა მისთვის – მ. კ.)". კარგად ჩანს, რომ აქ მარტო მკვლელობაზე კი არაა საუბარი, არამედ რაგინდ რა „რაიმე ვნებაზე".

გარდა თქმულისა, ომის დროს მტრისათვის ჩასაფრებას („დასხა უმჯობესი ლაშქარი მზირად ღამე"[262]) და შეპყრობისათვის

---

[258] აქ ვახტანგ VI სამართლის წიგნმა თავისებური რედაქციით გაიმეორა აღბუღას სამართლის წიგნის 97-ე მუხლის მოთხოვნა, როცა ქონების დაუფლების მიზნით გზად მიმავალი ვაჭრის მოკვლა ორკეცი სისხლის საზღაურს ითვალისწინებს.

[259] მზირობა აქ „გამვლელ-გამომვლელ პირთა, ქარავანთა გასაძარცვავად, მოსაკლავად ჩასაფრებას გულისხმობს" – შენიშნავს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვარლამ დონდუა („საისტორიო ძიებანი", ტ. III, 41).

[260] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, 2, 165.

[261] რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი – ხალხური სამართლის წყარო, კრებული „მიმომხილველი", II, 1961, 391.

[262] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, თბ., 1959, ტ. II, 444.

ჩასაფრებას („შემოქცეულთა ყმათა უმზირა“[263]), „მზირობა“ ერქვა.

მზირი რომ მესისხლე ან ნადავლის მომპოვებელია ეს კარგად ჩანს ფოლკლორული მასალიდანაც: მოტაცებული ცხვრის დასაბრუნებლად მიდიან ხევსურნი, მათ მალვით უნდა შეაღწიონ მტრის ცხვრის ფარაში. ამ მიზნის განსახორციელებლად ხალხი სთხოვს გმირ შალვა ხახონს „ხახონ გაგვიხველ მზირსაო“.[264] სხვა დროს სისხლის ასაღებად „ამღით გავიდნენ მზირები, ჯავრსა ნუ შავჭამთ მტრისასა“.[265] მზირის ორივე შინაარსით სხვა ბევრი ხალხური ლექსიც გვხდება. სწორედ აღნიშნულმა ათქმევინა აკად. აკ. შანიძეს რომ მზირი ხევსურული მასალით „სისხლის ასაღებად ან დავლის საშოვნად წასული ხალხია“.[266] ასე ესმით სიტყვა „მზირი“ ქართული ხალხური სიტყვიერების გამომცემლებსაც.[267]

ჩვენი აზრით, ვახტანგ VI სამართლის წიგნის უკანასკნელი რუსული გამოცემის გლოსარიებში თუ მეტი არა, ის მაინც უნდა იყოს ახსნილი, რომ მზირად ჩასაფრებული ყაზახი მძარცველია.

**19. უმიზეზოდ (უბრალოდ) კაცის მოკვლისათვის.** ერეკლე II მკვლელობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გამოუცია ახალო კანონი, რომელიც უმიზეზოდ კაცის მოკვლისთვის ყველა შემთხვევაში აწესებდა გაძლიერებულ პასუხისმგებლობას. იგი უფრო ფართო სფეროს მოიცავდა ვიდრე ვახტანგ VI სამართლის წიგნის 59-ე და 76-ე მუხლებით იყო გათვალისწინებული.

მეფე ერეკლეს ამ ახალ კანონზე ცნობა შემოუნახავს 1783 წელს გამოტანილ ერთ განაჩენს, რომელიც შეეხება გივი ავალიშვილის დავას რუსთაველის ყმა – დაუდ დედაბრიშვილთან. საქმის შინაარსი ასეთია: დაუდის სახლთან მისულა ავალიშვილის ყმა მამია, რომელსაც იგი გარეთ გამოუხმია სიტყვის სათქმელად. დაუდი ნასვამი ყოფილა, შეხვედრისთანავე მამია უშვერი სიტყვებით უგინებია, ამაზე მამიასაც გინებითვე უპასუხნია, რის გამოც დაუდს ხანჯლის

[263] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს. თბ., 1984, 1, 188.

[264] ხალხური პოეზია, ტ. IV, 114.

[265] იქვე, 295.

[266] ქართული კილოთქმის ლექსიკონი, 367.

[267] ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, 551.

ჩაცემით მოუკლავს მამია. ამ საქმის თაობაზე გამოტანილ განაჩენში მოსამართლეები წერენ: „რადგან ამათ საქმეს ასე ზემო მოხსენებულისაებრ ასე გაუვლია, რომ იმ მამიას მაგთონი დანაშაული არაფერი არა ქონია რა და უბრალო სული მოუკლავს, ჩვენ მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის გაჩენილის სამართლისებრ სამართალი განუჩინეთ: ასე, რომ ამგვარმან კაცმან რომ ამგვარი კაცი მოკლას, ბძანებული არის მათის უმაღლესობისაგან, რომ ერთიორად სისხლი უნდა დაუურვოს.“[268]

განაჩენი საგულისხმოა იმითაც, რომ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის კანონი რაიმე შეღავათს არ ავრცელებს. ამრიგად, XVIII საუკუნის მთელ მანძილზე ძალაში რჩება ვახტანგ VI სამართლის წიგნის მოთხოვნა: „ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემინების, ამისთვის რომ ის, რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევინებს?“ (93-ე მუხლი).

**20. მევალის მოკვლისათვის.** ფეოდალური სამართალი იცავს კრედიტორის უფლებებს და ეს არცაა გასაკვირი. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 94-ე მუხლით, თუ კრედიტორი ვალს მოთხოვს დებიტორს, ეს უკანასკნელი კი ამ დროს მოკლავს მას, მკვლელმა გარდა ვალისა ერთნახევარი სისხლი უნდა უზღოს მოკლულის (კრედიტორის) მხარეს. ხოლო თუ კრედიტორს შემოაკვდებოდა დებიტორი, მან მოკლული დებიტორის სისხლი მისაღები ვალის გამოკლებით უნდა გადაიხადოს.

**21. სახელოს (თანამდებობის) მქონე პირის მოკვლისათვის.** ვახტანგ VI სამართლოს წიგნის 177-ე მუხლით, თუ თანამდებობის პირი (იასაული) მოკლული იქნება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს („კაცის დაჭერისას“), მკვლელმა ერთნახევარი სისხლის გადახდით უნდა გამოისყიდოს დანაშაული, ხოლო თუ „დასაჭერი კაცი“ მოკლას იასაულმა – სისხლი ჩაივლის.

---

[268] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 230.

**22. ხადის ციხისთავის მოკვლისათვის.** ზოგ შემთხვევაში ლოკალური ხასიათის ღონისძიება, ერთი შეხედვით კერძო ხასიათის საკანონმდებლო ნორმას ემსგავსება. ასე ითქმის „ძეგლის დადებით“ ხადას ციხისთავის მკვლელობასთან დაკავშირებით. აქ ციხისთავის მკვლელი სამი წლით გაძევებას იმსახურებს. ასევე დაკარგავს უფლებას მამულზე და სისხლის ფასად 3500 თეთრს იხდის (მე-13 მუხლი). კანონი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ციხისთავი სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა (არ იყო გადაყენებული). უამისოდ იგი არ ჩაითვლება რა თანამდებობის (სახელოს მფლობელ) პირად, ცხადია, მის მოკვლასაც არ გაიხდიდა კანონმდებელი მსჯელობის საგნად.

**23. ვაჭრის მკვლელობისათვის.** გაერთიანების შემდგომ პერიოდშიც შინა თუ საგარეო სავაჭრო ურთიერთობა, საქარავნო გზების უშიშროების დაცვას მოითხოვდა, რითაც ქვეყანა გარკვეული შემოსავლით (ბაჟით) იყო უზრუნველყოფილი. სწორედ ამდენადაც ვაჭართა სიცოცხლის და მათი საქონლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უპირატეს მოვალეობას წარმოადგენდა ქვეყნისათვის. ასეთ მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით აღბუღას სამართალში გაჩნდა ნორმა (96-ე მუხლი), რომელიც საპატიო ვაჭრის მოკვლისათვის ვაჭრისა თუ სხვა ვინმეს მიერ, 12 ათას თეთრს აჩენს. იქვე უფრო დამცრობილი ვაჭრის („საპატიოს ქუეშეთის“) მკვლელობისათვის კი 6 ათასი თეთრია გადაწყვეტილი.

97-ე მუხლით, **მგზავრობისას** საპატიო ვაჭრის მოკვლა და ძარცვა ორკეც სისხლის ზღვევინებას იწვევს ნაპარევის გადახდევინებით, დანარჩენ შემთხვევაში როცა სხვა მოტივებით ვაჭარი, ან სხვა ვინმე კლავს ვაჭარს, საპატიო ვაჭრის სისხლი ასანაზღაურებლად თორმეტი ათასი თეთრია (ერთი მთელი სისხლი). „მას ქვეშეთის“ ვაჭრის მოკვლა კი ექვს ათასს ფასობს (96-ე მუხლი). მოტანილი მუხლებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ვაჭართა სისხლის ფასის განსაზღვრა ამ კანონით მომხდარა პირველად.

ქართული კანონმდებლობის განვითარების შემდგომ ეტაპზე ვახტანგ VI სამართლით, ვაჭართან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო დაიხვეწა (30, 31-33, 148, 164 მუხ-

ლები). შუა აზნაურის სისხლს გაუსწორდა „დიდებულის დიდვაჭრის მოქალაქის სისხლი“. მეორე ვაჭრის სისხლი ცალმოგვ მესამე აზნაურს და მღვდლის სისხლს, ხოლო მსახურის და მთავარდიაკონის სისხლი მესამე ვაჭრის სისხლის ტოლი გახდა. სულ ბოლოს გლეხის სისხლის ფასად შეფასდა ჩვეულებრივი, ყველაზე დაბალი ვაჭრის სისხლი.

**24. გამზავებლის, შუად მისულის (გამშველებელის) მოკვლისათვის.** ჯერ კიდევ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი აქცევს თავის მზრუნველობის ქვეშ ჩხუბისა და მკვლელობის დროს ნეიტრალურ გამშველებელ კაცთა სიცოცხლეს.

მე-16 მუხლში პირდაპირაა ნათქვამი, რომ დავის დროს თუ „შუად მოსრული“ მონაზონი, დიაცი, ხუცი მოკლას დამნაშავემ, ორკეცი სისხლი უნდა გადაიხადოს. აქვე მითითებულია რომ თუ ეს „შუად მოსრული“ რომელიმე მხარეს ეხმარებოდა და ამ დროს მოკლეს, ისე უნდა ჩაიაროს მისმა მკვლელობამ „ვითა ძაღლის ყეფამ“. ამ მუხლის მესამე ნაწილი კი გვაუწყებს: „და თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, მისიცა ორკეცი სისხლ იყოს.“ მოტანილი ადგილი („თუ ერისგანი იყოს“) განმარტებას აძლევს იმასაც, რომ პირველ ნაწილში მოხსენებული დიაცი არა საერო პირია, არამედ მონაზონი. ამდენად სხვა ხელნაწერიდან ვ. დონდუას და ი. დოლიძის ნათარგმნ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის მე-15 მუხლის I ნაწილის შინაარსი არასრულყოფილი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დედაკაცი არაა მიჩნეული მონაზვნად.[269]

თავისებურად, ახალი რედაქციითა წარმოდგენილი ბექას სამართლის წიგნის მე-16 მუხლის მოთხოვნა ვახტანგ VI სამართლის წიგნის 58-ე მუხლში. აქ „თუ შუამავლი მოკუდეს, ბერი თუ მონაზონი, ქალი თუ კაცი“ ორკეცი სისხლი უნდა გადახდეს მკვლელს.

მოტანილ ადგილში ყველაფერი არაა ნათელი. სიტყვებში: „ბერი თუ მონაზონი, ქალი თუ კაცი“-ში ხომ არ იგულისხმება – „ბერი და მონაზონში“ მონაზონი კაცი და მონაზონი ქალი, ხოლო

[269] Судебник Бека и Агбуга, перевод В. Д. Дондуа, 1960, ст. 16.

„ქალი თუ კაცში“ ხომ არ იგულისხმება საერო კაცი და საერო ქალი.[270] აღნიშნულზე რამდენადმე ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ბექას სამართლის წიგნის მე-16 მუხლის ჩამოკვეთილობა, ასევე ვახტანგის კანონთა კრებულის ზანდუკ-საძიებლოს 350 პუნქტი და კანონის ბოლო რუსული ნათარგმანებიც (დ. ფურცელაძე) მიგვანიშნებს. და ერთი სარედაქციო ხასიათის შენიშვნა – ძველ სალიტერატურო და სალაპარაკო ენაში, ვახტანგ VI სამართლის წიგნში სიტყვა „შუამავალი“ ორი შინაარსით იხმარება: „შუამავლი“ (გაუყოფლად) მომრიგებელს, მათ შორის ყიდვა-გაყიდვაში (იხ. ბერძნული სამართლის მე-5 მუხლი) ხელის შემწყობსაც ნიშნავდა, ხოლო „შუა-მავალი“ (დეფისით გაყოფილი) კაცთა შუა მოქმედი, გამშველებელია. ვახტანგ VI სამართლის წიგნშიც იგი არა „შუამავლის“, არამედ „შუა-მავალის“ სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

**25. მაგინებელი კაცის მოკვლისათვის.** კანონს მხედველობიდან არ რჩება შეგინების მიზეზით ჩადენილი მკვლელობა, რა დროსაც თუ მაგინებელი მოკლავს კიდეც შეგინებულს, მაშინ მაგინებელს „სისხლი უფრო გაუძნელდების“, ე. ი. კუთვნილ სისხლზე გარკვეულ ოდენობით (თუ რამდენით, კანონი არ აჩვენებს), მეტი გარდახდება (ვახტანგ VI სამართალი, 91-ე მუხლი). ეს მუხლი მითითებაა იმაზე, რომ ჩვენში არამც თუ მატერიალური ზიანის ან ზარალის მიყენება ისჯებოდა, არამედ ბილწსიტყვაობაც, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქართველი კაცის წარმოდგენებს და მისი სულიერი კულტურის მოთხოვნით იყო ნაკარნახევი.

[270] ვახტანგ VI კანონების ახალი თარგმანითაც კანონი სჯის შუამავალ მამაკაც და დედაკაც მონაზონს, ასევე საერო ქალსა და მამაკაცს.

## §3. არაკვალიფიციური მკვლელობა

ქართული საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით, მკვეთრი ზღვარითაა ერთმანეთისაგან გამიჯნული კვალიფიციური, ანუ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა, არაკვალიფიციური, ანუ უამისოდ ჩადენილი მკვლელობისაგან.

პირველი რიგის მკვლელობის საკითხები უკვე განვიხილეთ, ახლა მეორეზე უნდა შევჩერდეთ. შესასწავლი საკითხების რაიმე სისტემის მიხედვით დალაგება ჭირს, ამდენად მხოლოდ იმის მიხედვით დავიწყებთ საკითხის განხილვას, თუ რომელი მათგანი გაიხადა უფრო ადრე კანონმდებელმა მსჯელობის საგნად.

**1. ტოლის მიერ ტოლის მოკვლა.** როცა სოციალური კიბურის ერთ საფეხურზე მდგომნი კლავენ ერთმანეთს კანონით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებანიც არ არსებობს. ამ შემთხვევაში პირს სასჯელი დაედება იმის მიხედვით, როგორც სამართლის წიგნი განუსაზღვრავს, ან არადა მოკლულის ან მისი წინაპრისათვის მეფის მიერ მიცემული სპეციალური სასისხლო სიგელითაა დადგენილი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით (მუხ. 150) აზნაური თუ აზნაურს მოკლავს „სამს წელიწადს მამულისაგან გააყენოს“, მეოთხე წელიწადს დააბრუნონ და სისხლი აზღვევინონ. ყურადღებას იქცევს ის, რომ „ძეგლის დადების“ მე-11 მუხლით ჰეროვანის ვითარების გადმოცემის დარად, დამნაშავე თვითონ უნდა გარდაიხვეწოს თავისი ნებით, ასევე სისხლის საზღაურის გადახდის საკითხი გაძევებიდან დაბრუნების შემდეგ დგება, ამ დროის განმავლობაში კი მკვლელის მამულს მისი ძმა ფლობს.

უფრო გვიან, ბექა მანდატურთუხუცესის (1295-1304) სამართლის წიგნის მე-4 მუხლიც ლაპარაკობს აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლაზე, ცხადია, სისხლის საზღაური აქაც ერთმაგია, მაგრამ ახლებურად გამოიყურება ის, რომ მკვლელი არ გაძევდება უკეთუ სისხლის გადახდის უნარიანი აღმოჩნდება იგი, ხოლო როცა ვერ იხდის ასეთს, გაძევებულის მამული უნდა „პატრონმა დაიჭიროს“, რომელიც მიღებული შემოსავლის ნახევარს სისხლის ფასში მისცემს დაზარალებულს.

შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაში მართალია ზოგადი პრინციპების სახით მითითებულია სოციალური მდგომარეობით ტოლს რა უნდა გადახდეს მკვლელობისას, მაგრამ კონკრეტულ ცალკეულ შემთხვევაზე (როგორც ზემოთ მიუთითეთ აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლისას) არ ჩერდება.

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებით" ჰეროვანის მიერ ჰეროვანის მოკვლისათვის მკვლელი „სამს წლამდის გარდაიხუენოს და სისხლი ორასი დრაჰკანი დაეურვოს – ათას ორასი თეთრი."

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სოციალური ფენის წამომადგენელია მხოლოდ „ძეგლის დადებაში" დამოწმებული „ჰეროვანი კაცი". აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ხევში მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალათა საფუძველზე რამდენადმე განსხვავებული შეხედულება შეგვიმუშავდა, მაგრამ ამჯერად მასთან დაკავშირებით არას ვიტყვით და მხოლოდ იმას აღნიშნავთ, რომ „ჰეროვანი" როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, ხევისათვის დამახასიათებელი ტერმინია და არცთუ ისე ძველი წარმოშობის, რაზედაც ის მიგვანიშნებს, რომ მისი სისხლის ფასი – ათას ორასი თეთრი, თვით გიორგი ბრწყინვალის მიერაა დაწესებული (მე-11 მუხლი).

მითითებული მუხლი, ჰეროვანი კაცის მიერ ჰეროვანი კაცის მოკვლისათვის სისხლის საზღაურს აწესებს, ამავე დროს მის (მკვლელის) მამულს სასეფოდ დებს. ჰეროვანი არ ჩანს რაიმე სახელოს მფლობელად, რადგან გადახვეწილობიდან დაბრუნებული მკვლელის მიღების საკითხს ძირითადად ერისთავი და განმგებელი წყვეტს.

იქნებ ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე-ოფიციალური ხელისუფლების ჯერ კიდევ მოხელის რანგამდე აუყვანელი საქმოსანია ჰეროვანი? ჰეროვანი მამულის მფლობელიცაა, რომელიც მისი დასაკუთრების მიზნით შეიძლება მოკლას ხევისბერმა, რომელიც ამ დანაშაულისათვის ერთი წლით იქნება გაძევებული, მაგრამ თუ ფათერაკად შემოაკვდა ჰეროვანი, ხევისბერი დაისჯება ისე, როგორც მსგავს ვითარებაშია გათვალისწინებული (მე-12 მუხლი).

საკმაო ხანია დავაა „ძეგლის დადებაში" ჰეროვანის და სოფლიონის შინაარსთან დაკავშირებით. ხევში მოპოვებული საველე-ეთ-

ნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით ამ თავითვე შეიძლება იმის თქმა, რომ ჰეროვანი და სოფლიონი არავითარ განსხვავებულ სოციალურ ფენას არ წარმოადგენენ და მათი არსებობით არ იცვლება იმდროინდელ საქართველოში (მთაში) არსებულ სოციალურ ფენათა სტრუქტურა.

ჰეროვანის მიერ ჰეროვანის მკვლელობა ზემოთ განვიხილეთ. მომდევნო მე-12 მუხლში კი ლაპარაკია ხევისბერის მიერ ჰეროვანის მოკვლაზე, რა დროსაც სისხლი არ არის გაჩენილი და მხოლოდ მკვლელი ხევისბერის ერთი წლით განდევნით კმაყოფილდება კანონმდებელი. ისმის კითხვა, რატომ არ გააჩინა კანონმა ჰეროვანის სისხლი? ნუთუ მოუხსენიებლად იგულისხმება სისხლის დაურვების გარდაუვლობა? ეს საკითხიც სპეციალურ კვლევას მოითხოვს.[271]

**2. მუცლის მოწყვეტისათვის (წახდენისათვის).** როგორც ჩანს, ვისიმეს დანაშაულებრივი მოქმედებით მუცლის გაცუდებას (ნაყოფის მოშლას) ქართველი კანონმდებელი თავიდანვე იხდიდა მსჯელობის საგნად. ქართული სამართლის წიგნებისა და სასამართლო საბუთების მიხედვით თანამედროვე გაგებით აბორტი, ორსულობის შეწყვეტა, „ჩვილის მკვლელი საშოს შინა“ „მუცლის წახდენად“, „მუცლის გაცუდებად“ იწოდებოდა.

ვახტანგის სამართლის კრებულში საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად შეტანილი ბერძნული სამართალი თვით აბორტის დასჯადობასთან დაკავშირებით წერს: „ქ. დედაკაცმან რომ ქნას რამე წამალი და თავის მუცელში შვილი მოიკლას, დედაკაცი იგი ცოტას ხანს ექსორია უყონ. ხოლო ბრძენი ლეონ ბრძანებს: უკეთუ კაცმა შეიტყოს, რომე მისმა ცოლმა მუცელში შვილი მოკლა, მაშინვე გააგდოს და განეშოროს მისგან (76-ე მუხლი).

ბექას სამართლით „თუ ზედა-დასხმასა შიგან დედაკაცსა შვილი მოსწყდეს, სრული სისხლი დაუურვოს, რისაც გვარისა იყოს“ (მე-14 მუხლი). ვახტანგ VI სამართლით კი „თუ მიჴდომაში დედაკაცს შვილი მოსწყდა, მისთვინც მთელი სისხლი მისცეს“ (51-ე მუხლი). როგორც ჩანს სამართლის ნორმის ზუსტად განმეორებასთან

---

271 ზოგი რამ ჰეროვანის მკვლელობაზე იხ. პარაგრაფი „ხელისუფლების წარმომადგენელთა მკვლელობა.“

გვაქვს საქმე. ეს კი უპირატესად იმის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ კანონმდებელი ვახტანგ VI სამართლის წიგნის შედგენისას ფართოდ სარგებლობდა წინა პერიოდის ქართული კანონმდებლობიდან. ასეთი მუშაობის ჩატარება გამორიცხავდა იმის განზრახვას რომ ვახტანგ VI თავის სამართლის ტოლად მიეჩნია კოდიკოში გაერთიანებული დანარჩენი და თუ გინდა ქართული წარმოშობის წიგნებიც კი. სწორედ ამიტომ და ამდენად თავის სამართლის წიგნში გადაუტანია სხვა სამართლის წიგნში ჩამოყალიბებული მისთვის სასურველი სამართლის ნორმა.

მუცლის მოწყვეტა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ორსული ქალის სურვილით, ისე მის გარეშე.

თვით აბორტთან დაკავშირებით ქართულ მოქმედ საერო სამართალში რაიმე ნორმა არ არსებობდა. ქართველთა მიერ ნიადაგ გამოსაყენებელი „მცირე სჯულისკანონით“ კი „თუ ..... მისცემენ წამალთა ჩჩჳილის მკლველთა საშოსა შინა, კაცისმკლველნი არიან მიმცემელნი იგი წამლისანი და მიმღებელნი მისნი, რამეთუ მრავალგზის არა, ხოლო თუ ჩჩჳლნი იგი, არამედ თჳით იგინიცა დედანი, რომელთა სჳან წამალი იგი, შეემთხჳის სიკუდილი და იქმნიან მკლველ თავთა თჳსთა“.[272]

გამონაკლისს ამ მხრივ დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტი და მისივე „მიმოხილვა“ წარმოადგენს. 131-ე მუხლი ადგენს: „უკეთუ დედაკაცმან მუცელი წაიხდინოს პირველისა ქმნისათვის განიკანონოს ეკკლესიურითა კანონითა, ხოლო მეორისა ქმნისათვის ეკრას მათრახი.“ აქვეა ლაპარაკი იმაზე, რომ მშობიარობამდე არ შეიძლება ორსულ ქალს დაედოს სხეულებრივი სასჯელი ან დაიხვრიტოს იგი.[273] რამდენადმე განსხვავებულ ცნობას გვაწვდის „მიმოხილვა“, აქ პირველ შემთხვევაში საეკლესიო სასჯელი დაედება, მეორე შემთხვევაში წელიწადნახევრით მონასტერში გაიგზავნება, მესამე შემთხვევაში კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმსახურებს.[274]

---

[272] მცირე სჯულისკანონი, 80.

[273] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 76-77.

[274] საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ

სასამართლო პრაქტიკაში მიხდომის დროს მუცლის წახდენის სისხლის ფასის გადახდაზე არის ლაპარაკი. მოვიტანთ ამონაწერებს რამდენიმე განაჩენიდან. 1640 წელს ქართლის მეფე როსტომი, კათალიკოსი და „ერთობილნი ბჭენი და მოსამართლენი“ განჩინებაში სარჩელის შინაარს ასე გადმოსცემენ: „ჩუენის ძმის ბაადურის ღალატის საქმით (მიხდომით – მ. კ.) ჩემს რძალს... ვაჟზედ მუცელი გაუცუდდაო. თუ ის უდიერი არ დაგუმართებოდა, დღეს ყაიას (ბავშვის სახელია – მ. კ.) ტოლი იქნებოდაო“. სასამართლომ მოპასუხეს ასეთი ფიცი დაადო: „იმხანად არც ჩუენის საქმით თქუენს რძალს.... ვაჟზედ მუცელი წაჰჴდომოდეს და არც იქ ყოფილიყოს.“[275]

საინტერესოა 1797 წელს გამოტანილი განჩინება, რომელშიც მიხდომის დროს ალიაქოთის შედეგად ოჯახის „სახლობის“ ცუდად გახდომაზე და „იქნებ მუცელიც წაუხდეს“-ზეა ლაპარაკი. დადგენილია ასევე, რომ ქალს „მუცელიც უხდენია, წამლები მიუყრიათ და მუცელი დასდგომია და ახლაც კიდევ ავათ არის.“[276] დაბოლოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ადგენს: „თუ ზაზა სოლაღაშვილის ცოლს ამ ჩხუბის მიზეზით მუცელი წაუხდა, მუცლის წახდენისათვის როგორც მეფის ვახტანგის სამართალი უჩენს, მთელი სისხლი უნდა მისცენ იესე მსაჯულის შვილებმა“.[277]

1765 წელს გამოტანილი განჩინებით მომჩივანი უცხადებს სასამართლოს: დამნაშავე მომიხდა რა ოჯახში „თოფის სროლის ხმაზე წაუხდა მუცელი ჩემს ცოლსო.“ სასამართლოც ადგენს: „მუცლის წახდენისათვის მთელი სისხლი უნდა დაუურვოს თავისი გვარიშვილობისა (დაზარალებულის გვარიშვილობის – მ. კ.) და საქართველოს რიგით.....მეფის ვახტანგის განაჩენის ძალით და ამდონს რიცხვში გაუჩნდა სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი.“[278]

1795 წელს გამოტანილ განაჩენში კი სასამართლოს ჩაუწერია „მუცლის წახდენისათვის როგორც მეფის ვახტანგის სამართალი

---

როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, 1959, 344.

[275] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 80.

[276] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 36-37.

[277] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 38.

[278] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 509.

უჩენს მთელი სისხლი უნდა მისცეს“ დამნაშავემ დაზარალებულს.[279]

**3. ნაციხისთაოს (ჴადას) კაცის მოკვლისათვის.** „ძეგლის დადების“ 14-ე მუხლით თუ ნაციხისთაო (ჴადას) კაცი მოკლას ვინმემ მას „ჰეროვანის სისხლი დაეურვოს“, დაისაჯოს ისე, როგორც ზემოთ ჰეროვანის მკვლელის დასჯაზე იყო ლაპარაკი.

ციხისთავის შვილი ან ძმა არ სარგებლობს რაიმე პრივილეგიით და მათი სისხლი (მკვლელობისას) ჰეროვანის სისხლად ფასობს. აქედან კარგად ჩანს, რომ ციხისთაობა არ იყო სამკვიდრო ხელობა და მისი ფლობაც არავითარ პრივილეგიას ანიჭებდა მფლობელის სახლს.

**4. ლომისის გლეხის მოკვლისათვის.** საერო კანონმდებლობა იცავს საეკლესიო ყოველგვარ საკუთრებას და მათ შორის ყმასაც. ამ ხასიათის ნორმები უპრეცედენტო არაა. „ძეგლის დადებაში“ (42-ე მუხლი) ლაპარაკია იმასთან დაკავშირებით, რომ ლომისის[280] გლეხის მკვლელი ვისი შეწირულიც არ უნდა იყოს იგი ლომისზე ათას ხუთასი თეთრის გადახდით უნდა დაისაჯოს. იქვე, ჩვენის აზრით, მითითებულია საზღვრები თუ რა ტერიტორიაზე ჩადენილი მკვლელობა ცხადდება დასჯადად, რომლის იქეთ მოკლული არ სარგებლობს ლომისის ყმის სტატუსით.

**5. უბრალო კაცის მოკვლისათვის.** კათალიკოსთა სამართლის მე-5 მუხლი „უბრალო კაცის“ მოკვლისადმია მიძღვნილი. უბრალო კაცში ყოველგვარ პატივს და გვარიშვილობას მოკლებული კაცი იგულისხმება. მნიშვნელობა არა აქვს სად იმყოფება იგი, „მგზავრი ანუ მცველი რისამე“ არის. თუ როგორი სასჯელი შეიძლება დაედოს ამ „უბრალო“ კაცის მკვლელს მუხლში არ არის მითითებული. ნორმა იმაზედაც მიუთითებს, რომ მკვლელობა შეიძლება მოხდეს ქურდულად-მიპარვით.

---

[279] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 38.

[280] ქსნის ხეობის და მთიანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სალოცავი ძველი წარმართული სალოცავის ადგილზე, VIII-IX საუკუნეში აგებული წმინდა გიორგის ეკლესია.

**6. ღირსეული ყმის მოკვლისათვის.** ბექას სამართლის მე-11 მუხლით გლეხი კაცის სისხლი ოთხას თეთრადაა შეფასებული, მაგრამ თუ ეს ყმა ღირსებით („სიკეთით“) იყოს ცნობილი, მაშინ მკვლელმა ყმის ბატონს სისხლის ფასის ზემოთ ათასი თეთრიც უნდა გადაუხადოს.

**7. ნიძლავში კაცის სიკვდილისათვის.** ასეთი სამართლის ნორმა უჩვეულოა საერთოდ ფეოდალური სამართლის წიგნისათვის, ვახტანგის სამართლის წიგნის 197-ე მუხლი გაფრთხილებას იძლევა, რომ „კაცი ყმაწვილსა და უჭკუოს კაცს არ უნდა დაენაძლეოს“ ვისმეზე დაჭიდავებაში, ლოდის აზიდვაში, გარდახტომაში, ან ცურვაში, თორემ რაიმე თუ დაიშავა „იმ ყმაწვილმა და უჭკუომ“ ამ დამნიძლავებელმა უფროსმა კაცმა უნდა აგოს პასუხი. პასუხისგება კი იმაში გამოიხატება, რომ თუ გარდაიცვალა პირი, მასზედ დამნიძლავებელს სამარხი გარდახდება, ხოლო თუ დაშავდა – სამკურნალო. მანვე უნდა აუნაზღაუროს ნიძლავით დაშავებულს თუ „სამუშაოს დამცდარა“.

იმ შემთხვევაში თუ მონიძლავეები „ტოლი კაცნი არიან“ და დანიძლავებაც ორივეს ნებით მომხდარა, რაც არ უნდა შეემთხვას დამარცხებულ კაცს „ერთმანეთს ნაძლევის მეტს ვერას შეუვლენ.“

**8. სახუმარო სიტუაციაში მომხდარი მკვლელობისათვის.** როგორც საამისოდ ყველაზე უპრიან ადგილას, აქვე გვინდა ვისაუბროთ სახუმარო სიტუაციაში მომხდარ მკვლელობაზეც, რომელსაც ვახტანგის სამართლის წიგნის 194-ე მუხლი ეძღვნება: „თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს აწყინოს რამე, ან მოსტეხოს რამე, ან დაჭრას, ან მაშინდელს ნაკრაულობაზე მოკუდეს, დაჭრილს სააქიმო უნდა მისცეს, და თუ მოკუდეს სამარხი უნდა მისცეს“, ხოლო თუ ეჭვი იქნა მიტანილი განზრახ დაზიანებაზე, მაშინ მსგავს შემთხვევაში დადგენილი წესისამებრ წარიმართება ვითარების გარკვევა. ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკას არ დაუცავს ცნობა, მაგრამ ნორმის ცხოვრებისეულობაზე მიუთითებს, რომ მან ასახვა ჰპოვა დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტის 241-ე მუხლშიც, რომელიც აცხადებს: „უკეთუ ხუმრობასა შინა იქმნა მოკლულ ვისამე,

რომელსაცა გარდახდების სისხლისა ნახევარი“. დამნაშავე ასევე „ეკლესიურითა კანონითა განიკანობების“. როგორც ჩანს, ავის მომასწავებელ „ხუმრობასა და თამაშს“ ყველა უნდა ერიდოს.

**9. ბატონის მიერ ყმის მოკვლისათვის.** ვახტანგ VI სამართალი სხვა სამართლის წიგნებთან შედარებით განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ყმისა და ბატონის ურთიერთობებს. ასეთი ტენდენცია მარტო კანონს როდი ატყვია, სასამართლო პრაქტიკაშიც ხშირად ისმის „ბატონყმობის რიგით“ ბატონსა და ყმას შორის სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საჭიროება. როგორც ადრე ითქვა, ესეც ქართული ფეოდალური სამართლის და აქედან გამომდინარე ქართული ფეოდალიზმის თავისებურებადაც უნდა ჩაითვალოს.

თქმულის საილუსტრაციოდ სამართლის წიგნში ორი ნორმის არსებობაც კი კმარა. პირველი გახლავთ ვახტანგ VI სამართლის წიგნის 95-ე მუხლი, რომელიც ყმის მიერ დანაშაულის ჩადენის დროსაც კი კრძალავს ბატონის მიერ ყმის მოკვლას, ან გახეიბრებას. კანონი ხმამაღლა აცხადებს, რომ ასეთი მოქმედება „ბატონისაგან (მეფისაგან – მ. კ.) და კათალიკოზისაგან საწყენი არის“. თუ გამოვლინდა, რომ ყმამ ჩაიდინა რაიმე ისეთი მძიმე დანაშაული, რაც სიკვდილს ან გახეიბრებას იმსახურებს, ბატონი მაინც ვერ შეუფარდებს მას ასეთ სასჯელს, რისთვისაც მეფის თანხმობაა საჭირო.

როგორც ჩანს კანონი მხოლოდ რჩევით ხასიათს ატარებს და არ შესწევს ძალა კატეგორიული ტონი მისცეს მის მოთხოვნას. ეს კარგად ჩანს სიტყვებიდან: „თუ მოუჭდეს და ქნას (ე, ი. მოკლას, ან გაახეიბროს – მ. კ.), ყმა ვერას შეუვა“ და ამ „უკანონობის“ საკომპენსაციოდ იქვე აწესებს: თუ დადგინდება რომ ბატონს ყმა „მართალს დანაშაულზე მოუკლავს“, რომლის შემდეგაც მისიანები თუ ისევ ინდომებენ ამ ბატონის ყმობას, იმავ მამულზე დარჩენის შემდეგ მოკლულის სისხლის საზღაურსაც მიიღებენ ბატონისაგან. სამართლის ეს ნორმა საბატონყმო ურთიერთობის ვითარების თავისებურად ამსახველი მეტად მნიშვნელოვანი დანაწესია.

როგორც ჩანს უდანაშაულოდ თუ მოკლა ბატონმა ყმა, ბატონს

რაღაც უფრო მკაცრი სასჯელი დაედება, რადგან სიტყვები „მართალს დანაშაულზე მოუკლავს“ არ გამორიცხავს უდანაშაულოდ მკვლელობასაც, რა დროსაც, ცხადია, უფრო მკაცრი სასჯელი იქნებოდა დაწესებული.

ამ შინაარსით ნორმის ცხოვრებაში გამოყენება, ბატონყმური ურთიერთობის ბევრ საკითხს ჰფენს შუქს. სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ეს საკითხიც ყურადღება მიუქცეველი დარჩა.

იქვეა მითითებული: თუ დანაშაულზე მოკლული ყმის ოჯახი არ ინდომებს მკვლელი მებატონის ყმობას, ტოვებს მის მიწას, რითაც ყმობიდან თავისუფლდება და ვისაც უნდა იმას მიუვა. ამ შემთხვევაში ბატონი არ იხდის სისხლის ფასს და იგი მოკლული ყმის ოჯახის თავდახსნის საზღაურში იბრება.

ბატონისა და ყმის ურთიერთობის და აღნიშნულის შუქზე ბატონის მიერ ყმის „სრულად პყრობის“ სისუსტეზე გვიანფეოდალურ საქართველოში ის მუხლიც (258-ე) მიგვანიშნებს, რომლის მიხედვითაც ბატონის მკვლელ ყმას, მეფის მიერ გაცემული საგანგებო დოკუმენტით (რასაც ბატონის მემკვიდრე იღებს), კიდევ უფრო სანდოდ ედგმება ყმობის უღელი. როგორც ჩანს, არსებობს იმის საჭიროება, რომ ამ უძმიმესი დანაშაულის (ბატონის მოკვლის) საკომპენსაციოდ „ჯელმწიფემ და მოსამართლემ ასეთი წიგნი მისცენ ბატონს ყმისა, რომე ნასყიდისაგან უფრო ვერსად დაეკარგოს.“ ვიმეორებთ, გამოდის რომ, ახალი ბატონი წინა ბატონის მოკვლის საკონპენსაციოდ მოიპოვებს მკვლელ ყმაზე **„მტკიცე საკუთრებას“**. კანონი იქვე მიუთითებს: ხელმწიფემ ახალ ბატონს, მასზე ასე სანდოდ „მიჯაჭული“ ყმის სიცოცხლეზე მოსალოდნელი ხელყოფის აღსაკვეთად, „წიგნი უნდა დაადებინოს, რომ უჯელმწიფოდ ვერც მოკლას და ვერც გაახეიბროს“. რაც შეეხება ყმის მამულსა და საქონელს, მათ ისე მოექცევა ბატონი როგორც სურს. კანონი უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ ბატონმა შეიძლება დაარღვიოს კანონის ზემოთ მითითებული მოთხოვნა და მოკლას ან გაახეიბროს ბატონის მკვლელი ყმა. ასეთ შემთხვევაში „მოსამართლემ მისი (მოკლული ან გახეიბრებული ყმის – მ. კ.) სახლი გაათავისუფლოს“ უნდა ყმობიდან. დამოწმებული ორივე მუხლის პრაქტიკულად გამ-

ოყენებას თუ სასამართლო პრაქტიკაც დაუჭერს მხარს, მაშინ როგორც ითქვა, საქართველოში ყმათა და ფეოდალთა ურთიერთობის ბევრი საკითხი ახლებურად ახსნას მოითხოვს. იგი უფრო საინტერესოს გახდის „ბატონყმობის რიგის“ კვლევის საქმეს.

აქვე უნდა გაუკეთდეს კომენტარი 258-ე მუხლის – I და IV ნაწილს. პირველი ნაწილი აცხადებს: ყმის მიერ ბატონის მკვლელობის დროს „სისხლი არ გაჩნდების, ამისათვის რომე ყმისა ყუელა ბატონისა არის, რას მისცემს“, ხოლო IV ნაწილით ყმას რომც კი შეეძლოს ბატონის მკვლელობისათვის სისხლის საზღაურის გადახდა, ასეთ მოქმედებას მაინც არ უნდა ეწოდოს „სისხლის მიცემა“ და იგი ისე უნდა წაერთვას. აქაოდა კანონს ეჩოთირება ბატონის სისხლის გაბრა ყმის სისხლით.

მუხლის I ნაწილის დეკლარაციული განაცხადი „ყმისა ყველა ბატონისაა“, არამც და არამც არ გულისხმობს ყმის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე ხელყოფის დასაშვებულობას. IV ნაწილი კი არც თუ ისე შეურყეველი კლასობრივი პოზიციებიდანაა ნაკარნახევი, რომელზედაც სპეციალურ პარაგრაფებში გვექნება მსჯელობა, როცა სოციალურ მოტივებს შევეხებით სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში.

**10. ცემით (გალახვით) სიკვდილისათვის.** ქართულ სამართალში საკმაოდ უკეთდება რა დიფერენცირება იმას თუ რატომ, სად და რა ვითარებაში მოხდა მკვლელობა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცემით დამდგარ მკვლელობას, ყურადღება ექცევა იმასაც თუ ცემიდან რა დროის გასვლის შემდეგ დადგა ეგზომ მძიმე შედეგი.

გალახვის და მასთან დაკავშირებულ შედეგთა, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულის სახედ, აღიარებას ადასტურებს ისეთი კვალიფიციური სასამართლო, როგორიცაა საქართველოს მსაჯულთა შემადგენლობა, რომლის მიერ გამოტანილ განაჩენშიც ჩაწერილია: „გალახვისა და დაჭრის სისხლიც უნდა მოსცენო.“[281]

მამის სიკვდილს უჩივის შოშიაშვილი გიორგი ჯავახიშვილს: „ვენახში მოხველო და გალახეო და გალახულობით მოკვდაო“, სა-

[281] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 557.

სამართლომაც დაადგინა: თუ ფიცით ვერ იმართლოს ჯავახიშვილმა თავი „სამოცი ძროხისა“ გადახდა გაგვიჩენიაო.[282]

უფრო გვიან იმერეთში გამოტანილი განაჩენით მომჩივანი აცხადებს: „დედა გამილახე, მაშინ კი მორჩა, მარა გალახულობამ გაუხსენა და იმ გალახულობით მოკვდა.“[283] დოკუმენტიდან არ ჩანს, როგორ გადაწყვიტა საკითხი სასამართლომ.

სასამართლო ხასიათის მასალებით ხერხდება იმის გამიჯვნა ცემა (გალახვა) ორმხრივი ჩხუბის დროს ხდება, თუ დაჩაგვრის მიზნით იცემება პიროვნება. მეორე შემთხვევა შედარებით მძიმე მოქმედებად განიხილება.

ისიც უნდა ითქვას, რომ დაჩაგვრის, დაჯაბნების მიზნით ჩადენილი ცემისა და მისი შედეგით დამდგარი სიკვდილი არ განიხილებოდა კვალიფიციურ მკვლელობად.

აღნიშნულის დასტურად ერთი მაგალითის მოტანით დავკმაყოფილდებით. ჩხუბის დროს მეზობლები ხელდახელ შებმულან. ნაცემი ერთი მხარე მესამე დღეს გარდაცვლილა, რომელსაც სიკვდილის წინ უთქვამს: „ნავროზაშვილმა რომ ქოჩორი დამწიაო, მეორემ ძმამ ბარი დამკრაო და იმით ვკვდებიო“. სასამართლომ „სისხლის ფასად სამოცი ძროხა“ დააკისრა დამნაშავეს,[284] რაც ჩვეულებითი სამართლით არცერთ შემთხვევაში არ აღემატება ერთი სისხლის ოდენობას.

ჩხუბისა და აყალმაყალის აღკვეთისათვის ნიადაგ იღვწოდა ხელისუფალი, რომლის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად მოგვეპოვება. თავდაპირველად უნდა დავასახელოთ ერეკლე II-ის მიერ მიღებული ახალი კანონი, რომელთან დაკავშირებითაც ასეთი ცნობა დაუცავს მსაჯულთა განაჩენს: „მათის უმაღლესობის მეფის მეორის ირაკლის ახალი განჩინება (კანონი – მ. კ.) არის, ვინც ჩხუბში მახვილი იხადოს, იმას მახვილის ქარქაშიდამ ამოღებისათვის, რასაც გვარისა იყოს, ხელის სისხლი სარქარისათვის ჯარიმად წაერთვას, თუ მოჰკლას ვინმე ან დაჭრას, იმასაც სისხლი უნდა

[282] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 333-334.

[283] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 691.

[284] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 300.

დაუურვოს."[285] აღნიშნული განჩინება ბევრი რამითაა საინტერესო. აქ კი იმის თქმა გვსურს, რომ ჩხუბში ჩადენილი მკვლელობა დამამძიმებლად ითვლებოდა.

ჩხუბისა და არეულობის აღკვეთას უნდა ემსახურებოდეს დავით ბატონიშვილის სამართლის 23-ე და 72-ე მუხლები. 23-ე მუხლი სპეციალურად მიძღვნილია „გამოთხოვისათვის (გამოწვევისათვის – მ. კ.) საჩხუბრად," ხოლო 72-ე მუხლი „კაცის მკულელთათვის უცნობელობასა შინა ჩხუბსა ზედა."[286]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯოხით ცემა და ზოგჯერ ამ გზით მკვლელობა გარდა დანაშაულისა, სასჯელის სახესაც წარმოადგენდა, რომელთან დაკავშირებითაც ცალკე გვაქვს მსჯელობა.

## §4. ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი მკვლელობის დროს

ისე როგორც საერთოდ დანაშაულებრივი ქმედობებისას, მკვლელობის დროსაც როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელ გარემოებათა ჩამოკვეთა ბრალის საკითხის დამუშავებასთანაა დაკავშირებული.

ხელთაც რომ არ მოგვეპოვებოდეს მწყობრად ჩამოყალიბებული გაგება ბრალზე, ასევე კანონმდებლობაშიც ვერ ვიპოვოთ ამ საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური ნორმები, ცალკეულ მუხლთა განაცხადი და სასამართლო პრაქტიკა რამდენადმე მაინც გვაძლევს ვითარებაში გარკვევის შესაძლებლობას.

ადრეულ პერიოდში მაინც, ბრალის საკითხის დამუშავების დონეზე დამამძიმებელზე უფრო, შემამსუბუქებელი გარემოებები გვიქმნის შთაბეჭდილებას. საქმე იმაშია, რომ სასამართლო პრაქტიკა არცთუ იშვიათად ბრალის არსში გაურკვევლობით კი არ ადგება სასჯელთა გამკაცრების გზას, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკისა თუ კერძო კაპრიზებით.

---

[285] უფრო ზუსტად იხ. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. I, თბ., 1970, 63.

[286] სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 20; 47.

სულ სხვაა შემამსუბუქებელი გარემოებანი, აქ პირიქით, თუ არა მწყობრად დამუშავებული და ჩამოყალიბებული შეხედულება ბრალზე, ბარიერის გადალახვა შეუძლებელი ხდება. ისტორიულადაც შემამსუბუქებელ გარემოებათა გამოკვეთა იძლეოდა საფუძველს დამამძიმებელ გარემოებათა არსის გასახსნელად.

ფეოდალურ სამართალში დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი და დანაშაულისაგან სავსებით გამანთავისუფლებელი გარემოებანი ესოდენ ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ძალიან ხშირად სასამართლო პრაქტიკა ზღვარსაც ვერ პოულობს მათ შორის. როგორც ჩანს, ქართული სინამდვილე კი გამოსული იყო ამ ეტაპიდან.

შემამსუბუქებელ გარემოების ამსახველ საკანონმდებლო ნორმებით მეტად ნაკლულია ქართული სინამდვილე.

ივ. ჯავახიშვილი სპეციალურად სწავლობს რა ბრალის „აღმსუბუქებელ გარემოებანს", ძირითად წყაროდ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ „მცირე სჯულისკანონს" („შეცოდებულთა კანონები") იყენებს, რომლის საფუძველზედაც გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შემამსუბუქებელ გარემოებას ქმნიდა „უმეცრებაჲ გონებისაჲ", „ფრიადი უძლურებაჲ გონებისაჲ" და „იძულებით შთავარდნილობა", იქვე დასძენს, რომ იქნებ ასეთ პირთაგან ჩადენილი მოქმედება „უბრალოდაც (უდანაშაულოდ – მ. კ.) კი ყოფილიყო ცნობილი".[287]

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: მცირე სჯულისკანონი მხოლოდ საეკლესიო სამართლის განსასჯელ შეცოდებას ეხება, რაზედაც სხვას რომ თავი გავანებოთ იმ 8 შეცოდებიდან რასაც იგი თავის სფეროში აქცევს, საერო კანონმდებლობის მიერ დასჯადი მხოლოდ ერთია – „კაცის კვლა".

მეორეც, საერო სამართალი მართალია ანგარიშს უწევდა საეკლესიო სამართლის მოთხოვნას, მაგრამ ხორციელ და მატერიალურ სასჯელებს აწესებს უპირატესად.

დავას არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ საერო ხასიათის გადაცდომებზე, როგორც ბრალის გამაქარწყლებელი, ისე შემამსუბუქე-

---

[287] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 200-201.

ბელი გარემოებანი სხვადასხვაგვარია.

მეცნიერი წერს, რომ მოცემული კანონით: „თუ დანაშაულობა ან ცოდვა 30 წლამდე ჰქონდა შეცოდებულს ჩადენილი, **რაც უნდა დიდი ყოფილიყო ცოდვა ყოველგვარ პატიების ღირსი იყო**“ (ხაზგასმა ჩემია – მ. კ.), მაგრამ ეჭვს გამოთქვამს რომ შესაძლებელია ასეთი რამ ქართულ სინამდვილეს არ შეეთვისებინოს.[288]

შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ იოანე მმარხველის შეცოდებულთა კანონში 30 წლამდე შეცოდებულს ყოველთვის და ყველა შეცოდება როდი უმსუბუქდებოდა, არამედ „უკუეთუ არა განზრახვით და წურთით ქმნეს, არამედ ცთომით და აღტაცებით შეემთხჳა და მყის მოიწყჳიდეს უსუბუქესად განიკანონებიან და ადრე მიეცემის შენდობაჲ“.[289] და იქვე სხვა ადგილას გრძელდება: „უკუეთუ ვის სიჭაბუკისა (ე. ი. უწინარეს 30 წლისა – მ. კ.) და ბრძოლისა ჟამსა შეემთხჳოს ცთომით და მყის მოიწყჳდოს და მოვიდეს სინანულად, უსუბუქესად და წყალობით განიკანონოს.“[290]

როგორც ჩანს, არც ისეა საქმე რომ ყოველგვარი ცოდვები უმსუბუქდებოდა 30 წელს მიუღწეველს. გარკვევითაა ნათქვამი, თუ „განზრახ არ ჩაიდონოს“, თანაც იგი იყოს ჩადენილი „ცთომით და აღტაცებით“, ასევე „მყის მოიწყჳდეს“ ცოდვა.

ივ. ჯავახიშვილს ასევე გამოთქმული აქვს მოსაზრება რომ მცირე სჯულისკანონში „დანაშაულობის აღმსუბუქებლად, თუ ბრალეულობის სრულიად განმაქარვებელ გარემოებად „იძულება“ ან „იძულებითი შთავარდნილობა“-ც ითვლებოდა[291] და მიუთითებს ადგილებს, „როდესაც დანაშაული ჩადენილი იყო „პატრონისა ბრძანებითა“ ჴელმწიფებითა და შიშითა მისითა შეემთხუია“[292]და იქვე აგრძელებს: „ანდა როდესაც „ვინმე ლაშქრობითა შინა და მგზავრობათა იძულებით, ანუ შიშისაგან....შთავარდნილ იყვნენ ცოდვათა“[293]

---

[288] იქვე, 200.

[289] მცირე სჯულისკანონი, 104-105.

[290] იქვე, 105.

[291] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 201.

[292] იქვე.

[293] იქვე.

მოტანილი ადგილები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ კატეგორიულად იყო განსაზღვრული „ბრალეულობის სრულიად განმქარვებელი“ გარემოებები, ეს მაშინ, როცა მოტანილ წყაროში ლაპარაკია მასზედ, რომ მოძღვარმა კონკრეტულად გაარკვიოს: ვინ და რა ვითარებაში ჩაიდინა ცოდვა (სიმთვრალით, პატრონის ბრძანებით და ა. შ.) და ამის შემდეგ განსაზღვროს, რომ ეს ცოდვები ზოგი მძიმე იქნება, ზოგიც მსუბუქი („უმძიმეს და უსუბუქეს იქნებიან ცოდვანი“), ამდენად მათი ჩამდენნიც არ შეიძლება ერთნაირად დაისაჯონ.[294] როგორც ჩანს აქ ცოდვათა განქარწყლებაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ შეღავათზე.

ახლა ის ვნახოთ გარდა ივ. ჯავახიშვილისა და ჩვენ მიერ მოტანილ ადგილებში ნახმარი მხოლოდ „უმეცრებაჲ გონებისაჲ“, და „ფრიადი უძლურებაჲ გონებისაჲ“ და სხვა გარემოებანიც თუ იწვევდა სასჯელის შემსუბუქებას.

მცირე სჯულისკანონით გარდა ზემოთ მითიებული ორი ვითარებისა ცოდვის შემსუბუქებას იწვევდა: 1. „ერთ გზის, გინა ორგზის“ ჩადენილი ცოდვა, ე. ი. მისი არა სისტემატურად ჩადენა; 2. თუ „მყის მოიწყჳდოს“, ე. ი. უმალ შეწყვეტა ცოდვიანი მოქმედებისა. 3. ჩადენილი უნდა ყოფილიყო „ცოდვანი უსუბუქნესი“ („არა დიდთა რაიმე ცოდვათა შთავრდომილ იყვნენ“) და რაც მთავარია ცოდვის თითოეული ჩამდენი უნდა „მივიდეს სინანულად“.

ვიმეორებ, ყველა ის ცოდვა, რაზედაც მცირე სჯულისკანონშია ლაპარაკი ხორციელია. თითქმის ყველა, გარდა „კაცის კვლისა“ სქესობრივი აღტკინების დაკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული.

ამდენად, იქნებ არც იყოს უპრიანი ასე დეტალურად წინამდებარე ხასიათის ნაშრომში მათი განხილვა.

ქართული სამართლის წიგნებით მიხდომა და ამ დროს ჩადენილი ესა თუ ის კონკრეტული დანაშაული მეტად მძიმედ განიხილება. „ძეგლის დადების“ 29-ე მუხლი კი ამართლებს ისეთ მიხდომას, უკეთუ იგი გამოწვეულია მიხდომილის მიერ მრავალგზის სასამართლოში გაწვევისაგან თავის არიდებით. ამ დროს მომჩივანი თუ სახლში მიუხდება მოპასუხეს და მოკლავს – იგი მხოლოდ მკვლელობის სისხლს გადაიხდის და მიხდომის სისხლისგან თავისუფალია.

[294] მცირე სჯულისკანონი, 103.

„ძეგლის დადების“ ეს მოთხოვნა საუკუნეების შემდგომაც რომ სავალდებულო იყო ჩვენს ქვეყანაში აღნიშნულზე სხვა მასალებთან ერთად XVIII საუკუნეში შედგენილი ერთი განაჩენიც გვაუწყებს, რომელშიც კაცი რომელსაც მიუხდნენ, აცხადებს: „სულ რომ დამეხოცეთ მომხდომნი „სამართლით ვერას შემომიხვიდოდით“.[295]

უფრო შორს მიდის ვახტანგ VI სამართლის 55-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ჭირისა ან ლხინის დროს მიხდომისას თუ მიმხდომი მოკლან, მკვლელობა შემამსუბუქებლად ითვლება და მოკლულის სისხლი მთელი სისხლის მეექვსედის დაკლებით ანაზღაურდება.

ვახტანგ VI სამართალი ყურადღებას ამახვილებს საღალატოდ ჩასაფრებული კაცის მოკვლაზე. კანონი აცხადებს: „თუ ამ მიმავალმან (რომელიც ღალატით უნდა იქნას მოკლული გზად ჩასაფრებულის მიერ – მ. კ.) ის დამდგომი მოკლას, ნახევარი სისხლი გაუჩინეთ“ (მე-60 მუხლი).

76-ე მუხლი კი თუ მტრულად განწყობილნი გზად შეხვდნენ ერთმანეთს „გზის დაგდება რომელსაც მართებოდეს და არ დაეგდოს, იმას სისხლი დააკლდების.“ იქვეა განმარტებული, რომ გზის დაგდება (გაცლა) გვარით უმცროსს მართებს, თუ ერთნაირი გვარისანი არიან, მაშინ ასაკით უმცროსს, ასევე „გზის დაგდება“ იმას ევალება, ვინც „დამნაშავე თვითონ იყოს და იმის დანაშაულზე მდუღრობდნენ“.[296]

ამავე პრინციპით სარგებლობს კანონმდებელი როცა ადგენს: „თუ კაცი კაცს გაგინებოდეს და მერმე ის გაგინებული კაცი მამკუდარიყოს (შეგინებულს მოეკლას – მ. კ.), მისი სისხლი უფრო სუბუქი იქნების.“ (91-ე მუხლი). როგორც ზემოთაც აღინიშნა ერთ ადგილას, ეს ნორმა ქართველი კაცის მორალური ინტერესების დაცვიდან გამოდის. არამცთუ მოქმედებანი, უწმაწური სიტყვებით გინებაც კი დანაშაულია. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ასეთი ნორმა იშვიათია ფეოდალურ კანონმდებლობაში.

1756 წელს გარჩეულა რა გალახულობით კაცის გარდაცვალების საქმე, განაჩენში ჩაუწერიათ: „რადგან უბრალოს ჩხუბის

---

[295] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 257-258.

[296] ეს მუხლი კარგი მაგალითია იმისა თუ რაოდენ უნდა გაითვალისწინოს მოსამართლემ საქმის განხილვის დროს კონკრეტული ვითარებანი.

გამორევაში ხელდახელ გარჯით (ცემით – მ. კ.) ..... და სიკვდილი იმის მიზეზით მოხდომიყო, იარაღით ჭრილობა არა ქონდა რა და... იმ ჩხუბში უნებურათ მოსვლოდა ამგვარი საქმე, ამიტომ ნახევარი სისხლი მოსიას (დამნაშავეს – მ. კ.) დავადევით სამართლით."[297]

როგორც ჩანს განჩინებაში შემამსუბუქებელ ორ გარემოებაზეა მითითებული: დაზიანება „უბრალო" ჩხუბს მოჰყოლია და სიკვდილი ხელით ცემას გამოუწვევია, „იარაღით ჭრილობა არ ქონდა", ჭრილობას ხომ იარაღით მიყენება ამძიმებს. სწორედ აღნიშნული გამხდარა საფუძველი და მთელი სისხლის ნაცვლად ნახევარი გაუჩენიათ გადასახდელად.

მკვლელობის დროს შემამსუბუქებელ გარემოებათა შორის თავისი შინაარსით განუმეორებელ ცნობას გვაწვდის ერისთავ შალვა ქვანიფნევლის შეწირულობის წიგნი ლარგვისისადმი (1470 წ.), რომლის მიხედვითაც თუ ვინმემ თავისი მესისხლე „საკლავად გამოჴმატოს და ვეღარ მოკლას, სისხლისა ნახევარი გაუცუდდეს."[298]

ასეთ დანაწესშიც ბევრი რამაა საკვლევი და საჭოჭმანო. თავდაპირველად გასარკვევია რამდენად შეიძლება საჯარო ხასიათი მიეცეს აღნიშნულ (კერძო ხასიათის აქტში) და მსგავს დოკუმენტებში ჩაწერილ ნორმებს და ხომ არ წარმოადგენენ ისინი ხალხური სამართლის ნორმათა გადატანას მასში?

## §5. გარემოებანი, რომლებიც მკვლელობის პასუხისმგებლობიდან ათავისუფლებს პირს

ისე როგორც შემამსუბუქებელ გარემოებათა დადგენას და სათანადო მიზეზების გამოძებნას, თუ როდის ჩაითვლება დანაშაული შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად, ქართული სამართალი ძველიდანვე აქცევდა ყურადღებას ბრალის სავსებით გამომრიცხველ გარემოებებს. ამ საკითხის დამუშავების დონითაც განისაზღვრება ერის სამართლებრივი კულტურის დონე. რა თქმა უნდა, ყურადღება ექცევა იმას, რამდენად უკავშირდება ბრალეულობის

[297] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 457.

[298] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 142.

გამომრიცხველი გარემოებანი დანაშაულის ჩამდენი პირის (სუბიექტის) ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობას და არა მხოლოდ გარედან დანახული „მართლზომიერი მოქმედებით" განისაზღვრება ყველაფერი.

ჩვენამდე მოღწეულ ქართული სამართლის წიგნებიდან თითქმის ყველა ამახვილებს ყურადღებას მკვლელობისას ბრალის გამომრიცხველ გარემოებებზე. ჯერ კიდევ ბაგრატ კურაპალატის სამართალი აცხადებს, რომ „მეკობრისა და ზედა-დამსხმელისა სისხლი არა არს" (138-ე მუხლი). როგორც ჩანს საკითხისადმი ასე მიდგომა ტრადიციული ყოფილა, ამიტომაც ბექა-ალბუღას სამართალსაც გაუზიარებია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მოთხოვნა, რომ „ზედა-დამსხმელისა სისხლი და გერში არ არის" (მე-12 მუხლი). აქედან ჩანს, რომ ამ მხრივ IX საუკუნიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე ერთგვარ წინსვლას აქვს ადგილი.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში აღნიშნული საკითხი იმდროინდელი ვითარების კვალობაზე დამთავრებულად გვევლინება. მხედველობაში გვაქვს ვახტანგ VI სამართლის წიგნის 42-ე მუხლის დანაწესი. აქ ათი გარემოებაა მოცემული, როდესაც მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. მოვიტანოთ თითოეული მათგანი და შევეცადოთ ვაჩვენოთ რომელი პუნქტი როგორ განვითარდა, ან რაა ამ მხრივ ვახტანგის სამართალში ახალი, წინა სამართალის წიგნთან შედარებით.

42-ე მუხლი ასე იწყება: „ამათი სისხლი არ ითხოების და არც გაჩნდების."

**პირველი პუნქტი:** „ე რ თ ი ესე, რომე ომში კაცი კაცს შემოაკუდეს მეპირისპირეს მეომრისა". აქ უპირატესად ფეოდალური აშლილობის ნიადაგზე ძმათა შორის შეიარაღებული შეტაკების დროს ხოცვა-ულეტვა იგულისხმება, რა დროსაც დაზარალებული მხარე სისხლის ფასს ვერ მოითხოვდა. სულ სხვაა ამ დროს კერძო შურისძიების საკითხი. თუ მკვლელის ვინაობა ცნობილი იქნებოდა მოკლულის მხარისათვის შურისძიების შესაძლებლობაც იქნებოდა. ეს პუნქტი არ წარმოადგენს კანონშემოქმედის ნების გამოხატულებას და ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარე ნორმის წერილობითი ფიქსაციაა.

**მეორე პუნქტი:** „მ ე ო რ ე, რომ კიდემ კაცი თავისის დროშისა უცნობლად შემოაკუდეს, უმტერო და უქიშპარი“. აქ უფრო დავიწროებულია მოკლულის (ობიექტის) ვინაობისა და მისი მკვლელის (სუბიექტის) ურთიერთდამოკიდებულების სფერო. ბრძოლაში მებრძოლი კლავს თავის სადროშოს, ე. ი. იმ სამხედრო შენაერთის წევრს[299], რომლის მებრძოლიც თვითონაა. ეგონა მტერს კლავდა, მაგრამ მოკლა თავისი სადროშოს მეომარი. გასაგებადაა ჩამოყალიბებული, რომ მოკლულსა და მკვლელს შორის არ უნდა ყოფილიყო მტრობა და ქიშპი, და თუ ასეთი დადასტურდა მკვლელის პასუხისმგებლობა სახეზეა.

კანონმდებლის ასეთ დათქმას ის უდევს საფუძვლად, რომ ხშირად მეტი შანსი იყო ერთ სადროშოში მებრძოლ მტერთა შეხვედრის და აქედან გამომდინარე შურისძიებისაც, რაც არ გამორიცხავდა „ომის საბაბით“ ანგარიშსწორებას. ასეთი რამ კი ხელს უშლიდა ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებას. თუ მოხდება ისე, რომ მოკლულის პატრონი ეჭვს მიიტანს მტრობით, „განზრახვით მოკლაო“, კანონი მკვლელს სისხლის საზღაურის გადახდას ავალებს. ხოლო თუ მკვლელი უარყოფს ასეთს, ფიცით უნდა იმართლოს თავი. კანონში არაა მოცემული როგორი ხასიათის ფიცით გადაწყდება საკითხი. სამართლის წიგნში ფიცთან დაკავშირებული მუხლებიც (10-12 მუხლები) არ იძლევიან პასუხს აღნიშნულზე. ცხადია, ფიცის ცერემონიალი ჩვეულებითი სამართლის ნორმის მომარჯვებით ჩატარდებოდა.

**მესამე პუნქტი:** „მ ე ს ა მ ე, მიმჯდომის კაცის სიკუდილის სისხლი არ არის, რომ დამხდურმან მოკლას“.

ახლა ვნახოთ ვახტანგ VI სამართლამდე ეს მუხლი როგორ თანდათანობით ჩამოიკვეთა და რა ესმის კანონმდებელს მიხდომად, რა დროსაც არც მოკლულის და არც დაჭრილის სისხლი კანონით არ ნაზღაურდება.

თავიდანვე ის უნდა ითქვას, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში მოხსენებული „მიმხდომი“, ადრეული პერიოდის სამართლის წიგნებში (ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღას) მოხსენიებული „ზედა-დამსხმელია“.

[299] სულ 5 სადროში იყო მთელს ქართლში.

მიმხდომის მოკვლისათვის რომ პასუხისმგებლობა არ არსებობს, აღნიშნავს სასამართლო პრაქტიკაც. 1791 წლის განჩინებით ფირანი თავისუფლდება მიხდომილის – ზურაბის მკვლელობის პასუხისმგებლობისაგან, რასაც სასამართლო ასეთ მოტივაციას უკეთებს: „საქართველოს სამართლის განწესებით დამხდომმა მომხდომი რომ მოუკლას, სისხლს არ მიაცემინებენ.“[300]

ბაგრატის სამართლის წიგნის 138-ე მუხლში ზედ-დამსხმელთა მოკვლასთან ერთად მეკობრის მკვლელიც თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. აქ ხაზი აქვს გასმული იმას, რომ „ზედადამსხმელი“ უფრო ფართო ცნებაა, მასში ყოველგვარი მიზნით და მოტივით განპირობებული ზედ დასხმა იგულისხმება. თითქმის აღნიშნულსავე იმეორებს ბექას სამართლის წიგნი, რომელიც ზოგადად მიუთითებს: „ზედა-დამსხმელისა სისხლი და გერში არ არის“ (მე-12 მუხლი). რა თქმა უნდა, სამართლის ნორმის ასეთი დისპიზიცია უფრო დახვეწილად აღიქმება. ჩვენის აზრით, ზედდასხმის დროს ასაბიას მოკვლასა ან დაჭრაზე უნდა იყოს საუბარი „ძეგლის დების“ 41-ე მუხლშიც, რომელიც ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს ამ მიზნით მიხდომილ ასაბიას მკვლელს.

გარდა 42-ე მუხლში მოტანილი ადგილისა, თვით ვახტანგის სამართლის სხვა ორი ნორმაც ითვალისწინებს მიხდომის დროს მკვლელობას. პირველი გახლდათ 50-ე მუხლი, რომელშიც სასაფლაოზე მიხდომაზეა ლაპარაკი. კანონმდებელს ამ მუხლის ცალკე გამოყოფა (42-ე მუხლის შემდეგ) იმიტომ დაჭირდა, რომ აქ არამარტო მიმხდომის მკვლელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზეა ლაპარაკი, არამედ თქმულია რაში გამოიხატება მიხდომა, როგორი პასუხისმგებლობა ეკისრება მიმხდომს და ბოლოს ითქვა კიდეც მიმხდომის მოკვლის პასუხისმგებლობაზეც: „თუ მიმჴდომი ან მისი ასაბია მოიკლას თუ დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.“

კერძო ხასიათის ერთმა დოკუმენტმაც (სასისხლო სიგელი გაცემული სიმონ I-ის მიერ მაღალაძეებისადმი – 1592) შემოგვინახა ცნობა თუ ვისი სისხლი არ ნაზღაურდება: „თუ მეკობრე, დამსხმელი და გამწე (მიმყოლი, ასაბია – მ. კ.) მოკლას, მისი სისხლი

[300] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 533.

არ ეთხოოს.“[301] აქ ერთობლივაა ლაპარაკი იმაზე, რომ არ ისჯება მეკობრის, ყოველი ჯურის თავდამსხმელის და მათ დამხმარეთა მკვლელობა.

მსგავსივე ვითარება გვაქვს ბატონის სასახლის ახლოს მცხოვრებ ყმაზე მიხდომასთან დაკავშირებით, რაც 52-ე მუხლითაა გათვალისწინებული. აქაც „თუ მიმჭდომი და ან მისი ასაბია ან მოკუდეს, ან დაიჭრეს, სისხლი არ გაუჩნდების.“

ყველა მიხდომის დროს და მათ შორის 42-ე მუხლის მესამე პუნქტიც სოციალურად ტოლთა ურთიერთმიხდომას ითვალისწინებს და ამ შემთხვევაში დასჯადობის გარეთ დგას ბატონის მიხდომა ყმისადმი („მაგრამე ბატონი რომ თავის ყმას მიუჴდეს, იმისი არ გვითქუამს“). ცხადია, თუ ბატონია მიმხდომი, მის მოკვლის უფლებას არ იძლევა კანონი. ასეთი განაცხადიც მხოლოდ ვახტანგ VI სამართლის წიგნს ეკუთვნის. საკვლევია საკითხი – ბაგრატის და ბექას სამართლის წიგნებშიც ხომ ასე არ უნდა გავიგოთ? იქნებ უმაღლესი გამგებლის, სუვერენის – მოკვლის უფლებას ზღუდავს კანონმდებელი და არა დანარჩენისას, თუგინდ მიხდომილზე სოციალურად ზემოთ მდგომისაც. ვახტანგის სამართლის წიგნის 55-ე მუხლის I ნაწილი სისხლის გადახდისგან ათავისუფლებს მკვლელს თუ იგი ჩადენილია იმ დროს, როცა „მამულის მოსარბევლად და სააოდ“ მიუხდებიან ჭირსა ან ლხინის დროს.

56-ე მუხლი უმცროს კაცს ავალებს თავი შეიკავოს მიმხდომი უფროსი კაცის მოკვლისაგან და „დათმოს“. თუ ასე არ მოიქცევა, მთელი სისხლი უნდა გადაიხადოს მხოლოდ „ამიტომ რომ უფროსობის პატივი არ დაუც.“

**მეოთხე პუნქტი:** მ ე ო თ ხ ე შემთხვევა ეხება აუცილებელ მოგერიებას და ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა უფროსი კაცი უმცროს სცემს ხმალს, უმცროსი ცდილობს გარიდებას, მაგრამ უფროსი არ ეშვება: „მეორე კიდევ შემოსაკრავად მოინდომოს და ახლა იმ უმცროსმა დაასწრა და მოკლა თუ დაჭრა“, არც ამის სისხლი ითხოვებისო. კანონმდებელს მიაჩნია, რომ ამ დროს რეალურად არსებობდა მოკვლის საშიშროება, ამდენად „დათმობად ისიც კმარა, რაც პირველზე დაუთმია.“

[301] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 207.

კანონი აქვე აყენებს საკითხს: გასარკვევია ხმლის პირველი შემოკვრის შემდეგ ნამდვილად ნდომებია თუ არა მეორედ შემოკვრა? თუ ამ ერთი შემოკვრის შემდეგ უფროსს მეორე ხმლის შემოკვრა აღარ მოუნდომებია და უმცროსს შემოუკრავს და მოუკლავს, ან დაუჭრია, უმცროსმა სისხლი უნდა გადაიხადოს იმის გამოკლებით, რაც პირველად ხმლის შემოტყორცნით მიაყენა მას მოკლულმა.

ასეთი ვითარება ადრე არსებული სხვა კანონებით არაა გათვალისწინებული.

**მეხუთე პუნქტი:** „მ ე ხ უ თ ე, თუ სწორმან სწორს შეუტია და ჴმალს ჴელი გაიკრა, და იმ მეორემ ამ შემტევებელს უწინ შემოჰკრა, დაჭრა, თუნდა კიდეც მოკლას, ვერას შეუა.“ აქაც სოციალურად ტოლთა ურთიერთშებმაზეა ლაპარაკი, მკვლელი კი მოგერიების, თავდაცვის პოზიციაშია საგულვებელი. როგორც ჩანს, ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის IV და V ნაწილი აუცილებელ მოგერიებას ეხება.

**მეექვსე პუნქტი:** „მ ე ე ქ ვ ს ე, თუ ან ცოლზე და ან შვილზე, ვაჟი იყოს თუ ქალი, სხვა კაცი დააჴელოს და მოკლას“, პასუხს არ აგებს. აქ კანონმდებელი სქესობრივ კავშირზე მსჯელობს და არა დღევანდელი გაგებით გაუპატიურებაზე. კანონი უფლებას აძლევს ქმარსა თუ მამას მოკლას არა რჯულიერი ქორწინების გარეშე სქესობრივი აქტის განმახორციელებელი. ასევე მოექცევიან აქტიურ მამათმავალსაც.

**მეშვიდე პუნქტი:** „მ ე შ ვ ი დ ე, თუ მოახლეზედ დააჴელოს და მოკლას. მაგრამ ამას ცოტა რამ კი გაუჩნდების სამარხივით.“ აქაც, ცხადია, სქესობრივ კავშირზე წასწრებაზე (დახელებაზე) არის ლაპარაკი, მაგრამ, მოახლის პატრონის მიერ ჩადენილი მკვლელობა „სამარხის“ გადახდით შემოიფარგლება.

**მერვე პუნქტი:** „მ ე რ ვ ე, თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით, და ცოლთან საწოლად დააჴელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდების.“ სწორედ რომ ფეოდალური საზოგადოებისათვის უჩვეულო განაცხადია. ყმის და მისი ოჯახის სიწმინდესა და ღირსებაზე ხელმყოფელი ბატონიც რომ იყოს, უნდა მოკვდეს.

მითითებული ნორმის მოთხოვნაზე ლევან ბატონიშვილის მკვლელობასთან (1781) დაკავშირებული ერთი ფაქტიც მიგვანიშნებს: ხმა გავრცელდა – ლევანი, ქორწილში თავხედური ტრფიალისათვის სასიკვდილოდ დაჭრა დანით საათ ვაჩნაძის ცოლმაო. შვილზე განრისხებულ ერეკლე მეორეს საჯაროდ განუცხადებია: თუ ჭრილობა აღმოჩნდებოდა გვამზე, არ დაიტირებდა ბატონიშვილს. როგორც ჩანს, აქ 42-ე მუხლის მერვე პუნქტის პოზიციაზე დგას მეფე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დროთა ვითარებაში შერბილებულა 42-ე მუხლის მერვე პუნქტის მოთხოვნა. აღნიშნულს გამოუწვევია გვიან პერიოდში სამართლის წიგნში ისეთი ნორმის (259-ე მუხლი) შეტანა, რომელიც ამსუბუქებდა მებატონეთა მდგომარეობას (გ. ნადარეიშვილი,[302] დ. ფურცელაძე[303]).

ასეთი მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად. 259-ე მუხლი აცხადებს: „ესეც იქნება, რომ ყმამ ბატონი ან ცოლზე დაიჭიროს, ან უსამართლოდ ორი ნაჭერი (ჭრილობა – მ. კ.) ქონდეს, თუ ყმას არა შეეკადრებინოს რა, მოსამართლემ ან კარგად დააურვებინოს და ან გაათავისუფლოს.“ გავარჩიოთ შინაარსი: ა). **„ესეც იქნებაო“**, ე. ი. კანონმდებელი უშვებს ასეთ გამონაკლისსაც, რადგან ჩვეულებრივ შემთხვევაში, რაზედაც სწორედ რომ 42-ე მუხლის მერვე პუნქტშია ლაპარაკი, ყმას უფლება აქვს მოკლას ბატონი. ბ). **„თუ ყმას არა შეეკადრებინოსო“**, ე. ი. ყმა აღმოჩნდა თავშეკავებული და არ გამოიყენა 42-ე მუხლის მერვე პუნქტით მინიჭებული უფლება, გ). ბატონის მოკვლისაგან თავშეკავებული ყმა, მკვლელობის საკონპენსაციოდ მიიღებს დიდ მატერიალურ ანაზღაურებას ან პირად თავისუფლებას.

როგორც ჩანს, 42-ე მუხლის მერვე პუნქტით და 259-ე მუხლით განსხვავებულ შედეგებთან გვაქვს საქმე. პირველ შემთხვევაში ყმა კლავს ბატონს, მეორეში კი პატიობს. აღნიშნულის კვალობაზე სანქციებიც განსხვავებულია. ამრიგად, სახეზეა ერთმანეთისაგან

[302] ნადარეიშვილი გ., პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ერთი განსაკუთრებული შემთხვევის შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, „საბჭოთა სამართალი,“ №6, 1972, 62.

[303] ფურცელაძე დ., ფუტკარაძე ი., კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი ქართული სამართლის წიგნებში, კრებული „იურიდიული ძიებანი,“ 1977, 249-250.

სრულ შესაბამისობაში მყოფი სამართლის ორი ნორმა.

259-ე მუხლი რომ 1710 წლამდეა ჩაწერილი სამართლის წიგნში და შემდგომ („გვიან“) არ ჩაურთავთ იგი, ეს იქედანაც ჩანს, რომ სჯულმდებელ მეფეს მის მიერ ნარედაქტირებულ ხელნაწერზე დართულ ზანდუკ-საძიებელში თავისი ხელით ჩაუწერია: „.....ყმამ თუ თავის ბატონს ან შეაგინოს, ან სცეს, ან დაჭრას, მისთვის ესეები თუ იმისათვის მოახდინოს რომე თავის ცოლზე დაახელოს“ და იქვე უწერს მუხლის ნომერს – „სნთ“ (259).[304]

დასკვნა: 1) 42-ე მუხლის მერვე პუნქტი, რომელიც უფლებას აძლევს ყმას მოკლას საწოლში ცოლთან წასწრებული ბატონი, ყმის ღირსების დაცვითაა ნაკარნახევი. ეს ნორმა თავიდანვე იყო კანონში შეტანილი და შეუფერხებლად ინარჩუნებს ძალას XVIII საუკუნის ბოლომდე. 2) სიტყვა „ყმაში“ იგულისხმება, როგორც ყმა გლეხი, ისე ყმურ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ვასალი. 3) ყმას მხოლოდ მაშინ აქვს უფლება მოკლას ბატონი, როცა **საწოლში წაასწრებს** თავის ცოლთან. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით ასეთი მკვლელობა აფექტში ჩადენილ მკვლელობად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

**მეცხრე პუნქტი:** „მ ე ც ხ რ ე, თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დააჴელოს და მოკლას, არც ამისაგან, არც ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოების.“ აქ უკვე არა სქესობრივი კავშირის დამჭერ მამაკაცზე, არამედ ბოზი ქალის (ცოლის) მოკვლაზეა ლაპარაკი. ყურადსაღებია ისიც, რომ ბოზი ქალის მოკვლის უფლებას კანონი სხვა ვინმეს (მამას, ძმას, მაზლებს, მამათილს, ან სხვა) კი არ აძლევს, არამედ მხოლოდ ქმარს.

**მეათე პუნქტი:** „მ ე ა თ ე, რომ კაცს ქურდი შეეპაროს და ის ქურდი მოკლას თავის სახლში,“ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. როგორც ჩანს მხოლოდ სახლში შეპარული ქურდის მოკვლის უფლებას იძლევა ვახტანგის სამართალი. სხვაგვარადაა ქურდის მოკვლასთან დაკავშირებული ვითარება ადრეული კანონმდებლობით.

„ძეგლის დადების“ 44-ე მუხლი ნებას იძლევა დადევნებულებმა მოკლან უკვე ქურდობის ადგილიდან წასული მეკობრე.

[304] ხელნაწერთა ინსტიტუტი, S–3683, გვ. 7V, რიგითი №158.

ამავე სამართლის 45-ე მუხლით ნაპარავის პატრონს მაშინაც კი აქვს უფლება მოკლას ქურდი, როცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გებულობს მის ვინაობას, მიდის მასთან და სთხოვს უკან დაუბრუნოს ნაქურდალი, მაგრამ ქურდი არ უბრუნებს. კარგად ჩანს, რომ ქურდის მოკვლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ვახტანგის სამართლის წიგნმა პროგრესული ნაბიჯი გადადგა ადრე არსებულ კანონთან შედარებით. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „ძეგლის დადებაში“ მეკობრედ მიჩნეული პირი, ვახტანგის სამართლით ქურდია, უფრო მეტიც, ასე იხსენიება ფარვით მპარავიც კი. მეკობრე რომ იპარავს (44-ე მუხლი) აღნიშნულზე ისიც კი მეტყველებს, რომ ზოგჯერ მის მიერ ჩადენილ ფარულ ქურდობაზე გარკვეული დროის შემდეგ გებულობენ („.....უკანის შეამცნიონ ნაპარავი“ – 45-ე მუხლი).

გარდა 42-ე მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა, ვახტანგის სამართლის წიგნის სხვა მუხლებიც გვაწვდის ცნობებს მკვლელთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე.

ვახტანგის სამართლის წიგნის 59-ე მუხლით (III ნაწილი) თუ ღალატით, მკვლელობის ჩადენის მიზნით კაცი თუ „იმ უბრალომ კაცმან ..... მოკლას, მისი სისხლი არ არის.“ როგორც ჩანს, ღალატით გამეტებული კაცი უბრალო, უდანაშაულო უნდა იყოს, ცხადია, აქ მოსისხლე მტრის ჩასაფრებით მკვლელობაზე როდია ლაპარაკი.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 187-ე მუხლი როგორც მკვლელობის, ისე ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან ათავისუფლებს აგრეთვე 10 წლამდე მიღწეულ ყმაწვილს, სულ ერთია მისი დანაშაულებრივი ქმედება ტოლისადმი გამოვლინდება, თუ უფროსისადმი. ამ ასაკს მიღწეული ყმაწვილის ყოველგვარი მოქმედება მისი „ყმაწვილობით და უჭკუობით“ უნდა იქნას ახსნილი. ყმაწვილის მიერ ჩადენილ მკვლელობის, ან დაჭრის დროს მისი მშობლები აგებენ პასუხს მოკვლისათვის „სამარხის“ და დაჭრა-დასნეულებულისათვის „სააქიმოს“ მიცემით.

სხვა სამართლის წიგნთათვის უცნობ ნადირობაში ცხენთა შეძგერებით სიკვდილის დაუსჯელობასაც მხოლოდ ვახტანგ VI სამართლის 182-ე მუხლი ითვალისწინებს. აქაც როგორც ზემოთაც

მიუთითეთ გამორიცხული არაა „ცხენთა შეძგერება“ ქიშპობით და მტრობით მომხდარიყოს. ამდაგვარი ეჭვის შემთხვევაში ფიცით უნდა გადაწყდეს საკითხი. ფიცით გამტყუნებული მკვლელი იხდის სისხლის ფასს.

აი, მკვლელობის ყველა ის შემთხვევა, რომლისთვისაც ვახტანგის სამართალი არ აწესებს პასუხისმგებლობას.

ახლა ვნახოთ ის შემთხვევები, რომელთაც ვახტანგის სამართლის წიგნზე ადრეული სამართლის წიგნები ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობის გამომრიცხველად და დავუკვირდეთ იმას, თუ რატომ არ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა საკითხთა შემაჯამებელმა 42-ე მუხლმა და საერთოდ ვახტანგ VI სამართალმა.

სხვა სამართლის წიგნებში ასეთი ნორმა სულ სამია:

„ძეგლის დადების“ 26 მუხლით, „თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაცის სისხლი.“ ეს ნორმა მრავალმხრივ დაკვირვებას მოითხოვს. პირველ რიგში გასარკვევია ასეთი „დიაცის“ მოკვლა როგორც ქალის მკვლელობისათვის გათვალისწინებული სისხლის გადახდისაგან ათავისუფლებს მკვლელს, თუ საერთოდ როგორც ადამიანის მკვლელობისათვის?

ამავე სამართლის წიგნის 41-ე მუხლი ასაბიას მოკვლას ეძღვნება: „ვისცა ასაბია ეახლოს და მოკუდეს ანუ დაიკოდოს, მის მომკვლელის კაცისაგან არც სისხლი დაეურვოს და არც გერში მიეცეს.“ როგორც ჩანს, ეს მეტად ტევადი შინაარსის იურიდიული ნორმაა. მკვლელობაში თანამონაწილე კაცის (როგორც გარეშე კაცის) სიცოცხლეს არ იცავს კანონი, მისი მკვლელი პასუხს არ აგებს. ამ დროს მოკლულის ასაბიას და ვისაც თვითონ ახლდა, მათი ურთიერთობა-პირობის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს საკითხი, ხოლო მკვლელი იმთავითვე გათავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან.

„ძეგლის დადებიდან“ მოტანილი ორივე ნორმა იმიტომ არ შევიდა აღნიშნული სახით ვახტანგ VI სამართლის წიგნში, რომ ორივე შემთხვევაში გათვალისწინებული ვითარება ზოგად ფორმებში გამოხატულებას 42-ე მუხლში ჰპოვებს.

მკვლელობის დროს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარე-

მოებად მიჩნეული უნდა იქნეს ასევე საღალატოდ წასული კაცის მიერ მკვლელობაზე ხელის აღება.

1592 წლით დათარიღებულ სიმინ I-ის მიერ მაღალაძეებისადმი მიცემულ სასისხლო სიგელში არის ერთი პუნქტი: „თუ ვინმე საღალატოდ წავიდეს და თავადვე დაშალოს, ანუ სხვათა დააშლევინონ, არა ზედა-აც“.[305] როგორც ჩანს დანაშაულის ჩადენის მცდელობა (საამისო განზრახვა) ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ „ბოროტი გაფიქრებისათვის“ დაისაჯოს პიროვნება, მაგრამ სულ სხვაა საამისო მოქმედების განხორციელება. როგორც იქვე აგრძელებს კანონმდებელი: მაგრამ „თუ გაჰმართოს და სიკუდილსა ეცადოს და ესევითარი კაცი (მსხვერპლად გაწირული – მ. კ.) ღმერთმან მოარჩინოს, მისგან მკუდარი იქნების და ნახევარი სისხლი დაეურვოს სიკუდილისა ცდისათუის.“[306]

თანამედროვე სისხლის სამართლის თეორეტიკოსებმა მოტანილი ნორმიდან ბევრი დღეისათვის საჭირო და ჭკუის სასწავლი დასკვნა შეიძლება გამოიტანონ. ჩვენთვის კი მთავარი ისაა, რამდენად შეიძლება სასისხლო სიგელში ჩამოყალიბებული ნორმა იმდროინდელ საქართველოში მოქმედად მივიჩნიოთ? ხომ არ გვაქვს უფლება რომ იგი ჩვეულებით სამართლიდან წამოღებულად ჩავთვალოთ? აღნიშნულს სპეციალური კვლევა ესაჭიროება.

[305] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206.

[306] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206..

# თავი III. დაჭრა როგორც დანაშაული ძველ ქართულ სამართალში

ადამიანზე ბოროტად ზემოქმედების იმდროინდელ საშუალებათა (იარაღთა) გათვალისწინებით განზრახი და განზრახვის გარეშე მკვლელობა ისეთი იარაღების გამოყენებით ხდებოდა, რომელთა სიცოცხლისათვის საშიშროება დღევანდელთან შედარებით ძალიან შეზღუდული იყო. მშვილდით, ხმლით ან პრიმიტიული თოხით „ტყვიის ნაკრაობა“ ძალიან ხშირად არ მთავრდებოდა სიკვდილით.

სწორედ ამიტომაც სიკვდილის მცდელობას ხშირად მოჰყვებოდა რა დაჭრა, მკვლელობის მცდელობის სათანადო სიღრმით დაუმუშავებლობის გამო იგი (დაჭრა) მხოლოდ დაჭრად განიხილებოდა.

როგორც საველე გზით მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ დაგვიდასტურა, არსებობდა მოტივი და წესი როცა დამჭრელი იმთავითვე არ ითვალისწინებდა მკვლელობას და სწორედ რომ დასაჭრელად აიღებდა იარაღს. სხვას რომ თავი დავანებოთ შურისძიებით დაჭრას, დაჭრა უნდა მოჰყოლოდა შედეგად და არა მოკვლა. სწორედ დამჭრელის დაჭრით გაიბრებოდა წყენა და შურისძიება.

ქართველებს თქმულის დამადასტურებელი უტყუარი საბუთიანობა გააჩნია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხევსურეთში დღემდე მოღწეული კეჭნაობაც სხვას არას წარმოადგენს თუ არა დაჭრისათვის სამაგიერო დაჭრა. სწორედ აქედან უნდა შემუშავებულიყო ტერმინი „ჭრა-ჭრილობა“.

ჭრილობის მიყენება, ანუ დაჭრა სხვადასხვა ტერმინებით გამოითქმებოდა ჩვენში. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ეს ტერმინებია „დაჭრილობა“, „დაჩხუპა“. მისი აზრით, ამავე შინაარსით (დაჭრის) გამოიყენებოდა „გერში“ და „ნახშირიც“.[307] სამწუხაროდ მეცნიერი არ იკვლევს ჭრილობის მიყენების, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ვითარებას. ამდენად, მისი დამსახურება ამ შემთხვევაში მხოლოდ ტერმინების მიწოდებით ამოიწურება.

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებით, დაჭრის, ცემის, გინების

[307] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 223.

ტერმინებად ჩანს, როგორც ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახელებული „დაჭრილობა“ და „დაჩხუპა“, ისე „მოწყლა“ და რაც მთავარია ძველთაგანვე მომდინარეობს დღესაც იმავე შინაარსის გამომხატველი ტერმინი „დაჭრა“ („დაჭრილობა“).

რაც შეეხება „გერშს“ და „სანახშიროს“ მათთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულება განსხვავებულია.

ხშირად გვითქვამს და ამჟამადაც ვიმეორებთ: სხვა მასალის მოპოვება რომ ვერ შევძლოთ ამა თუ იმ საკითხის შესწავლის დროს, სათანადო ტერმინების მოძიებაც და იმ მასალის მიმოხილვაც, რომელთა კონტექსტშიც ეს ტერმინები ზის, თავისთავად წარმოადგენს ვითარების გარკვევისათვის საჭირო საიმედო მასალებს.

მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმაზედაც, რომ ჭრილობის მიყენების დროს ხალხის მიერ შემუშავებული სხვადასხვა სახის კრიტერიუმები: მაგალითად, სხეულის რა ნაწილზეა მიყენებული ჭრილობა, რითაა იგი მიყენებული, მკურნალობის საშუალებანი, შერიგების წესები დაჭრის დროს და სხვა, სათანადო ვრცელი კომენტარების გარეშე არწმუნებს საკითხით დაინტერესებულ პირს იმაში თუ ყველა ნიუანსი რა კარგად იყო დამუშავებული ქართულ ხალხურ სამართალსა და კანონმდებლობაში.

დავიწყოთ დაჭრასთან დაკავშირებული ტერმინთა შინაარსის განხილვიდან.

**დაჭრა.** ტერმინი „დაჭრა“ ბიბლიაშიც არის დამოწმებული: „დაჭრნენ იგინი პირითა მახჳლისაჲთა“ (იერემია 21.7), ასევე სახარებაში დღევანდელი შინაარსით ჩანს იგი. სინურ მრავალთავში (IX ს.): „დაიჭრა იგი მაჴვილითა“.[308]

სულხან-საბას **დაჭრა** ადამიანზე ჭრილობის მიყენებით არ შეაქვს თავის ლექსიკონში და ამ სიტყვას ხსნის როგორც რაიმეს „წვრილად დანაწილებას“, ნ. ჩუბინაშვილი კი ტერმინების – **დაკოდვის** და **წყლულების** სინონიმად მიიქცევს მას.

**დაჩხუპა.** ამ ტერმინის არსებობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი „ექვთიმეს ცხოვრებიდან“ უთითებს ადგილს.[309] ფაქტიურად კი მისი არსებობა ბიბლიაშიცაა (როგორც ძველ, ისე ახალ

[308] ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, 1975, 166.

[309] ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

აღთქმებში) დადასტურებული. იგი დადასტურებულია როგორც **დაწყვლ**-ის (დაჭრის) მნიშვნელობით. გიორგი მთაწმინდელი წერს (XI ს.): ჩასაფრებულმა ბერმა ექვთიმე მახვილით „უწყალოთ დაჩხუპა“, ხოლო როცა სხვამაც სცადა ბოროტმოქმედების აღკვეთა „იგიცა დაჩხუპა მაჴვილითა“.[310]

ძველ ქართულ დამწერლობის ძეგლებში **ჩხუპისა** და **დაჩხუპის** შინაარსი გვარწმუნებს იმაში, რომ იგი ჩხვლეტითი ხასიათის ჭრილობის გამომხატველად უფრო იხმარებოდა.

ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც, როგორც ქვემით დავინახავთ, სხვადასხვა იარაღით მიყენებულ ჭრილობას სხვადასხვაგვარად იხსენიებენ (მაგალითად: თოფით მიყენებული ჭრილობა, ხმლით მიყენებული ჭრილობა, მახვილით მიყენებული ჭრილობა (იქნებ ჩხვლეტა) და ა. შ).

„ვეფხისტყაოსანი“ სიტყვა **ჩხუპჳას** არ იცნობს.

**დაკოდვა.** დაკოდვა დაჭრის მნიშვნელობით ძალიან გავრცელებული ჩანს. რა თქმა უნდა აქვს სხვა მნიშვნელობაც (მაგალითად, კასტრაცია, ასევე, რამდენამდე დაწყლულებაც), მაგრამ გაბატონებულად ჭრილობის შინაარსით ჩანს. იგი ხშირადაა გამოყენებული ვეფხისტყაოსანშიც: „ხელსა ხმლითა დავეკოდე.“[311]

სულხან-საბა **დაკოდვას** დაწყვლად (დაჭრად) განმარტავს.

**წყვლა (მოწყლა).** ტერმინი „წყვლაც“ ბევრ წერილობით ძეგლში გვხვდება დაჭრის მნიშვნელობით. ამჯერად, ჩვენთვის რაც მთავარია მას იცნობს „მცირე სჯულისკანონიც“: „შეტყორცებით **მოწყლას** ანუ ჴელცულითა, ანუ მაზრაკითა, ანუ ისრითა და მოიკლას“.[312] როგორც ჩანს, სხვადასხვა იარაღით დაჭრაზეა ლაპარაკი, უფრო მეტად ისეთ დაჭრაზე, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა „დიდი სჯულისკანონშიც“, რომელშიც ჩაწერილია, რომ უნდა განიკვეთოს ისეთი მღვდელი, ვინც ცემს ცოდვილს „რომელმან თჳსითა ხელითა ცემასა შინა

---

[310] ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1981, 412.

[311] რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, გამომცემლობა განათლება, თბ., 1986, 141.

[312] მცირე სჯულისკანონი, 79.

ორგზის ანუ სამგზის წყლას“.[313]

ლექსიკონში სიტყვა **„წყლვა“** დაჭრადაა გაგებული. ეს ადგილი ახალ ქართულზე სავსებით უსწოროდ „დარტყმადაა“ გადმოტანილი: „ვინც თავისი ხელით ცემის დროს ორჯერ და სამჯერ დაარტყამსო.“[314]

ნ. ჩუბინაშვილს რატომღაც მხოლოდ „დაკოდვა მახვილითად“ ესმის ეს სიტყვა, რაც არ არის მართალი. სიტყვა წყლაში ყოველგვარი იარაღით დაჭრა იგულისხმება, რაში „მცირე სჯულისკანონის“ შინაარსი გვარწმუნებს. უფრო მეტიც: ურჩმა ჯორმა იქეთაქეთ მიხეთქებით „მოწყლა წმიდაჲ იგი და სანატრელი მამაჲ ჩუენი“ ექვთიმე მთაწმინდელი.[315]

„წყვლიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები (თუ პირიქით) სიტყვები **წყლული, წყლულება.** აღნიშნულის საფუძველს ახალი აღქმის შემდეგი ადგილები გვაძლევს: იესო ქრისტე უყვება თავის მოწაფეებს: ერთი კაცი მოდიოდა იერუსალიმიდან იერიხოს, „ავაზაკნი დაესხნეს, განძარცუეს იგი, **დაწყლეს** და წარვიდეს“ (ლუკა 10.30). ამის შემდეგ გზად მიმავალი სამარიტელმა ნახა ეს კაცი „და შეუხჯა **წყლული** იგი“ (ლუკა 10.34). როგორც ჩანს, ავაზაკების მიერ მიყენებული „დაწყვლა“ სამარიტელის მიერ „წყლულადაა“ აღქმული. თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ლუკას სახარებაში კი ორივე დაჭრისა და ჭრილობის მნიშვნელობითაა გადმოტანილი.[316]

ასეა სიტყვა წყლული გაგებული ძველ აღთქმაშიც („არა წყლული“, ესაია 1, 6) და მრავალ ლიტერატურულ ძეგლშიც.

მრავალი ჭრილობის მიყენების შინაარსით გვხვდება სიტყვა **დაჩეხვაც.** მომჩივანი დამნაშავეს „.....ხლმით (ხმლით – მ.კ.) დაჩეხას“ უჩივის (XVIII-XIX სს მიჯნა).[317]

---

[313] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 442.

[314] საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, 373.

[315] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, ტ. I, თბ., 1946, 185.

[316] „დაჭრეს და გაიქცნენ და ცოცხალ-მკვდარი დააგდეს... სამარიელმა ჩამოიარა, დაინახა და შეებრალა იგი, მივიდა, ზეთით და ღვინით მოჰბანა ჭრილობები და შეუხვია“ (ლუკა 10.30; 10.33-34).

[317] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 256.

ჩვენამდე მოღწეულია კვალიფიციური სასამართლოს, მდივანბეგთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ერთი განაჩენი (1770), რომელშიც მოსამართლეები წერენ: „ნიკოლოზს არდაშვილისათვის ლოყა გაეტეხა“. უფრო ქვემოთაცაა ერთგან ჩაწერილი „ლოყის გატეხვა“. ამდენად, შესაძლოა ზოგჯერ სიტყვა **„გატეხვაც“** მივიჩნიოთ ჭრილობის შინაარსის აღმნიშვნელად.

დაჭრის შინაარსის მატარებელი ყველა ზემოთმოტანილი სიტყვა დანაშაულებრივი გზით დაჭრის გამომხატველიცაა, თუმცა გამორიცხული არაა რომ ზოგიერთ მათგანს გარდა ჭრილობისა სხვაგვარი მნიშვნელობაც (მაგალითად, წყლული) ჰქონდეს.

აღნიშნულის შემდგომ ვიდრე დაჭრასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ დაჭრაზე პასუხისმგებლობა გარდა ოფიციალური ხელისუფლების მიერ მიღებული სამართლის წიგნებისა და ჩვეულებითი სამართლისა, ცალკეული კერძო ხასიათის აქტებითაც წესრიგდებოდა. ასე მაგალითად, 1545 წლით დათარიღებულ ბაგრატ მეფის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში გელათის მონასტრისადმი ვკითხულობთ: ვინც ჩვენს მიერ გელათის მოძღვრად დადგენილ პირს „....უჯერო და ურიგო ჰკადროს, ანუ სიკვდილითა, ანუ დაკოდითა“ და სხვა ისე გადახდესო, როგორც გენათის საყდრის იადგარით და გუჯარით იყოს გათვალისწინებულიო.[318] ცხადია, ამ შემთხვევაში ყველა დანარჩენ საკანონმდებლო აქტთა შორის უპირატესობა ამ დოკუმენტს ენიჭება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამართლის წიგნებში დაჭრის შინაარსის გამომხატველად გვხდება – როგორც სიტყვა დაჭრა, ისე დაკოდვა და გერში. თვით ვახტანგ VI სამართლის წიგნი კი მხოლოდ დაჭრას ხმარობს.

ახლა რამდენიმე სიტყვა ტერმინების „გერშისა“ და „სანახშიროს“ შესახებ.

**გერში.** გერშისა და სანახშიროს, როგორც იურიდიული ტერმინების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. მარმა დააყენა, რომელსაც შემდგომ ბევრი მეცნიერი შეეხო, მაგრამ მათთან დაკავშირებული საკითხები დღემდე არაა ამომწურავად გარკვეული.

[318] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 185.

გერში უძველესი წარმოშობის სიტყვაა, მას ვხვდებით ბიბლიაშიც: „...რაჲცა გერში დასდვა კაცმან კაცსა, ეგრე უყავით მას“ (ლევიტელთა 24.20), რაც ახალ ქართულზე არც თუ შეუდავებლად სიტყვა „ზიანითაა“ შეცვლილი. გერში ნიშნის თუ კვალის მნიშვნელობითაც იხმარებოდა: „კრავნი უგერშონი და უბიწონი“[319] (XIII-XIV, პეტრე იბერის ცხოვრება). სამართლის წიგნთაგან გერშს არ იცნობს მხოლოდ ვახტანგის სამართლის წიგნი. გერში ჭრილობის სახელწოდებაცაა და მისი საზღაურიც. თუ სისხლი მკვლელობის საზღაურია, გერში ჭრილობის და მოკვეთილი ასოც – გერშით ნაზღაურდება.

გერშზე ცნობები მოიპოვება ბაგრატის სამართალში (125, 144). გერში ფეოდალიზმის პერიოდის სვანეთის დოკუმენტებშიცაა დადასტურებული.[320] აგრეთვე „ძეგლის დადებაში“ (26, 29, 32 მუხლები).

**სანახშირო.** ჩვენი აზრით, სანახშირო არცერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ჭრილობას. ამდენად, ასეთი გაგებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი, რასაც ნ. მარის შემდგომ იზიარებენ მკვლევარები, მცდარია. სანახშირო დადასტურებულია მთელ საქართველოში, მათ შორის მთაშიც (სვანეთი), რაც მესისხლეობისაგან თავის შესაკავებლად ჯერ კიდევ შერიგებამდე როგორც „წინა გასაძღუანებელი“, ისე ეძლევა დაზარალებულ მხარეს. წინაგასამძღვანებლით (საპირო) კი ერთგვარად მუხრუჭდება როგორც ქონებრივი, ისე პირადი შურისძიება. ქონებრივ შურისძიებაში უპირატესად აოხრება და სახლ-კარის გადაწვა იგულისხმება. ჩვენი აზრით, **სანახშირო** ის გადასახადია, რომელსაც სახლკარის ნახშირად ქცევის სანაცვლოდ იხდის დამნაშავე მხარე.[321]

---

[319] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, თბ., 1946, ტ. I, 257.

[320] ვრცლად გერშზე იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 1978, 128; და კეკელია მ., ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერების მიხედვით, თსუ შრომები, B1(138), ჰუმანიტარული მეცნიერებები, 1971, 181.

[321] ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. მ. კეკელია, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესახებ, კრებული „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, IV, 88-89.

## §1. დაჭრა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში

სათანადო საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის მასალებით რამდენად სარწმუნოდ მოხერხდება დაჭრის დროს დამამძიმებელ, შემამსუბუქებელ და დანაშაულის გამომრიცხველ გარემოებებზე მსჯელობა ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ საკითხებისადმი ასე დიფერენცირებულად მიდგომის საფუძველი ნამდვილად არსებობს.

თუ დადასტურდა რომ არსებობდა დამამძიმებელი გარემოებანი, აღნიშნულის შემდეგ უფრო ადვილად სარწმუნოა შემამსუბუქებელი და საერთოდ ბრალის გამომრიცხველ გარემოებებზე საუბარი.

ბექამდელი სამართლის წიგნები დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დაჭრაზე რაიმე ცნობებს არ გვაწვდიან. ბექას სამართლის 32-ე მუხლით მიხდომის დროს მიმხდომმა დამხდური რომ დაჭრას, ორმაგად უნდა აანაზღაუროს. მე-16 მუხლში კი ლაპარაკია – მონაზვნის, ხუცესის და დიაცის დამჭრელის მიერ ჭრილობის საზღაურის გადახდაზე ორმაგი სისხლის ოდენობით. ცხადია, სისხლის სიდიდე იმის მიხედვითაც განისაზღვრებოდა თუ როგორი (ღირებული) სისხლი სდის დაჭრილს.

სხვაზე რომ არა ვთქვათ, როგორც ჩანს, კანონი მომეტებულად იცავს ყველა რიგით, ჩვეულებრივ ქალს, რომლის დაჭრაც ორმაგად დანაშაულია.

სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო რუსთა მიერ მარიამ დედოფლის დაჭრას მოჰყვა ის მძიმე შედეგი, რაზედაც ისტორიკოსი წერს: დედოფლის რუსეთში გადასახლებასთან დაკავშირებით სასახლეში შეიქმნა: „.....შფოთი, სადაც რუსთა დაკოდეს ფრიად ჴრმლითა ორსა ადგილსა მკლავსა შინა დედოფალი მარიამ, და ამ შფოთსა შინა მოკუდა ღიანარალ-მაიორი ლაზარევი ხანჯლითა.“[322] ძვირად დაუსვეს ქართველებმა რუსეთის უპირველეს მოხელეს დედოფლის დაჭრა.

დამამძიმებელ გარემოებაში დაჭრას დიდ ყურადღებას აქცევს ვახტანგ VI სამართალი, რომელიც სამმაგ პასუხისმგებლობასაც კი აწესებს (სამ სისხლს). მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

---

[322] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, 1941, 28.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 50-ე მუხლი სახალხოდ იუწყება, რომ სასაფლაოზე მიხდომისათვის მიმხდომმა დაზარალებულს „სამი სისხლი მისცეს – ერთი საფლავისათვის, ერთი სიკუდილისათვის (ასევე დაჭრისათვის, ნათქვამია ქვემოთ – მ. კ.) და ერთი მიჴდომისათვის." ბარემ აქვე უნდა ითქვას, რომ როცა რამდენიმე სისხლის გადახდაზეა ლაპარაკი, ერთი ძირითადი დანაშაულისათვისაა, ორიც დარღვეული სხვა უფლებისათვის.

59-ე მუხლით თუ ჩასაფრებულმა კაცმა ჩავლილი სამსხვერპლო „....მოკლას, და ან დაჭრას, ორკეცი სისხლი მისცეს", საიდანაც ერთი ღალატად დადგომისათვის იქნება გათვალსიწინებული, მეორეც დაჭრისათვის.

კიდევ უფრო დამამძიმებლად ითვლება ბატონის სახლის ახლო გლეხის (ყმის) თავდასხმით დაჭრა, რა დროსაც თავდამსხმელმა ნახევარი სისხლი ბატონს უნდა მისცეს მისი ინტერესების ასე თუ ხედური შელახვისათვის, „ორკეცი სისხლი და წანაღებიცა" (მიტაცებული ქონება) კი გლეხს აუნაზღაუროს (52-ე მუხლი). ოჯახში მიხდომით და იქ განვითარებული მოვლენებით მთავრდება თავდამსხმელის გაძლიერებული პასუხისმგებლობა და შემდგომ განვითარებული მოვლენები (ოჯახიდან მოგერიებისა და დადევნებისას): დაჭრა თუ სხვა რამ მოქმედება მომხდურისა და მისი ასაბიას მიმართ სხვა პოლუსზე ინაცვლებს და ბრალის გამომრიცხველ გარემოებად განიხილება დადევნებულის მიმართ.

კვალიფიციურ დაჭრად ითვლება ასევე „თუ უსასახლოდ და უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში იყოს და ისრე მიუჴდეს, და დამჴდომი მოკუდეს, სისხლი და სისხლის მესამედი მოსცეს" (53-ე მუხლი).

ჭრილობასთან მიმართებით როგორ უნდა იქნეს გაგებული „სისხლი და სისხლის მესამედი"?. აქ შეიძლება მრავალი მოსაზრება წამოიჭრას, რაზედაც ყველაზე ზუსტ და ამომწურავ პასუხს ისევ სასამართლო პრაქტიკა გვაწვდის. მიხდომასთან დაკავშირებული საქმის გამრჩევი სასამართლო წერს: „მიხდომაში ჭრილობისათვისაც სისხლის მესამედს სამართალი უმატებს."[323] როგორც ჩანს, ჭრილობის საზღაურის განსაზღვრა – დაჭრილის სისხლის

[323] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 259.

მესამედით, მხოლოდ მიხდომის დროს ხდება, რომლის გარდა მისი სისხლის ფასის, ჭრილობის სიდიდის (და იარაღის) გათვალისწინებითაც ეძლევა დაჭრილს საზღაური.

პასუხისმგებლობას ამძიმებს ოჯახში იმ დროს მიხდომა, როცა „ქორწილი, ან ნათლობა და სიხარული ქონდეს, ან ჭირის დღე და მწუხარება დამართებოდეს.“ ამ დროს თუ მიხდომილი ან მისი ასაბია იქნა დაჭრილი, მთელი სისხლის ფასის გარდა მისი მესამედი გადახდება მიმხდომს (55-ე მუხლი).

ყურადღებას იქცევს 54-ე მუხლის შინაარსი, რომელშიც მართალია დაჭრაზე არაა ლაპარაკი, მაგრამ ამ მუხლამდელი და შემდგომი მუხლებიც ერთნაირად ეხებიან როგორც მკვლელობას, ისე დაჭრას. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ პატრონის ადგილზე არ ყოფნის დროს თუ მოხდა დარბევა, მაგრამ ეს გაიგო პატრონმა, დაედევნა მიმხდომს და ამ დროს დაიჭრა, ჭრილობის საზღაურად ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ სისხლს მთლიანად მიიღებს და მას მესამედი სისხლის ნახევარი სხვაც დაემატება.

არის ერთი მუხლი, რომელიც მიხდომისას მიმხდომის დაჭრა-მოკვლის დროს დამხდომს, სხვა ზემოთ აღწერილ შემთხვევებთან შედარებით უმძიმებს მდგომარეობას. ეს იმ დროს, თუ სოციალური წარმოშობის მიხედვით მიმხდომი უფროსი კაცია, ხოლო დამხდური – უმცროსი. ამ დროს უმცროსმა არ უნდა დაჭრას უფროსი, ხოლო თუ დაჭრის, მთელი სისხლი უნდა მისცეს იმისათვის, რომ „უფროსობის პატივი არ დაუც“, მაგრამ თუ მოხდა უფროსი მიმხდომის მიერ მიხდომილი უმცროსის დაჭრა, იგი მთელ სისხლს და მთელი სისხლის მეოთხედს უხდის დაზარალებულს (56-ე მუხლი).

ამ საკანონმდებლო ნორმას და მსგავსთ ზოგად განმარტებას აძლევს ვახტანგის სამართლის 61[1] მუხლი, რომელიც შეაგონებს როგორც მიმხდომებს, ისე დამხდომებს: უნდა იცოდნენ, რომ „თუ უმცროსს უფროსისათვის უქნია, ის უფრო მძიმეა, და თუ უფროსს უმცროსისათვის უქნია, ის უფრო სუბუქია, და თუ სწორს სწორისათვის უქნია, ის სწორია, არც აიწევს და არც დაიწევს.“

დამამძიმებლად ითვლება (ორკეცი სისხლი) მიხდომის დროს გამზავებლის (შუამავლის) დაჭრა (58-ე მუხლი). აქ ერთი პირობაა დასაცავი: აუცილებელია იმის დადგენა, „არცერთის მომწმარო არ

ყოფილიყოს“ იგი, ხოლო თუ რომელიმე მხარის მომხრეა, პასუხს აგებს ის ვისი მომხრეც იყო.

კანონი დამამძიმებლად მიიჩნევს ღალატით დაჭრას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ღალატად ჩასფრება მიიჩნევა, რა დროსაც მიყენებული ჭრილობა ორმაგად ისჯება (ორმაგი სისხლის საზღაურის გადახდით): „ერთი ღალატად დგომისა და ერთი სიკუდილისა“ (59-ე მუხლი).

მე-60 მუხლით გარკვევას ექვემდებარება რატომ დადგომია პირი „ღალატად“, რამდენად მიუძღვის ბრალი დაჭრილს ღალატად დამდგომის წინაშე და აღნიშნულის კვალობაზე უნდა გადაწყდეს საკითხი.[324]

ამავე სამართლის წიგნი ცდილობს ყოველმხრივ მოიცვას მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და რაც მთავარია ყოველგვარ ცხოვრებისეულ სფეროში. სწორედ ამიტომაც აცხადებს: „თუ კაცს კაცის ვალი ემართოს, მივიდეს და სთხოვოს, და შუღლი (ჩხუბი – მ. კ.) გამოერიოს, და ერთმან მეორე ან მოკლას, ან დაჭრას ..... ერთი სისხლი და ნახევარი უნდა მისცეს“ (94-ე მუხლი).

ვახტანგის სამართალში ვხვდებით ისეთ შემთხვევას, როცა კანონმდებელი ამძიმებს რა მოქმედებას, არ განსაზღვრავს სასჯელის ზომას, მაგრამ კრძალავს მსუბუქი ღონისძიების გატარებას. ასე მაგალითად, 93-ე მუხლით: „ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემინების.“

ბოლოს უნდა ითქვას ისიც, რომ დაჭრის დროსაც საზღაურის ოდენობა განისაზღვრებოდა დაზარალებულის სოციალური მდგომარეობით, თუ როგორ იყო მისი სისხლი შეფასებული. აღნიშნულზედაც შემოუნახავს ცნობა სასამართლო პრაქტიკას: ჭრილობის სისხლის ფასი ამ კონკრეტულ ვითარებაში დაზარალებულის „გვარისშვილობის რიგზედ იანგარიშებაო.“[325]

როგორც ვნახეთ, ჩვენს მიერ განხილული დაჭრის უმეტესი ნაწილი მიხდომის დროსაა ჩადენილი. მიხდომის დროს რომელიმე

---

[324] როგორც აქ, ისე შიგადაშიგ სხვაგანც, სადაც მხოლოდ მკვლელობაზეა ლაპარაკი, უმეტეს შემთხვევაში დაჭრაც იგულისხმება.

[325] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 259.

მხარის და ასაბიას დაჭრასთან დაკავშირებით დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტიც მსჯელობს (95-ე მუხლი), რომლის პოზიცია განსხვავებული არ არის მოქმედი საკანონმდებლო აქტებისაგან, რასთან დაკავშირებითაც ზოგი რამ უკვე ითქვა „მიხდომით მკვლელობის“ განხილვასთან დაკავშირებით.

## §2. დაჭრის შემამსუბუქებელი გარემოებანი

როდესაც დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებაზე ვლაპარაკობთ, რამდენადმე მაინც უნდა მოველოდეთ, რომ იარსებებს შემამსუბუქებელი და საერთოდ გამაქარწყლებელი გარემოებებიც.

დაჭრის დროს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებაზე მეტად ძუნწი ცნობები დაუცავს ქართულ სამართლის წიგნებს, მით უფრო ეს ითქმის სასამართლო პრაქტიკაზე. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს რამდენიმე საკანონმდებლო ნორმა წარმოადგენს.

„ძეგლის დადების“ 29-ე მუხლში ვკითხულობთ: თუ დაინტერესებულმა პირმა მრავალგზის მიმართა ხელისუფლებას უზრუნველეყო სასამართლოზე თავის ამრიდებელი პირის (მოპასუხის) გამოცხადება სასამართლოში, მაგრამ ვერ მიაღწია ასეთს, რომლის შემდეგაც იძულებული იყო ოჯახში მიხდომით დაერბია იგი, რასაც შეიძლებოდა დამხდურის დაჭრა (ან მოკვლა) მოჰყოლოდა, ასეთ შემთხვევაში სათანადო სისხლი გადახდება მიმხდომს მოკვლისა თუ დაჭრისათვის, მაგრამ მიხდომის საზღაურის (ერთი მთელი სისხლი) გადახდისაგან თავისუფალია. შეღავათის გავრცელების შესაძლებლობას იმაში ხედავს კანონმდებელი, რომ მოკლული, თუ დაჭრილი „სამართალს სამჯერ აწვია და არ გამოჰყვა.“

ყურადღებას იმსახურებს ის, რომ მართალია ასეთი მუხლი არ არის ვახტანგის სამართლის წიგნში, მაგრამ იგი მოიპოვება რა ვახტანგის კანონთა კრებულის შემადგენელი ნაწილით (აქ „ძეგლის დადებაცაა“ შეტანილი), როგორც ჩანს, სწორედ მას იყენებს სასამართლო, როცა მიხდომის მიზეზად მიმხდომი აცხადებს: მინდოდა „სამართლით გავრიგებულიყავო, მაგრამ შენ არ მოხველ სამართალშიაო. მე ამისთანა შფოთს (მიხდომას – მ. კ.) ვერიდებოდიო

და სამართალს იმისთვის მდომობდიო, არ მომყევ და ამისი (მიხდომის – მ. კ.) მიზეზიც შენ შეიქენო.“ იქვე: ბატონიშვილმა ჩვენთან სალაპარაკოდ „სამართალში დაგიბარათ და იახელით.“ დამხდური პასუხობს: ტყუი სასამართლოში ჩემი გამოცხადება შენ არ გინდოდა, „სასამართლოში ლაპარაკი მაცდურობა“ იყო რათა მიხდომა გაგემართლებინაო.[326]

ვახტანგის სამართლის წიგნით სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი „უფროსი კაცი“ თუ „მოსარბევად და საავოდ“ მიუხდა სოციალურად მის ქვემოთ მდგომ „უნცროს კაცს,“ ამ უკანასკნელს დათმობა მართებს, ხოლო თუ არ დათმო დაისჯება კანონისამებრ. თუ ამ მიხდომის დროს „უფროსმა კაცმა“ მოკლა ან დაჭრა უმცროსი, იგი ერთ მთელ სისხლს და მეორე სისხლის მეოთხედს იხდის საზღაურად. როგორც ჩანს, დამნაშავეს უმსუბუქდება დანაშაული და მიხდომის სისხლიდან მხოლოდ ნაწილის გადახდა ეკისრება მას (56-ე მუხლი).

შემამსუბუქებლად მიაჩნია ვახტანგის სამართლის წიგნს (193-ე მუხლი) ხუმრობით და თამაშში დაჭრა, რა დროსაც მხოლოდ სამკურნალო („სააქიმო უნდა მისცეს“) თუ სამარხი ხარჯების გაღებით მთავრდება საქმე (193-ე მუხლი).

დაჭრის დროს შემამსუბუქებლად ითვლება დაჭრილისა და დამჭრელის შემთხვევამდელი სულიერი თუ სისხლიერი სიახლოვე. სწორედ აღნიშნულს გაუწია ანგარიში მეფე ალექსანდრემ, როცა განჩინებაში ჩაწერა: „ნათესავნი იყუნენ ერთმანეთისა, სისხლი მისთვის გაუმსუბუქეთო.“[327]

## §3. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებანი დაჭრისას

ქართული სამართალი იცნობს ვითარებებს, რომლებიც ყოველგვარ პასუხისმგებლობას გამორიცხავენ დაჭრისას. ისინი რამდენადმე მკვლელობის გამომრიცხველი გარემოებებიცაა, მა-

[326] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 257-258.

[327] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 339.

გრამ ზოგიერთი ნიუანსის აუხსნელად დარჩენის რიდით გვაიძულებს ცალკე ვიქონიოთ მასზე მსჯელობა.

ამთავითვე უნდა ითქვას საქართველოში დამკვიდრებული ზოგადი პრინციპის მიხედვით პასუხისმგებლობა გამორიცხულია მიმხდომის, მეკობრის, მოლალატის დაჭრისათვის. ვითარების ასე გაგებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ IX საუკუნეში ჩამოყალიბდა ფორმულად ქცეული ასეთი სამართლის ნორმა: „მეკობრისა და ზედა-დამსხმელისა სისხლი არა არს.“ (ბაგრატის სამართლის 138-ე მუხლი).

ძეგლის დადების 44-ე მუხლით, თუ მეკობრეებს დადევნებული კაცი მოკლავს მეკობრეს, პასუხი არ მოეთხოვება („სისხლი გაუცუდდეს“ მეკობრეს), მით უფრო ასე ითქმის დაჭრის სისხლის საზღაურის გაცუდებაზე.

იგულისხმება რომ მიხდომასთან ერთად დაჭრის პასუხისმგებლობაც ქარწყლდება, მაშინ თუ პატრონმა ვერასგზით მოახერხა მეკობრის მიერ გატაცებულის უკან დაბრუნება და იძულებული გახდა მიხდომოდა მას. ამ დროს ჩადენილ მკვლელობასთან ერთად დაჭრაზედაც არ მოეთხოვება პასუხი თავდამსხმელს (45-ე მუხლი).

ვახტანგ VI სამართლის წიგნით კიდევ უფრო მეტი მუხლებით ეხსნება პასუხისმგებლობა ისეთ პირთ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით განპირობებული მიხდომისას ჭრიან დამხდურს ან მათ დამხმარეებს (ასაბიებს), ან პირიქით ხდება ასეთი – მიმხდომს და მის დამხმარეს ჭრიან. აი, როგორაა გადმოცემული ასეთი ვითარება სათანადო მუხლებში:

ა. სასაფლაოზე მიხდომისას „თუ მიმჴდომი და ან ასაბია მოკუდეს ან დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.“ (50-ე მუხლი).

ბ. სასახლეში თუ ცოლშვილში მიხდომისას „თუ მიმჴდომი და ან ასაბია მოკუდეს ან დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.“ (51-ე მუხლი).

გ. ბატონის სასახლის ახლოს მცხოვრებ გლეხზე თავდასხმისას „თუ მიმჴდომი და ან მისი ასაბია ან მოკუდეს, ან დაიჭრას, სისხლი არ გაუჩნდების.“ (52-ე მუხლი).

ე. თუ ვინმე ღალატით ჩაუსაფრდება კაცს „და თუ ამ უბრალომ კაცმან ის მოღალატე მოკლას, მისი სისხლი არ არის“. ამ

შემთხვევაში დაჭრის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებაც იგულისხმება (59-ე მუხლი).

როგორც ჩანს, კანონი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აქცევს მიხდომისას მიმხდომის, თუ დამხდურის დამხმარეთა (ასაბიათა) პასუხისმგებლობის საკითხს, რა გზითაც (რომ უფრო ხშირად მათი სისხლი არ ნაზღაურდება) ცდილობს საფუძველი გამოაცალოს საზოგადოებისათვის ამ მძიმე დანაშაულს – თვითნებურ მიხდომა-აოხრებებს.

## §4. დაჭრის ცალკეული შემთხვევები

**1. მიხდომის დროს დაჭრა.** ქართული სამართალი დაჭრის საკითხებს იქ განიხილავს ყოველთვის, სადაც მკვლელობებზე მსჯელობს. ამდენად, მიხდომის დროს დაჭრაზედაც შიგადაშიგ ლაპარაკი მოგვიწია მიხდომის დროს მკვლელობის განხილვისას.

მიხდომის დროს დაჭრაც იმავე მიზეზებითაა გამოწვეული, რომლებითაც მკვლელობა. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ხელშესახები მასალა იმასთან დაკავშირებით, რომ მიმხდომს ან დამხურს მოწინააღმდეგის მაინცდამაინც დაჭრა ჰქონდა მიზნად, ვერ კლავდა და იურიდიულად სასიკვდილოდ გამიზნული დაჭრა, საბოლოოდ დაჭრად რჩებოდა.

ვერც ისეთი მასალები შეუნახავს ცხოვრებას, რომ რომელიმე დაჭრა მაინცდამაინც მკვლელობის ცდად ეცნოთ და დაესაჯათ კიდეც ასე. პრაქტიკა რომ ამ გზას გაჰყოლოდა არ ივარგებდა, რადგანაც მოსალოდნელი პასუხისმგებლობა (ყოველთვის მკვლელობის ცდად გამოცხადება დაჭრისა) ნიადაგს შეამზადებდა მკვლელობის ზრდისას.

მიხდომის დროს დაჭრისას მთავარი მაინც ისაა, რომ მიმხდომი დამჭრელი მიმხდომ მკვლელისამებრ იხდის მიხდომის სისხლს, რომლის შემდეგაც დამატებით დგება დაჭრის საზღაურის გადახდა. ეს იყო სწორედ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ყველა დაჭრა მაინცდამაინც არ ეცნოთ მკვლელობის მცდელობად.

შეიმჩნევა ისიც, რომ როცა დამხდური ჭრის მიმხდომს, კიდევ

უფრო უდაოა მის არაბრალეულობაზე მსჯელობა. ასევე ისიც, რომ ძირითად დამნაშავეთა დამხმარე (ასაბია) პირების დაჭრის პასუხისმგებლობა იმ პირებზე გადადის (თუ ეს საჭიროა), ვისაც ისინი ახლავან.

მიხდომის დროს დაჭრა, დაჭრის ცალკეულ შემთხვევებთან შედარებით ყველაზე უფრო სიახლოვეს სხვადასხვა მიზეზით გამართული ჩხუბის დროს დაჭრასთან ამჟღავნებს.

**2. სასულიერო პირთა დაჭრისათვის.** როგორც საერო, ისე სასულიერო კანონმდებლობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს სასულიერო პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად. იგი ერთნაირად ეხება თეთრ თუ შავ სასულიერო წოდებას.

პირველი საერო ხასიათის კანონი ამ მხრივ „ძეგლის დადებაა". იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „მონაზონთა, მწირველთა ხუცესთა" მიმართ მიყენებული ჭრილობა, თუ „უბრალოდ დაემართოთ" ორკეცად ნაზღაურდება (26-ე მუხლი).

**3. ცოლის დაჭრა.** კანონიკური სამართლით არსებობდა სათანადო მოტივები, რომლებიც ცოლ-ქმარს უფლებას აძლევდა განქორწინებისა. ამდენად, ქალი ყოველგვარი უფლების ჩამორთმევით როდი იყო მიჯაჭვული ქმარზე. ცოლქმრული სამართლებრივი ურთიერთობა გარკვეული ჩარჩოებით იყო შეზღუდული.

აღნიშნულით ის გვინდა ვთქვათ, რომ ქმარს არ ქონდა ცოლზე განუსაზღვრელი უფლება, რომელიც ჩვეულებრივი წესით აგებდა პასუხს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობაზე ხელყოფისათვის.

ვახტანგის სამართლის წიგნით ქმარმა „თუ .... ცოლი დაჭრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს სისხლი აიღოს და გამოართვას" (63-ე მუხლი). როგორც ჩანს, მიყენებული ჭრილობისათვის თუ დაშავებისათვის (რომელიმე ორგანოს ფუნქციის დაკარგვა) ცოლს შეუძლია უჩივლოს ქმარს, რომელსაც გარდახდება კანონით გათვალისწინებული სისხლის ფასი. ქალის სისხლის ფასი მამის გვარის სისხლის ფასით განისაზღვრება. როგორ გადაწყდება ასეთი ქალის (სისხლის ფასის ამღების) ოჯახში დარჩენა-წასვლის საკითხი ჩვენთვის უცნობია.

**4. ცოლის მიერ ქმრის დაჭრა.** არც ვახტანგ VI და არც სხვა საკანონმდებლო ძეგლი არ მიუთითებს როგორი პასუხისმგებლო-

ბა ეკისრება ქმრის მკვლელ ან დამჭრელ ცოლს. ერთადერთი ამ მხრივ, რომელიც ძუნწ ცნობას გვაწვდის ვახტანგ VI სამართლის წიგნის 65[1] მუხლია, რომლის მიხედვითაც „თუ ცოლმა ქმარს ან სცეს, ან დაჭრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან," ხოლო კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს „გვემა" და „ტანჯვა" კანონი დუმს. ვფიქრობთ ეს ზოგადი ფრაზებია და საქმეში კათალიკოზიც არ ერეოდა ყოველთვის და იგი იმ მიკრორაიონის მღვდლისა და ფეოდალის შეგონებით ამოიწურებოდა. დაჭრისას კი არა, ქმრის მოკვლის დროსაც არ ასახელებს კანონი – კონკრეტულად როგორი სასჯელი შეიძლება დაედოს ქმრის მკვლელ ცოლს (იხ. 65-ე მუხლი).

**5. დიაცის დაჭრისათვის.** მხოლოდ ერთი ნორმა (ძეგლის დადების 26-ე მუხლი) გაგვაჩნია, რომლის მიხედვით, დიაცის ჭრილობა ორმაგად ნაზღაურდება „მისის გვარის წესით". აქაც მამის გვარი იგულისხმება.

**6. მსახურის დაჭრისათვის.** მსახურეული ფენა ფეოდალური კლასის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს წარმოადგენს. ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ კანონი ძირითად მწარმოებელ კლასზე – გლეხზე წინ აყენებს მას.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 49-ე მუხლმა განსაზღვრა მისი ჭრილობის ფასი: „მსახურის ქერის მარცვლის ჭრილობაზედ – ოთხი მინალთუნი", ესაა და ეს. ხარვეზი სასამართლო პრაქტიკამ უნდა ამოავსოს.

**7. გლეხის დაჭრისათვის.** ვახტანგ VI სამართლით გლეხის ჭრილობის სისხლი ერთი ქერის მარცვლის ზომით – ერთი ძროხით განისაზღვრება. ძროხა ორ მინალთუნად ფასობს (49-ე მუხლი).

გარდა მითითებულისა სამართლის ერთადერთი ნორმა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის ცალკეულ შემთხვევაში დაჭრისას (და მკვლელობის დროსაც) გლეხის სისხლის ანაზღაურებაზე, ისევ და ისევ ვახტანგ VI სამართლის 52-ე მუხლია. აქ ლაპარაკია იმასთან დაკავშირებით, რომ თუ გლეხის ოჯახს, რომელიც ახლოსაა ბატონის სასახლესთან მიუხდებიან და გლეხის ოჯახში დაიჭრება ან მოკვდება ვინმე – მკვლელმა და დამჭრელმა ორმაგი სისხლი უნდა ზღოს. ცხადია, ასეთი სანქციით გლეხის ინტერესების დაცვა

კი არ განუზრახავს კანონმდებელს, არამედ გლეხის ოჯახთან ახლოს მცხოვრები მისი ბატონის.

**8. მომჩივანის მიერ სასამართლოში გამოცხადებაზე თავის ამრიდებელი მოპასუხის დაჭრა.** „ძეგლის დადება“ ისეთი სამართლის წიგნია, რომლის უპირატეს მიზანს, მის სამოქმედოდ განსაზღვრულ ზონაში თვითნებობის ალაგმვა ქონდა მიჩნეული. აღნიშნულთა შორის იგულისხმება ბრძოლა ხელისუფლების სასამართლო ფუნქციის განხორციელებისათვის. სწორედ ამიტომაც ერთ-ერთი მუხლით (29-ე მუხლი) მომჩივანს უფლება მიეცა – ხელისუფლების მიერ ორჯერ და სამჯერ გაფრთხილებული კაცი თუ არ გამოცხადდა სასამართლოში, მიუხდეს მას ოჯახში, რა დროსაც თუ იგი დაჭრის ვინმეს (მოპასუხის მხრიდან) არ ჩაეთვლება მიხდომით დაჭრად. ამდენად, მიყენებული ჭრილობის საზღაურსაც ჩვეულებრივი ნიხრით გადაიხდის.

## §5. ჭრილობის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა იმისდა მიხედვით, თუ სხეულის რა ადგილას ან როგორი იარაღითაა იგი მიყენებული

საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა რა შეხედულებანი დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, პარალელურად ხდებოდა ერთი და იგივე ხასიათის ბოროტების დაყოფა ჩვეულებრივ და მძიმე (კვალიფიციურ) დანაშაულად. ამავდროიდან სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შედეგთან, ფსიქიკურ მომენტებთან ერთად, წამყვანი ადგილი დაიჭირა ბოროტმოქმედის სურვილმა სხეულის რომელ ნაწილზე მოეხდინა ხელყოფა. არჩევანი შეჩერდა გამოსაყენებელ იარაღზედაც, რომელიც მეტ გარანტიას იძლეოდა მიზნის განსახორციელებლად.

ისტორიულად მკვლელობის დროს არ დგას საკითხი სხეულის რა ნაწილზე ქონდა სასიკვდილო დარტყმა მიყენებული მოკლულს, ასევე რა იარაღით იქნა იგი მოკლული, არც იყო საჭირო აღნიშნულის დაფიქსირება. ამდენად, ჩვენი აქცენტი თითქმის მთლიანად ჭრილობების მიყენებაზეა გადატანილი. ვითარების გამრკვევი სა-

სამართლოს მიერ სწორედ რომ დაჭრის საქმეთა განხილვის დროს იყო იმის დადგენა საჭირო, რამდენად რეალური იყო ბოროტმოქმედის განზრახვის განხორციელების (მკვლელობის) შესაძლებლობა. უფრო მეტიც, ზოგჯერ თავიდანვე ამოძრავებდა პირს არა მოკვლის, არამედ დაჭრის სურვილი.

მოცემული გზა სამართლის ყველა თვითმყოფადმა სისტემამ გაიარა. იგი უცხო არ იყო ქართული იურიდიული აზროვნებისთვისაც. აქვე უნდა ითვას, რომ ყველა მიღწევა ამ მიმართულებით XVII საუკუნის შემდგომ დროს ეკუთვნის. ამდენად, ფეოდალური პერიოდის საქართველოს ვითარება ამ მიმართებით მაღალი დონის მაჩვენებლად ჩანს თუგინდ დღეს მაღალი კულტურის მქონე ხალხთა სამართლის ისტორიის მონაცემებთან შედარებით.

ქართული კანონმდებელი დიფერენცირებულ მიდგომას იჩენს საკითხისადმი თუ სხეულის რა ნაწილზეა მიყენებული ჭრილობა ან როგორი საშუალებებით (იარაღით) ჩაიდინა იგი ბოროტმოქმედმა.

საკითხისადმი ასეთი მიდგომაც დანაშაულის არსის რიგ საკითხებთან არის დაკავშირებული და ამდენად სამართლებრივი აზროვნების, კულტურის დონის მაჩვენებლადაც უნდა იქნას იგი მიჩნეული.

კანონმდებლობით ჭრილობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ სად იყო იგი მიყენებული – წარბს ქვევით, თუ ყელს ზევით (ვახტანგ VI სამართლის წიგნის 48-ე მუხლი), ტანზე, მკლავზე, ბარკალზე, წვივზე, „თუ რასაც ალაგას“. (49-ე მუხლი).

**1. სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას მიყენებული დაზიანებისათვის.** პირველი წყარო საიდანაც ვგებულობთ, რომ ადამიანის ორგანიზმზე გამოყოფდნენ ისეთ ადგილებს, რომლებზედაც ხელყოფა მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენდა სიცოცხლისათვის, ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით თარგმნილი „მცირე სჯულისკანონი“ წარმოადგენს. აქ ვკითხულობთ: **„საკრძალავსა ადგილსა** მიმთხუევითა **სიკუდილი**....“.[328] მცირე სჯულისკანონში ნახმარი „საკრძალავი ადგილი“ არსენ იყალთოელის თარგმნილ (XII ს.) დიდი სჯულისკანონის სათანადო

[328] მცირე სჯულისკანონი, 79.

ადგილას არ ჩანს.[329] როგორც ჩანს აქ ლაპარაკია ქვისა და შეშის ტყორცნაზე, რომელიც მსროლელის განზრახვის გარეშე ხვდება ადამიანს და კლავს. ექვთიმე მთაწმინდელმა გასროლილი ქვის და ხის „საკრძალავ ადგილზე“ მოხვედრით (მიმთხვევით) კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება მსროლელის არაბრალეულობაზე – თუ არა მოხვედრა ისეთ ადგილას, რაც განსაკუთრებულ გაფრთხილებას მოითხოვს, სიკვდილი არ დადგებოდა. წყაროებში არ ჩანს ადამიანის რომელი ორგანო ითვლებოდა „საკრძალავ ადგილად“. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იმ შინაარსით რითაც ეს ტერმინია ნახმარი XVIII საუკუნეში „სასიკვდილო ალაგი“ იხმარებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, რომ ექვთიმე მთაწმინდელს „მცირე სჯულისკანონის“ თარგმნამდე, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისში უთარგმნია IV საუკუნის ცნობილი მოღვაწის, ბასილი კესარიელის „სწავლათა“. სწორედ აქ მივაკვლიეთ ჩვენ პირველად მცირე სჯულისკანონში გამოყენებულ ტერმინს „საკრაძალავს“ – ადამიანის ორგანოზე მოსარიდებელი, საფრთხილო ადგილის მინიშნებით.[330]

სხვა მხრივაც საჭიროების გამო მთლიანად მოვიტანთ ამ ადგილებს: „ჰფარევდი საკრძალავთა მათ ასოთა შენთა.“[331] ფარავდე მოსარიდებელ შენს ასოთო.

რომ გაბოროტებული, გამხეცებული, წონასწორობა დაკარგული ადამიანი ჩადის ყოველგვარ სიავეს, მისი „ფერჴნი ურიდად საკრძალავთა მათ ასოთა მცემელნი,“[332] ე. ი. ფეხით იცემება ორ-

---

[329] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, 478.

[330] ეს არც უნდა გვიკვირდეს, რადგამ როგორც პროფ. კორნელი დანელია წერს, სწორედ ამ ძეგლში („სწავლანი“) ექვთიმე მთაწმინდელმა ბევრი ისეთი სიტყვა გამოიყენა, რომელიც მანამდელ დამწერლობაში არ გვხვდება. მათ შორისაა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: განმზრახი (მრჩეველი); „სიტყჳათა შემწე“ (ვექილი), შესმენილი (დამნაშავე), შინაგამცემელი (მოღალატე) და სხვა (იხ. კორნელი დანელია, „ეფთჳმე ათონელის მემკვიდრეობიდან“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15. VI, 1984).

[331] ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, 24.

[332] ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამო-

განიზმის გასაფრთხილებელ ნაწილებზე; „სენი იგი ვიდოდის და **საკრძალავთა მათ ადგილთა** მიიწიოს,“[333] ე. ი. დაავადება თანდათანობით გავრცელდეს მთელ სხეულში და მიაღწიოს სასიცოცხლო, საფრთხილო ადგილამდეო. როგორც ჩანს, აქ უკვე მცირე სჯულისკანონში გამოყენებული „საკრძალავი ადგილია“ დადასტურებული. ამრიგად, სავსებით სარწმუნოა ძეგლის გამომცემლის მიერ ექვთიმე მთაწმინდელის თარგმნილი საკრძალავის ასეთი განმარტება: „საკრძალავი ასო, საკრძალავი ადგილი: სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანო“ და მოაქვს შესატყვისი ბერძნული სიტყვა.[334]

მოსაფრთხილებლის მნიშვნელობით იხმარება ტერმინი საკრძალავი „ვეფხისტყაოსანშიც“.

რაც შეეხება ტერმინ „სასიკვდილოს“ იგი ბიბლიიდანვე გვხვდება, მაგრამ „სასიკვდილო ალაგი“, მით უფრო რა ითვლებოდა ასეთად, ცნობა არ გვაქვს.

იმისათვის რომ მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო განზრახ მიყენებული ჭრილობის დროს თუ რა მიზანს ისახავდა დამჭრელი, საჭიროა ვარაუდის სახით მაინც ითქვას სხეულის რა ნაწილები იგულისხმებოდა საკრძალავ და სასიკვდილო ადგილებად.

ალბათ პირველ რიგში თავის არე, უფრო საფეთქელი, კისრის არე – (ხევსურეთში კისერზე მიყენებული დაჭრა მეტად მძიმედ აღიქმებოდა აქ გამავალი კომუნიკაციების – სისხლძარღვები, ნერვული სისტემა – გამო და რომ ხაზი გაესვათ მის მნიშვნელობაზე – გამრავლებისათვის საჭირო ადგილად მიაჩნდათ იგი), მკერდის არე, და რაც მთავარია სასქესო ორგანოების არე. აი, ზოგადი მოხაზულობა იმ ადგილებისა, რომლებზედაც ხელყოფა აადვილებდა სიკვდილს.

---

საცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, 70.

[333] ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, 57.

[334] ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, 257.

**„საკრძალავი“** ადგილები ქართული სამართლის წიგნების მიხედვით არაა განსაზღვრული. კანონმდებლობის იმდროინდელი დონისათვის არცაა ეს მოსალოდნელი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მაინც, ყურადღება ექცეოდა თუ სხეულის რომელ ადგილს იყო მიყენებული ჭრილობა. თეიმურაზ მეორე, მის მიერ გამოტანილ ერთ განაჩენში (1754 წ.), რომლითაც ცალკე მსჯელობის საგნად სურს რა გახადოს დაჭრის საქმე, წერს: „დაჭრილობას გავშინჯავთ და იმ რიგით სამართალს უზამთ.“[335]

როგორც ცნობილია მსოფლიოს მასშტაბით სისხლის სამართალში გვიან პერიოდში (XVII საუკუნიდან) ჩნდება ორგანიზმზე სიცოცხლისათვის საშიშ ადგილებში მიყენებული სასიკვდილო ჭრილობის მომეტებულად დასჯის პრობლემა.

ამ მხრივ ქართულმა სინამდვილემ მხოლოდ ერთი, 1769 წელს გამოცემული დოკუმენტი შემოგვინახა. ყმას სახელად ხიზანას შემგინებლისათვის „სამჯერ სასიკვდილოს ალაგს სამი სატევარი დაეკრა, სამევე მუცელშიდ დაეკრა სასიკვდილოს ალაგს. ღმრთის მოწყალებას მოერჩინე, თვარემ ასეთ ალაგს იყო ის სატევრები დაცემული, რომ შენი მორჩენა არავისგან იქნებოდა, რომ ღმერთმან მოგარჩენა“ და იქვე მოსამართლე აგრძელებს: „საქართველოს სამართლით სამი სისხლი გერგებოდა, რომ სამს ალაგს დაკერილი იყავი, **სასიკვდილოს ალაგსა,**“ მაგრამ რადგან დამჭრელი ეკონომიკურად გადახდისუუნაროა და ალბათ საამისო ძალა არც მის ბატონს შესწევს, ყმა ახალი ბატონის საკუთრება ხდება, სწორედ ამისათვის „მოხელდახელე ის ხიზანა გიბოძეთ თავისის ცოლით, ...შენს დაჭრას უკან რაც შვილი ყოლია, ისიც შენია. სანამდინ შენა დაგჭრიდა, მანამდინ რაც შვილი ყოლია ის ჩემია, შენ საქმე არ გაქვს.“[336]

აქ ბევრი რამაა საინტერესო. პირველი: ყოფილა რაღაც ნორმა (ალბათ ჩვეულებითი სამართლის), რომელიც სასიკვდილო ადგილზე მიყენებულ თითოეულ ჭრილობას მკვლელობისამებრ განიხილავდა. ჯერ კიდევაა ძალაში სისხლის ფასში მკვლელის მიცემა.

[335] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 428.

[336] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 592-593.

ოჯახის დაშლა არ შეიძლება და თავისებურადაა გადაწყვეტილი ბავშვების განაწილების ბედი – რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემედგომ დაიბადებიან დაზარალებულს ეკუთვნის, ხოლო რომლებიც მანამდე არიან დაბადებულნი, ძველ მებატონეს. ყურდღებას იქცევს ისიც, რომ დანაშაულის საკუთარი ხელით ჩამდენი დამნაშავე „მოხელდახელედ“ იწოდება, რასაც ხევსურეთში „მეხელეს“ ეძახიან დღესაც. სასიცოცხლო ორგანოებზე მიყენებული ჭრილობის საშიშრად განსაზღვრის შესაძლებლობაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ჩვენში საერთოდ მკაცრად განსაზღვრული ჩანს რომელ ორგანოზე მიყენებული ჭრილობა, როგორ ნაზღაურდება. უფრო მეტიც, ჭრილობის შედეგზედაც კი მსჯელობენ, დააჩნდება თუ არა იგი სახიჩრად, ე. ი. ესთეტიკურ მხარესაც კი უცქერიან.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ჭრილობის სიმძიმე ძირითადად მისი მოცულობით იზომებოდა (ქერის მარცვლით), მაგრამ აუცილებლად ყურადღებას აქცევდნენ მის სიღრმეს და სიცოცხლისათვის საშიშროებას. ასევე არსებობდა ასოთა (ხელის, თვალის, ყურის და ა. შ.) დაშავების საზღაური, რა დროსაც ჭრილობა როგორი იყო ამას არ ქონდა მნიშვნელობა. სწორედ ამიტომაც იძლეოდა კანონმდებელი გაფრთხილებას: ისიც უნდა იცოდნენ „თუ რა ასოს და ან როგორს ჭრილობას რა სისხლი სდის და ან როგორის საქმისათვის რა სისხლი გაუჩნდების“ (ვახტანგ VI სამართალი, 43-ე მუხლი).

კანონის ამ მოთხოვნას პრაქტიკულად იყენებენ სასამართლოები, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლეები წერენ ერთ განჩინებაში (1777 წ.): „თუ ასო რომელიმე დაუშავდეს, იმ ასოს დაშავების სისხლი გაუჩნდეს და თუ არ დაუშავდეს, ქერის მარცვლით გაიზომოს და რაც გაიზომოს და გამოვიდეს, იმ ჭრილობის სისხლი მიეცეს.“[337]

**2. ჭრილობის ხარისხის განსაზღვრა ჭრილობის მიმყენებელი იარაღის მიხედვით.** დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ როგორი იარაღით (საშუალებებით) იყო ჭრილობა მიყენებული. ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა ძირითადად განასხვავებს: თოფით, ხმლით და ჯოხით მიყენებულ ჭრილობებს.

[337] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 23.

კანონის მოთხოვნა ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებულია. სპეციალურ სამართლის ნორმას, რომელიც ამ საკითხს ეძღვნება, ვახტანგის სამართლის წიგნის 49-ე მუხლის მესამე ნაწილი წარმოადგენს, რომელშიც აღნიშნულია: „მაგრამე, თუ ან თოფით, ან ისრით, ან შუბით, ან ჯიქურად დაჭრილი არის, რა ერთიც სანახავი რკინა (აქიმის იარაღი – მ. კ.) ჩავა ან ფილთას[338] უსაქმია, ის უნდა ქერის მარცვლით გაზომონ და იმ სხვას ჭრილობაზედ **ერთიორად გააჩინონ**, ამიტომ რომე ამგვარის იარაღით დაჭრილი უფრო გაირჯებოდა და ბევრს ჭირს ნახევდა.“ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ნორმაში გამოთქმულ სიტყვებს სასამართლოც იმეორებს სიტყვასიტყვით.

როგორც ჩანს, კანონი ერთმანეთისაგან ანსხვავებს თოფით, ისრით, შუბით მიყენებულ ჭრილობებს. ასეთი საშუალებებით მიყენებული ჭრილობები კანონმდებელს განსაკუთრებით მწვავედ მიაჩნია, რადგან „ამგვარის იარაღით დაჭრილი უფრო გაირჯებოდა და ბევრს ჭირს ნახევდა“, ამიტომაც „ერთიორად“ უნდა დაისაჯოს ბოროტმოქმედი (49-ე მუხლი).

ყველაზე უფრო მძიმე ჭრილობად თოფით მიყენებული ჭრილობა ითვლებოდა. მოსამართლეების წერენ (1777 წ.): „თოფის მოხვედრებაზე ასო რომ დაუშავდეს რამე, ნახევარი სისხლი და იმ დაშავებულის ასოს სისხლი ამისათვის გავაჩინეთ, რომ თოფით დაჭრილი უფრო ბევრს ჭირს ნახავს. სამართლის წიგნშიაც სხვა იარაღით ჭრილობისაგან თოფით ჭრილობა უფრო დამძიმებულია.“[339]

თოფით მიყენებული ჭრილობა ერთიორად იანგარიშებოდა ერთ განაჩენში (1795 წ.). საამისოდ ჩაწერილ ადგილსაც მოვიტანთ. „სამართალი ასე სწერს: რაერთიც ფილთას უსაქმია, ის უნდა ქერის მარცვლით გაზომონ და იმავ ჭრილობაზე ერთიორად გაუჩინონ. იმიტომ რომ ამგვარი დაჭრილი უფრო გაირჯებოდაო და ბევრს ჭირს ნახევდაო, თოფისას უფრო მეტი გაუჩნდებისო“ და იქვე აგრძელებს: „რადგან თოფით დაჭრილი არის და ფილთას უსაქმია

[338] ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით „ფილთა პატრუქი სანთელია, ბაზმაკთა და მისთანათა....წყლულთა შინა შთასაღები პატრუქი მალამოთურთ.

[339] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 23.

და სამართალი ასე სწერს, ამისათვის დაუორკეცა სამართალმა."[340]

ყველაზე უფრო გავრცელებული ხმლით დაჭრა იქნებოდა, სწორედ ამიტომაც საყოველთაობის მოთხოვნიდან გამომდინარე ნაკლებ მოულოდნელი იყო ასეთი და სპეციალურ ფიქსაციასაც არ მოითხოვდა იგი. ტრადიციის მიხედვით ხომ ხმალი ეროვნული ტანსაცმლის სამკაულადაც ითვლებოდა. ხალხს შემუშავებული ჰქონდა ხმლის გამოყენების საჭირო წესებიც კი. ეროვნულ ტრადიციებს უნდა ეფუძნებოდეს ერეკლე II დროს მოქმედი კანონის შევსება ახალი კანონით (განჩინებით), რომელზედაც მდივანბეგთა 1795 წლის ერთ განჩინებას დაუცავს ცნობა. აქ ვკითხულობთ: „მათის უმაღლესობის მეფის მეორე ირაკლის ახალი განჩინება არის, ვინც ჩხუბში მახვილი იხადოს, იმას მახვილის ქარქაშიდამ ამოღებისათვის, რასაც გვარისა იყოს, ხელის სისხლი სარქარისათვის ჯარიმად წაერთვას, თუ მოჰკლას ვინმე ან დაჭრას, იმასაც სისხლი უნდა დაუუროს."[341] როგორც ჩანს ასეთი ნორმის დაწესება წაღმაუკუღმა ხმლის ბზრიალის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ჩხუბის დროს ხმლის ქარქაშიდან ამოღებას მისი გამოყენებაც (მკვლელობა, დაჭრა) რომც არ მოყვეს, ხმლის ამომღები მაინც იხდის ჯარიმას თავისივე ხელის სისხლის რაოდენობით. ასეთ პასუხისმგებლობას აწესებს თავის მხრივ უცხოური წარმოშობის „რუსკაია პრავდა."

ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ჭრილობები ჯოხის დარტყმითაა მიყენებული. ასეთი ჭრილობის საზღაურიც შედარებით ნაკლები იყო. დაჭრასთან დაკავშირებული საქმის განმხილველი სასამართლო (1790 წ.) წერს: „სამართალი ასე სწერს: ჯოხით გაჭრილი ჴმლის გაჭრილის ნახევარზედ უნდა ჩავარდეს."[342] მოსამართლეებს მხედველობაში აქვთ ვახტანგის სამართლის წიგნის 264-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საზოგადოების პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებმა ჯოხით ან მათრახით ერთმანეთს თავი რომ გაუტეხონ საქმე უნდა განისაჯოს „ჴლმის

[340] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 652.

[341] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ნ. I, თბ., 1970, 62-64.

[342] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 590.

ნაჭრის ანგარიშზე კი არა, მაგრამე, იქნების ჴრმლით განაჭერის ნახევარზე, იქნება მესამედზე და ან მეოთხეზეც“. როგორც ჩანს დაზიანებიდან გამომდინარე საზღაურის ოდენობის განსაზღვრაში მოსამართლეები თავისუფლები არიან.

რაც შეეხება კანონის მოთხოვნას, რომ ეს მუხლი პრივილეგირებულ ფენათა წარმომადგენლებს ეხება, იგი წინააღმდეგობაში არ მოდის განჩინებასთან, რადგან იქ დამნაშავე და დაზარალებულები სწორედ ასეთ წრეს განეკუთვნებიან.

საკითხმა მოიტანა და ბარემ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ერთის შეხედვით ისეთ წარმოდგენას ქმნის, რომ თითქოს იგი არა მწარმოებელი ფენის სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელია, არამედ პრივილეგირებული ფენისა. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგანაც საჭიროების შემთხვევაში თვითონ კანონი მიუთითებს რა სოციალურად სწორ სუბიექტთა მხარეობაზე, პარალელურად სპეციალურ ნიხრს იძლევა თუ ვისი სისხლი როგორაა შეფასებული და ა. შ.

ჯოხით დაჭრასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა შემოგვინახა წინ დამოწმებულმა ერთმა განჩინებამაც, რომელიც ასე იწყება: „მორდალს ჯიქურად ჯოხი წაექანებინა ბარამისათვის თვალს ქვემოთ ქუთუთო გაეჭრა.“[343]

ვახტანგის სამართლის წიგნს (266-ე მუხლი) მხედველობიდან არ გამორჩენია ისიც, რომ იქნება ჯოხის დარტყმამ სისხლის დაღვრა (ჭრილობა) არ გამოიწვიოს, მაშინ ასეთ „მშრალ“ დაკვრაზე გავუწყებს: „თუ ჯოხი დაჰკრას, ნახევარი ქერის მარცვლის სისხლი გარდაუჴადოს, რასაც გვარისა იყოს იმ ანგარიშითა.“ (266-ე მუხლი).

უნდა გვახსოვდეს რომ ყოველგვარი ჭრილობა რისგანაც არ უნდა იყოს იგი მიყენებული ქერის მარცვლით იზომება, სწორედ ამიტომაც წერს სასამართლო: „თოფის ტუჩით რომ წაეკრათ, ის წაყვლეფილი ადგილი გაუზომეთ. ათი მარცვლის ზომა გამოვიდა. რადგანაც მახვილით არა ჰქონდა ჭრილობა, სამართლის წიგნის ძალით მახვილის ჭრილობის ნახევარზედ ვიანგარიშეთ.“[344]

[343] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 590.

[344] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 38.

ჭრილობის ზომის გაზომვა ხდებოდა როგორც შეხორცებამდე, ისე მის შემდგომ. ერთ განაჩენში ვკითხულობთ: „ჭრილობის მზომელობა მაშინ არ აგვიღებინებია და ახლა გამთელებულზედ ავიღევით ზომაო.“[345] ჩვენი აზრით, შეხორცებამდე და შეხორცების შემდგომ ჭრილობის სიდიდის (ნაწიბურები) სხვადასხვაობამ დაბადა იქნებ ხევსურეთში არსებული წესი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჭრილობის ზომაზე დაწყობილ მარცვლებს, თითო-თითო მარცვალს აქეთ-იქეთ ჩამოაცილებენ.

თავის ადგილას ვრცლად განხილვამდე აქაც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს წინაშე თუ ვინმემ ვისმეს „თავი გაუტეხოს ან ჯოხი დაჰკრას“ მოსამართლე რა გვარისაც იყოს „იმის ერთის ქერის მარცვლის ნახევრის სისხლისოდენი საუპატიო მიართვას, რომე ურიგო უკადრებია.“ (267-ე მუხლი).

[345] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 258.

# თავი IV. ცალკეულ ორგანოთა მოკვეთა, გახეიბრება, ან დაშავება, როგორც დანაშაული ძველ ქართულ სამართალში

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ასოს მოკვეთას და დაშავებას რიგით მეორე ადგილი უჭირავს მკვლელობის შემდგომ.

ქართული სამართლის წყაროებში რომელიმე ორგანოს მოკვეთა, როგორც დანაშაული, გამიჯნულია დაშავებისაგან, თუმცა „ერთობ დაშავება“, რაც ორგანოს ფუნქციის სავსებით დაკარგვაში მდგომარეობს, მოკვეთასთანაა გათანაბრებული.

დაშავება შეიძლებოდა როგორც ერთი რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლით, ისე საერთო ჯანმრთელობის მკვეთრად შელახვით, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, დაინვალიდებით. მეორე ხასიათის დაშავებაზე თუ მეტად მცირედ მოგვეპოვება ცნობები, სამაგიეროდ ცალკეულ ასოთა დაშავებაზე კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ გვაუწყებს.

ტერმინი „დაშავება“ უძველესი პერიოდიდან მომდინარეობს (დაშავებაჲ, მათე 5, 36), თავდაპირველად ალბათ ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მნიშვნელობით (როგორც დღეს გვესმის), შემდგომ კი იმ მნიშვნელობით, როგორითაც ახლა მიმოვიხილავთ მას.

სამართლის წიგნთაგან სხეულის დაშავების ნორმათა მრავალფეროვნების თვალსაზრისით მეტი ცნობები მოგვეპოვება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში“. ვიდრე მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს, სათქმელს ასეთი განმარტება უნდა წარუმძღვაროთ წინ: როგორც სასამართლო იუწყება „თუ ასო რომელიმე დაუშავდეს, ამ ასოს დაშავების სისხლი გაუჩნდეს და თუ არ დაუშავდეს, ქერის მარცვლით გაიზომოს.“[346] როგორც ჩანს, როცა მთელი ორგანოს ფუნქციის დაკარგვაზე, ე. ი. დაშავებაზეა ლაპარაკი, მაშინ მიყენებული ჭრილობის სიმძიმის (რა მოცულობისაა, რითაა მიყენებული) განსაზღვრის საკითხი არ დგას. საკითხი ასე მაშინ დგება, როცა დაშავებული არაა ორგანო. ვახტანგის სამართლის წიგნის

[346] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 23.

49-ე მუხლიც კარგად პასუხობს, რა განსხვავებაა სხეულის დაჭრასა და დაშავებას შორის. დაშავების სისხლი წინასწარაა განსაზღვრული, ჭრილობის ფასი კი ცალკეულ შემთხვევებში იანგარიშება ჭრილობის სიდიდის კვალობაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ შეიძლება ორგანიზმზე სრულებით არ იყოს ჭრილობა მიყენებული, მაგალითად, მოხდა რაიმე ბლაგვი იარაღის დარტყმა, მაგრამ სახეზე იყოს სხეულის დაშავება, ე. ი. სხეულის დაშავება ყოველთვის დაჭრით როდია გამოწვეული.

ესაა ძირითადი პრინციპები, რაც საფუძვლად ედება სხეულის (ასოს) დაშავების შეფასებას. ახლა სხეულის ცალკეულ ორგანოთა მოკვეთისა და დაშავების შესახებ ვისაუბროთ.

## §1. ხელის ან ფეხის მოკვეთა და დაშავება

ბექას სამართლის მე-5 მუხლით „ჴელი თუ ანუ ფეჴი მოეკუეთოს ანუ ერთობ დაუშავდის, სისხლის მესამედი დაუურვოს“, და იქვე განმარტებულია: „თუ ორნი მოეკვეთნეს თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონ.“ აქ ორი ხელის, ორი ფეხის, ან ერთი ხელის და ერთი ფეხის მოკვეთა იგულისხმება – რა დროსაც, ცხადია, სისხლის ორი მესამედი უნდა ზღოს დამნაშავემ.

კანონის მუხლიდან არ ჩანს და ამდენად არც მთლიანადაა გამორიცხული: იქნებ კანონმდებელი მარტო მიხდომისა, ჩხუბისა თუ სხვა დროს ბრძოლაში შეტაკებით კი არ გულისხმობდეს კიდურების მოკვეთას, არამედ თვითნებობით, სასჯელის სახით განხორციელებულ ასეთ მოქმედებასაც.

„ძეგლის დადება“ – ხელ-ფეხის დაკოდვით დაშავებას მოკვეთის დარად მიიჩნევს. 33-ე მუხლით „მარჯუენა ჴელი ვისაც მოეკუეთოს ანუ დაუშავდეს დაკოდილობითა, სისხლის მესამედით დაიურვოს.“ კანონი ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან ანსხვავებს მარჯვენა და მარცხენა ხელს. მარჯვენა ხელის მოკვეთისათვის (ან დაშავებისათვის) სისხლის მესამედი ჩნდება, ხოლო თუ „ლაყოჩა“ (ცაცია) იყოს და „მარცხენას ჴელს მარჯუენად იჴმარებდეს“, მაშინ მისი სისხლი, მარჯვენა ხელისად უნდა იანგარიშონ (34-ე მუხლი).

რაც შეეხება მარცხენა ხელის ფასს, ასეთი კანონიდან არ ჩანს – იგი ალბათ ჩვეულებითი სამართლით იყო მოწესრიგებული.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ ხელის მოკვეთაში არა მარტო შერკინების დროს ხელის მოკვეთა იგულისხმება, არამედ დამარცხებული მტრის ხელის მოკვეთაც, რაც ისე როგორც ხევსურეთში იყო XIX საუკუნემდე შემორჩენილი. სწორედ ხელის ასეთ მოკვეთაზე გვაწვდის ცნობას XII საუკუნის ერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გზად შემოყრილმა მტერმა თავის მტრის კაცს „მოჰკუეთის ჴელი.“[347]

როგორც ჩანს „ხელის მოკვეთა“ თავიდანვე განსაკუთრებულ სისხლს ითვალისწინებდა. სწორედ ამისათვის აცხადებს მხარე რომ მის კაცს გზადშეყრილმა მტერმა „მოჰკვეთის ჴელი“ და „ვირჩი (ვსარჩლობ, მოვითხოვ – მ. კ.) ამასცა სისხლადო.“[348]

„ძეგლის დადების“ 35-ე მუხლით, ფეხის მოკვეთა (ასევე დაშავება) მეოთხედ სისხლად დაიურვება. როგორ ჩანს, ხელის სისხლი მეტია, ვიდრე ფეხის. ცხადია, აქ (33-ე, 35-ე მუხლები) ისეთ დაშავებაზეა ლაპარაკი, როცა ისინი სავსებით კარგავენ ფუნქციას.

კანონმდებელი ხაზს უსვამს ისეთ შემთხვევას, როცა ერთდროულად ორივე ხელი ან ორივე ფეხია მსჯელობის საგანი (იგულისხმება მოკვეთა, ან ფუნქციის სავსებით დაკარგვა), რისთვისაც ნახევარი სისხლი უნდა უზღონ და წამლისა რაც დახარჯოდეთ, ისიც აუნაზღაურონ (36-ე მუხლი).

ჩვენი აზრით, ხელფეხის დაშავება (ორივესი ერთად) და მისი შეფასება ნახევარ სისხლად შეიძლება ჩვეულებითი სამართლიდანაც მომდინარეობდეს. XIV საუკუნის ერთ სასისხლო სიგელში „ხელფეხის დაშავება“ ნახევარ სისხლადაა შეფასებული.[349] სხვა სასისხლო სიგელითვე (XV ს.): „ვინაც დააკოჭლოს მესამედი სისხლი დაუურვოს“[350] და „ვინც მარცხენა [ხელი] მოგკვეთოს ნახევარი სისხლი დაგიურვოს.“[351] ერთი ხელისა და ერთი ფეხის დაშავების

[347] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს., თბ., 1984, I, 188.

[348] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს., თბ., 1984, I, 188.

[349] საისტორიო მოამბე, 1924, ტ. II, 5.

[350] საქართველოს სიძველენი, ტ. II, 514.

[351] საისტორიო მოამბე, ტ. II, 18.

საქმე სასამართლოსაც გაურჩევია, რისთვისაც „ნახევარი სისხლი“ გაუჩენია.[352] ხელ-ფეხის დაშავებისათვის ნახევარი სისხლია გათვალისწინებული მეფე სიმონ I მიერ 1592 წელს მაღალაძეებისადმი მიცემული სასისხლო სიგელის მიხედვით: „ჴელ-ფერჴისა დაშავება... ნახევარისა სისხლისა არის.“[353]

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 45-ე მუხლით: თუ ხელი ან ფეხი ისე დაუშავოს პირმა, რომ ფუნქცია დაკარგოს („საჴმარად აღარ მოურჩეს“) მათი ფასი სისხლის მესამედს ითვალისწინებს. სხვაა თუ ნაკლებად დაუზიანდეს (ამაზე იხ. სხვაგან). სხვა მუხლით როცა ორივე ხელი ან ორივე ფეხი „ასრე წაუხდინოს“ რომ „აღარ საჴმარ იყოს“ – მთელი სისხლი უნდა დაუურვოს (44-ე მუხლი). როგორც ჩანს, „ძეგლის დადებისაგან“ განსხვავებით ორივე ხელის თუ ფეხის მოკვეთა-დაშავებისათვის ნახევრიდან ერთი სისხლის ოდენობამდე გაიზარდა საზღაური, ერთი ფეხის მოკვეთისათვის კი სისხლის მეოთხედიდან მესამედამდე. ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული დანაშაულის დასჯადობის საკითხში ცხოვრებას თავისი კორექტივი შეუტანია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში, ე. ი. ვახტანგ VI სამართლის წიგნის დაწერისას, რამდენადმე შეცვლილია ვითარება, კერძოდ, სხეულის გარკვეულ ორგანოთა დასახიჩრებისა თუ დაკარგვისათვის (მოკვეთისათვის) პასუხისმგებლობა გაზრდილია.

მეტად თავისებურია აღბუღას სამართალში შესული კანონიკური სამართლის მოთხოვნა. იგი შეეხება ქრისტიანის მიერ ქრისტიანისათვის „რაიმე ასოთაგანის“ მოკვეთას, მათ შორის ხელის და ფეხის მოკვეთას, რისთვისაც მთელი სისხლია გაჩენილი სანახშიროსთან ერთად. იქვე ასეთი დამნაშავის მიმართ ჩამოყალიბებულია საეკლესიო შინაარსის სანქცია: „კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ, და ცუდმცა არის მოსაჴსენებელი სიცოცხლე და სიკუდილი მისი.“ (162-ე მუხლი).

თავისი ხასიათით განკერძოებით დგას ბაგრატ კურაპალატის სამართალი: „წაპარვითა თუალისა ცურა, ჴელ-ფერჴისა დაგერშა, პირისა დაღი ესე სამი სისხლისა ნახევარი არს.“ (124-ე მუხლი). ცხადია, იგულისხმება არა ერთდროულად, არამედ ცალ-ცალკე

[352] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 600.

[353] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206.

ფეხის ან ხელის დაჭრა. სანქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ალბათ კანონი ისეთ ჭრილობას გულისხმობს, როცა ხელი ან ფეხი მთლიანად კარგავს ფუნქციას. სხვანაირად, თუ გინდ მძიმე ჭრილობისათვის, წარმოუდგენილია მთელი სისხლის ნახევრის გაჩენა. ასევე მკაცრ მიდგომას ადგენს კანონმდებელი ცალი თვალის დაშრეტისა და „პირისა დაღის“ დადებისათვის.

გარდა მოტანილი მუხლისა არცერთი ქართული სამართლის წიგნი არ ჩერდება რომელიმე ორგანოს ჭრილობის ფასზე. ცხადია, ამ შემთხვევაში ზოგადად ჩვეულებითი სამართლის მიხედვით გადაწყდებოდა საკითხი, რა დროსაც ძირითადად ჭრილობის ზომა, ჩადენის საშუალება და ადგილი (თუ სადაა ჭრილობა მიყენებული) გაითვალისწინებოდა, ისე როგორც ვახტანგ VI სამართლის წიგნის 49-ე მუხლი ბრძანებს: „ჭრილობისა ასრე არის.....თუ რასაც ალაგს კაცი დაიჭრას დაუშავებლად, თორემ დაშავებისათვის ხომ დაგვიწერია“ – ცხადია, დაშავებაში მიყენებული ჭრილობის შედეგად ხელის ან ფეხის ფუნქციის დაკარგვა იგულისხმება. რა თქმა უნდა, აქ არ შედის დამმახინჯებელი და სხვა ხასიათის ზოგი ჭრილობა, რომელთა შესახებ სხვა ადგილას გვექნება მსჯელობა.

ზემოთთქმული უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ბაგრატის სამართლის წიგნის 124-ე მუხლშიც „ჴელ-ფერჴის დაგერშვა“ – მოკვეთას უტოლდება თავისი ხარისხით.

## §2. ცხვირის და ყურის მოკვეთისათვის

ჩვენ დამამახინჯებელ სასჯელებზე ცალკე გვექნება მსჯელობა, სადაც ცხვირის დაშავების საკითხიც განიხილება. აქ კი, რამდენადაც ცალკეულ ორგანოთა („კაცის აგებულების“) მოკვეთაზე თავმოყრილად ვმსჯელობთ, ამდენად შევჩერდებით აღნიშნულ საკითხზე.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 48-ე მუხლი გამოყოფით ჩერდება შემთხვევაზე, რასაც შედეგად ყურის ან ცხვირის მოკვეთა მოყვება („.....ყური გავარდნოდეს, ან ცხვირი გავარდნოდეს“) – თითოეული მათგანის საზღაური ცალი ხელის საზღაურია („ერ-

თის ჴელის სისხლი გაუჩნდების“), რაც სისხლის მესამედით განისაზღვრება. სხვა რამ ცნობებს აღნიშნულ საკითხზე სამართლის წიგნში ვერ ვხვდებით.

ერთი სასისხლო სიგელითაც (XV ს.) „ვინც ცხვირი მოგკუეთოს“ – ნახევარი სისხლია.[354]

კანონიკური სამართლის 162-ე მუხლი ქრისტიანთა შორის ცხვირის თუ ყურის მოკვეთისათვის ითვალისწინებს სრულ სისხლს თავისი სანახშიროთი, აჩენს ასევე საეკლესიო ხასიათის სასჯელს – წყევლა-კრულვას.

## §3. თვალის ნამოგდება

ქართული სამართლის ყველა წიგნი ითვალისწინებს დანაშაულს, რაც ერთ ან ორივე თვალში მხედველობის სავსებით დაკარგვას გულისხმობს. სამართლის წიგნებში დაბრმავება სხვადასხვა სიტყვებით მოიხსენიება: „თუალისა ცურა“, „თუალნი დასწუნეს“, „თუალნი წამოუვარდეს“, „თუალნი წაუხდეს“ და „ვეღარ ხედავდეს“, „თუალი გამოსთხაროს“, „ნაკრავითა თუალისა წაყრა“.

ცალი თვალის „წაპარვით“ გაფუჭებისათვის ბაგრატის სამართალი ნახევარ სისხლს აჩენს (124-ე მუხლი). ძეგლის დადება და ბექა-აღბუღას სამართალი კი ცალი თვალის წამოვარდნისა და „წამოგდებინებისათვის“ მეოთხედ სისხლს (იხ. ძეგლის დადების 35-36 მუხლები, ბექა აღბუღას სამართლის წიგნის მე-6 მუხლი). ვახტანგის სამართლით: თუ ცალი თვალით „ვეღარას ხედევდეს“ – მესამედი სისხლია გაჩენილი, ანუ ვახტანგის სამართლით თვალის წამოგდებისათვის გადასახადი გაზრდილია „ძეგლის დადებასთან“ და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნთან შედარებით.

ორივე თვალით დაბრმავებას ყველაზე მკაცრად კანონიკური სამართალი სჯის (162-ე მუხლი), რომელიც მას ქრისტიანთა შორის უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევს. იგი ერთდროულად აწესებს როგორც საერო, ისე საეკლესიო ხასიათის სასჯელს. დამნაშავემ მთელი სისხლი უნდა დაუურვოს დაზარალებულს, ასევე სანახში-

[354] საისტორიო მოამბე, 1924, ტ. II, 18.

როც. გარდა ამისა წყევლა-კრულვით იხსენიებს მას.

ბაგრატის სამართლით „თუ კაცმან კაცს თუალნი დასწუნეს“ მთელი სისხლის გარდა 20 ათასი თეთრი უნდა დაუურვოს (151-ე მუხლი). აღნიშნული სამართალი დაბრმავებას უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევს და ღალატის, სალაროს, ეკლესიის ან ჯოგზე ხელყოფისათვის იძლევა მისი გამოყენების უფლებას, ისიც მეფის იურისდიქციის სფეროში მოქცევით (152-ე მუხლი). აქ ლაპარაკი არაა იმაზე, თუ როგორ სასჯელს ითვალისწინებს ორივე თვალით დაბრმავება.

აქ აღსანიშნავი ისაა, რომ ისჯება როგორც დანაშაულის გზით სხვაზე თვალების (ან რაიმე ორგანოს) მოკვეთა, ისე თვითნებურად, სახელმწიფოს სასამართლოს გარეშე ასეთი სასჯელის გამოყენება. ეს უკანასკნელი იმიტომ, რომ ჩვეულებითი თუ რაიმე სამართლის წიგნით, გარდა მეფისა ასეთი სასჯელის დადების უფლება სხვას არავის არ გააჩნია. სწორედ ამიტომაც გვაფრთხილებს კანონმდებელი ბაგრატ კურაპალატი: „ესეცა იცოდით, მეფისა და უდიდებულესის კაცისაგან [კიდე] თუალთა დაწვას არავინ ღირსა.“ (152-ე მუხლი). ეს ის მოთხოვნაა, რაც შემდგომ ვახტანგის სამართლის წიგნმა (220-ე და 258-ე მუხლები) დააკანონა.

ზემოთთქმულის ფონზე თავისებურად ჩანს „ძეგლის დადების“ 36-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ორივე თვალით დაბრმავებისათვის სისხლის ნახევარია მიჩნეული. გამოდის რომ ამავე სამართლის წიგნით თუ ერთი „თუალი წამოვარდეს“ – მეოთხედი სისხლია (35-ე მუხლი), ხოლო თუ ორივე, ნახევარზე მეტს არ აღემატება. დიდი სხვაობაა სამართლის ამ ნორმასა და XVI ს. ერთ სასისხლო სიგელის მოთხოვნას შორის: „ვინც თვალი წამოგიგდოს, ნახევარი სისხლი დაგიურვოს.“[355] ნახევარი სისხლია ასევე გათვალისწინებული „ნაკრავითა თვალისა წაყრისათვის“[356] ამავე პერიოდის სხვა სასისხლო სიგელებითაც. ზოგჯერ სასისხლო სიგელი სისხ-

[355] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 18.

[356] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 4; 5.
ტერმინოლოგიათა სიზუსტე ბევრის მთქმელია ჩვენს ისტორიულ საბუთებში. „ნაკრავით“ თვალის ამოყრას ე. ი. არა ჭრილობის (ბრძოლის) დროს თვალის დაკარგვაზე, არამედ სპეციალურად საამისოდ მომარჯვებული საგნის თვალებში ჩაკვრაზეა ლაპარაკი.

ლის მიხედვით კი არა – გარკვეული თანხის გადახდით კმაყოფილდება: „ვინცა დაგიშაოს თუალი, ათი ათასი თეთრი დაგეურვოს.“[357]

გამორიცხული არაა აქ კანონის ტექსტის შერყვნასთან გვქონდეს საქმე და „სისხლის ნახევარი“ კი არა „სისხლ ნახევარი“ ყოფილიყო. სხვანაირად გაუგებარია, რატომ გაავრცელებდა კანონი ესოდენ შეღავათს ორივე თვალით დაბრმავებისათვის, როცა ერთ სისხლზე ნაკლებად არცერთი ქართული კანონი არც ადრე და არც შემდეგ არ სჯიდა მსგავს შემთხვევას?

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კანონები მხოლოდ სავსებით დაბრმავებას ითვალისწინებენ და არსად არაა ლაპარაკი მხედველობის დაქვეითებაზე.

თვალის დაზიანებაზე (გამოთხრაზე) მსჯელობს საეკლესიო კანონმდებელიც – იგი აწესებს: „მჯიღვით ან თვალი გამოსთხაროს... იმის სამართალი ბატონმა უყოსო,“ – საეკლესიო სასჯელზე არაფერს წერს და მთლიანად საერო ხელისუფლებას მიანდობს მას.[358] ეს ნორმა კარგი მაგალითია საქართველოში საერო და საეკლესიო კანონმდებლობის ურთიერთკავშირისა.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევას, როცა არა თვალის წამოგდებაზე, არამედ ფუნქციის დაკარგვის ხარისხზე არის მსჯელობა: „აქიმნი მოვაყვანინეთ და თვალი გავაჩხრიკეთ.“[359]

## §4. კბილის ჩამოგდებინებისათვის

ამ პატარა საკითხის, კბილის ჩაგდების დანაშაულთან დაკავშირებული დასჯადობის განვითარების გზა თვალის გადევნების შესაძლებლობას იძლევა საუკუნეების განმავლობაში როგორ თანდათანობით მიიწევს წინ სამართლებრივ ნორმათა კრიტერიუმების გამომუშავება. კბილის ჩაგდებინების საკითხს მართალია ლაკონურად, მაგრამ მაინც ქართული სამართლის ყველა წიგნი ეხება.

ბაგრატ კურაპალატის სამართალმა ორი ნორმა შემოგვინახა

---

[357] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 34.

[358] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 411.

[359] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 591.

ამასთან დაკავშირებით: „თუ კაცმა კაცს წინა კბილი ჩააგდებინოს, ნახევარი სისხლი დაუურვოს“ (142-ე მუხლი) და „თუ უკანა ჩააგდებინოს, სისხლის მეხუთედი დაუურვოს“ (143-ე მუხლი). როგორც ჩანს, არნახულად დიდი საზღაურია გაჩენილი. საერთოდაც ახასიათებს მაღალი სანქციები ამ სამართლის წიგნს.

„ძეგლის დადების“ 39-ე მუხლით ოთხ ზემოთა და ოთხ ქვემოთა „საჩინოთა კბილთა“ ჩაყრევინებისათვის კი თითო კბილზე „ოროლი უარზანგობა დაიურვოს“. დანარჩენი კბილების ჩაყრევინებისათვის კი თითო კბილზე გაჩენილია თითო უარზანგობა, ე. ი. საუპატიო გადასახადია დაწესებული, რაც სისხლის მეორმოცედ ნაწილს წარმოადგენს (მე-40 მუხლი).

როგორც ჩანს, გამოკვეთილია კბილთა ღირსებები, თუმცა არაა მითითებული რა უპირატესობა აქვს წინა კბილებს უკანა კბილებთან შედარებით. ამ უკანასკნელთა საზღაურიც შედარებით დაბალია.

ბექას სამართალმა (მე-8 მუხლი) ფუნქციების განსაზღვრით განასხვავა წინა კბილები უკანა კბილებისაგან, თუმცა უპირატესობა არცერთს არ მიანიჭა და სანქციაც რამდენადმე მაინც ზომიერი გახადა. თითო კბილის ღირებულება – ხელის ერთი თითის ღირებულებით განისაზღვრა.

გულდაჯერებით გაიზიარა ბექას სამართლის მოთხოვნა ვახტანგ VI სამართალმა. არა მარტო გაიზიარა, არამედ შეიძლება ითქვას მოხდა სხვა ნორმათათვის უპრეცედენტო შემთხვევა და თითქმის მთლიანად გადმოწერა იგი. ეს კი მნიშვნელოვანი დეტალია ვახტანგ VI სამართლის შემდგენი კომისიის მუშაობის სტილის. ასეთი ფაქტი საბუთიანობასაც წარმოდგენს იმ მოსაზრებათა დასამტკიცებლად, რომ ვახტანგ VI თავისი სამართლის სიბრტყეზე არ მოუთავსებია კოდიკოში შემავალი ორიგინალური წარმოშობის ძეგლებიც კი. ასე რომ ყოფილიყო თავის სამართლის წიგნში სიტყვა-სიტყვით არ გადმოიტანდა და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში დატოვებდა მინიშნებულ ნორმას. საქმე იმაშია, რომ სჯულმდებელ მეფეს არ შეუძლია აიძულოს სამართლის კრებულის გამომყენებელი, ყველგან ეძებოს მინიშნებული ნორმა და იძულებულია გადმოიტანოს იგი თავის სამართლის წიგნში. შეადარეთ ისინი ერთმანეთს.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 47-ე მუხლი: „წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩააგდებინოს ვინმე, ორივ სწორე არის, ამიტომ რომე წინა სახიჩრად დარჩების და უკანა ჭამაში დააკლდების. ამად ერთს კბილს ერთის ჴელის თითის სისხლი გაუჩინეთ, რამდენიც კბილი ჩავარდების, ამ კუალად გაჩნდების.“

ბექა აღბუღას სამართლის წიგნის მე-8 მუხლი: „თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბილი შთააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს, ამად რომე წინა სახიჩარია და უკანა ჭამას დააკლებს.“

ვახტანგ VI სამართლის 45-ე მუხლით ერთი თითი, ხელის მეხუთედი სისხლი ფასობს, ხოლო თითის ასეთი შეფასება სხვა კანონს არ მოუცია. მაშ საიდან იხელმძღვანელა ბექა-აღბუღას კანონმა? – ცხადია, ჩვეულებითი სამართლიდან.

კერძო ხასიათის საკანონმდებლო აქტებიც იხდის თავის მსჯელობის საგნად „კბილის ჩაგდებინებას“. კერძო სამართლებრივი აქტების (სასისხლო სიგელების) ცნობები კბილების დაშავება-ჩაგდებინებასთან დაკავშირებით ასეთია: „თუ კაცმან ნაკრავითა წინა კბილი ჩაგაგდებინოს, ნახევარი სისხლი დაგეურვოს და თუ უკანა კბილი ჩააგდებინოს, სისხლისა მეოთხედი დაეურვოს“ (XI ს.);[360] „კბილის ჩაგდებისათუის ოცდაათი ათასი თეთრი დაგეურვოს.“ (XV ს.);[361] „ვინცა კბილი ჩაგაგდებინოს, მეშვიდედი სისხლი დაგიურვოს“ (XV ს.) [362] „წინა კბილითა დაგაშაოს თორმეტი ათასი დაეურვოს“ (XV ს.);[363]

ისე როგორც სხვა დანაშაულთა დროს, შეიძლება ითქვას რომ ყველა საკანონმდებლო ნორმამ როდი მოაღწია ჩვენამდე. თუ არა ასე, როგორ უნდა აიხსნას სასამართლოს მიერ ერთ განჩინებაში

[360] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 4.

[361] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 15.

[362] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 18.

[363] საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1909, ტ. II, 373.

ჩაწერილი „ოთხი კბილის ჩაგდებინებისათვინ და თავის გატეხისათვინ ოცდაორის ძროხისა გაუჩინეთო.“[364] მაშ საიდან გაჩნდა კბილების ჩაგდებისათვის საზღაურის გადახდა ძროხით?

## §5 თითის მოკვეთა

კანონმდებლობა ხელის მოკვეთისა და დაშავებისაგან გამოყოფს თითების მოკვეთასა და დაშავებას. ხელში მთელი მკლავი იგულისხმება თითების გარეშე. მათი ფუნქციების განსხვავებას ხომ ბიბლიაც აკეთებს: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რომელმან ასწავა ჴელთა ჩემთა ღუაწლი და თითთა ჩემთა – ბრძოლა“ (ფსალმუნნი 143.1).

ქართული ჩვეულებითი სამართალი ხელის თითების საზღაურს მკვეთრად განასხვევებს ფეხის თითების საზღაურიდან. ფეხის თითები ნაკლებად ფასობს. ასეთ მიდგომას ამჟღავნებს ამ საკითხისადმი ვახტანგ VI სამართლის წიგნის 46-ე მუხლიც. აქ ხელის ერთი თითი ფეხის ორ თითად ფასობს: ფეხის თითისთვის „ნახევრის ჴელის თითის სისხლი ადინეთო“ – მოითხოვს ვახტანგის სამართალი.

ქართულ სინამდვილეს იმის კვალობაზე თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი, ხელის ცალკეულ თითებზედაც შეუმუშავებია ნიხრი. „ძეგლის დადების“ 37-ე მუხლს: „კაცმან თუ კაცს ცერი მოჰკვეთოს, ანუ დაუშავდეს, ჴელის განაჩენით ნახევრის სისხლით დაიურვოს“, იმის გათვალისწინებით ცერი მარჯვენა ხელისაა თუ მარცხენასი. კანონი იქვე აგრძელებს რომ დანარჩენ თითებზე „ჴელის მესამედი სისხლი დაუურვოს.“ როგორც ჩანს ცერა თითი ძვირად ფასობს სხვა თითთა შორის.

რამდენად შეეფარდებოდა კანონის მოთხოვნა სინამდვილეს, XVI საუკუნის სასისხლო სიგელი პასუხობს: „ვინც ცერი ან სალოკი მოგკუეთოს, იგივე ნახევარი სისხლი დაგიურვოს.“[365]

ვახტანგის სამაართლის წიგნის მიხედვით ერთი ხელის სისხლი

[364] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 212.

[365] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 18.

მთელი სისხლის მესამედია. თითოეულ თითს, ამ მესამედის სისხლის მეხუთედი ერგება (45-ე მუხლი). აქ „ძეგლის დადებასთან“ შედარებით ვახტანგის სამართალს შეუმსუბუქებია სასჯელი, ასევე გაუუქმებია ცერა თითის ნახევარ სისხლად შეფასება. ვახტანგის სამართალი თითებს შორის რაიმე განსხვავებას ვერ ხედავს და ზემოთ დამოწმებული 46-ე მუხლი მხოლოდ ხელისა და ფეხის თითებს შორის განსხვავებულობაზე მსჯელობს.

როგორც სხვა ორგანოების დროს, – თუ არა მოკვეთის, ან ისე დაშავებისა, როცა ფუნქცია ეკარგება თითს, ნაწილობრივ მის დაშავებულობაზე კანონი არ მსჯელობს.

## §6. დამამახინჯებელი ჭრილობები სახეზე

ქართულ სამართალს ძველთაგან წარმოდგენა აქვს ისეთ დანაშაულებრივ ქმედობებზე, რომლებიც საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდნენ არა მატერიალური ზარალის მიყენებით, არამედ ზნეობრივი თუ ესთეთიკური თვალსაზრისით. მართალია ჩვენს სინამდვილეს პირველთან (ზნეობრივთან) დაკავშირებით მეტო ცნობები დაუცავს, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე არავის გაუხდია იგი კვლევის საგნად. რაც შეეხება მეორე რიგის საკითხს, იგი გულისხმობს იმ ხასიათის დანაშაულის ჩადენას, რომელიც სახის არეში ჭრილობის მიყენებაში გამოიხატება და სიმახინჯედ აღიქმება.

ჯერ კიდევ IX საუკუნეში მიუქცევია ყურადღება ბაგრატ კურაპალატის სამართალს „პირისა დაღის“ დასანახად უსიამოვნებაზე (124-ე მუხლი) და თვალის დაშრეტის თუ ფეხის ფუნქციის დაკარგვის მსგავსად ნახევარი სისხლი გაუჩენია მის საზღაურად.

„ძეგლის დადებით“ „ვისცა პირსა გერში აჩნდეს სადაღედ და ანუ ცხჳრნი მოეკუეთნეს“, ასეთი დაზიანების მიმყენებელმა სისხლის მეხუთედი უნდა დაუურვოს (32-ე მუხლი), ხოლო „თუ გერში სად საჩინოდ იყოს“, ისე რომ ამ ჭრილობით არც დაშავებოდეს პირს რაიმე და არც დააჩნდეს, სამი უარზანგობა და დოსტაქრისთვის წამლის ფასი გადახდება (32-ე მუხლი). ე. ი. ამ დროს ჭრილობა

მიყენებულია არა მაინცდამაინც სახის არეში, არამედ საერთოდ დასანახ სხვა ადგილას, რომლითაც ჯანმრთელობა არ შერყეულა და ნაჭრილობევიც გადავა.

ბექას სამართლის მე-5 მუხლიც სახეზე მიყენებულ ჭრილობას იხდის განსჯის საგნად, თუ „პირსა ნაკრავი იყოს და ესრე აჩნდეს, ათას ხუთასი თეთრი დაუურვოს“. აქ „აჩნდესში“ სიმახინჯის კვალი იგულისხმება. იქვე მომდევნო მუხლში (მე-6) უკვე ლაპარაკია არა სახეზე, არამედ საერთოდ გამოსაჩენ ადგილზე მიყენებულ ჭრილობაზე, რომელიც მართალია დამშავებელი (ჯანმრთელობის შემრყეველი) არაა, მაგრამ მაინც ტოვებს კვალს. ამ შემთხვევაში კანონი შუაკაცებს ავალებს საკითხის გადაჭრას და გადასახდელი საზღაურის რაოდენობასაც მათვე ანდობს.

მთელი ზემოთ მოყვანილი მსჯელობანი და სამართლის ნორმათა მოთხოვნანი დახვეწილად ჩამოაყალიბა ვახტანგ VI სამართლის წიგნის 48-ე მუხლმა. იგი აცხადებს: „წარბს ქუეით და ყელს ზეით თუ კაცმან კაცს ასეთი ჭრილობა დააჩინოს, რომე ძალიანად მოეკუეთინოს (გაეკვეთოს – მ. კ.), იმ ნაკვეთს ნეკი გამოევლებოდეს, ან სახიჩრად სახედველად დაღრეჯილიყოს და წაეჭდინოს, ან ყური გავარდნოდეს, ან ცხვირი გავარდნოდეს, – ამაების თვითო-თვითოსათვის ერთის ჴელის სისხლი გაუჩნდების.“

ქართულ საეკლესიო კანონმდებლობასაც („ბიჭვინთის იადგარი“) მიუქცევია ყურადღება სიმახინჯედ დარჩენილ ჭრილობაზე, რაც ასეა ჩამოყალიბებული: „ვინცა საყდრის ყმა დაკოდოს უდაღოსა ადგილსა, სამი გერში დაეურვოს, თუ დაღი დაასუას, მეთორმეტე სისხლისა დაეურვოს.“[366] აქ სიტყვებში „დაღი დაასვას“ დამამახინჯებელი ჭრილობა იგულისხმება. სწორედ ასეთ პირის დაღზეა („პირსა დაღი“), როგორც დამამძიმებელ სხეულის დაზიანებაზე, ლაპარაკი სიმონ I სასისხლო სიგელში (XVI ს.).[367]

სასამართლო პრაქტიკამ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატა დამასახიჩრებელი დაზიანების მკაცრად დასჯის საჭიროება, რაც 1793 წლით დათარიღებულ მდივანბეგთა განჩინებაში ასე ჩამოყალიბდა. მომჩივანმა განაცხადა: „თვალის კილო გამიწყდაო,“ სა-

[366] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 182.

[367] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 206.

სამართლომ ექიმებს შეამოწმებინა, წარმოადგენდა თუ არა დაზიანება სიმახინჯეს, რაზედაც ასეთი დასკვნა მიუღიათ: დაზიანება „სახიჩრად დარჩების.“[368]

დაღი – ნიადაგ დასაჩენი ჭრილობაა. იგი ორგვარი შეიძლება იყოს: საჩინო და უჩინო. საუკუნეების განმავლობაში დაღის ადგილის მიხედვით საზღაურის ოდენობა მეშვიდედიდან ნახევარ სისხლამდე აღწევს. ზოგშიც ჩვეულებრივ რამდენიმე ჭრილობად იანგარიშება იგი. სასისხლო სიგელებში ასე იკვეთება მათი ფიქსაცია: ა. ვინც „სადაღოდ დაკოდოს სამი გერში დაეურვებოდეს“ (XIII ს.).[369] ე. ი. გადახდეს ისე როგორც სამი ჭრილობაო. ბ. „საჩინო ადგილსა დაღი – ოცი ათასი დაუურვოს“ (XIV ს.);[370] „ვინცა სადაღოდ დაგკოდოს საჩინოსა ადგილსა, ექუსი ათასი დაგეურვოს;“[371] „ვინცა დაგკოდოს და საჩინოსა ალაგსა დაღი გაჩნდეს, მეშვიდედი სისხლი დაგიურვოს;“[372] სიგელებიდან კარგად ჩანს, რომ სამართალი ანსხვავებს დაღს საჩინო და უჩინო ადგილას – „უჩინო ალაგსა დაღი თორმეტი ათასი დაუურვოს.“[373]

როგორც კანონმდებლობითაა მითითებული, სიგელებითაც სახეზე წარუხოცელი ჭრილობაც შედარებით ძვირად ფასობდა, სწორედ ამიტომაც აცხადებს სასისხლო სიგელი (XIV ს.): „პირის დაღი“ ნახევარი სასისხლოა[374] ანდა თუ დაღი „უჩინარსა ადგილისა იყოს, მას გერში გაუჩინე.“[375]

---

[368] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 591.

[369] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 4.

[370] საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1909, 514.

[371] საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1909, 373.

[372] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 18.

[373] საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1909, 514.

[374] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 5.

[375] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 5.

## §7. უჩინარ ადგილზე მიყენებული ჭრილობისათვის

როგორც ზემოთ დავინახეთ სასჯელის განსაზღვრის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმას, როგორი იყო დაზიანების ხარისხი, არამედ იმასაც, სხეულის რა ნაწილზე იყო იგი მიყენებული.

ქართული სამართლის წიგნებს თავიდანვე მიუქცევიათ საგანგებო ყურადღება უჩინარ ადგილებზე მიყენებული ჭრილობებისათვის. ბაგრატის სამართლის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი ასეთია: ჭრილობა „თუ უჩინარსა ადგილსა იყოს, მას გერში მართებს.“ (125-ე მუხლი).

მეტად საყურადღებოა „ძეგლის დადების“ 38-ე მუხლის შინაარსი: „სადაც კაცი დაიკოდოს, ასრე რომე არა ჩნდეს ტანისა-მოსისაგან, არცა რა დაუშავდეს (არ შეერყეს ჯანმრთელობა – მ. კ.) თჳთოს დაკოდილობისათჳს თჳთო უარზანგობით დაიურვოს თავის გუარსა ზედა და დასტაქართა წამლის ფასი რაც გასვლოდეს, ისიც მისცეს.“ კარგად ჩანს რა დიდად განსხვავდება საზღაური, თუ ჭრილობა გამოსაჩენ ადგილზე არაა მიყენებული.

კიდევ უფრო კარგად ჩამოაყალიბა უჩინარ ადგილზე მიყენებულ ჭრილობასთან დაკავშირებული საკითხები ვახტანგ VI სამართალმა. იგი ამთავრებს რა სხვა ხასიათის ჭრილობებთან დაკავშირებით საუბარს, წერს: „ტანზედ, მკლავზედ, ბარკალზედ და წვივზედ თუ რასაც ალაგს კაცი დაიჭრას დაუშავებლად.....ის ჭრილობა ქერის მარცვლით გაზომონ, რამთენიც ქერის მარცვლის ზომა გამოვიდეს, მარცვალზე ერთი ძროხა გლეხისა არის,“ რომ თითო ძროხა ორ მინალთუნს ფასობს და აღნიშნულის კვალობით დაწყებული მსახურიდან დამთავრებული დიდებულამდის, გაკეთებულია სათანადო ნიხრი.

# თავი V. სოციალური მოტივები მკვლელობა-დაჭრისას ძველ ქართულ სამართალში

როგორც ყველგან, ისე ფეოდალურ საქართველოშიც სამართალი წარმოუდგენელია მიწის საკუთრება-მფლობელობით განპირობებული სოციალური მოტივების გათვალისწინების გარეშე.

თქმულიდან გამომდინარე ძველ ქართულ სამართალშიც სათანადოდ აისახა ფეოდალური საზოგადოების კიბურაზე მდგომ ადამიანთა განსხვავებული ღირსებანი და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

საქართველოში უმცროს-უფროსთა ურთიერთობის მკაცრი იერარქია იყო დაცული, ეს ითქმის როგორც ასაკობრივ, ისე გვარიშვილობისა თუ თანამდებობრივ უმცროს-უფროსობაზე.

რაოდენ შეუფერებლადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ასაკით უმცროს- უფროსობის პატივი ძალიან სცილდებოდა ერთი რომელიმე სოციალური ფენის სფეროს და ყოველთვის და ყველგან განსაკუთრებული პატივისცემით მოსავდა მხცოვან მოხუც ბრძენ კაცთ. არცთუ იშვიათად მეფეებიც კი პატივისცემით და რიდით ექცეოდნენ მათ და ძნელად გადასაწყვეტ უმნიშვნელოვანეს საკითხთა მოგვარებასაც კი ანდობდნენ.

როგორც ერთგანაც ითქვა, ასეთ მოხუც კაცებს კანონთა დამდგენ კომისიის შემადგენლობებშიც კი ვხვდებით. უმცროს-უფროსობაში უფროსზე მეტი პასუხისმგებლობა ჩანს, შედარებით უმცროსთან.

უმცროს-უფროსობის რიგის დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებს იოანე პეტრინიც, რომელიც მის მიერ თარგმნილ თხზულებაში ორიგინალიდან რამდენადმე გადახვევით წერს: „სადაცა უმცროჲსი და უფროჲსი იხილვების, მუნ ურიცხობასა და უსაზღვროობას ადგილი არა აქუს.“[376]

როგორც ჩანს, ქვეყანაში უმცროს-უფროსობის დაცვა გარანტია ყოფილა საზოგადოებაში სიკეთისა და უსაფრთხოების დაცვის.

---

[376] იოანე პეტრინის შრომები, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. 2, 1937, 191.

ქართულ სამართალში ყოველგვარი უმცროს-უფროსობა, მათი ურთიერთკავშირი და სამართლებრივი ურთიერთობანი დაუწერელი, ტრადიციული სამართლით წესრიგდებოდა. უდაოდ, აღნიშნულმა განაპირობა კანონმდებლობაში მათი სათანადო ასახვის შეუძლებლობა.

ქართული სამართლის წიგნებს, სისხლის სამართალში სოციალურ ფენათა განსხვავებულ დასჯასთან დაკავშირებით შემდეგი ნორმები დაუცავს:

„ძეგლის დადებით" – ჰეროვანის მიერ ჰეროვანის მკვლელობა სამი წლით „გარდახუეწას", სისხლის საზღაურს და მამულის სასეფაოდ დადებას ითვალისწინებს (მე-11 მუხლი), ხოლო თუ ხევისბერმა მოკლა ჰეროვანი, მკვლელი „მამულის ნდომისათვის" ერთი წლით იდევნება მამულიდან (მე-12 მუხლი).

ამავე სამართლის მე-13-14 მუხლებით ციხისთავის მკვლელობა უფრო მეტად ისჯება, ვიდრე ციხისთავად ნამყოფის.

მე-9-10 მუხლები კი არამარტო ხევისბერს იცავს თავგამოდებით, არამედ დამამძიმებლად მიიჩნევს მისი განაყოფის, გვარის და მოახლეთა სიცოცხლეზე ხელყოფასაც. სხვა ნორმებიც მრავლადაა, რომლებიც საკითხისადმი სოციალური მოტივით მიდგომითაა ჩამოყალიბებული.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი მოკლულ აზნაურთა შორის ახდენს დიფერენცირებას (პატრონთან კარგ დამოკიდებულებაში მყოფი, ტაძრეული, ციხოსან-მონასტროსანი, დიდმამულიანი), რომელთა მკვლელსაც მომეტებულად სჯის (მე-2 მუხლი). მესამე მუხლით კი პასუხისმგებლობაც კლებულობს იმის მიხედვით – დაემცრო თუ არა მოკლულის მამული, არის თუ არა იგი უციხო, უმონასტრო და ა. შ. ამ სამართლის წიგნში მსგავსი ხასიათის სხვა ნორმებიც მოიპოვება.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის რიგი მუხლები პასუხისმგებლობას განსაზღვრავს მიხდომა-აოხრების დროს მკვლელობადაჭრაზე და მიზანშეწონილად მიიჩნევს განაცხადოს: „თუ ამგვარი საქმე უმცროსს უფროსმა კაცმან უყოს, დათმობა მართებს", ხოლოთ თუ არ დაუთმოს დაზარალებულმა და მოკლას მიმხდომი „უფროსი კაცი" მიხდომად არ იანგარიშება და მთელი სისხლი უნდა

აანაზღაუროს დამხდომმა „ამიტომ რომ უფროსობის პატივი არ დაუც.“ (56-ე მუხლი).

ისევ უბრუნდება რა კანონით „უნცროს უფროსობის“ პატივის დაცვის საკითხს, სატანჯველით და „უპატიურად“ მკვლელობასთან დაკავშირებით, აცხადებს: თუ ასეთი დანაშაული „უმცროსს უფროსისათვის უქნია, ის უფრო მძიმეა, და თუ უფროსს უმცროსისათვის უქნია, ის უფრო სუბუქია“ (61[1] მუხლი).

კანონი არ კმაყოფილდება „უფროს-უნცროსობასთან“ დაკავშირებით ზოგადი გამონათქვამებით და პირდაპირ მიუთითებს: „თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს.“ (75-ე მუხლი).

„უმძრახ“ კაცთა შეხვედრისა და რომელიმე მათგანის მიერ გზის აქცევით მკვლელობა-დაჭრის თავიდან აცილების მიზნით კანონი აწესებს: „გზის დაგდება, რომელიც გვარით უმცროსი არის, იმას მართებს. თუ გვარით სწორნი არიან, რომელიც დღით უმცროსი იყოს, იმან უნდა დაუგდოს.“ (76-ე მუხლი).

ყველაზე მეტ მასალას მაინც ამ მხრივ ვახტანგ VI სამართლის წიგნი შეიცავს. სხვას რომ თავი გავანებოთ სპეციალური კარია „სისხლის განჩინებაზე“ (17-49 მუხლები), რომლის ერთი ნაწილი მიძღვნილი მკვლელობა-დაჭრისადმი თავ-თავის ადგილას განვიხილეთ. კანონი მკვლელობა-დაჭრის დროს სპეციალურად ჩამოთვლის თუ რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლის სისხლი როგორაა შეფასებული (26-33 მუხლები). ცხადია, ეს ცხრილი უპირატესად მკვლელობა-დაჭრის დროს გამოიყენებოდა.

გამოყოფითაა მსჯელობა ჭრილობის საზღაურზე, იმისდა კვალობაზე, თუ ვინაა დაჭრილი. აქ ჭრილობის საზღაური განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რა ზომისაა იგი ქერის მარცვლებში გამოხატული. კანონი აცხადებს: „მსახურის ქერის მარცვლის ჭრილობაზედ – ოთხი მინალთუნი; ცალმოგვს აზნაურზედ – რვა მინალთუნი, შუას აზნაურზედ – თექუსმეტი მინალთუნი, დიდს აზნაურიშვილზედ – სამი თუმანი და ორი მინალთუნი, დაბალს თავადზედ – ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი, შუას თავადზედ – თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი, დიდებულზედ – ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი“ (49-ე მუხლი).

ფრიად საყურადღებოა ვახტანგ VI სამართლის წიგნის 95 და 258-ე მუხლები. ამათგან პირველი მიძღვნილია ბატონის მიერ თავისი ყმის მოკვლისა, დაჭრისა თუ გახეიბრებისათვის. მეორე კი პირიქით, როცა ყმა ჩადის მსგავს სიავეს.

ეს ორი მუხლი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნორმებს წარმოადგენენ და არავითარ შემთხვევაში ერთმანეთის განმეორებას, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი.

95-ე მუხლი მრავალი ნაწილისაგან შედგება: თავდაპირველად ნათქვამია, რომ ბატონს არ შეუძლია მოკლას ან გაახეიბროს თავისი ყმა და თუ ასეთს ჩაიდენს, იგი მეფისა და კათალიკოსისაგან მოიკითხების, რომ ყმის მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რაც მის სიკვდილით დასჯას, ან გახეიბრებას იმსახურებს, ხელმწიფეს უნდა მოხსენდეს და მისი თანხმობის შემდეგ მოხდეს სასჯელის შეფარდება.

კანონი იქვე დასძენს: მიუხედავად შეზღუდვისა, ბატონმა თუ მაინც ჩაიდინა სიავე („მიუხდეს და ქნას“) ყმამ თავი უნდა შეიკავოს საპასუხო მოქმედებისაგან.

ბატონის მიერ ყმის „უბრალოდ“, ან ფათერაკით მოკვლის შემთხვევაში, საქმე ბატონის მიერ საფათერაკოს გადახდით მთავრდება, მაგრამ, თუ ბატონმა უბრალოდ (უდანაშაულოდ) მოკლა ყმა, ხოლო მისმა ოჯახის წევრებმა ისევ ინდომონ მის ყმობაში დარჩენა, ოჯახი დარჩება თავის მამულზე და ბატონისაგან მკვლელობისთვისაც მიიღებენ სისხლის ფასს, ხოლო თუ მკვლელი ბატონის ყმობას არ ისურვებენ, თავისუფლდებიან მისგან და ვისაც აირჩევენ იმას მიუვლიან ყმად. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს საკითხი არ დგება ბატონის მიერ მოკლული ყმის სისხლის გადახდაზე. სწორედ სისხლის საზღაურის მიუცემლობა ათქმევინებს კანონმდებელს: ყმას „თავისი სისხლით დაუწსნია თავისი თავიო“ (95-ე მუხლი).

ასევე შეუძლია მოიქცეს გახეიბრებული ყმაც, რომელსაც თუ სურს თავისი სისხლის ფასად გაეცლება ბატონს და იმას მიუვა ყმად, ვისაც თვითონ აირჩევს.

ახლა ვნახოთ რას გვაუწყებს 258-ე მუხლი: თუ ვინმე თავის ბატონს მოკლავს ან დაჭრის, მოკვლის და დაჭრის „სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის რომე ყმისა ყუელა ბატონისა არის, რას მის-

ცემს“. სამაგიეროდ „ჴელმწიფემ და მოსამართლემ ისეთი წიგნი უნდა მისცენ ბატონს, რომ ამ ყმამ თავი ვერ დააღწიოს ბატონყმობის უღელს.

იქვეა დათქმა: ბატონმა თავი ისე არ უნდა წარმოიდგინოს რომ მკვლელი ან დამჭრელი ყმის მიმართ განუსაზღვრელი უფლება გააჩნდეს. პირიქით, იგი ხელწერილს დებს მეფის წინაშე, რომ: „უჴელმწიფოდ ვერც მოკლას და ვერც გაახეიბროს“ დამნაშავე და მისი ოჯახის წევრები.

სოციალური უფსკრული ჩანს ყმასა და ბატონს შორის კანონმდებლის შემდეგი განცხადებიდან: იქნებ ყმას შეეძლოს სისხლის გადახდით გამოისყიდოს თავისი დანაშაული, მაგრამ ასეთ მოქმედებას „სისხლის მიცემა არ უნდა დაერქოს“. მიზანი ისაა, რომ იმის წარმოდგენაც საძნელოა, რომ ყმას შეეძლოს ბატონის მოკვლა და თავისი სისხლით ბატონის სისხლის გამოსყიდვა. თუ ისე მოხდა, რომ სასამართლოს მიერ საქმის გარჩევის შემდგომ ბატონმა ყმა მაინც მოკლა, ან გაახეიბრა (და არა დაჭრა), მაშინ სამართალი ყმის ოჯახს ათავისუფლებს ყმობიდან.

მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს როგორი საკომპრომისო გზების ძებნის მცდელობაა იმისათვის, რომ დაცული იქნას, როგორც ბატონის, ისე ყმის უფლებები.

ვახტანგის სამართალში არის ერთი მუხლიც (56), რომლითაც სოციალურად „უმცროს“ კაცს ურჩევს მიხდომის დროსაც კი არ მოკლას ან დაჭრას „უფროსი“ („დათმობა მართებს“) და თუ მაინც მოკლავს მას, მთელ სისხლს მისცემს. ეს უპრეცედენტოა, როცა მიმხდომის მოკვლისათვის ისჯება დამხდომი.

გვერდს ვერ ავუვლით ერთ დოკუმენტსაც, რომლიდანაც კარგად ჩანს დაბალი სოციალური წარმომადგენლისაგან სისხლის საზღაურის მიღების შეურაცხმყოფლობა. სასამართლოს დაზარალებულთან შედარებით უფრო დაბალი გვარიშვილობის დამნაშავისათვის სისხლის საზღაურის გადახდა დაუვალებია, მაგრამ, „რადგან გოგნიასშვილი (დამნაშავე – მ. კ.) დაბალი კაცი (დაბალი გვარიშვილობისა – მ. კ.) იყო, ეს სისხლი რომ დაადვეს, ექვსი ათასი თეთრი – ამ ჯანდიერისშვილებმა გამორთმევა არ იკადრეს.“[377]

[377] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 357.

ეს ალტერნატიული სასჯელი თვად სასამართლოს განუსაზღვრავს იმ მოტივით, რომ გოგნიაშვილი ხელმოკლეობის გამო სისხლის საფასურს მაინც ვერ გადაიხდიდა და თუ ჯანდიერისშვილები არ იკადრებდნენ საზღაურის გამორთმევას, მაშინ: „ნიფხვითა ოდენ გაშიშვლებულად ზოლოთა შვიდთა ბიჯთა ჩაათრიონ და მის კაცისა (დაზარალებულის – მ. კ.) მეჴრემან სამი შოლტი უნდა ამოკრას, საწბილო არს ხალხში. ეს ორში ერთმანერთის ნებით რომელიც უნდა ირჩიონ. გოგნიასშვილმა თუ ეს სასირცხო სამართალი ირჩიოს, ჯანდიერისშვილები მიყვნენ, რადგან დაბალი კაცი არის და სისხლის მიცემა არ შეუძლიან.“[378] როგორც ჩანს, აქ ბექას სამართლის წიგნის მე-13 მუხლის მომარჯვებით წყდება საკითხი.

სასამართლო პრაქტიკა სოციალურ კიბურაზე მდგომ ყველა წოდების სისხლის ფასს იცნობს. ზოგჯერ პრივილეგირებულ ყველა ფენის წარმომადგენლის სისხლს ერთი სახელწოდებით – „საბატიოს კაცის შვილების“ სისხლად იხსენიებს.[379] ჩანს ისიც რომ, გლეხთა შორის ურთიერთობის მოგვარება უფრო მარტივი და უბრალოა. სწორედ ამიტომაც წერს ერთ განაჩენში ბატონიშვილი ვახტანგი: არა უშავს, „ორნივ გლეხი კაცნი არიან, ორნივ სწორენი და მეზობელნი ერთმანეთისანი“ მორიგდებიან ერთმანეთშიო.[380] ცხადია, უპირატესად ჩვეულებითი სამართლის ნორმებით მორიგების შესაძლებლობა იგულისხმება.

როგორც ითქვა, მოდავე მხარეთა შორის სოციალური განსხვავებულობის ძირითად ნიშნებს შეიცავენ მომჩივან-მოდავეთა გვარიშვილობა და თანამდებობანი.

ერთ-ერთ დოკუმენტში ერეკლე წერს: დამნაშავეს სისხლის ფასი გაუზარდეთ იმიტომ, რომ მის მიერ დაჭრილი კაცი „ჩემის შვილის გიორგის შიგამდეგი არისო.“[381]

დაჭრის დროს გვარიშვილობის მიხედვით სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებით სასამართლო წერს: ამ დროს საზღაური

---

[378] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 356.

[379] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 668.

[380] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 586.

[381] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 441.

„გვარისშვილობის რიგზე იანგარიშებაო.“[382]

მოგვეპოვება დოკუმენტი, რომელშიც ჩაწერილია, რომ დაზარალებული პრივილეგირებული გვარის შვილიცაა, სახლთუხუცესიც, სახელოც უპყრია, ამიტომაც მისმა დამზარალებელმა „გვარისა და სახლთხუცესობის სისხლი“ ორივე უნდა მისცესო დაზარალებულს.[383]

მითითებულ საკითხთან დაკავშირებით დავით ბატონიშვილის კანონპროექტი იუწყება, რომ გაულავახი მეფის იასაულის გამლახველმა ან უნდა „მარჯვენა მოაკვეთინოს“ სამართალს ან „მარჯვენა ჴელის ფასი წაერთვას“ (მე-13 მუხლი). მსგავსი შინაარსის მუხლებია შეტანილი ამავე ავტორის მიერ შედგენილ მიმოხილვაშიც.

„ხელის მოკვეთა“ სიმბოლური ხასიათისაა. ასეთი რამ ამ ეპოქის საქართველოში არც გვხვდება და მსგავს შემთხვევაში ყოველთვის ხელის სისხლის ფასი გადახდებოდა დამნაშავეს.

ამავე პროექტშივე ბატონს ეკრძალება ყმის დაშავება, რისთვისაც იგი დაჯარიმდება და ყმაც ჩამოერთმევა (104-ე მუხლი). როგორც ჩანს საუკუნის ბოლოს ბატონყმური უღელი შემსუბუქების ტენდენციას ამჟღავნებს.

რა თქმა უნდა, მოტანილი მასალები როდი ნიშნავს, რომ გამორიცხული იყო ცალკეული შემთხვევა, როცა ანგარიში არ ეწევა სოციალურ მდგომარეობას და მეტ-ნაკლები განსხვავებით ზოგიერთ დანაშაულზე ერთნაირად არ აგებდეს პასუხს ყველა პიროვნება.

სოციალურ მოტივებთან დაკავშირებულ საკითხებზე შიგადაშიგ იპოვის მასალას საკითხით დაინტერესებული პირი.

---

[382] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 259.

[383] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 229.

# თავი VI. ცემა როგორც დანაშული ძველ ქართულ სამართალში

## §1. ცემის როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება

ცემის დასჯადობა და მისი ადგილი დანაშაულთა სისტემაში იმის მიხედვით განისაზღვრება თუ როგორია ამა თუ იმ ხალხის დამოკიდებულება ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვისადმი.

სამართლის ისტორიის გადასახედიდან უმრავლეს სახელმწიფოებში ცემა იმდენად იქცევდა კანონმდებლის ყურადღებას, რამდენადაც ჯანმრთელობის დაკარგვასა თუ სიცოცხლის შეწყვეტასთან იყო დაკავშირებული.

საქართველოში ცემა მუდამ ღირსების და პატივის უხეშ ხელყოფად იყო მიჩნეული. სწორედ ამდენად, ვერ მოიკიდა ჩვენში ფეხი და ვერ შეეგუა ქართველი კაცის ბუნებას სასჯელის ისეთი სახე, როგორიცაა გაროზგვა.

ქართულმა კანონმდებლობამ კარგად გაარკვია თავისი პოზიცია ცემის, როგორც მძიმე დანაშაულისადმი, როცა მცემელის დასჯასთან დაკავშირებით ჩაწერა, რომ ნაცემი „ნიადაგ პირშავად და აუგიანად იქნების კაცთა გვერდსა.....“ (ბექა-აღბუღას სამართალი, 18-ე მუხლი).

ქართველი კანონმდებელი უპირატესად მორალური და ზნეობრივი პოზიციებიდან იბრძოდა ამ ღირსების დამდაბლებელი მოქმედების წინააღმდეგ და ამავე თვალთახედვით აწესებდა ეგზომ მკაცრ სანქციებს. ბაგრატის სამართლის წიგნის 126 მუხლით: „თუ ჴელდაჴელ გარჯილიყოს და სცეს, სისხლისა ნახევარი დაუურვო.“ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით კი, თუ ვინმემ თავისივე მამულში დაიბრიყვოს ვინმე – ცემოს და წინა გაიგდოს ნახევარი სისხლი უნდა დაუურვოს (მე-18 მუხლი).

ასეთ დანაწესთან ანალოგიას უნდა ვპოულობდეთ XV საუკუნის ერთ სასისხლო სიგელში: ვინც სიგელის მიმღების „გუარის კაცს სცეს ანუ მჯიღით, ანუ ქუსლით, ანუ არგნით, სისხლის ნახევარი დაგიურვოს.“[384]

[384] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 61.

ვახტანგ VI სამართლით ნახევარი სისხლია განწესებული ასეთი მოქმედებისათვის (61-ე მუხლი), ე. ი. სიცოცხლის საზღაურის ნახევარის გადახდა ცემისათვის. კიდევ უფრო თვალსაჩინოდ რომ ითქვას ნახევარ სისხლად იყო შეფასებული ორივე ხელის, ან ორივე ფეხის, ან ორივე თვალით დაბრმავება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით.

თუ ოდესმე ნაშრომი დაიწერება ქართველი კაცის ზენობრივ პოზიციებზე, რაც მის დიდსულოვნება-თავმოყვარეობასა და ქედმოუხრელობაზე იყო დამყარებული, იმ პატარა დეტალის გარკვევითაც, რომ იგი ასე ადვილად არ „დაირტყამდა მათრახს“ და ცემა მიაჩნდა ღირსების ეგზომ დამამცირებლად – ესეც გარკვეულ ადგილს დაიჭერს.

ბექა-აღბუღას სამართლის მიერ ცემის როგორც დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნორმის შემუშავება, სულიერი გამოძახილი იყო წარსული პერიოდიდან. ამ გადაძახების წყალობით ოთხი საუკუნის შემდეგ შედგენილმა ვახტანგის სამართლის წიგნმა თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაწერა ეს მუხლი (61-ე მუხლი). ამ მუხლებში მართალია პიროვნების ღირსების დამამცირებელ სხვა მოქმედებებთან გვაქვს საქმე, მაგრამ უპირატესი მაინც ცემაა.

ცხოვრებაში ფეხგადგმული იყო ცემის უდიდესი ბოროტება, რაც უპირატესად ღირსების შელახვის აზრით სიკვდილს უახლოვდებოდა. ეს კარგად ჩანს დარეჯან დედოფლისადმი მირთმეული ერთი საჩივრიდან (1797 წ.), რომელშიც ორჯერ ნაცემი კაცი წერს იმათ „ორჯერ მოუკლავარო.“[385]

ცემა კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ყოფილა ჩადენილი სოციალურად ზემდგომისადმი, სწორედ ამიტომაც ვახტანგ VI სამართალი აცხადებს „თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი კრას ან ჴელით სცემოს, ჴელი მოკუეთოს ან იმ კაცის ჴელის ფასი წაერთოს.“ (259-ე მუხლი).

ხელის მოკვეთაზე ლაპარაკი XVIII საუკუნეში რა თქმა უნდა ზედმეტია, მაგრამ მკაცრად რომ დაისჯებოდა ყმა ცხადია. ცხადია ისიც, რომ ბატონი მცემელის მიმართ სიკვდილით დასჯას ვერ

[385] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 448.

გამოიყენებოდა.

ამავე სამართლის 91[1] მუხლი სხვა „უპატიურ“ მოქმედებებთან ერთად ცემის საკითხიც გულისყურით უნდა გაარკვიოს სასამართლომ.

ზემოთთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ თვით ბატონს ჰქონდა უფლება ეცემა თავისი ყმა. სწორედ რომ არა. იოანე ბაგრატიონი ფოტოგრაფიული სიზუსტით ცდილობს რა აღწეროს XVIII საუკუნის სინამდვილე, თავის კალმასობაში წერს: „ჩვენ გლეხს რომ ჯოხი ურტყას ვინმე თავისმან უფროსმან, უნდა მოკლას მაშინვე მან კაცმან (გლეხმა – მ. კ.), რომ აქოს ქვეყანამ მისი მამაცობა.“[386]

სასტიკად იგმობა ცოლის მიერ ქმრის ცემაც. ასეთ ქალს „დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან.“ (ვახტანგის სამართლის წიგნის 65[1] მუხლი).

ერთადერთი შემთხვევა როცა ცემა მოსათბენია, ესაა შვილების დასჯა მშობელთა მიერ. კანონის მოსაზრებით ასეთ მოქმედებას მამა „უამებლობისათვის უზამს (შვილს – მ. კ.) და ან სწავლისათვის. მამის უამებლობა შვილისაგან არა ჴამს“, ხოლო თუ პირიქით შვილი ცემს მამას „იმას ავად მოპყრობა უნდა, ამიტომ [რომე] მეათე მცნება მამისა და დედის პატივის-დება არის“ (ვახტანგის სამართლის წიგნის 78[1] მუხლი).

სასამართლო არკვევდა რაოდენ შეირყა ცემით დაზარალებულის ჯანმრთელობა. სწორედ ამიტომაც წერს იგი ცემის შედეგად: „ფერდის ქარის დაძვრას რომ ჩივის“ დაზარალებული, თუ მართლაც „ამ ჩხუბის მიზეზით ფერდის ქარი ჩამოუვიდეს და დასნეულებული შეიქმნას,“ რასაც კანონი გადაწყვეტს, ის მიეცესო.[387]

ტერმინი ცემა იმ შინაარსით, როგორც დღეს გვესმის უძველესი წარმოშობისაა. მას იცნობს ბიბლია და პირველი პერიოდისავე მთელი ქართული დამწერლობა. ცემა სიტყვა გვემასთან ერთად ხშირადაა დამოწმებული ახალ აღთქმაში.[388]გვემა ცემასთან შედარ-

[386] იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედქციით, 1948, 139.

[387] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 38.

[388] სიტყვა „ცემა“ ფართო გაგებითაც გამოითქმოდა, რაშიც იმას ვგულისხმობთ, რომ იგი შეიძლებოდა სოფლის და ქვეყნის მიმართაც თქმულიყო. ასე მაგალითად, დოკუმენტში ვკითხულობთ: მტრებმა „დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა...

ებით ტანჯვა-წამებითი შინაარსითაა გამდიდრებული.

XVIII საუკუნიდან ცემის შემცვლელად იხმარება „გალახვა“. გალახვა ქართული საკანონმდებლო ტერმინი არაა. პირველად იგი გამოყენებულია XVIII საუკუნის დასაწყისში სომხურიდან თარგმნილ სომხური სამართლის ქართული ვერსიის, კერძოდ, სირიულ-რომაული სამართლის 88-ე მუხლში: თუ ძმის ცოლი „ეცემოს და ავად გაელახოს“, ასევე 25-ე მუხლში: ვინც სხვის კაცს მიიღებს თავის ჯარში „გაილახოს ჴელმწიფეთაგან იგი თავადი.“ სომხური სამართლის ქართულ ვერსიაში შემავალი „მხითარ გოშის სამართლის“ თარგმანშიც ვხვდებით აღნიშნულ ტერმინს. მაგალითად, 188-ე მუხლში: მოსამართლემ თუ სამართალი გაამრუდოს „გაუწყრენ და გალახონ, და გაიშოროს კარისაგან“; 280-ე მუხლით: „რომელიც იყოს ღირსი ცემისა, გაილახოს“. საეჭვოა, რომ აქ გალახვა ცემის სავსებით იდენტური იყოს. თანამედროვე სალაპარაკო ენამაც ხომ შემოგვინახა ასეთი გამოთქმა: „ღვინომ გალახა ეს კაცი“, „ავადმყოფობის შემდეგ გალახულია“ და ა. შ. ასე რომ თარგმანში დამოწმებული სიტყვა „გალახვის“ შინაარსი არ ემთხვევა შემდგომ პერიოდში ჩვენამდე მოღწეულ სიტყვის შინაარს.

გალახვაზე ეგზომ დიდი ოდენობით საჩივრები იმის მაუწყებელიცაა რომ ის რეაგირების გარეშე არ რჩებოდა, რასაც დაზარალებულისათვის გარკვეული საზღაურის მიღების აუცილებლობაც განაპირობებდა („ორი შვილი გაიმლახეო,“[389] „დალახეს, იარაღები აჰყარეს“[390] და სხვა).

ცემა ხშირად **ჩხუბს** მოჰყვებოდა ხოლმე. ძველქართული დამწერლობის პირველ პერიოდში სიტყვა ჩხუბი არაა დარეგისტრირებული, მას არ იცნობს ვეფხისტყაოსანიც.

ჩხუბი საბას განმარტებით „ორთ მოყვარესთ შუა შფოთის გაშლად“[391] არის წარმოდგენილი, ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით

---

იქიდამ დაუწყეს ცემა ქვეყანასა ქართლისასა... “ (პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, 1981, 110, 138).

[389] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 668.

[390] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 683.

[391] ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993, 328.

„შულღი, აშლილობა, კინკლაობა“. როგორც პირველს, ისე მეორე ლექსიკოლოგს ზოგადად ჩხუბის ასეთი განმარტება დაეჯერებათ, მაგრამ მათ წინააღმდეგ მეტყველებს XVIII საუკუნის ცხოვრებისეული ვითარება. მომჩივანი წერს: „ჩემს ყმას იმერელს ჩხუბი უყოო. ბევრი სცაო და მოკუდაო.“[392] აქედან ჩანს რომ დაზარალებული არც „მოყვარეა“ დამნაშავის და არც კინკლაობაა.

ჩხუბს მოჩხუბართა შორის უხამსიტყვაობა ახასიათებს („ამგვარს ჩხუბში ერთმანეთის ლანძღვა-გინება ბევრი იქნებაო.“)[393] სწორედ გინება ედება საფუძვლად დანაშაულის ჩადენას. ისიც კარგად ჩანს ერთი განაჩენიდან: ძაღლი მოუკლეს „კარზედ“ დაზარალებულს, რომელსაც „შემოეგინებინა, აქ კარზედ რატომ მომიკალიო. ეს გინება გოგნიაშვილს წყენოდა, ჴმალს ჴელი გაეკრა და შეეტივნა.“[394]

ჩხუბის დროს, ცხადია, დაწყებული გინებიდან დამთავრებული მკვლელობით ყოველგვარი სიავე იყო მოსალოდნელი. ისიც სათქმელია, რომ შესაძლებელია ჩხუბი სიტყვიერი გინებით დაწყებულიყო და დამთავრებულიყო.

სასამართლოს მიერ ვითარების გარკვევის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თუ ვისი მიზეზით დაიწყო ჩხუბი. სასამართლო წერს: რადგან „ჩხუბის მიზეზი შექმნილიყო (მომჩივანი – მ. კ.), ცხვირის დაჩეჩქვისა და თვალების ჩასისხლიანების სისხლი ამაში ჩაუტარეთო“.[395] როგორც ჩანს, ჩხუბის დამწყები სერიოზულად იდევნებოდა კანონის მიერ.

ქართული სამართლით გინებაც პასუხისმგებლობას იწვევდა. მით უფრო, თუ მაღალი სოციალური წარმოშობის იყო შეგინებული. ბიჭვინთის იადგარი მკაცრ სასჯელს აწესებს ვინც „კათალიკოზსა აგინოს ანუ საცემრად წაიზიდოს,“[396] გინებისათვის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული დავით ბატონიშვილის სამართლის

[392] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 88.

[393] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 137.

[394] ქართული სამართლის ისტორია, ტ. IV, 355.

[395] ქართული სამართლი ძეგლები, ტ. VI, 38.

[396] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 180.

წიგნის პროექტითაც („უპატიოდ აგინოს“[397]).

სასამართლო ითვალისწინებდა რა გინების, როგორც დანაშაულის გამომწვევი მიზეზის პირობას, წერდა: დამნაშავე უფრო მკაცრად დაისჯებოდა დაზარალებულის „ისე მძიმეთ გალახვისათვის, მაგრამ რადგან ამ დემეტრეს ცოლს პირში ასე ავათ უგინებია, იმ გინებისათვის თოთხმეტი თუმანი მოუჭერით“ (მოუკელით საზღაურზეო).[398]

ქართული სამართალი ყურადღებას ამახვილებდა ჩხუბის დაწყების მომეტებულად დასჯის მიზანშეწონილობაზე. სწორედ ამიტომაც წერს: ვინც „ჩხუბს აშლის და მიზეზი შეიქნების“ ფიზიკური დაზიანებისა „იმისი სისხლი ნაკლებია“ (ვახტანგ VI სამართლის წიგნი, 81-ე მუხლი), ე. ი. მას სხეული თუ დაუზიანდეს ნაკლებად აუნაზღაურდება. ჩხუბის დამწყებმა სხვას რომ მიაყენოს დაზიანება, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით კანონი დუმს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ჩხუბი მან დაიწყო, ე. ი. სხვა მოჩხუბრებს უმსუბუქდებათ მდგომარეობა, მას კი სხვის მიმართ არ უმძიმდება.

ქართულ სამართალს გააზრებული აქვს გალახულობიდან გარდაცვალებამდე რა დრო უნდა გავიდეს, რომ იგი არ ჩაითვალოს მკვლელობად. მივყვეთ განაჩენის შინააარს: „მამაცაშვილი პეტრე ჩიოდა: ჩემს ყმას იმერელს ჩხუბი უყოო, ბევრი სცაო და მოკუდაო. სამართალს ვითხოვო. ამის პასუხს ბერუა მიუგებდა: მართალია, ჩხუბი მოგვივიდაო, მაგრამ ჩემის ნაცემობით არ მამკუდარაო, ათი დღე იცოცხლა, კარგად იყო და შემდეგომად ავად გახდა და მოკუდაო.“[399] რადგან პეტრემ ორი „სარწმუნო მღვდლისა“ და „სხვათ ათის-თორმეტის რუისელის კაცის“ მოწმობა მოიტანა, ხოლო ბერუამ – ვერცერთის, – იგი გამტყუნდა და სისხლის ფასი დაეკისრა.

---

[397] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 199.

[398] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 400.

[399] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 88.

## §2. სასულიერო პირის გალახვა

როგორც საეკლესიო, ისე საერო სასამართლო განსაკუთრებით იცავს სასულიერო პირთ, იცავს მათ როგორც მგინებელთაგან, ისე ყოველგვარი ხელყოფისაგან. ასე მაგალითად, თუ საერო პირთა შორის ცემა, თუ მას სისხლი არ მოჰყვა, არცთუ ისე მკაცრად ისჯებოდა, ბიჭვინთის იადგარით: „ვინცა რომელსა გინდა ძმათაგანს სცეს.....ექუსი გლეხი საყდარსა დაეურვოს და ორასი ათასი“ ნაცემს (მე-8 მუხლი).

ერეკლე მეორის სასულიერო განჩინებით განისაზღვრება ისიც, თუ ვინ განიხილავს საერთოდ სასულიერო პირთა შორის წამოჭრილ დავას: თუ ხუცესს გაუტეხს ვინმე თავს ან გალახავს, საქმეს საერო სასამართლო განიხილავს, ხოლო „თუ ჯუცესმა გალახოს ვინმე და ან გაუტეხოს, იმისი სამართალი ბოდბელმა უყოს; ბატონს საქმე არა აქვს, არც მოურავს.“[400]

## §3. ჯოხით ცემა

ცემა მრავალგვარი იყო იმისდა მიხედვით, თუ სად, სხეულის რომელ ადგილას სცემდნენ და რით სცემდნენ. ხელით (მჯიღით) ცემასთან შედარებით უფრო მკაცრად განისჯებოდა ხმლით და ჯოხით ცემა. ხმლით ცემაზე რაიმე ხელშესახები ცნობები სასამართლო პრაქტიკას არ შემოუნახავს, ჯოხით ცემაზე კი გვიქმნის წარმოდგენას.

ჯოხით ცემა დანაშაულიც იყო და სასჯელიც. ჯოხით ნაცემობაზე შიგადაშიგ წინაც მივუთითეთ სხვა საკითხების განხილვისას, ამდენად ამჯერად მხოლოდ ისეთ მდგომარეობაზე გავშლით მსჯელობას, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა აქვს ჯოხის ცემის რაობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ჯოხით ცემა ზოგჯერ გარედან არ უქმნიდა თითქოს საშიშროებას სიცოცხლეს. აკი თვითონ დაზარალებული მხარე ასე პასუხობს მოპასუხეს: „ჩუენს ძმას ეზიას და თქუენს მსახურს ლეკს ჩხუბი გამორეოდა. ლეკს ჩვენის ძმის ეზიასათვის ჯოხი გარდეკრა.

[400] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 412.

იმ საბაბით ეზია ერთ თვეს უკან მოკუდა."[401] ანდა სასამართლოს განჩინებაში ასეა გადმოცემული შვილმოკლული დედის ნალაპარაკები: „ელისბარმა ჯოხით მრავალი სცაო, ურემზე დაუსვეს და შინ ძლივ მოაწევინეს. დაწვა და მეხუთე დღეს მოკვდა," ელისბარიც პასუხობს: „ჩემი აზნაურიშვილი იყო, გამაჯავრა და ორიოდე წკეპლა გადავჰკარ, **იმით როგორ მოკვდებოდა.** სნეულება შეეყარა და იმან მოკლაო".[402]

აქ მთავარი ისიცაა რომ მიუხედავად პატრონყმობისა ძველ საქართველოში ბატონს არ ჰქონია ყმის ცემის უფლება, მით უფრო ისე ცემისა, რაც ეგოდენ მძიმე შედეგს გამოიწვევდა. სწორედ ამიტომაა რომ ამ საქმეს ბატონიშვილის დავალებით საქართველოში ყველაზე კვალიფიციურ მსაჯულთ შეკრებულება არჩევს, რომელშიც სამი ცნობილი მდივანბეგი, მათ შორის სოლომონ ლიონიძეც მონაწილეობს.[403]

ალბათ ჯოხით ცემის საშიშროებამ განაპირობა ის, რომ როგორც ადრე ითქვა, სამართლის წიგნიც აღიარებს და სასამართლო პრაქტიკაც მისდევს მის კვალს, რომ „ჯოხით გაჭრილი ჴმლის გაჭრილის ნახევარზედ უნდა ჩავარდეს."[404]

ამ განაჩენთან დაკავშირებით ერთი რამეცაა აღსანიშნავი. განაჩენი 1787 წლით თარიღდება. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ სპეციალური კომისიის მიერ შეკრებილი ჩვეულებითი სამართლის კრებულის (1813 წ.) 71-ე მუხლის განაცხადი: „მებატონე თავად-აზნაურნი ოდესაც შეცოდებისათვის თავიანთ ყმათ გაუწყრებოდნენ, გარდაახდევინებდნენ ჯარიმით და ჯოხის ცემითაც"[405] – როგორც ჩანს მოტანილ შემთხვევაში მებატონე ელისბარს უფლება ჰქონდა ეცემა თავისი ყმა. სამართლის ეს მოთხოვნა უპირატესად იმისათვის იწვევს ეჭვს რომ ჩვენამდე მოღწეულ უამრავი განჩინებიდან (მათ შორის ყმაზე) ოდნავადაც არ გამოკრთის იმის მასალა რომ მებატონეს ჰქონებოდეს აღნიშ-

[401] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 139.

[402] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 376.

[403] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 377.

[404] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 590.

[405] ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, 79.

ნული ნება. უფრო მეტიც: ჩვეულებითი სჯულის ამავე მუხლში წერია: თუ ბატონი ჯოხით ცემს თავის ყმას „ამისათვის მეფე არას უსაყვედურებდა (ბატონს – მ. კ.) ამგვარის საქმისათვის, რადგან მებატონეთა ყმათა ზედა სრული უფლება აქვს და ვერც სადმე უჩივლებდა ყმა ბატონსა თვისსა.“[406] მაშ ჩვენს მიერ მოტანილი განაჩენით რატომ ჩივის ცემის შედეგად მოკლულის დედა? იქნებ მძიმე შედეგი აძლევდა ამის უფლებას? უფრო სარწმუნო ისაა, რომ რუსეთის მორჩილებაში მყოფი ქართველი ფეოდალები ცდილობენ დაიკანონონ ეს უფლება რაც მთელ რუსეთში იყო გაბატონებული.

ჯოხით ცემა როგორც ითქვა ღირსების დამცირებადაც მიჩნდათ. ამისათვის კანონმა დაადგინა – თუ გინდ ერთი ჯოხის დარტყმას, რომელმაც არავითარი ზიანი არ მიაყენა დაზარალებულს, მაინც ისჯება ნახევარი ქერის მარცვლის სისხლის საზღაურით. აღსანიშნავი ისაა, რომ ეს ყველას ეხება განურჩევლად სოციალური წარმოშობისა (ვახტანგ VI სამართლის წიგნის 266-ე მუხლი).

## §4. გატეხვა

ძველ ქართულ სამართალში გატეხვა ადამიანის ორგანიზმზე რა გინდ რა საშუალებების (ბასრი თუ ბლაგვი საშუალებები) ჭრილობის მიყენებას გულისხმობს. სამართალი იცნობს შემდეგ გატეხვებს:

**1. თავის გატეხვა.** ხშირი იყო თავის გატეხვის შემთხვევები, რა დროსაც პასუხიმგებლობის განმსაზღვრელად ბევრი რამ მიიღებოდა მხედველობაში. სახელდობრ, სად მოხდა იგი, რით გაუტეხეს თავი, როგორი იყო ჭრილობის ხასიათი, ვინ ვის გაუტეხა თავი და ა. შ.

თავის გატეხვის სიმძიმე სხეულის სხვა ადგილას მიყენებული ჭრილობის დარად ქერის მარცვლებით იზომებოდა. ერეკლე II საეკლესიო განჩინებით თავის გატეხვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა მეშველი, რომელიც მოშველების დროს გაუტეხდა ვინმეს თავს – „ჩხუბში რომ მეშველმა თავი გაუტეხოს, გასამ-

[406] ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, 79.

ტეხლო არ გამოერთმევა. მეშველს რომ გაუტყდეს, ვინც მეშველს გაუტეხოს, გასამტეხლო იმას გამოერთმევა.“[407] ასევე, თუ ვინმემ „თავის ყმას ან თავის ნასყიდს თავი გაუტეხოს, გასამტეხლო არ გამერთმევა.“ ამავე დოკუმენტში კარგადაა გამოკვეთილი მოჯამაგირის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც გარკვეული პირობის მიხედვით ემსახურებოდა მებატონეს. სწორედ ამიტომაც იგივე კანონი ბრძანებს: „ხოლო თუ მოჯამაგირეს გაუტეხოს (ბატონმა – მ. კ.) იმაზედ გამოერთოს.“[408]

სისხლის საზღაურის დანაწესში საყურადღებო ადგილი ეთმობოდა თავის გატეხვისათვის პასუხისმგებლობას. განჩინება (1775 წ.) აცხადებს: „საბატიოს კაცის შვილის სისხლი თავის გატეხისა ერთის ქერის მარცვლის ზომა ექვსი თუმანი და სამი მინალთუნი არის განწესებული.“[409]

კანონი ადგენს თუ რა საზღვრებში გაჩნდება საგამტეხლო: „მჯიღვს გარეითად, ყელს ზეით ჴელის გაფხაჭვას გარეითად, რითაც გაუტეხოს, გასამტეხლო გამოერთმევა,“ [410] როგორც ჩანს, მჯიღის გარდა თუ რაიმეთია დაზიანება (გატეხვა) მიყენებული გარდა ყელის ზემოთ ხელით გაფხაჭვნისა, ყველა დამნაშავე გასამტეხლოს გადაიხდის. აქ მთავარი ისაა, რომ აღნიშნული განჩინება ერეკლემ ქიზიყის სამოურავოსათვის დაწერა და რამდენად ექნებოდა მას ძალა ქვეყნის სხვა მხარეებში, განმარტებული არაა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თვით ვახტანგის სამართლის წიგნიც კი მხოლოდ ქართლის სამეფოსათვის იყო შემოღებული, მაგრამ მალე მთელ საქართველოში გავრცელდა, უჯეროდ არ უნდა მიგვაჩნდეს აღნიშნული განჩინების მოქმედების გავრცელება მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

**2. ლოყის გატეხვა.** ჩხუბის დროს ცალკე ფასდებოდა ლოყის გატეხვა, ცხვირის გატეხვა და საერთოდ ნაცემობა. ერეკლეს მიერ გამოცემული ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ სიგელში პირდაპირაა აღნიშნული, რომ „მჯიღვით რომ ან ლოყა გაუ-

[407] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 411.

[408] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 412.

[409] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 668.

[410] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 411.

ტყდეს, ან ცხვირში სისხლი წავარდეს“ არაფერი გაჩნდებაო.[411]

ერთი განაჩენი გვაუწყებს, რომ დამნაშავეს დაზარალებულისათვის „ხელი შემოეკრა და წასჭიდებოდა. ამ წაჭიდებაში ლოყა გაეტეხა,“ რისთვისაც ქერის მარცვლის გაზომვით საუპატიო მისცეს დაზარალებულს.[412] როგორც ჩანს ამ შემთხვევაში მჯიღით არ მომხდარა ცხვირის გატეხვა ან ამ რეგიონში ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული ერეკლე II ზემოთ მითითებული დოკუმენტი, რომელიც მჯიღით ცხვირის გატეხვაზე პასუხისმგებლობას არ ანესებდა.

სასჯელს ითვალისწინებდა ნატკენობაც, რაც გამორიცხავდა რა როგორც ღია ჭრილობას, ისე ფუნქციის მოშლას, მაგრამ ტკივილის მომგვრელი იყო და იქნებ დროებით ფუნქციის შეზღუდვასაც იწვევდა. სწორედ აღნიშნულს უნდა გულისხმობდნენ მოსამართლენი, როცა წერდნენ, რომ თავის გატეხვისას „ერთი ქერის მარცვლის ზომა ხელის ნატკენობაშიდ ჩაუტარეთ“ მოპირდაპირე მხარესო.[413]

[411] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 411.

[412] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 600.

[413] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 302.

# თავი VII. პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ძველ ქართულ სამართალში

მითითებული სათაურით ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ცხადია, ქართული ტერმინოლოგიისათვის შედარებით ახალი წარმომავლობისაა. მაგრამ მისი ცალკეული ტერმინები „პატივი“ და „ღირსება“ შორეულ წარსულში იღებენ სათავეს („წინაწარმეტყუელსა თჳსსა სოფელსა **პატივი** არა აქუს“ (იოანე 4.44), „რამეთუ მოსე თქუა: **„პატივ-ეც** მამასა შენსა და დედასა შენსა“ (მარკოზი 7.10), „მსახურებად მისა **ღირსებით** და სიმართლით...“ (ლუკა 1.75) და სხვა).

ტერმინები **პატივი** და **ღირსება** ქართული დამწერლობის სამივე პერიოდში სხვა შინაარსის გარდა მეტ-ნაკლებად ესმოდათ დღევანდელი შინაარსით. ამ სიტყვებიდან სხვა სიტყვებიცაა წარმოებული, მაგალითად: საპატიო, ღირსეული და სხვა.

ტერმინები პატივი და ღირსება ქართულ საკანონმდებლო ტერმინოლოგიასაც წარმოადგენენ: „დარბაისელთ პატივი დაედების გასინჯვით“ (ვახტანგ VI სამართლის 24-ე მუხლი); „უფროსობის პატივი არ დაუც“ (იქვე, 56-ე მუხლი), „მეათე მცნება მამისა და დედის პატივის-დება არის“ (იქვე, 781 მუხლი) და სხვა, „ღირსებითა ქნას მღდლობა“ (მხითარ გოშის სამართალი, 357-ე მუხლი), „ეგრეთ პატივით და ღირსებით ვილუანეთ“[414] პატივიდან უნდა იყოს წარმოებული როგორც **პატივისცემა** (საბას სიტყვით – „კეთილის მოპყრობა“), ისე **პატიჟი** – რაც ძველ ქართულში სასჯელის შინაარსით ესმოდათ.

მოგვეპოვება მასალები იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ ქართულ დამწერლობაში პატივი ერქვა „კეთილ მოპყრობას“. მის საწინააღმდეგო მოქმედებას **უპატიობა** („უპატიობა“, აღბულას სამართალი, 97-ე მუხლი; „უპატიურობა ჰკადროს“, სამართალი კათალიკოსთა, მე-17 მუხლი), ხოლო უპატიო მოქმედებისათვის განკუთვნილ სასჯელს **საუპატიო** („გარჯის საუპატიოც უნდა მოსცეს“, ვახტანგ VI სამართლის წიგნი, 159-ე მუხლი).

თქმული იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ვიდრე ზემოთ მითითე-

[414] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 47

ბული ტერმინები დღევანდელი მნიშვნელობით (ადამიანის ღირსების გამომხატველი) დამკვიდრდებოდნენ, მანამდე სხვა შინაარსი არ ჰქონდა მათ. სხვა მასალათა დამოწმებას რომ თავი დავანებოთ, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით დავკმაყოფილდებით, რომლის აზრით, სიტყვა პატივი „საკარისკაცო სახელწოდების აღსანიშნავად იხმარებოდა“,[415] „საეკლესიო მსახურის თანამდებობას „პატივი“ ეწოდებოდა“.[416]

უფრო მეტიც, პატივიდან ნაწარმოები ტერმინი „უპატიოდ მოქცევა“, ანუ „გაუპატიობა“ (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, 36-ე მუხლი) და მისგან წარმოებულია „გაუპატიურება“, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემდე ღირსებაზე ხელყოფის ტერმინად ითვლებოდა ძირითადად („რაფიელ ერისთავმა პირველად დასძრა ენა ადამიანის გაუპატიურებული ღირსებისათვის“ – ილია), ბოლო პერიოდში სქესობრივი ძალადობის გამომხატველ ტერმინად იქცა და 70 წლის განმავლობაში მგონი სავსებითაც მოიცილა თავისი ისტორიული შინაარსი.

სიტყვა გაუპატიურება ძალადობის გამომხატველ ტერმინად პირველად 1926 წლის რედაქციით გამოცემულ კოდექსში შევიდა და ასე ესმის დღეს მისი შინაარსი ყველა ქართველს.

აღნიშნული კარგი მაგალითია იმისა, თუ რა ფრთხილი დამოკუდებულება გვმართებს ტერმინების ხმარებისას, რა ადვილად შეიძლება ხელოვნურად დავამახინჯოთ მისი შინაარსი.

ადამიანის პატივის და ღირსების დაცვას ძირითადად ზნესრული ადამიანები ზნეობრივი ნორმების დაცვით კისრულობენ, მაგრამ ამ დიდი მისიის განხორციელებაში არც თუ მცირე მნიშვნელობა ენიჭება კანონმდებელსაც. ერის კულტურის დონიდან გამომდინარე კანონმდებელსაც არ ძალუძს უგულებელყოს ადამიანთა ზნეობრივი მოთხოვნა და რიგი დანაშაულებრივი ქმედებანი, ჩადენილი პიროვნების ღირსების წინააღმდეგ, არ გამოაცხადოს მძიმედ დასჯადად. ზოგჯერ იგი მკვლელობასაც კი უთანაბრდება.

აღნიშნულის დამადასტურებელი ნორმები ქართულ სამართლის წიგნებშიც მრავლად მოგვეპოვება. ბექას სამართალი ვისიმეს დაჯაბნებას და ამ გზით საბელის მობმას ან თუ ვინმემ „ნიფხავნი მისნივე თავს დაახვივნეს“ მკვლელობის დარად მთელი სისხლის

[415] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. VI, 263.

[416] იქვე, ტ. VII, 248.

დაურვებას ითვალისწინებს (21-ე მუხლი). კანონის განმარტებით, დამნაშავე იმიტომ იმსახურებს ასეთ სასჯელს, რომ „უფროსი სირცხვილი და კაცთაგან შესაყივარი აღარა იქნებისრა, სიკვდილსა დიდად უარეა“. აქ ორი სხვა რაიმეცაა ხაზგასმის ღირსი. მნიშვნელობა არა აქვს ვინ არის ასე დაჯაბნებული ან დამჯაბნებელი, სულ ერთია ვინ შეიძლება ჩაიდინოს ასეთი მოქმედება – „გინა უფროსმა, გინა უმცროსმა.“ როგორც ჩანს, სოციალური მდგომარეობა, როგორც დაზარალებულის, ისე დამნაშავის მხრივ ანგარიშგაუწეველია. ჩანს ისიც, რომ პიროვნების ისეთი გამაწბილებელი მოქმედება, როგორიცაა საბელმობმული გატარება ან „ნიფხავნი მისნივე თავს დაახვივნეს“ უცხო არ ყოფილა ჩვენში. თუ არა ასე, იგი ვერც გახდებოდა კანონმდებლის მსჯელობის საგანი.

სპეციალურად არჩევს რა ნ. ხიზანაშვილი 21-ე მუხლის შინაარსს წერს: „ეს სათაკილო ბოროტება უმეტესად თავს ატყდებოდა დამაჯნებულს – ხნიერსა და მოხუცებულსაო.“[417] ასეთი დასკვნა მკვლევარს გამოაქვს ნორმის ასეთი ადგილიდან: „თუ კაცმან სწორმან სწორსა, გინა უფროსმა, გინა უმცროსმა, ვისაც მეტის ჟამისაგან დამაჯნებით საბელი მოაბას.....“ (21-ე მუხლი). აქ ნ. ხიზანაშვილი ზუსტი არ უნდა იყოს: „გინა უფროსმა, გინა უმცროსმა“-ში სოციალურად უფროს-უმცროსობა უნდა იგულისხმებოდეს, იგი კი ხსნის როგორც „ხნიერს და მოხუცებულს“. ასევე განუმარტავად ტოვებს სიტყვა „დამაჯნებულს,“ რაც დამჯაბნებლის შინაარსით უნდა გვესმოდეს.[418]

იქვე 23-ე მუხლიც აცხადებს: დაცოლშვილებულმა კაცმა დაქმარშვილებულ ქალს „უარშიო უყოს და კიდევ მოაყივნოს“, ასეთი მძიმე შეურაცხყოფისათვის სხვა სასჯელთან ერთად მთელი სისხლი უნდა დაუურვონ ქალის ქმარს. ხოლო თუ ეს სხვა სასჯელი (გაშიშვლება და გაუპატივება) არ სურს დაედოს, მაშინ – ორმაგად

მკვლელობასავით და ზოგჯერ ორმაგად სჯის კანონმდებელი სასაფლაოზე თავდასხმისა და საფლავის უხეში ხელყოფისათვის (25-ე მუხლი). ამ დროს ხელყოფილი ხდება როგორც მიცვალებუ-

---

[417] ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, 488.

[418] უფრო ზუსტად ტერმინზე იხ. მ. კეკელია, სიტყვა „მემაჯანის“ გაგებისათვის ვეფხისტყაოსანში (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1975, 181).

ლის, ისე მისი პატრონის ღირსება და პატივი.

პიროვნების ღირსების ხელყოფაა ცოლის მიერ უმიზეზოდ ქმრის დატოვება და მისი ოჯახიდან წასვლაც. ასეთი მოქმედება ოჯახის მძიმე შეურაცხყოფად ითვლება, რისთვისაც მთელი „სისხლი დაუურვოს მან დიაცმან“ (32-ე მუხლი). ასევე სჯის ქმრის დამგდებ ცოლს ვახტანგ VI სამართალიც (74-ე მუხლი).

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 109-ე მუხლი კაცის „გუემისა“ და ეკლესიის გატეხვისათვის, ასევე ცოლის წართმევისათვის (135-ე მუხლი) სრული სისხლის გადახდას ითვალიწინებს.

ოჯახის ინტერესებზე ხელყოფად განიხილება 1251 წლით დათარიღებულ მეფის მიერ გამოცემულ სასისხლო სიგელში ასეთი ნორმის შეტანა: „ვინც ცოლი ჴელდაჴელ წაუღოს და შეირთოს, სრული სისხლი დაეურვოს.“[419]

ადამიანის სიკვდილის დარად ისჯება: ხუცესის ცოლთან სქესობრივი კავშირი, უკეთუ ხუცესმა ღვთისმსახურება დააგდო (ბექა-აღბუღას სამართალი, 41-ე მუხლი); თვალების დაწვა ან გახეიბრება (იქვე, 162-ე მუხლი) და ცოლის წართმევა (165-ე მუხლი).

ქმრისა და ოჯახის ღირსების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად ჩანს ვახტანგ VI სამართლით: სხვის ცოლთან სქესობრივი კავშირი (71-ე მუხლი), უბრალოდ (უმიზეზოდ) ცოლის დაგდება (72-73-ე მუხლები), სხვისი ცოლის მოტაცება, რისთვისაც კანონი ორმაგი სისხლის საზღაურს ითვალისწინებს, აქედან ერთს მიხდომისა და მეორეს ცოლის ძალით წართმევისათვის (85-ე მუხლი), სხვისი ცოლის გაყიდვა, რაც სამმაგი სისხლის დაკისრებას იწვევს (96-ე მუხლი). ასევეა დაწესებული შვილის გაყიდვისათვის (97-ე მუხლი).

რამდენად დეკლარაციულია ვახტანგ ბატონიშვილის ბარისა და მთიელთა განჩინება, ძნელი სათქმელია, მაგრამ სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობა ისე მოეკითხება პირს „როგორც კაცის მკულელს სიკვდილით, მამულიდამ და თავის ალაგიდამ აყრით, აკლებით და დაკარგვით.“[420] როგორც ჩანს, არცთუ მცირედ ყურადღებას უთმობს კანონმდებელი პიროვნების, ოჯახის და მთელი საზოგადოების პატივისა და ღირსების დაცვის საქმეს. ისტორიულად საკითხ-

[419] საისტორიო მოამბე, ტ. II, 1924, 4.

[420] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 454.

ისადმი ასეთი მიდგომა დღესაც ავალებს თანამედროვე კანონმდებელს იფიქროს ზოგიერთი ელემენტის გამოყენების შესაძლებლობაზე.

ჯერ კიდევ ბაგრატის სამართალი აღიარებდა წვერის მოჭრასა თუ მოგლეჯვას პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულებრივ მოქმედებად და წერდა: „თუ კაცსა წუერი მოეკუეცოს ანუ მოეგლიჯოს, ორი გერში ზღოს.“ (144-ე მუხლი). ადამიანის ღირსების გამომხატველ წვერ-ულვაშზე დანაშაულებრივი ხელყოფა რომ იშვიათი არ იყო, აღნიშნულს სასამართლო ხასიათის მასალებიც ადასტურებს. 1770 წელს მდივანბეგები არჩევენ მირზაშვილებს შორის ჩხუბის საქმეს: „ნიკოლოზს თამაზისათვის ქოჩორი დაეჭირა და თამაზას ნიკოლოზისათვის წვერი დაეჭირა და ასე დაეგლიჯა, რომ დიდად დაესახიჩრებინა. თამაზასაც ქოჩორი დაგლეჯოდა.“ სასამართლო წერს: „წვერის დაგლეჯისათვის ხუთი ქერის მარცვალი **საუპატიო** გაუჩინეთო.“[421]

მოტანილ ამონაწერში წვერისა და ქოჩრის დაგლეჯვა ჩხუბს მოჰყოლია, რაც არსებითად განსხვავდება განზრახვისაგან, რომელიც ღირსების დამცირების მიზნით კეთდება წვერსა თუ ულვაშზე ხელყოფისათვის. აკი დღემდეა შემორჩენილი ასეთი გამოთქმები „ულავში მომჭერი თუ მე ეს მოქმედება გაპატივო“ და მსგავსნი.

ძველ ქართულში თავზე თმის და წვერის მოპარსვა – სიმბოლურად გამოხატავდა ადამიანის უუფლებო, დამცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას. სწორედ ამიტომაც მსაჯულებმა ესტატი მცხეთელისა და მის თანამოაზრეთათვის თავისუფლების აღკვეთის დროს გასცეს ბრძანება: „დაჰყჳნეთ (გაპარსეთ – მ. კ.) მაგათ თავი და წუერი“ და ჩასვით საპყრობილეშიო.[422]

საეკლესიო რომანში „სიბრძნე ბალავარისა“ (X საუკუნის თარგმანი) თმის შეკვეცა მონანიების დროსაც ხდებოდა („დავიყჳნო თმაჲ თავისა ჩემისაჲ და შევერთო რიცხუსა მონანულთასა.“)[423]

---

421 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 600-601.

422 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქცია, თბ., 1946. ტ. I, 46.

423 სიბრძნე ბალაჰვარისა, რედაქცია, ვარიანტები და ლექსიკონი ილია აბულაძის, 1937, 60.

# სარჩევი


**შესავალი** ..... **3**

**თავი I. დანაშაულის შესახებ მოძღვრების საკითხები ძველ ქართულ სამართალში** ..... **7**

§1. ქართული სისხლის სამართლის წყაროები ..... 7

§2. ბრალთან/დანაშაულთან დაკავშირებული ტერმინები და მათი შინაარსი ძველ ქართულ სამართალში ..... 12

§3. ფათერაკი ..... 32

§4. ზოგიერთი რამ ბრალის საკითხთან დაკავშირებით ქართულ საეკლესიო სამართალში ..... 44

§5. მიზეზობრივი კავშირი ..... 51

§6. ზოგიერთი რამ მცდელობაზე ..... 54

§7. თანამონაწილეობა ..... 59

§8. გამზავებელის ანუ შუად-მისულისათვის ..... 67

§9. შერისძიება ..... 70

**თავი II. მკვლელობა როგორც დანაშაული ძველ ქართულ სამართალში** ..... **82**

§1. მკვლელობა როგორც საჯარო ხასიათის დანაშაული ..... 82

§2. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა ..... 87

§3. არაკვალიფიციური მკვლელობა ..... 127

§4. ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი მკვლელობის დროს ..... 138

§5. გარემოებანი, რომლებიც მკვლელობის პასუხისმგებლობიდან ათავისუფლებს პირს ..... 143

**თავი III. დაჭრა როგორც დანაშაული ძველ ქართულ სამართალში** ..... **154**

§1. დაჭრა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში ..... 160

§2. დაჭრის შემამსუბუქებელი გარემოებანი 164
§3. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებანი დაჭრისას 165
§4. დაჭრის ცალკეული შემთხვევები 167
§5. ჭრილობის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა იმისდა მიხედვით, თუ სხეულის რა ადგილას ან როგორი იარაღითაა იგი მიყენებული 170

**თავი IV. ცალკეულ ორგანოთა მოკვეთა, გახეიბრება, ან დაშავება, როგორც დანაშაული ძველ ქართულ სამართალში** 180

§1. ხელის ან ფეხის მოკვეთა და დაშავება 181
§2. ცხვირის და ყურის მოკვეთისათვის 184
§3. თვალის ნამოგდება 185
§4. კბილის ჩამოგდებისათვის 187
§5 თითის მოკვეთა 190
§6. დამამახინჯებელი ჭრილობები სახეზე 191
§57. უჩინარ ადგილზე მიყენებული ჭრილობისათვის 194

**თავი V. სოციალური მოტივები მკვლელობა-დაჭრისას ძველ ქართულ სამართალში** 195

**თავი VI ცემა როგორც დანაშული ძველ ქართულ სამართალში** 202

§1. ცემის როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება 202
§2. სასულიერო პირის გალახვა 208
§3. ჯოხით ცემა 208
§4. გატეხვა 210

**თავი VII. პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ძველ ქართულ სამართალში** 213

კომპ. უზრუნველყოფა თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22